ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდის ოთხშაბათობით

ფასი: 1 ლარი

№34

21-27.VIII 2013

„37 წელია ერთ ქალზე ვგიჟდები“

„ასაკის გამო არ ვნერვიულობ“

გვ.22

60 წლის ზურა ყიფშიძე სიყვარულზე, ოჯახზე და ცხოვრების მთავარ საქმეზე

გვ.9

მამუკა ღლონტი: „იმედი“ სააკაშვილის ნაჩუქარი 16 მილიონით ცდილობს „მაესტროს“ განადგურებას!“

თეა სიჭინავა: „იმედში“ ზუსტად იმ ხელფასს გადამიხდიან, რაც „მაესტროზე“ მქონდა“

გვ.8

„მე-9 არხზე“ სეილი გამოცხადდა

ლუბა ელიაშვილი: „თუ ვინმეს არხის ფასდაკლებით ყიდვა უნდა, თანამშრომლებიც უნდა წაიყვანოს“

გვ.10

ინგა გრიგოლია მრისხანე დებატებს იწყებს

გვ.34

ნინა წკრიალაშვილს ფსიქოლოგის დახმარებამ უშველა

გვ.41

რატომ ელოდნენ მშობლები სანდრო კაკულიას დაბადებას 7 წელი

გვ.40

ვის გამო თქვა უარი თაკო ჩარკვიანმა საოცნებო ქორწილზე

ISSN 1987-9369

სექსუალური ტერორი შეფისგან – თავსატეხი ქმარგაყრილი ქალისათვის

გვ.46

გვ.26

ინტერვიუ ტელეკომპანიის დახურვამდე

შალვა რამიშვილს „მესხრე არხიდან" წასვლაში ფული გადაუხადეს

გვ.36

სოფო გელოვანმა მკვეთრ მაკიაჟსა და შავ ფრჩხილებზე ქმრის ხათრით უარი თქვა

გვ.43

გია მაისაშვილს ლონდონური შოკიდან თავის დასაღნევად 2 წელი დასჭირდა

გვ.20

ირმა სოხაძე გიორგი მარგველაშვილისთვის იმღერებს

გვ.35

მარკუს მეტრეველი ტელენამყვანი ხდება

გვ.32

თეონა ბაღდავაძემ საქე ვერაფრით შეიყვარა

მხოლოდ PSP-ში ყოველ სამშაბათს

- ყველა მედიკამენტი სპეც ფასად სპეც დღეს!
- 100-ზე მეტი ყოველდღიური მოვლისა და ჰიგიენის საშუალებები ექსკლუზიურად დაბალ ფასად!

PSP №1
ჩვენი ოჯახის აფთიაქი

ნომერში

მეოთხე ხელისუფლება

- „მე-9 არხზე“ სეილი გამოცხადდა 8
- „მაესტრო“-„იმედი“ — აშკარა კონკურენცია თუ ფარული ომი? 9
- ინგა გრიგოლია მრისხანე დებატებს იწყებს 10

გულახდილი საუბრები 12

გახმაურებული საქმე

უცნაური გაუჩინარება — 17 წლის დარეჯან დიასამიძე თავის სახლამდე ერთ კილომეტრში ხალხის თვალწინ დაიკარგა 14

პოლიტიკა

- კახი კახიშვილი: „ზურაბ ხარატიშვილი ვანო მერაბიშვილის კადრია“ 16
- შალვა ნათელაშვილი: „ოპოზიციას ერთადერთი გზა რჩება — მხარი მე დამჭირეს“ 17
- ელისო ჩაფიძე-მიქაბერიძე: „მეც ვარ მათ რიგებში, ვინც უფრო მკაცრი გადაწყვეტილებების მომხრეა“ 19

ნაცნობი სახე

ირმა სოხაძე გიორგი მარგველაშვილისთვის იმღერებს 20

ვარსკვლავი

60 წლის ზურა ყიფშიძე სიყვარულზე, ოჯახზე და ცხოვრების მთავარ საქმეზე 22

ცვლილებების დრო

შალვა რამიშვილს „მეცხრე არხიდან“ წასვლაში ფული გადაუხადეს — ინტერვიუ ტელეკომპანიის დახურვამდე 26

მოზარდები 28

მეორედ დაბადება

მალხაზ გოგიაშვილი: „ცეცხლმოკიდებულ სახლში შესვლა ყველანაირ შიშს მაკიწყებს“ 30

მისია

გმირი ძმის სახელზე ჯარში წასული დის ისტორია 31

ავტომოყვარული

თეონა ბაღდავაძემ საჭე ვერაფრით შეიყვარა 32

ეტაპი

- ნინა წკრიალაშვილს ფსიქოლოგის დახმარებამ უშველა 34
- მარკუს მეტრეველი ტელეწამყვანი ხდება 35

სარკის წინ

სოფო გელოვანმა მკვეთრ მაკიაჟსა და შავ ფრჩხილებზე ქმრის ხათრით უარი თქვა 36

სამზარეულო

დალი ფრიდონაშვილმა სახლში 5 ლიტრი ღვინო დაწურა 37

ცხოვრების საქმე

ჯემალ ჭკუასელი: „ერისიონს“ და „სუხიშვილებს“ ისევე აქვთ რაიმე საერთო, როგორც ატამს და ქლიავს“ 38

სიყვარულის ისტორია

ვის გამო თქვა უარი თაკო ჩარკვიანმა საოცნებო ქორწილზე 40

მათი მშობლები

მეგი წითლიძე: „სანდროსნაირი შვილი ერთი რომ გაგიჩნდება, მისნაირი სულ უნდა აჩინო და ზარდო“ 41

ცხოვრება ჩემოდნებზე

გია მაისაშვილს ლონდონური შოკიდან თავის დასაღწევად 2 წელი დასჭირდა 43

№34(800) 21 — 27 აგვისტო, 2013

ჟურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 19.08.2013, 21.00 სთ-ზე.

მეგზური

ტირანა — მუსლიმების ცისფერი სამოთხე 45

მარტოხელა

სექსუალური ტერორი შეფისგან — თავსატეხი ქმარგაყრილი ქალისათვის 46

მხოლოდ ქალებისთვის 48

დედიკოების სკოლა 49

ცოტა-ცოტა ყველაფერზე 50

სპორტის მინდა 51

ადამიანის ინსტიტუტი

როგორ წარმოვაჩინოთ ნაკლოვანებები ღირსებად 52

მშობიარობა 15 წუთში კოლმეურნეობის მოედანზე

„ოჯახის წევრებმა ჯერ არ იციან, რომ ბავშვი გავაჩინე“

15 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, თბილისის ცენტრში, კოლმეურნეობის მოედანზე, ქუჩაში, ქალმა იმშობიარა. 27 წლის ცისანა წიკლაურს სამშობიარო ტკივილი, როგორც ხდება ხოლმე, მოულოდნელად დაეწყო. გამვლელებმა სასწრაფო დახმარება გამოიძახეს, მაგრამ ქალმა საავადმყოფოში მისვლა ვერ მოასწრო და სასწრაფო დახმარების მანქანაშივე გააჩინა ბავშვი. მოგვიანებით ახალშობილი დედასთან ერთად წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის ჯანმრთელობის სამედიცინო ცენტრში გადაიყვანეს. მიუხედავად ასეთი ექსტრემალური თავგადასავლისა, დედა-შვილი თავს ნორმალურად გრძნობენ. კოლმეურნეობის მოედანზე დაბადებული გოგონა 2 კილოს და 700 გრამს იწონიდა. დედამ მას ნატალი დაარქვა.

ექსტრემალური მშობიარობის დეტალების შესახებ 71-ე გვერდზე წაიკითხავთ.

სახალისო 56

იყავით ჯანმრთელი 58

ქალური მოთხრობები

- თინათინ ბონი — „ბედნიერების ძიებაში“ (გაგრძელება, დასაწყისი №30-33) 66
- ლელა ცუცქირიძე — „მშვენიერი დღე“ 68

წმინდანები

უბრალოება და თავმდაბლობა არასოდეს რჩება შეუმჩნეველი, უფალი მას ყოველთვის ამჩნევს — ცხოვრება წმინდისა ლეონტი იერუსალიმელისა 72

კითხვები მოძღვარს

„ვინც მოთმინებას გაურბის, ის ცხონებასაც გაურბის“ 74

საბავშვო გვერდი 76

კულინარიული შედევრები 77

ხელსაქმე 78

ლადო პაპავა 10 ხმით თსუ-ის რექტორი გახდა

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს ახალი რექტორი ჰყავს. ამ თანამდებობაზე არჩევანი 13 კანდიდატს შორის გაკეთდა და ხმათა უმრავლესობა ლადო პაპავამ მიიღო. ლადო პაპავას საარჩევნო კოლეგიის 10-მა წევრმა დაუჭირა მხარი, 2-მა — ირმა რატიანს.

არჩევნებში, მათ გარდა, მონაწილეობდნენ გიორგი ქავთარაძე, გიორგი ბარამიძე, ილია თავხელიძე, ცირა ბარამიძე, მერაბ ცაგარელი, ირმა რატიანი, მედეა ჩუხუა, მარინა მუსხელიშვილი, მანანა ხაჩიძე, ინესა მერაბიშვილი, ნონა წოწერია, დავით გოცირიძე. კიდევ ერთმა კანდიდატმა, მარინე ჩიტაშვილმა, თავისი კანდიდატურა კენჭისყრამდე მოხსნა.

ხმების მიცემაში მონაწილეობა არ მიუღია უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელ აღექსანდრე კვიტაშვილს. მან მხოლოდ არჩევნების დასრულების შემდეგ გააკეთა მედიასთან კომენტარი და განაცხადა, რომ ყველა კანდიდატს ჰქონდა საარჩევნო კამპანიის წარმოების თანაბარი პირობები და შესაძლებლობა, შეხვედროდა სტუდენტებს და პროფესურას და არჩევნების შედეგები ეჭვს არ იწვევს. თავად რატომ არ მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში, ასე ახსნა:

— მე თავის დროზე 12-მა ადამიანმა ამირჩია, საბჭოს წევრებს ვგულისხმობ. იურიდიულად შესაძლოა გამართლებული ყოფილიყო, რომ, რადგან საბჭოს წევრი და რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ვარ, მეც მქონოდა ხმა ამ არჩევნებზე, მაგრამ მე ვარჩიე, ეს გადაწყვეტილება მიეღო იმ 12 კაციან საბჭოს, რომელსაც ჩემი გადადგომით უნივერსიტეტის რექტორის ბედი ვანდე. არ მინდოდა, ჩემი მე-13 ხმა გადამწყვეტი ყოფილიყო. შედეგებმა აჩვენა, რომ ბატონმა ლადო პაპავამ 10 ხმა მიიღო და ვულოცავ ამ გამარჯვებას.

„ხალხს უხერხული კანდიდატები შესთავაზეს“

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საპრეზიდენტო კანდიდატებით უკმაყოფილოა. მისი თქმით, ისინი მოსახლეობის განვითარების, ინტელექტის და ღირსების დონეზე ბევრად დაბლა დგანან.

— ხალხს შესთავაზეს ისეთი კანდიდატები, რომლებიც უფრო დაბლა დგანან, ვიდრე ჩვენი მოსახლეობის განვითარების, ინტელექტის, ღირსების დონეა. ვისაც მინდა, ამოვირჩევ და, თუ მინდა, ცხენს ავირჩევ სენატში, როგორც ეს ერთ-ერთმა რომაელმა იმპერატორმა გააკეთა — ამას ქართველი ხალხი არ გააკეთებს. უბრალოდ უხერხულია, ისეთი კანდიდატები შესთავაზეს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ზოგიერთისთვის მოულოდნელად ხალხი მიიღებს იმ გადაწყვეტილებას, რაც მათ წარმოდგენას შეესაბამება იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს მათ მიერ არჩეული პრეზიდენტი, — აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

„სულიერი სრულყოფა აუცილებელია“

19 აგვისტოს ფერიცვალების დღესასწაულთან დაკავშირებით მცხეთაში, ფერიცვალების სახელობის სამთავროს დედათა მონასტერში, სადღესასწაულო წირვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ჩაატარა. წირვის დასრულების შემდეგ უწმინდესმა და უნეტარესმა მრევლს ქადაგებით მიმართა და ფერიცვალების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

— თაბორის მთაზე უფლის ფერიცვალების ხილვამ ისე გააოგნა პეტრე მოციქული, რომ მიმართა იესოს, მთაზე სამი ტალავარი, ანუ კარავი დაედგათ და იქ დარჩენილიყვნენ. წმინდა მოციქულმა იცოდა, რას ეუბნებოდა უფალს. ამით სურდა, ფერიცვალების ხილვა გაგრძელებულიყო, სამ ტალავარში კი მთელი მსოფლიო დაეტეოდა. მსურს, რომ მთელი მსოფლიო შევიდეს ამ სამ ტალავარში, რათა ერთად ვიზეიმოთ ფერიცვალება, — ბრძანა პატრიარქმა.

უწმინდესმა ქადაგებაში ყურადღება სულიერი სრულყოფის აუცილებლობაზე გაამახვილა. აღნიშნა, რომ ცოდვებისკენ კი არ უნდა მივიდრიკოთ, არამედ სულიერი სრულყოფის გზაზე კიდევ უფრო მაღლა უნდა ავიდეთ.

საპრეზიდენტო არჩევნებზე ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები მოიწვიეს

27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებს საერთაშორისო ორგანიზაციები დააკვირდებიან. ოფიციალური მოწვევის წერილი საქართველოს საგარეო უწყებამ უკვე გაუგზავნა საერთაშორისო ორგანიზაციებს — ეუთო-ს ადამიანის უფლებათა და დემოკრატიული ინსტიტუტების ოფისს, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეას, ევროსაბჭოს, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეას, ევროპის პარლამენტს, სუამ-ის საპარლამენტო ასამბლეას, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის საპარლამენტო ასამბლეასა და არაბული ქვეყნების ლიგას.

წერილებთან ერთად საგარეო საქმეთა მინისტრმა ოფიციალური მოსაწვევები ასევე გაუგზავნა ავტორიტეტულ არასამთავრობო ინსტიტუტებს, როგორებიცაა ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი და ამერიკის შეერთებული შტატების ჰელსინკის კომისია.

ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, ჯეიმს აპატურაი, მიესალმება საპრეზიდენტო არჩევნებში საერთაშორისო დამკვირვებლების მოწვევას. ამის შესახებ ის „ფეისბუქის“ გვერდზე წერს:

„მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე დამკვირვებლების ფართო მიწვევა არის ნათელი სიგნალი, რომელიც მიუთითებს მათ გადაწყვეტილებაზე, ჩატარდეს თავისუფალი, სამართლიანი, გამჭვირვალე არჩევნები, ისეთი, როგორსაც ნატო მნიშვნელოვნად მიიჩნევს საქართველოს მოსახლეობისა და საქართველოს ევროატლანტიკურ ალიანსში გაერთიანებისთვის. დარწმუნებული ვარ, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეა პროფესიონალთა დელეგაციას გაგზავნის“.

სარკე ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი
მთავარი რედაქტორი
კომერც. დირექტორი

შპს „სარკე“
მედეა სანაია
ვაჟა შენგელია

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში“ გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.

მთავარი რედაქტორის მოადგილეები – ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტიძე.

პოლიტიკა – მანანა გეგია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი – ირინე მჭედლიძე, რუსუდან ადვაძე, ლანა კენჭაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოდია, ავთო ჩიტიძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თათია ბოჭორიძე. მედიცინა – აზა გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფიზიკა – ქეთი ყირიმლიშვილი. მხატვარი – ქეთი ხარატიშვილი.

კომპიუტერული მომსახურება: დაკაბადონება – ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ოპერატორი – მარინა ჯღენტი, მია ფიფია. კორექტურა – ლანა გაბუნია, მია ფიფია. სარედაქციო სამსახური – მაჩუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru მდივანი – იზა ბარბაქაძე.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE

Cyan Magenta Yellow Black

„პაატა ზაქარეიშვილი საკუთარ თავს იბრძვიან!“

ნაციონალურმა მოძრაობამ უკიდურესი შეშფოთება გამოთქვა რეინტეგრაციის საკითხთა სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილის მიერ აფხაზეთის ომის დაწყების 21-ე წლისთავთან დაკავშირებით 14 აგვისტოს გავრცელებული განცხადების გამო. ნაციონალ გიორგი კანდელაკის თქმით, ზაქარეიშვილი საერთოდ არ ახსენებს რუსეთის როლს აფხაზეთის ომში.

■ გიორგი კანდელაკი

რეინტეგრაციის საკითხთა სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია: „დღეს ქართველები და აფხაზები ტრაგიკული მოვლენების მორიგ წლისთავს აღვნიშნავთ. 21 წლის წინ დაწყებული ომი უმძიმეს შედეგებს ამ დრომდე იმკის. ეს ომი იყო დიდი შეცდომა, რომელიც არ უნდა მომხდარიყო. საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე სისხლისმღვრელი კონფლიქტის თავიდან აცილება ახლად შექმნილმა სახელმწიფომ და ქვეყნის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო“.

■ პაატა ზაქარეიშვილი

გიორგი კანდელაკი აცხადებს, რომ ყველასათვის, განსაკუთრებით კი იმ ავბედითი მოვლენების თვითმხილველი ასი ათასობით ჩვენი თანამემამულისათვის, კარგადაა ცნობილი, რა როლი შეასრულა რუსეთმა ამ ომში.

— რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები არამხოლოდ აქტიურად აიარაღებდნენ ე.წ. აფხაზურ ფორმირებებს, რომელთაც მათივე აგენტები ედგნენ სათავეში, არამედ თავად მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებებში. გუდაუთაში განლაგებული რუსეთის ავიაცია გამუდმებით ბომბავდა სოხუმს, რის შედეგადაც ასობით მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა. რუსეთმა საქართველოს თავს მოახვია 1993 წლის სოჭის კაბალური ხელშეკრულება, გამოაყვანინა მძიმე ტექნიკა აფხაზეთიდან და შემდეგ მუხანათურად დაარღვია იგი. რუსმა გენერლებმა და რუსეთის ჯარის დანაყოფებმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს 1993 წლის სექტემბერში სოხუმის შტურმში, ათასობით მშვიდობიანი მოქალაქის მკვლელობასა და ასეულ ათასობით ადამიანის ეთნიკურ წმენდაში, რაც საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ არაერთი მაღალი რანგის დოკუმენტითაა აღიარებული, — განაცხადა საგანგებო ბრიფინგზე კანდელაკმა.

მან იქვე დასძინა, რომ საქართველომ დაუშვა არაერთი შეცდომა და ისიც ცხადია, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილი ხალხის განწყობა ქართული სახელმწიფოს მიმართ არ არის დადებითი. ამის გამოსწორებას კი ხანგრძლივი, მრავალვექტორიანი ძალისხმევა და მოთმინება სჭირდება. „მაგრამ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციაში, ეთნიკურ წმენდაში და ამ წმენდის შედეგების დაკანონების მცდელობაში რუსეთის როლის არდანახვა უმაღლესი თანამდებობის პირის მიერ საკუთარი თავის დაბრმავებასთან ერთად საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა“, — აცხადებს კანდელაკი.

შვილიშვილმა ბებია მოკლა

სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევში 79 წლის ქალი შვილიშვილმა სანადირო თოფით მოკლა. შემთხვევა მოკლულის საცხოვრებელთან გვიან ღამით მოხდა, როდესაც ოჯახის წევრები სახლში იყვნენ და ეძინათ. მძიმედ დაჭრილი ქალი საავადმყოფოში გადაიყვანეს და ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბებიასთან სტუმრად მყოფმა 1990 წელს დაბადებულმა გ. ნ-მ, რომელიც ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, მეგობართან შელაპარაკების ნიადაგზე ცეცხლსასროლი იარაღიდან გაისროლა, რის შედეგადაც ბრალდებულის ბებიამ სხეულის დაზიანება მიიღო.

გ. ნ. სამართალდამცველებმა განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. დანაშაულის იარაღი — არარეგისტრირებული გლუვლულიანი სანადირო თოფი, ნივთმტკიცებად ამოიღეს. შემთხვევის ადგილიდან ასევე ამოიღეს სანადირო თოფის 2 მასრა.

რატომ გაამართლა სასამართლომ ბაჩანა ახალაია და გიორგი კალანდაძე

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბაჩანა ახალაიას, გიორგი კალანდაძის და სხვათა მიმართ ბრალდებისა და დაცვის მხარეებს სისხლის სამართლის საქმის დასაბუთებული განაჩენი გადასცა. საქალაქო სასამართლო ფაქტთან დაკავშირებით სპეციალურ განცხადებას ავრცელებს და განმარტავს, რომ გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრული ეჭვის მიღმა არსებული მტკიცებულებათა ერთობლიობა, რაც მოცემულ სს საქმეზე არასაკმარისია.

სასამართლოს განცხადებაში აღნიშნულია:

„სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში ზვიად აბესაძის ეპიზოდში ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა აშკარა, დამაჯერებელი და ერთმანეთთან შეთანხმებული მტკიცებულებების ერთობლიობა, რომლებიც დაადასტურებდა ბრალდებულების — ბაჩანა ახალაიას, გაგა მკურნალიძის, მანუჩარ დარასელიასა და გიორგი კინწურაშვილის ქმედებებში საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების არსებობას (თავისუფლების უკანონო აღკვეთას), ხოლო ბაჩანა ახალაიას ქმედებაში დამატებით — საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების არსებობას (სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, რამაც ფიზიკური პირის უფლების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით).

■ ბაჩანა ახალაია ■ გიორგი კალანდაძე

სასამართლო ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ დაზარალებულ ზვიად აბესაძის ჩვენება არის ბრალდების დამადასტურებელი ერთადერთი, პირდაპირი ხასიათის მტკიცებულება, რომელიც, თავის მხრივ, არათანმიმდევრულია, რიგი განმარტებები კი არსებითად ეწინააღმდეგება სხვა მტკიცებულებებს.

სენაკის მე-2 ქვეითი ბრიგადის ეპიზოდთან დაკავშირებით, საქმეში არ არსებობს პირდაპირი მტკიცებულებები. ასევე დაიკითხა ბრალდების მხარის 28 მოწმე, რომელთა ნაწილი ადასტურებს შტაბის წინ არსებულ სამწყობრო მოედანზე სამხედრო მოსამსახურეების ვარჯიშის პროცესს, რაც არც დაცვის მხარეს გაუხდია სადაოდ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ვერც ერთი მოწმე ვერ ადასტურებს აღნიშნულ ფაქტთან ბრალდებულების ალ. გორგაძის, გ. კალანდაძის, მ. კიკაბიძისა და მათ შორის, ბ. ახალაიას მონაწილეობის ფაქტს...

რაც შეეხება გიორგი კალანდაძეს, სასამართლო არ მსჯელობს არც ერთ ეპიზოდთან დაკავშირებით, რადგან 2013 წლის 22 იანვარს გ. კალანდაძეს ბრალდება წარედგინა იმავე ფაქტზე, რაზეც 2012 წლის 12 და 19 ნოემბრის დადგენილებებით ჰქონდა წარდგენილი, რაც სასამართლოს მიერ 2013 წლის 1 მარტის განჩინებით იქნა გაუქმებული“.

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

Apifito PHARM

ზეთი ჟივიცა

100% ნატურალური პროდუქტი!

ზეთი „ჟივიცა“ – ბუნების მიერ ნაჩუქარი ჯანმრთელობა!

გვსურს გაგაცნოთ ორგანიზმის გაწმენდა-გაჯანსაღების უნიკალური სრულყოფილი სისტემა, სახელწოდებით „ციმბირული განწმენდა“, რომელიც სათავეს იღებს ჯანსაღი სულის მქონე რუსული ტაიგიდან. სისტემა საუკუნეების მანძილზე შემოწმებულია ციმბირის ტაიგის მცხოვრებთა მიერ, რომლებიც ყოველთვის სახელგანთქმულნი იყვნენ თავიანთი დევგმირული ჯანღონით.დღეს ლეგენდარული „ციმბირული ჯანმრთელობა“ ხელმისაწვდომია ნებისმიერისათვის, ვისაც სურს აღადგინოს და გაიკაჟოს ორგანიზმი, გაიხანგრძლივოს ახალგაზრდობა და ზრუნავს საკუთარ თავზე და თავის ახლობლებზე.„ციმბირული განწმენდა“ მეტად მარტივია, მისი ჩატარება არ ახდენს სტრესულ გავლენას ორგანიზმზე, თუმცა რბილად და ქმედითად რთავს წმენდა-გაჯანსაღების პროცესს უჯრედულ დონეზე. შედეგი არის ორგანიზმის თითოეული უჯრედის გენეტიკური ჯანმრთელობის აღდგენა. გამოყენების დასაწყისშივე აღინიშნება მწვავე სიმპტომებისა და ტკივილის გაქრობა. „ჟივიცას“ შემადგენლობაში, კედარის ფისით გამდიდრებული კედარის ზეთის გარდა, შედის დინდგელი და ქაცვის ზეთი. „ჟივიცა პლუსის“ თითოეული მდგენელი თავისთავად მარგებლად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, და ამასთან ერთად ჰარმონიულად შერჩეულ სხვა კომპონენტთან ერთად აძლიერებს (ან, როგორც ექიმები იტყვიან, პოტენცირებს) მის მოქმედებას.ამ კომპონენტთა მარგებელი თვისებების მხოლოდ ჩამოთვლა დაიკავებდა მთელ საგაზეთო გვერდს. მათ საფუძველზე შექმნილ ზეთს შეიძლება უნივერსალური ეწოდოს ადამიანის ორგანიზმზე თერაპიული ზემოქმედების კუთხით.„ჟივიცა“ ღირებულ დახმარებას უწევს დასუსტებულ გულის კუნთს - მისი გამოყენება მიზანშეწონილია როგორც პროფილაქტიკის საშუალება გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისას, ასევე კომპლექსური თერაპიისას არითმიის, იშემიის, ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიის დროს. ზეთი ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს, აღადგენს კაპილარების ელასტიკურობას, რომლებზეც დამოკიდებულია ორგანოებისა და ქსოვილების სიღრმისეული სისხლით მომარაგება. შედეგად უმჯობესდება სისხლის მიკროცირკულაცია მთელ ორგანიზმში, მცირდება ინფარქტებისადა ინსულტების რისკი, მსუბუქდება მდგომარეობა ვარიკოზებისა და თრომბოფლებიტების დროს.წარმატებით გამოიყენება აგრეთვე ანემიისას, ღვიძლის, თირკმლების, კუჭქვეშა ჯირკვლის დაავადებების დროს.ზეთის ერთჯერადი გამოყენება გვაშორებს გულძმარვის მსუბუქ ფორმას, მუდმივი - კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულს.

„ჟივიცას“ სამიზნეა დისბაქტერიოზი, ქრონიკული კოლიტი, პანკრეატიტი, ჰეპატიტი, შარდკენჭოვანი დაავადება, ცისტიტი, ბუასილი.„ჟივიცას“ გააჩნია ანთების საწინააღმდეგო, სიმსივნის საწინააღმდეგო, ანტიმიკრობული თვისებები და ნაჩვენებია მიკოზების (სოკოვანი დაავადებების), ჰერპესის, დერმატიტების, ფსორიაზის, ნეიროდერმიტის, ეგზემის, დამწვრობების, ჭრილობების, მოყინვის მკურნალობისას. საშუალების ადგილობრივი გამოყენება უზრუნველყოფს ტკივილგამაყუჩებელ ეფექტს, და ამიტომ ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს „ჟივიცა“ ასევე საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის აღმოფხვრისას, ქუსლის დეზით დაწყებული და ართროზებით, ართრიტებით, რადიკულიტითა და ხერხემლის თიაქარით დამთავრებული.„ჟივიცა“ ახდენს ზოგადგამაკაჟებელ მოქმედებას, აწესრიგებს წნევას, ამცირებს მეტეოდამოკიდებულებას, შესაძლებელია მხედველობის გაუმჯობესება, მათ შორის გლაუკომის დროს.მიღებულია კარგი შედეგები ბალზამის ჩართვისას ენდოკრინული დაავადებების, მათ შორის ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიისა და შაქრიანი დიაბეტის კომპლექსურ თერაპიაში.ზეთი აწესრიგებს რეპროდუქციული სისტემის მუშაობას. მამაკაცებმა უნდა გამოსცადონ მისი მარგებელი ძალა პროსტატიტის, ადენომის, პოტენციის დაქვეითების დროს.პრეპარატები უძველესი რეცეპტების საფუძველზე უმჯობესდებოდა, და არც ერთ მათგანს არ დაუკარგავს პოპულარობა ექიმებს, მკურნალებსა და ავადმყოფებს შორის. აი „ჟივიცაც“ ათწლეულზე ნაკლებ ხანში იქცა ლეგენდად, ათასობით ადამიანს დაეხმარა სნეულების დაძლევასა და ახალგაზრდობის გახანგრძლივებაში.

მაწუხებდა სახსრები და კუჭ-ნაწლავის სისტემა, კოლიტი, შებერილობა და დისბაქტერიოზი. ხშირად დიეტაზე ყოფნა მიწევდა. ჯივიცით მკურნალობით კარგი შედეგი მოვიღე.პირველ რიგში მადა მომემატა, კუჭის მოქმედება მომიწესრიგდა, მეორე ყურში შუილები მქონდა და მომეხსნა, სახსრებიც აღარ მაწუხებს. შესანიშნავად ვგრძნობ თავს! **თამრიკო ინასარიძე. 70წ.**

ინსულტი მქონდა გადატანილი. მარჯვენა მხარე პარალიზებული მქონდა,ლაპარაკიც მიჭირდა. უამრავ წამლებს ვღებულობდი. როცა დავიწყე ზეთი ჯივიცას მიღება 4 ფლაკონზე შევატყვე,რომ ხელ-ფეხს ნელ-ნელა ვამოძრავებდი და მეტყველებაც აღმიდგინდა! **ანა ფაიჭაძე 63წ. თბილისი.**

ზეთი ჯივიცა ჩემმე ახლობელმა მირჩია.**მაქვს გლაუკომა,თვალის წნევა მაღალი მქონდა,ამის გარდა მაწუხებდა სახსრები და გულძმარვა.**უკვე მივიღე 3 ფლაკონი,ზეთი კომპლექსურად მოქმედებს და ძალიან ეფექტურია.მკურნალობის შედეგად თვალის წნევამ დაიწია,ძომეხსნა სახსრების ტკივილები,გულძმავა აღარ მაწუხებს (დიეტაზე ვიყავი)ეხლა კი ყველაფერს ცოტ-ცოტას ვჭამ და სიარულიც შემიმსუბუქდა, ვენები აღარ მაწუხებს.

ნონა ბაკურაძე .75წ.რუსთავი.

მქონდა შაქარი, 300მდე ადიოდა. შაქრის გამო ფეხებიც მტკიოდა და გამიჩნდა პრობლემა მხედველობაზე, შემაწუხა კუჭ-ნაწლავმაც. ჩემმა რძალმა გაზეთში ამოიკითხა ზეტი ჯივიცას შესახებ და მირჩია მიმეღო. შევიძინე ჟივიცა. ჩავიტარე 2 კურსი, შაქარი მომიწესრიგდა, კუჭ-ნაწლავიც, თავს მსუბუქად ვგრძნობ, შედეგით კმაყოფილი ვარ!

ქორიძე მერი, 53 წლის, ბათუმი,

კუჭის და 12-გოჯას წყლული მაქვს.ხშირად ტკივილები, სისუსტე და უსიამოვნო შეგრძნება საკვების მიღების შემდეგ მქონდა.გაზეთში წავიკითხე ბალზამის შესახებ ძალიან დავინტერესდი და მიღება გადავწყვიტე. 3 ფლაკონი მივიღე და ვგრძნობ,რომ ტკივილები და უსიამოვნო შეგრძნება საკვების მიღების შემდეგ გამიარა. შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ. ზეტი ჯივიცა უნიკალური საშუალებაა ადამიანის დაკარგული ძალებისა და ადაპტაციური მექანიზმების აღსადგენად!

გოდერძიშვილი გიორგი 74წ. ქ.თბილისი.

როცა წავიკითხე გაზეთში ზეტი ჯივიცას შესახებ,არ დავიჯერე,რომ ის იმდენად შედეგიანი შეიძლება ყოფილიყოს,მაინც შევიძინე და მიღება გადავწყვიტე.**არტერიული წნევა და თავის ტკივილები მქონდა** და ერთი თვის მკურნალობის შემდეგ თავის ტკივილებმა გამიარა და არტერიული წნევა დაიწია120/70 ,რამოდენიმე დღეა რაც წნევა არ გამიზომია,ადრე კი ყოველდღე ვიზომავდი.დიდი მადლობა ასეთი შედეგიანი პროდუქწციისათვის!

ელიკო თოფურია. 76წ.ქ.თბილისი.

მხედველობასთან დაკავშირებით გამიჩნდა პრობლემები, მიჭირდა კითხვა. მქონდა გულის არითმია, ქოშინი, პროსტატა, წანაზარდები თირკმელზე. დავიწყე ჟივიცას მიღება. უკვე 4 დღის შემდეგ მხედველობა გამიუმჯობესდა. შევძელი წვრილი ასოების წაკითხვა . უკვე მივიღე ერთი ქილა. გულის მდგომარეობა გამოსწორდა. თქვენი მადლიერი ვარ!

ბედიოძე ზურაი, 64 წლის, რუსთავი.

თქვენ პენსიონერი გწერთ მე 81 წლის ვარ.თქვენთან შევიძინე ზეთი ჯივიცას 3 ქილა და სამადლობელო წერილს გწერთ ასეთი ხარისხიანი პროდუქციის შემქმნელს.დამირეგულირდა **არტერიული წნევა,ამის გარდა სამწვერვა ნერვის ანთებაც მქონდა,ძლიერი ტკივილები** მქონდა,ბალზამს შინაგანად ვღებულობდი და მტკივნეულ ადგილსაც(სახეხე)ვისმევდი.ეხლა ტკივილები მომეხსნა,არ მჯერავს ,რომ ტკივილის გარეშე სიცოცხლე შესაძლებელი იყო,რადგან არაფერი მშველიდა! ეხლა კი თქვენ ხართ ჩემი იმედი,დიდი მადლობა თქვენ! **ჟუჟუნა ლოსაბერიძე.81წ.ქ.თბილისი.**

მაქვს ქრონიკული ბრონქიტი, ხშირი ხველა, მუდმივად ვარ წამლებზე. გაზეთში წავიკითხე თქვენი პროდუქციის შესახებ,მისი უნიკალური შემადგენლობა ძალიან მომეწონა, შევიძინე და დავიწყე მიღება. მალევე ვიგრძენი შვება, სუნთქვა შემიმსუბუქდა, ხველამ გამიარა. დიდი მადლობა ზეთი ჯივიცას,ყველას ვურჩევ, რადგან ის ძალიან შედეგიანი აღმოჩნდა! **ქურდაძე ზ.70 წლის, ქ. ქუთაისი.**

Cyan Magenta Yellow Black

პრობლემები მქონდა ნაღვლის ბუშტზე,კუჭ-ნაწლავზე,მაწუხებდა ტკივილები, პირის სიმწარე,მაღალი წნევები, არითმია, ტახიკარდია. ჭამის მერე ვიღებდი ფესტალს. მქონდა ასევე მარილგროვები სხეულის სხვადასხვა ადგილებში. ზეთი ჯივიცას შესახებ გაზეთში ჯანმრთელობის გვერდში წავიკითხე. მიღებიდან ორ-სამ დღეში ვიგრძენი წვა ზუსტად იმ ადგილებში, სადაც მარილები მქონდა. მივხვდი რომ ეს იყო მარილების დაძვრის და ნელნელა დაშლის დასაწყისი. მართალი აღმოვჩნდი. ტკივილები თანდათან დამიამდა.თავს მსუბუქად ვგრძნობ. არითმია მოწესრიგდა.პირში სიმწარე მცირდება და ეს ყველაპერი სამ თვიანი კურსის მკურნალობის შემდეგ!

მაღრაძე მარინა, 48 წლის, ბათუმი.

მქონდა შემდეგი პრობლემები: მტკიოდა მუხლები, მიჭირდა მოძრაობა, ადგომაც კი.მქონდა ფეხის დაჭიმულობა.ფეხის თითებზე მქონდა სოკო. გაზეთში ამოვიკითხე თქვენი პროდუქციის შესახებ. გადავწყვიტე ჟივიცას შეძენა. ერთი ბოთლის მიღების შემდეგ შედეგი მაქვს. მუხლების ტკივილმა საგრძნობლად მიკლო. ვმოძრაობ ბევრად თავისუფლად. გარეთაც გავდივარ.ზეთს გარედანაც ვისვამდი ფეხის თითებზე. სოკო უკვე აღარ მაქვს. დიდი მადლობა თქვენ!

მაძღარაშვილი ნელი, 70 წლის, თბილისი

ჩემი მდგომარეობა ვფიქრობ განსაკუთრებულია.თითქმის 40 წელია მაწუხებს ფსორიაზი სახეზე და ხელებზე. ამ დროის განმავლობაში შეიძლება ითქვას უამრავი რამ ვცადე, მაგრამ უშედეგოდ . ბოლოს სინტომიცინის მალამოს ვისვამდი, რომელმაც უფრო გამიღიზიანა კანი. ჟივიცას შესახებ გაზეთში ამივიკითხე და გადავწყვიტე ესეც მეცადა. არ დაიჯერებთ მაგრამ ასეთ შედეგს მეც არ ველოდი. სახე და ხელები მომისუფთავდა. ქავილებიც არ მაქვს. ახლა ვაგრძელებ ჟივიცას მიღებას. უზომოდ მადლობელი ვარ თქვენი პროდუქციის. !

ვაშაკიძე გივი, 72 წლის, თბილისი

გაზეთი ჯანმრთელობის გვერდი ზეთი ჯივიცას შესახებ შევიტყვე,მისი 100% ბუნებრივი შემადგენლობა ძალიან მომეწონა და მიღება დავიწყე,ბევრი რამ მაწუხებდა.ვენების ვარიკოზული დაავადება, სისხლ-ძარღვების შევიწროვება, არითმია (აჩქარებულიგულისცემა), უძილობა, ნევროზი. ზეთი ჯივიცა ნამდვილად შედეგიანო აღმოჩნდა 3 ქილის შემდეგ, შევატყვე, რომ აჩქარებული გულისცემა და ქვედაკიდურების შესუპება გამიარა, სისხლის მიმოქცევა დამირეგულირდა, ეხლა ღამე კარდაგ და მშვიდად მძინავს, აღზნებადობა მომეხსნა და ძილი დამირეგულირდა! ყველას ვურჩევ ზეთს ჯივიცას!

ოთარ ბერულავა.63წ.ქუთაისი.

18 წელია უკვე,როგორც მაქვს ბრონქიალური ასთმა,ტაქიკარდია და არტერიული წნევა.ხშირად ინგალატორს ვხმარობდი, დისკომფორტის შეგრძნება მქონდა გულმკერდის არეში. გაზეთიდან ჯანმრთელობის გვერდი გავიგე ზეთი ჯივიცას თაობაზე. მისი შემადგენლობა ძალიან მომეწონა, ის ხომ ბუნებრივია. მკურნალობის შემდეგ მდგომარეობა გამიუმჯობესდა,ასთმური შეტევები აღარ მაქვს, გულის რითმი და წნევა დამირეგულირდა. უღრმესი მადლობა!

მალხაზ ქეტოშვილი 67წ.თბილისი.

წლების მანძილზე ავად ვიყავი,მქონდა ქოლეცესტიტი და პანკრეატიტი,გული მაწუხებდა,სისხლ-ძარღვებიც მქონდა შევიწროვებული.მქონდა ტკივილები კუჭქვეშა ჯირკვლის თავის არეში,ტკივილს ჰქონდა შეტევითი ხასიათი.სახლში მომივიდა ჯანმრთელობის გვერდი საიდანაც შევიტყვე ზეთს ჯივიცას შესახებ.მიღება დავიწყე და შედეგიც მივიღე.მომეხსნა ტკივილები კუჭქვეშა ასეში,გულიც აღარ მაწუხებს,სისხლის მიმოქცევა გამიუმჯობესდა!

ნინელი მაღრაძე 71 წ. ბათუმი.

აჩქარებული გულისცემა, წელის ტკივილები მაწუხებდა. მოძრაობა მიჭირდა. გამაშუქეს და დამიდგინდა ხერხემალზე თიაქარი. დამინიშნეს ოპერაცია, მაგრამ შემეშინდა და არ გავიკეთე. ამასთანავე მქონდა შარდის შეკავება, პროტრომბინმაც ამიწია. მოკლედ აღარ ვიცოდი რა მექნა. ამ დროს ჩემმა ახლობელმა მირჩია მიმეღო ზეთი ჯივიცა. 4 ფლაკონის მიღების შემდეგ თავს მშვენივრად ვგრძნობ,გულის რითმი დამირეგულირდა,თიაქარი შესამჩნევად დამიპატარავდა, პროტრომბინმა დამიწია, მოძრაობა შემიმსუბუქდა, ენერგიაც მომემატა. მადლობა თქვენს კომპანიას და ზეთ ჯივიცას!

ელისო გუგავა 77წ.

„პრომიოდი“-ს გამოფენა-გაყიდვა, აგრეთვე დაწვრილებითი კონსულტაცია მისი გამოყენების შესახებ გაიმართება შემდეგ მისამართებზე:

ყურადღება!!! განრიგში ცვლილებებია!!!

თბილისი, 21, 22, 23, 24, 25, 26, აგვისტო, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9 სექტემბერი
მის.: ბახტრიონის 22. 15.00-17.00 სთ.
ვარკეთილი – 3, 2 მ/რ, სუხიშვილის ქუჩის ბოლოს, სესილია თაყაიშვილის 1. 167-ე მარშრუტკის ბოლო გაჩერება, „ავერსის“ აფთიაქის თავზე. ყოველდღე, 10.00-20.00 სთ.

თელავი,24 აგვისტო, 7 სექტემბერი. მის.: 26 მაისის ქ. 5. ჭადრაკის სახლი. 11.00-12.00 სთ.

რუსთავი, 25 აგვისტო, 8 სექტემბერი. მის.: შარტავას 13 მიმდ. ტერ. „ბაო“, 12.00-13.00 სთ.

გორი, 26 აგვისტო, 9 სექტემბერი. მის.: სტალინის გამზ. 26. სასტუმრო „ჯორჯია“. 12.00-13.00 სთ.

ბათუმი, 27 აგვისტო, 10 სექტემბერი. მის.: ზუბალაშვილების 18. სასტუმრო „თიკო“, 10.00-12.00 სთ.

ოზურგეთი, 27 აგვისტო, 10 სექტემბერი. მის.: იოანე პეტრიწის 1. რეტორანი „იზაბელა“. 11.00-12.00 სთ.

ქობულეთი, 27 აგვისტო, 10 სექტემბერი. მის.: აღმაშენებლის გამზ. 388. სასტუმრო „რივიერა“, 13.00-14.00 სთ.

ფოთი, 27 აგვისტო, 10 სექტემბერი. მის. 9 აპრილის 10. „ბალუ“. 15.00-16.00 სთ.

ზუგდიდი,27 აგვისტო, 10 სექტემბერი. მის. გამსახურდიას 26. „ატრიუმი“. 17.00-18.00 სთ.

სამტრედია, 28 აგვისტო, 11 სექტემბერი. მის.: შ. რუსთაველის 21. რესტორანი „ჭურტავა“, 10.00-11.00 სთ.

ქუთაისი,28 აგვისტო, 11 სექტემბერი. მის.: კოსტავას 25. სასტუმრო „ლია“. 12.00-13.00 სთ.

ზესტაფონი, 28 აგვისტო, 11 სექტემბერი. მის.: ჭანტურიას 42. ბაზრის მიმდებარე ტერიტორია, 14.00-15.00 სთ.

ჭიათურა, 28 აგვისტო, 11 სექტემბერი. მის.: აღმაშენებლის 91. სასტუმრო „ნელი ტაბატაძე“. 16.00-17.00 სთ.

ახალციხე, 29 აგვისტო, 12 სექტემბერი. მის.: კოსტავას 4/24. ბარი „სტუმრად ნუკისთან“. 12.00-13.00 სთ.

ბორჯომი, 29 აგვისტო, 12 სექტემბერი. მის.: რუსთაველის 101. სასტუმრო „ოლიმპი“. 14.00-15.00 სთ.

ხაშური, 29 აგვისტო, 12 სექტემბერი. მის.: კოსტავას 6. აფთიაქი. 16.00-17.00 სთ.

ასევე გაყიდვაშია ბალზამი „პრომიოდი“

ბალზამი „პრომიოდი“ ერთი შეფუთვის ფასი 32.80 ლარი.
ინვალიდებისა და პენსიონერებისათვის 29.80 ლარი.
ადგილზე მიტანით ქ.თბილისში (ფასდაკლება არ მოქმედებს)
მინიმალური შეკვეთა — 2 შეფუთვა.
არ წარმოადგენს მედიკამენტს.
მიღებამდე გაიარეთ ექიმის კონსულტაცია.
საქონელი სერტიფიცირებულია.

ზეთი "ჟივიცა" ერთი შეფუთვის ფასი: 31.60 ლარი
ინვალიდებისა და პენსიონერებისათვის: 28.60 ლარი
ადგილზე მიტანით ქ. თბილიში (ფასდაკლება არ მოქმედებს)
მიღების კურსი - 3 შეფუთვა.
არ წარმოადგენს მედიკამენტს.
მიღებამდე გაიარეთ ექიმის კონსულტაცია.
საქონელი სერტიფიცირებულია

საინფორმაციო: www. apifito.net

571 22 98 98

Cyan Magenta Yellow Black

„მე-9 არხზე“ სეილი გამოცხადდა

ლება ელიაშვილი: „თუ ვინმეს ახლის ფასდაკლებით ყიდვა უნდა, თანამშრომლებიც უნდა წაიყვანოს“

საქართველოს პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილის ოჯახის საკუთრებაში მყოფი ტელეკომპანია „მე-9 არხი“, რაოდენ კომიკურადაც უნდა მოგეჩვენოთ, თავისი აპარატურით და თანამშრომლებიანად საბაზრო ღირებულების მესამედ ფასში იყიდება! ვისაც უნდა, ამ ტელეკომპანიის საკუთრებაში მყოფი აპარატურა იაფად, დაახლოებით 66%-იანი ფასდაკლებით შეიძინოს, იქ მომუშავე პერსონალიც თან უნდა წაიყვანოს.

„ყოველთვის მიმაჩნდა და დღესაც მიმაჩნია, რომ ქვეყნის პირველ პირებს საკუთარი ტელევიზია არ უნდა ჰქონდეთ. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ამას არ კრძალავს, პირადად მე და ჩემს ოჯახს ეს დიდ უხერხულობას გვიქმნის, რაც არაერთხელ განვაცხადე კიდეც.

არჩევნებში გამარჯვებისთანავე მე და ჩემს ოჯახს გვინდოდა, გაგვესხვისებინა ტელეკომპანია „მე-9 არხი“ და საინფორმაციო სააგენტო „ინფო 9“, მაგრამ ჟურნალისტებისა და თანამშრომლების მიმართ პასუხისმგებლობისა და პატივისცემის გამო კიდევ 10 თვე გავახანგრძლივეთ ამ მედიასაშუალებების მუშაობა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ვეძებდით მყიდველს, რომელიც ამუშავებდა ამ მედიასაშუალებებს. 16 აგვისტოს, პარასკევს, ბოლო მყიდველმაც უარი გვითხრა.

მე პოლიტიკაში შემოსვლისთანავე, პირველივე წერილში შევთავაზე რამდენიმე ტელეკომპანიას, რომ არჩევნების პერიოდში დროებით შევისყიდიდი ტელევიზიას, მაგრამ მაშინ ამ შეთავაზებაზე სხვადასხვა მიზეზით ყველამ უარი თქვა...

მე და ჩემმა ოჯახმა მივიღეთ 1 სექტემბრიდან ტელეკომპანია „მე-9 არხისა“ და „ინფო 9“-ის დახურვის გადაწყვეტილება. მინდა, მადლობა გადავუხადო ჟურნალისტებს, რომლებმაც შეძლეს, ტელეკამერებით წინ აღდგომოდნენ ნაციონალური მოძრაობის ზონდერბრიგადებს. ჩვენ არ დავზოგეთ სახსრები, ავიყვანეთ ბევრი ჟურნალისტი და თითოეულ ზონდერს თითო კამერა დავუპირისპირეთ...

დღეიდან, 19 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე კიდევ ვიტოვებთ დროს ამ მედიასაშუალებების გასასხვისებლად. მყიდველს ამჯერად საბაზრო ღირებულების მესამედ ფასად ვთავაზობთ ტელევიზიას და საინფორმაციო სააგენტოს თავისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, იმ პირობით, რომ ტელევიზიას ამუშავებს და თანამშრომლები სამსახურს შეინარჩუნებენ. თუ პირველ სექტემბრამდე არ გამოჩნდება მყიდველი, იძულებული გავხდებით, შევწყვიტოთ ამ მედიასაშუალებების მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში კანონმდებლობა არ ითვალისწინებს თანამშრომელთათვის კომპენსაციის გადახდას, მე და ჩემმა ოჯახმა გადავწყვიტეთ, ყველა თანამშრომელს გადავუხადოთ 2 თვის კომპენსაცია. მიმაჩნია, რომ ტელევიზიასა და მედიასაშუალებაში ჩადებული ფულით არ უნდა ვეხმარებოდეთ ქვეყანას. მე ჩემს ქვეყანას სხვა, უფრო ეფექტიანი პროექტების განხორციელებაში შევუწყობ ხელს“, — ასეთია იმ განცხადების მოკლე შინაარსი, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა „მე-9 არხთან“ დაკავშირებით გაავრცელა.

„მე-9 არხი“ უკვე მეორედ დაიხურა. პირველად ეს 2004 წლის 1 აპრილს მოხდა. სამსახურში მისულ თანამშრომლებს გამოუცხადეს, რომ ტელეკომპანიამ მაუწყებლობა შეწყვიტა. ეს ამბავი ბევრს საპირველაპრილო ხუმრობა ეგონა. როცა მიხვდნენ, რომ ხუმრობა არ იყო, შოკში ჩავარდნენ. ბევრი მათგანი ბავშვივით ტიროდა. ეს ტელეკომპანია მაშინაც ბიძინა ივანიშვილის საკუთრება იყო და არავის უდარდია უსამსახუროდ დარჩენილებზე. მაშინ „მე-9 არხის“ მთელი აპარატურა „რუსთავი 2“-ს აჩუქეს.

დღეს „მე-9 არხის“ ჟურნალისტები პირად საუბრებში ამბობენ, რომ მათთვის მფლობელის ეს გადაწყვეტილება სრულიად მოულოდნელი იყო. ტელეკომპანიის გენერალური დირექტორი ლება ელიაშვილი კი ირწმუნება, თანამშრომლები ინფორმირებულები იყვნენ, ვიცოდით, რომ დღეს თუ ხვალ არხი უნდა დახურულიყოო. ქალბატონი ლება იმ ფაქტს, რომ პრემიერმინისტრის ოჯახმა აქამდე ამ ქონების გაყიდვა ვერ მოახერხა, თავის წინამორბედს, კახა ბექაურს აბრალებს.

— ქალბატონო ლება, თქვენს არხზე მომუშავე ჟურნალისტებმა პირად საუბარში მითხრეს, რომ მათთვის აბსოლუტურად მოულოდნელი იყო 19 აგვისტოს პრემიერმინისტრის განცხადება. თქვენც გაგიკვირდათ?

— ყველამ იცოდა, რომ არხის მფლობელი მის გაყიდვას ცდილობდა. მეც ვიცოდი და არასოდეს არავის არაფერს ვუმალავ. მოდიოდნენ ადამიანები, რომლებსაც ამ არხის ყიდვა უნდოდათ, მაგრამ საბოლოოდ გადაიფიქრეს.

— მაგალითად, თქვენი თანამშრომელი, გიორგი ფოფხაძე სოციალურ ქსელში წერს, „ფეისბუქიდან“ გავიგე ჩვენი „ლამაზად მიხურვის“ ამბავი.

— მე გუშინ გავიგე, რომ პრემიერმინისტრი ამ განცხადებას გააკეთებდა და დღეს ვუთხარი თანამშომლებს (ინტერვიუ ჩაწერილია 19 აგვისტოს. ავტ.), ანუ როცა ბატონმა ბიძინამ გადაწყვეტილება მიიღო და მე მითხრა, მოვედი და ვუთხარი ჩემს თანამშრომლებს.

— პრემიერმინისტმა თქვა, ბოლო მყიდველმაც უარი გვითხრაო. რატომ ამბობენ ტელეკომპანიის შეძენაზე უარს, რატომ ვერ გაიყიდა ტელეკომპანია აქამდე?

— იმიტომ, რომ პრობლემები იყო და ერთადერთი გამოსავალი არხის დახურვა გახლავთ. ყოფილ დირექტორს, კახა ბექაურს, გაფორმებული ჰქონდა არასწორი ხელშეკრულებები, რომელთა გაუქმებაც რთული იყო და ეს ყველაფერი ძალიან მძიმე ტვირთად აწვა არხს. ეს იყო მიზეზი, რის გამოც გაყიდვა რთულდებოდა. დახურვის შემდეგ უფრო ადვილად გაიყიდება, რადგან ის ვალდებულებები აღარავის დაეკისრება. იმ ხელშეკრულებების სხვანაირად მოშლა პრაქტიკულად არ შეიძლებოდა. მაგალითად, გაფორმებული იყო სამწლიანი ხელშეკრულება და თუ მოშლიდი, სამივე წელი მთლიანად უნდა დაგეფარა და ა.შ. ეს ერთი მაგალითია და მსგავსი მრავლად იყო. როცა ეს არხი გადავიბარე, ძალიან იყო დამძიმებული არასწორი ანგარიშვალდებულებებით.

— იმის თქმა გინდათ, რომ პრემიერმინისტრის ოჯახის მიერ კომპანიისთვის გამოყოფილი თანხები არამიზნობრივად ხარჯებოდა?

— კრიმინალთან კი არ გვქონდა საქმე, უბრალოდ მენეჯერულად არასწორი გადაწყვეტილებები იყო მიღებული, რაც მძიმე ტვირთად აწვა არხს. ამის გამო ტელეკომპანიას მოჰყვებოდა ვალები, რომლებიც წინა პერიოდში დაგროვდა. ჩემი მოსვლის შემდეგ ხარჯები მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ ვალები მაინც ვალებია და მყიდველი ამას ყოველთვის უყურებს. ახლა, რადგან დახურვაა გადაწყვეტილი და რეალურად უძრავ-მოძრავი ქონება იყიდება, ეს ვალდებულებები ახალ მფლობელზე აღარ გადავა. არხი რომ დაიხურება, ხელშეკრულებებიც გაუქმდება.

— არხის თანამშრომლებს რა ეშველებათ?

— არხი უძრავ-მოძრავ ქონებას მესამედ ფასად მხოლოდ იმ პირობით ყიდის, რომ მისი თანამშრომლები დარჩებიან არხზე. ვინც იაფად შეიძენს, თანამშრომლებიც უნდა დაასაქმოს. ასეთ კარგ გამოსახულებას, როგორიც „მე-9 არხს“ აქვს და ასეთ კარგ თანამშრომლებს კი უნდა გამოუჩნდეს მყიდველი.

— ვინ ცდილობდა „მე-9 არხის“ ყიდვას და ვინ შეიკავა თავი ამ არასწორად გაფორმებული ხელშეკრულებების გამო?

— სხვადასხვა ვინმემ. მე რამდენიმე ჯგუფი ვნახე. მათ შორის ბალტიისპირეთიდან და სხვა ქვეყნებიდან უნდოდათ შეძენა. ახლა კი, როგორც ასეთი, „მე-9 არხი“ არ იყიდება. ვინც შეიძენს ამ ტექნიკას, მას უნდა ჰქონდეს თავისი არხი ან დარეგისტრირდეს.

— „რუსთავი 2“-მა რომ მოინდომოს ყიდვა?

— კი, ბატონო, იყიდონ, ოღონდ თუ მესამედ ფასად იყიდიან, ჩვენი თანამშრომლებიც უნდა დაასაქმონ. თუ არა — საბაზრო ღირებულება გადაიხადონ.

— მაგალითად, თუ „რუსთავი 2“ იყიდის, თქვენც უნდა დაგასაქმოთ?

— გადაწყვეტილებას ყველა თავად მიიღებს. შეთანხმებები მოხდება. შეიძლება საინტერესო წინადადება შემომთავაზონ და დავთანხმდე ან არ დავთანხმდე.

— ბიძინა ივანიშვილმა თქვა, 1 სექტემბრამდე ჩვეულებრივ რეჟიმში იმუშავებენო, მაგრამ ამბობენ, რომ შეიძლება მაუწყებლობა ბევრად ადრე შეწყვიტოთ.

— გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ. არ ვიცით, როგორ ჩავთვლით საჭიროდ. ზაფხულია და შეიძლება უფრო ადრე დავიხუროთ.

„სარკემ“ კახა ბექაურთან დაკავშირება სცადა, მაგრამ მან ჩვენს ზარებს არ უპასუხა.

✓ რუსუდან ადეიძე

Cyan Magenta Yellow Black

აშკარა კონკურენცია თუ ფარული ომი?

„იმედი“ სააკაშვილის ნაჩუქარი 16 მილიონით ცდილობს „მაესტროს“ განადგურებას!“

ქართულ სატელევიზიო სივრცეში აგვისტოს ბოლომ დიდი ვნებათაღელვა მოიტანა — ერთი ტელეკომპანია იხურება, მეორეს კონკურენტი ართმევს ცნობილ სახეებს, მესამეს ვერ გადაუწყვეტია, არჩევნების დამთავრებამდე საერთოდ უნდა გააკეთოს თუ არა პოლიტიკური ტოქ შოუ... სექტემბრიდან ახალი სეზონის დაწყების, უფრო მეტად კი 27 ოქტომბრის შედეგების მოლოდინში ყველა თავისებურად იბრძვის და ემზადება.

პირველი, ვინც დასვენების რეჟიმში მყოფი ტელესივრცის მყუდროება სკანდალური განცხადებითა და განგაშის ატეხით დაარღვია, ტელეკომპანია „მაესტროს“ ერთ-ერთი მეწილე და ხელმძღვანელი, მამუკა ღლონტი იყო.

„სამწუხაროა, რომ ხელისუფლების ერთ-ერთმა ფრთამ მას შემდეგ, რაც ვერ შეძლო „მაესტროს“ დამორჩილება, დაიწყო ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლა „წესების გარეშე“ და ცდილობს „მაესტროს“, როგორც ერთ-ერთი მსხვილი მედიამოთამაშის, თამაშგარე დატოვებას. მინდა, შევახსენო მათ, რომ ის ღირებულებები, რომლებზეც დგას ტელეკომპანია „მაესტრო“, მისი სიმყარის გარანტიაა და თუ ჩვენი განადგურება ვერ შეძლო ნაცმოძრაობამ, სწორედ ამ ღირებულებების დამსახურებაა. ტყუილად გაქვთ ახალი ეროსის იმედი“, — ეს განცხადება ტელეკომპანია „მაესტროს“ დამფუძნებელმა, მამუკა ღლონტმა „ფეისბუქით“ გაავრცელა, რომელსაც რამდენიმე საათში საინფორმაციო სივრცეში ახალი ამბავი დაემატა — „მაესტრო“ ტელეწამყვანებმა, ნინო ჟიჟილაშვილმა და თეა სიჭინავამ დატოვესო.

ტელეკომპანია „მაესტრო“ ამჟამად საზოგადოებრივ-პოლიტიკური განყოფილების გარეშეა დარჩენილიო, იტყობინებოდა მამუკა ღლონტი. ანეკდოტიც მოიგონა და „ფეისბუქით“ გაავრცელა: „მაესტროს“ კიბეზე ხვდება ორი ჟურნალისტი და ერთმანეთს ეკითხება, მიდიხარ თუ მოხვედიო. მამუკა ღლონტის თქმით, ტელეკომპანია „იმედი“ ყველა იმ ჟურნალისტთან აწარმოებს მოლაპარაკებას მათ გადასაბირებლად, რომლებიც ამ ტელეკომპანიის ეთერში დაუნახავთ. მიზანი კი ერთია — „მაესტრო“ თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

— ბატონო მამუკა, ტელესახეების გადაბარგება ერთი არხიდან მეორეზე უკეთესი პირობების საძებნელად ჩვეულებრივი მოვლენაა. „იმედის“ მიმართ ასეთ მკაცრ განცხადებებს რატომ აკეთებთ?

— ტელეკომპანია „იმედმა“ განახორციელა სისტემური შეტევა „მაესტროზე“ და მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური განყოფილება დაგვიცარიელა. ამ ყველაფრის ხელისუფლებასთან კავშირს, მინიმუმი, ვხედავ იმაში, რომ მიხეილ სააკაშვილმა ახალ მეპატრონეებს „იმედის“ 16 მილიონიანი საბიუჯეტო დავალიანება აჩუქა უკანონოდ, უსამართლოდ და ახალმა ხელისუფლებამ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ამაზე ხშირად ვსაუბრობდით, თვალი დახუჭა. სასათბურე პირობებში მყოფი „იმედი“ სწორედ ამ 16 მილიონს იყენებს ახლა და ცდილობს, გაანადგუროს ტელეკომპანია, რომლის მცირედი დახმარებით და მეშვეობით მოხდა მათი ტელეკომპანიის უკან დაბრუნება.

როგორ იქნება მედია თანაბარ პირობებში, როცა ერთი არ იხდის ფულს ბიუჯეტში და მეორე იხდის?! დავუშვათ, კანონის მხრივ, ყველაფერი სწორადაა, რადგან ეს ტელევიზია ძველ მფლობელებს დაუბრუნდა, მაგრამ მაშინ გვითხრან, დაისაჯა თუ არა ის პიროვნება, ვინც უკანონობა ჩაიდინა და არამართებულად აპატია ვიღაცას საბიუჯეტო დავალიანება. გაიგეთ, რომ ასეთი დამნაშავე აღმოაჩინეს და დასაჯეს?! ახალი ხელისუფლება ამაზე თვალს ხუჭავს ისევე, როგორც თვალს ხუჭავს იმ 24 მილიონზე, რომელიც „რუსთავი 2“-მა შეიტყაპუნა. იმ დაახლოებით 10-12 მილიონზეც თვალს ხუჭავს, რომელიც „პირველმა არხმა“ შეიტყაპუნა.

— ხელისუფლების ერთ-ერთ ფრთაზე ამბობთ, ვერ შეძლო ჩვენი დამორჩილება და ჩვენ წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლაო. ვის გულისხმობთ?

— დიახ და მალე გავაკეთებ ამის შესახებ განცხადებას. შეიძლება სასამართლოშიც შევიტანო სარჩელი. პირველად ამის შესახებ ჩემი ტელეკომპანიის ეთერში ვიტყვი.

მამუკა ღლონტი: „იყო მავნებლობის მცდელობა. მაგალითად, ინფორმაციის ამომოღება, დამაღვა, ჩვენი ჯამეის გამოთვა პესჯონფეენციებზე... პრემიერმინისტრის პესჯონფეენციაზე რომ მხოლოდ „მაესტროს“ ჯამეა გამოითვება და ყველა მხრებს იჩეჩს, არავინ იცის, ვინ გამოაძრო ჯაბელი, ცოტა ითელია, ვინმეს ამე დაუდასტურო“.

— „იმედი“ კანონიერ მფლობელებს რომ დაუბრუნდათ, თქვენი არხი მაშინაც დატოვა რამდენიმე თანამშრომელმა და იქ გადავიდა.

— დიახ, რამდენიმე ძვირფასი და კარგი კადრი წავიდა ჩვენგან, მაგრამ ეს არ ყოფილა პრობლემა. ჩვენთანაც გადმოვიდნენ სხვა არხებიდან, მაგრამ, როდესაც ესაუბრები ყველას, ვინც კი „მაესტროში“ რამეს წარმოადგენს, ეს უკვე სისტემური შეტევაა. თუ გსურს, რომ ეს არხი აღარ არსებობდეს არჩევნების წინ, აღარ არსებობდეს პოლიტიკური ტოქ შოუები, ეს შეტევაა, აბა, რა არის?!

— იქნებ პრობლემა თქვენს მენეჯმენტშია, ვერ შეძელით ფინანსების მოზიდვა?

— მე გეუბნებით, ისინი რას აკეთებენ, ჩემთან რა პრობლემებია, ეგ სხვა საკითხია. ჩვენს არხს ახლა აქვს ფინანსური რეორგანიზაცია, რომელზეც ღიად ვსაუბრობთ და ეს სექტემბერ-ოქტომბერში დამთავრდება. ამის მიხედვით, წელგამართულები, კარგ პირობებში უნდა ვიყოთ, მაგრამ მთავარია, როგორ პირობებში იქნება ქვეყანა.

— რამდენიმე თვეა რეგიონის თანამშრომლები უხელფასო შვებულებაში გყავთ გაშვებული.

— დიახ და ეს არც დაგვიმალავს. მათ ჩვენ სექტემბერ-ოქტომბერში დავაბრუნებთ და ისევ მივცემთ სამუშაოს. ჩვენი ამოცანაა, „მაესტრო“ ვაქციოთ ბიზნეს-ორგანიზაციად, რომ არავისგან ვფინანსდებოდეთ და საკუთარი სახსრებით ცხოვრება შევძლოთ. ადრე რეკლამები არ შემოგვდიოდა და ფინანსები სხვანაირად გვქონდა დალაგებული. ახლა გადავალაგეთ. ამ გადალაგებას მოჰყვა მცირევადიანი კრიზისი, რაც ბიზნესისთვის ჩვეულებრივი ამბავია.

— ცოტა ხნის წინ თქვენი არხი შალვა რამიშვილმა დატოვა, როგორც ამბობს, თქვენთან ხედვების, აზროვნების და ხასიათის შეუთავსებლობის გამო.

— არ ვიცი, რას გულისხმობს. როგორც ვიცი, იმ მოტივით წავიდა, რომ „მაესტროზე“ თავი ამოწურა.

— მისი აზრით, თქვენს არხზე ახლა დაბალრეიტინგული გადაცემები გადის.

— „მაესტროს“ აქვს 400%-იანი ზრდა და ეს მაშინ, როცა „რუსთავი 2“-საც და „იმედსაც“ რეიტინგის კლება აქვთ. ეს არის ოფიციალური ინფორმაცია. ჩვენ ვუგებთ „იმედს“ კვირაში 4 დღე. ასეთი რეიტინგული ზრდა არასოდეს და არც ერთ →10

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

დროში არ ჰქონია არც ერთ ტელეკომპანიას.

— ჟურნალისტები მაინც მიდიან თქვენგან. მაგალითად, თეა სიჭინავა არ მიეკუთვნება იმ ჟურნალისტთა რიცხვს, ვინც დიდი ანაზღაურების ფასად ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტელევიზიაში იმუშავებდა და პოლიტიკურ შეკვეთებს შეასრულებდა.

— ახლა ალბათ უფრო დიდი ანაზღაურება შესთავაზეს, ვიდრე „მაესტროში“ ჰქონდა. სხვა რა უნდა იყოს?! როგორც ჩანს, უფრო დიდი პერსპექტივა დაინახა „იმედზე“, მაგრამ რატომ, ეს არ ვიცი. ჩემთვის ეს ყველაფერი აბსოლუტურად მოულოდნელი და გამაოგნებელია. წავიდა არხის ტოქ შოუების მთავარი პროდიუსერი, საინფორმაციო სამსახურის მთავარი რეჟისორი და კიდევ ერთი პროდიუსერი.

— თქვენს განცხადებაში თქვით, ტყუილად გაქვთ ახალი ეროსის იმედი, კიწმარიშვილი იგულისხმეთ. ვინ ცდილობს, თქვენგან ახალი ეროსი შექმნას?

— ის, ვინც სისტემური ბრძოლა გამოუცხადა „მაესტროს“, ის, ვისი საქმიანობის შესახებაც ჩვენ ძალიან მალე განვაცხადებთ. არ ვარ ამ მთავრობის ნაწილის კმაყოფილი, როგორც მოქალაქე, თუმცა მჯერა და იმედი მაქვს ბიძინა ივანიშვილის, რადგან პირადადაც ვიცნობ, მისაუბრია მასთან და ვიცი მისი იდეების და მსოფლმხედველობის შესახებ. ჩემი უკმაყოფილება ეხება გარკვეულ პიროვნებებს ამ ხელისუფლებაში, მაგრამ ამ ხელისუფლებაშივე ბევრს დიდ პატივს ვცემ, მათ შორისაა პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი, რომელიც ერთი პერიოდი „მაესტროშიც“ მუშაობდა. მის პატიოსნებაში ეჭვი არ მეპარება. გარკვეული ნაწილი კი თავისი ინტერესების გატარებას ცდილობს.

— ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ თქვენს არხზე გაჟღენის მოპოვებას ცდილობდა ვინმე?

— დიახ, ცდილობდნენ, მაგრამ ამის შესახებ მოგვიანებით ვიტყვი. ასეთი ფაქტები დაფიქსირებული გვაქვს. იყო მავნებლობის მცდელობა. მაგალითად, ინფორმაციის არმოწოდება, დამალვა, ჩვენი კამერის გამორთვა პრესკონფერენციებზე და ა.შ. შეიძლება ეს შემთხვევითაც ხდებოდა, მაგრამ მაინც ეჭვი მეპარება. პრემიერმინისტრის პრესკონფერენციაზე რომ მხოლოდ „მაესტროს“ კამერა გამოირთვება და ყველა მხრებს იჩეჩავს, არავინ იცის, ვინ გამოაძრო კაბელი, ცოტა რთულია, ვინმეს რამე დაუდასტურო.

— საუკეთესო კადრების წასვლის შემდეგ რას მოიმოქმედებთ?

— ჩვენ ძალიან ცნობილ ჟურნალისტებთან, ცნობილ პროდიუსერებთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას და რამდენიმე დღეში ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

— ანუ თქვენც ცდილობთ, სხვადასხვა არხიდან საუკეთესო კადრი გადმოიბაროთ. ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავია?

— დიახ, ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ მე რომ მოვიდე თქვენს რედაქციაში და „სარკის“ ყველა ჟურნალისტი ვიყიდო, ყველას მივცე უკეთესი ხელფასი და წამოვიყვანო ჩემთან, ეჭვი არ შეგეპარებათ, რომ „სარკის“ წინააღმდეგ ვმოქმედებ?! აქ დიდ მასშტაბებზეა ლაპარაკი, თორემ ადრეც წასულან ჩვენგან და ჩვენთანაც მოსულან. მაგალითად, თეონა გეგელია ჩვენგან „მეცხრე არხზე“ წავიდა, მერე დაბრუნდა. პრობლემა ის არის, როცა ერთდროულად ბევრი თანამშრომელი მიგყავს. ცდილობენ, არჩევნების წინ „მაესტრო“ პოლიტიკური ველიდან გაიყვანონ. ესენი პატარკაციშვილები არიან თუ სხვა გვარის ადამიანები, დასკვნა საზოგადოებამ გააკეთოს. შეიძლება ისინი ფიქრობენ, რომ ბიზნესწესებით თამაშობენ, მაგრამ მე მაქვს ეჭვი, რომ ასე არ არის.

— ბიზნესწესებით თამაშს ხშირად გია ხუხაშვილს მიაწერენ.

— „მაესტროს“ დამფუძნებლები შევიკრიბებით და ერთობლივ განცხადებას გავაკეთებთ. შეიძლება სარჩელიც შევიტანოთ გარკვეულ გარემოებაზე, მაგრამ ჯერ ოფიციალურ პასუხს ველოდებით ერთ-ერთი ორგანიზაციიდან, რომელსაც ასევე ოფიციალურად გავუგზავნეთ წერილი. ეს პასუხი გადაწყვეტს, შევიტანთ თუ არა სარჩელს ერთ-ერთი სახელმწიფო სტრუქტურის წინააღმდეგ. ეს მაშინ მოხდება, როცა გარკვეული დოკუმენტები გვექნება ხელთ.

მამუკა ღლონტი: „ცდილობენ, არჩევნების წინ „მაესტრო“ პოლიტიკური ველიდან გაიყვანონ. ესენი პატარკაციშვილები არიან თუ სხვა გვარის ადამიანები, დასკვნა საზოგადოებამ გააკეთოს“.

■

მოგვიანებით გაირკვა, რომ „იმედის“ მოლაპარაკება ნინო ჟიჟილაშვილთან არ შედგა. ამ უკანასკნელმა, რომელიც პრესასთან არასოდეს საუბრობს, „ფეისბუქით“ გაავრცელა განცხადება, „პოლიტმეტრი“ სექტემბრიდან ისევ „მაესტროზე“ გავაო. „იმედში“ ამ ეტაპზე „მაესტროს“ 4 თანამშრომელი გადავიდა.

■

„იმედში“ ზუსტად იმ ხელფასს გადამიხდიან, რაც „მაესტროზე“ მქონდა“

„მოქალაქე თეა სიჭინავას განცხადება: ეს განცხადება არ ეხება „მაესტროს“ არც ერთ დამფუძნებელს და არც ერთ თანამშრომელს. მეგობრებო, მე კიდევ ერთ დაბრუნებას ვაპირებ თბილისიდან დაახლოებით სამასი კილომეტრის რადიუსში, ქალაქ სოხუმში, იგივე ქუჩაზე, იგივე ფართში, იგივე ღირებულების ბინაში (ამას განსაკუთრებით ხაზს ვუსვამ) და იგივე მოქალაქეობრივი სტატუსითა და პრინციპებით, რითაც 21 წლის წინ იძულებით დავტოვე. რადგანაც ჩემს „იმედში“ დაბრუნებას გარკვეული ვნებათაღელვა მოჰყვა, თავს ვიზღვევ და წინასწარ გატყობინებთ, რომ შემდგომ მოულოდნელი არ იყოს და ამაოდ არ დაშვრეთ ფიქრით, შემთხვევით ოკუპანტმა მეზობელმა ხომ არ გადამიბირა. „იმედში“ დაბრუნება იგივე განცდაა, რაც არგუნის 39-ში 21 წლის შემდეგ კარის შეღება. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ჩემი არჩევანი ყოველთვის დასაბრუნებელი ხდება. ასევე აქვე გაცნობებთ, რომ ჩემთან ერთად დაბრუნებას გეგმავს კიდევ 200 ათასი თანამოძმე. პატივისცემით, თქვენი თეა სიჭინავა“, — ეს განცხადება „მაესტროს“ უკვე ყოფილმა წამყვანმა ასევე „ფეისბუქის“ გვერდზე გამოაქვეყნა, რასაც ბევრმა ახსნა ვერ მოუძებნა — ვერაფერი გავიგეთ, რისი თქმა უნდაო.

■

თეა სიჭინავა სოხუმელია. 21 წლის წინ თბილისში ლტოლვილის სტატუსით ჩამოვიდა. ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა და სახელმწიფო კანცელარიაში, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის პრესსამსახურში დაიწყო მუშაობა. მერე მეგობარმა, „იმედის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსმა მაია თაბაგარმა, ამ ტელეკომპანიაში წაიყვანა. თეამ „იმედზე“ კარგახანს იმუშავა და იქიდან 2009 წელს მეგობარ მაია თაბაგართან და კიდევ ორ კოლეგასთან ერთად წამოვიდა, რადგან იქ მუშაობის გაგრძელება მისთვის ჟურნალისტური პრინციპების დარღვევას ნიშნავდა. მაშინ მეგობრებმა ნავსაყუდელი „მაესტროში“ იპოვეს. ახ-

→75

ინგა გრიგოლია მრისხანე დებატებს იწყებს

„პირადულში ბედნიერი რომ არ ვიყო, ამხელა პროექტის თავი არ მექნებოდა“

ქართველი ტელემაყურებელი მისი ძველი ნაცნობის, ხმაურიანი ინგა გრიგოლიას ტოქ შოუს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში სექტემბრიდან ელოდა, როგორც ჰპირდებოდნენ, მაგრამ მოვლენები უცებ შეიცვალა და სხვაგვარად დალაგდა. თუმცა ეს არცთუ „უცებ“ მომხდარა. როგორც ირკვევა, წინ გარკვეული ინტრიგები უძღოდა, რამაც გრიგოლიას უბიძგა, განცხადება დაეწერა და „პირველი არხიდან“ წასულიყო. ის „ტვ 3“-ის შეთავაზებას დათანხმდა და ეთერში სექტემბრის შუა რიცხვებიდან გავა ყოველდღიური გადაცემით. რატომ არჩია უცნობი არხი ქვეყნის პირველ ნომრად წოდებულ მაუწყებლობას, ამის შესახებ ინგა გრიგოლია „სარკესთან“ საუბრობს.

— ინგა, ყველა საზოგადოებრივ მაუწყებელზე ელოდა თქვენს გამოჩენას, მაგრამ გაირკვა, რომ „ტვ 3“-ში გადახვედით. რა მოხდა?

— მეც მეგონა, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელზე უნდა დამეწყო გადაცემის კეთება. ხელშეკრულებაც დავდე ტელევიზიასთან და ეთერში ჯერ კიდევ აპრილის დასაწყისში უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ მოგეხსენებათ არხზე განვითარებული მოვლენები. გენერალური დირექტორი გიორგი ბარათაშვილი ბორდმა გადააყენა, შემდეგ დაბრუნდა თანამდებობაზე, მაგრამ ამ პროცესებმა ჩემი გადაცემის ეთერში გასვლა ძალიან გააჭიანურა. გიორგისთან შეხვედრა მქონდა და აღმოჩნდა, რომ თურმე სექტემბერშიც არ იგეგმებოდა ეთერში ჩემი გასვლა. უბრალო თანამშრომელი ვყოფილიყავი, მხოლოდ ხელფასი ამეღო და ეთერში არ გავსულიყავი, ჩემთვის სულ არ იყო საინტერესო. მით უმეტეს, რომ ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდება. თუ დიდი პოლიტიკური

Cyan Magenta Yellow Black

გადაცემა უნდა გაკეთებულიყო, მაშინ სექტემბრიდან მაინც აუცილებლად უნდა დაგვეწყო, მაგრამ უარი რომ მივიღე, სხვა არხზე გადასვლა გადავწყვიტე.

— „ტვ 3“-ზე რატომ შეაჩერეთ არჩევანი?

— ყველამ კარგად იცის, რომ არაერთხელ დამიწყია ყველაფერი ნულიდან. „ტვ 3“-დან მქონდა ერთი კონკრეტული შემოთავაზება, რომელმაც ეს გადაწყვეტილება მიმაღებინა — არხზე ყოველდღიურ გადაცემას წავიყვან ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით და დღის მთავარ თემას გავაშუქებ. ვარდების რევოლუციიდან ორ თვეში რომ გადაცემა დამიხურეს, მას შემდეგ ყოველდღიური ეთერი არ წამიყვანია, ვერც წარმომედგინა, თუ ოდესმე კიდევ დავთანხმდებოდი ასეთ წინადადებას. როცა შემოთავაზება მივიღე და დავფიქრდი, მივხვდი, რომ ეს ყველაზე საინტერესო გამოწვევა იყო ჩემთვის. ახლა უკვე მეშვიდედ დავიწყებ ყველაფერს ნულიდან.

— ყოველდღიური გადაცემაა ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ჯერჯერობით უცნობ, „დაუქოქავ“ ტელეკომპანიაში მუშაობას დათანხმდით ასეთი ცნობილი სახე?

— დიახ, ეს იყო მთავარი მიზეზი. არხი ჯერჯერობით საცდელ რეჟიმშია. სულ სხვა კონცეფციის ტელევიზია კეთდება, ნახავთ ეკონომიკურ, ბიზნეს-სეგმენტს, ძალიან ბევრ და საინტერესო ჟურნალისტურ გამოძიებას. როდესაც ამ არხზე მომზადებული ჟურნალისტური გამოძიების რამდენიმე თემა ვნახე, ჩემთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა. ჩვენთან ყველა გადაცემა ან პოლიტიკურია, ან გასართობი. არხს ვერ გამახსენებთ, სადაც თუნდაც საგამოძიებო ჟურნალისტიკა ჭარბობს. ყველაფერ ამის გათვალისწინებით, მათი შემოთავაზება ჩემთვის საინტერესო აღმოჩნდა.

— კონკრეტულად თქვენი გადაცემა რა ფორმატის იქნება?

— ჩემი გადაცემა ისევ პოლიტიკურ-სოციალური იქნება. გადაცემაში დარბაზი არ ჩაერთვება. მრისხანე და მწვავე დებატები არაერთხელ წამიყვანია და ახლაც მექნება. ამჟამად სტუდია კეთდება. ჯერ არ ვიცი, გადაცემას რა ერქმევა. ძალიან სწრაფი ტემპით ვმუშაობთ. აქამდე დიდი პოლიტიკური შოუსთვის ვემზადებოდი, სადაც დიდი სტუდია და დარბაზი იქნებოდა, ახლა კი მთლიანად ყოველდღიურ რეჟიმზე უნდა გადავერთო. ძალიან კარგ გუნდთან ერთად ვაპირებ მუშაობას და იმედი მაქვს, გავქაჩავ.

სხვა შემოთავაზებებიც მქონდა, მაგრამ კვირაში ერთი გადაცემა უნდა ყოფილიყო. ჩავთვალე, რომ ამ ეტაპზე ჩემთვის უფრო საინტერესო იქნება ყოველდღიური საუბრები პირდაპირ ეთერში.

— მაინც გაუგებარი რჩება, რატომ აჭიანურებდა საზოგადოებრივი მაუწყებელი ეთერში თქვენს გასვლას. თქვენი აზრით, ტექნიკური მიზეზი იყო, პოლიტიკური თუ სხვა?

— დღეს არ მაქვს პასუხი, რატომ არ გავიდა ჩემი გადაცემა საზოგადოებრივ მაუწყებელზე. ბევრი ვერსია მაქვს, მაგრამ ჭორების დონეზე ხომ არ ვილაპარაკებ.

— იქნებ ისევ უშანათ ინგა გრიგოლიასთან მუშაობის?

— გიორგი ბარათაშვილზე და ტელევიზიაში არსებულ გუნდზე ვერ ვიტყვი, რომ ჩემთან მუშაობის ეშინოდათ, მაგრამ არ ვიცი, ამ ყველაფრის მიღმა რა ხდებოდა. მე ფაქტებით და მოცემულობით ვლაპარაკობ. ფაქტი ისაა, რომ ეთერში უნდა გავსულიყავი და ვერ გავედი. დიდად არ მომიკლავს თავი იმაზე პასუხის საძიებლად, ვინმემ ხომ არ გააჩერა პროექტი და ეს ვის ინტერესებში შედიოდა. არ მინდა, ვიფიქრო, რომ გადაცემა მიზანმიმართული დაიბლოკა. არადა, ფაქტია, რომ მეც მზად ვიყავი და ჩემი გუნდიც მობილიზებული იყო, მაგრამ ეთერში არ გამიშვეს.

მაისში დავსვი კითხვა, როდის გავალ ეთერში-მეთქი და მითხრეს, სექტემბერშიო. ახლა ისევ გადასწიეს თარიღი. მართლა არ ვიცი, რა მოხდა. არ იფიქროთ, რომ პასუხის გაცემას თავს ვარიდებ. ძალიან ცუდი იქნება, თუ ისევ დაიწყება გადაცემების დაბლოკვა.

— გასულ შემოდგომაზე მამუკა ღლონტიც გეპატიჟებოდათ „მაესტროზე“. რატომ უთხარით უარი მას და ამჯობინეთ „ტვ 3“?

— როცა მამუკა ღლონტმა „მაესტროში“ მუშაობა შემომთავაზა, გახსოვთ ალბათ, ის დღე იყო, არჩევნებიდან ჩემი კანდიდატურა რომ მოვხსენი. მაშინ იმდენად მძიმე ემოციების ქვეშ ვიყავი, ვთქვი კიდეც, მინიმუმი ნახევარი წელი აქტიურობას არ ვაპირებ, მინდა, პოლიტიკური ემოციებისგან დავისვენო-მეთქი. პირველი, რამაც ის ნერვიულობა გამიქარწყლა, სწორედ მამუკას შეთავაზება იყო. არ ვიცი, დამეთანხმებით თუ არა, მაგრამ წინა დღეს არჩევნებში ვმონაწილეობდი და ჩემი მხრიდან არასწორი ნაბიჯი იქნებოდა, მეორე დღეს ხალხს ტელეწამყვანად გამოვცხადებოდი.

— შერე ტელეკომპანია „ზზეზე“ იყო ლაპარაკი და არც აქ შედგა თქვენი პროექტი.

— „ზზეზეც“ ნულიდან უნდა დაგვეწყო, მაგრამ არხის დამფუძნებელმა მითხრა, რომ პოლიტიკური ტოქ შოუები აღარ უნდოდათ, მე კიდევ ყვავილებზე გადაცემები არ მაინტერესებდა.

— მამუკა ღლონტს წინადადება აღარ შემოუთავაზებია?

— მამუკას პირადად გადავუხადე მადლობა. მეტი არაფერი ყოფილა.

— „მაესტროზე“ ამ დღეებში დიდი ამბები დატრიალდა, ცნობილი სახეები ამ არხიდან „იმედში“ გადავიდნენ, რასაც მამუკა ღლონტი მის ტელეკომპანიაზე პოლიტიკურ ზეწოლად აფასებს. თქვენ რა აზრის ხართ ამ ამბებზე?

— პოლიტიკური ცვლილებები ყოველთვის იწვევს მედიაგადანაცვლებას. მედია პოლიტიკაში ამა თუ იმ ძალის გამარჯვების მთავარი ფაქტორია. შესაბამისად, რა გასაკვირია, რომ მერე მედიარყევები ხდება? ვინ რატომ გადადის ერთი არხიდან მეორეზე, ნამდვილად არ ვიცი, ალბათ ასე თვლიან საჭიროდ. ყველას მინდა, ვუსურვო, პოლიტიკურმა თემებმა არც ერთი მედიასაშუალება და ჟურნალისტი არ დააზარალოს. ისტორიაში გვქონდა მაგალითი, როცა „რუსთავი 2“ აცხადებდა, რომ ის გამარჯვებული ხალხის ტელევიზია იყო. მერე იძულებული გახდა, მიკერძოებულობა ჩამოეწმინდა და მტკიცების რეჟიმში გადასულიყო, რომ ის თავისუფალი ტელევიზიაა. ყველა პოლიტიკოსს შევახსენებ, ნუ ივიწყებენ მედიის როლს და ნუ ყოფენ მისაღებ და მიუღებელ ჟურნალისტებად, რადგან პოლიტიკოსი ვერ გაიმარჯვებს, თუ მედიაში მხარდაჭერა არ ექნება.

— რა პირობებს ითხოვთ იმ არხისგან, სადაც იმუშავებთ?

— განსაკუთრებულს არაფერს, მხოლოდ სამუშაო პირობებს და თავისუფლებას. „ტვ 3“-სგან ეს გარანტიები მივიღე. ვერ გამახსენებთ, რომელიმე ჩემი პროექტი ტელევიზიისთვის საინტერესო არ ყოფილიყო. ამას ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი. რომელიმე ტელეკომპანიის ხელმძღვანელს, რეიტინგის თვალსაზრისით, ჩემთან პრობლემა არ ჰქონია. ყველაფერი პროდუქტის მიხედვით ფასდება. ურთიერთშეთანხმება გვაქვს, მე ბევრი უნდა ვიმუშაო იმისთვის, რომ კარგი პროდუქტი დავდო, ხოლო ტელევიზიამ ამისთვის ყველანაირი პირობა უნდა შემიქმნას. მართლა შემეძლო, რომელიმე სხვა შემდგარ არხზე დამეწყო მუშაობა და კვირაში ერთი გადაცემა წამეყვანა, მაგრამ მე ასე მირჩევნია.

— დაბოლოს, თქვენს პირადშიც ხომ არ არის ცვლილებები?

— ამ ქვეყანაში ყველაფერი სალანძღავია, განსაკუთრებით კი — პირადი ცხოვრება და ამაზე გულწრფელად ვერ ილაპარაკებ. ყველაფერი კარგად მაქვს პირადულში, ბედნიერი ვარ. კარგად რომ არ ვიყო, ამხელა პროექტის დაწყების თავი არ მექნებოდა.

✓ ქეთი დინოშვილი

გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში
გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე, შეინარჩუნებთ სტაბილურად შედეგს და საბოლოოდ დაივიწყებთ ამ პრობლემას.

სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები:

სწრაფი და ეფექტიური ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსით 3-5სმ-ის მომატებით. ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. შედეგები 100%-იანია. ქ-ნი ქეთევანი.

☎ 577-29-37-41, 247-58-83

Cyan Magenta Yellow Black

„უცხოეთში ჩემი ნაშოვნი ქმარ-შვილმა გამიფლანგა"

უცხოეთში გაჭირვებას მიჰყავს ხალხი. ჩემს მდგომარეობას კი გაჭირვებაც აღარ ერქვა, სიღატაკეში ვცხოვრობდი. საქართველოშიც ბევრს ვშრომობდი, მაგრამ ვერაფერს ვეღირსე. მერე დეიდაშვილმა საბერძნეთში წამიყვანა და იქ ცოტა ამოვისუნთქე. რომ დავინახე, ჩემი გარჯით რაღაცის გაკეთება შემეძლო, მუხლჩაუხრელად ვშრომობდი. მთელ ფულს საქართველოში ვაგზავნიდი, ქმარ-შვილს ვარიგებდი, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. იქიდან მეუბნებოდნენ, ყველაფერს ისე ვაკეთებთ, როგორც შენ გვარიგებო. ქმარი მარწმუნებდა, რომ დანაზოგს აკეთებდა, ვაჟი მეუბნებოდა, რომ ბიზნესს აწყობდა, რძალი კი მეფიცებოდა, ოჯახისთვის უამრავ რამეს ვყიდულობო.

მეც საბერძნეთში არხეინად ვიყავი. მეგონა, ჩემი შრომით ოჯახი ფეხზე დავაყენე. იმ გაჭირვების ატანა, რაც იქ მიხდებოდა, არაფრად მიღირდა, რადგან ვფიქრობდი, რომ ქმარ-შვილს მომავალს ვუწყობდი. ემიგრანტი ქალები მეუბნებოდნენ, ცოტა რამ საკუთარი თავისთვისაც გაიმეტე, იცოდე, არავინ არაფერს დაგიფასებსო. მე კიდევ ვამბობდი, სამაგიეროდ კარგი სიბერე გარანტირებული მაქვს-მეთქი.

საბერძნეთში ჯანმრთელობამ შემაწუხა და საქართველოში დავბრუნდი. იქიდან არხეინად წამოვედი, მეგონა, არაფერი გამიჭირდებოდა, მაგრამ შევცდი — როგორი ღატაკიც წავედი, ისეთივე ღატაკი დავბრუნდი. აღმოჩნდა, რომ ქმარ-შვილს ჩემი გამოგზავნილი ფული პირწმინდად გაეფლანგათ. ათასი მიზეზი დამისახელეს, რის გამოც ჩემი ფული დახარჯეს, მაგრამ რეალურად რა მოხდა, მაინც ვერ გავიგე.

ერთმა ახლობელმა სიტყვა გადამიკრა, შენი გამოგზავნილი ფული შენმა ქმარ-შვილმა ვენებში გაუშვაო. ამის დაჯერება არ მინდა, რადგან მსგავსი რამ მათთვის არ შემინიშნავს. ღმერთმა ნუ ქნას, ეს სიმართლე იყოს, თორემ შეიძლება გული გამისკდეს! რძალზე მითხრეს, თავის მშობლებს და ძმას არჩენდა, ამიტომ გატყუებდაო.

რა ვიფიქრო, აღარ ვიცი. ამის გააზრება ძალიან რთულია. ვნანობ, რომ ჩამოვედი. იმასაც ვფიქრობ, რომ შეიძლება არც ღირდა ჩემი უცხოეთში წასვლა. იქნებ ქმარ-შვილი ამით დავღუპე?

თქვენი ერთგული მკითხველი

„მარტოხელა დედობის ტვირთს ველარ ვუძლებ"



მთელი ცხოვრება სწავლას გადავყევი, პირადი ცხოვრების მოწყობაზე არ ვფიქრობდი. ამასობაში კი წლებმა გაირბინა. ოჯახის წევრები სულ მეუბნებოდნენ, ქმარ-შვილი საჭიროა, ქალი აუცილებლად უნდა გათხოვდესო. 37 წლის ასაკში ჩემს ცხოვრებაში გამოჩნდა მამაკაცი, რომელზეც ვიფიქრე, რომ ცოლად გავყვებოდი. არც მომწონდა და არც მიყვარდა, უბრალოდ ჩემების რჩევა გავითვალისწინე, რომ საჭირო იყო ოჯახი და ეს ნაბიჯი გადავდგი.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა გავიგე, რომ დედა გავხდებოდი. საკუთარი შვილი პირველად რომ დავინახე, მაშინ მივხვდი, რას გულისხმობდნენ, როცა მეუბნებოდნენ, ქალისთვის შვილი აუცილებელიაო. მისი დანახვის პირველივე წამიდან მივხვდი, რომ ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ადამიანი თვითონ ვშობე.

გათხოვების დღიდან ქმართან კონფლიქტი მქონდა. მას უამრავი ნაკლი აღმოაჩნდა, რასაც ვერაფრით შევეგუე. ჩემი შვილი 2 წლის იყო, როცა ქმარს გავშორდი.

ძმამ და მშობლებმა ერთოთახიანი ბინა მაჩუქეს. ძმამ გამაფრთხილა, ეს არის ის, რისი გაკეთებაც ჩვენ შეგვეძლო, მეტი არ მოგვთხოვოო. ცოტა ხანში კი სამსახურიც დავკარგე და პატარა შვილთან ერთად მარტოდმარტო დავრჩი ისე, რომ ჯიბეში ერთი თეთრიც არ მეგდო. ახლა მიკვირს, როგორ გავიტანე თავი, მაგრამ, ღვთის წყალობით, შვილი გავზარდე.

ახლა უკვე დიდი ბიჭი მყავს, გარდატეხის ასაკი აქვს. ათას რამეს ითხოვს, მე კი არაფრის საშუალება არ მაქვს. მამამისს ძალიან ბევრჯერ შევუთვალე, შენს ბიჭს ყურადღება მიაქციე-მეთქი, მაგრამ უშედეგოდ. პასუხისმგებლობის აღება არ უნდა. მეორე ცოლთან ორი შვილი ჰყავს და მათ თან ჰყვება, მე კი აღარ ვიცი, ჩემი ბიჭი რითი გამოვკვებო. ღმერთს მარტო იმას ვეხვეწები, რომ სულიერად არ გამტეხოს. მეგონა, ცხოვრებასთან გამკლავებას შევძლებდი, მაგრამ მარტოხელა დედობის ტვირთს ვერ მოვერიე. იქნებ შევძლო და ეს მძიმე პერიოდიც როგორღაც გადავლახო.

თქვენი ერთგული მკითხველი

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე
ან ია ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:

1. **ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ" და დაგვიჭდეთ თქვენი ისტორია.**
2. **გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.**
   1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. **ელფოსტაზე:irmchedlidze@mail.ru**

ანონიმურობა დაცულია

„ჩვენს ქალიშვილს სამი შვილი გავუზარდეთ და მაინც უმადური დაგვრჩა"

ახალი თაობა სულ იმას წუწუნებს, რომ მშობლები თავისუფლებას არ ვაძლევთ. სინამდვილეში კი თვითონ არ ნებავთ დამოუკიდებლობა. მშობლების კალთებს არიან ჩაფრენილი და ხელს არ გვიშვებენ. მე და ჩემი ქმარი შვილებს თან გადავყევით, მზამზარეული მივართვით ყველაფერი, მაგრამ მაინც უმადურები არიან.



ჩვენთან ბიჭი ცხოვრობს თავისი ცოლ-შვილით. ჩვენი გოგონა 20 წლისა გათხოვდა. მართალია, სიძე არ მოგვწონდა, მაგრამ მის არჩევანს პატივი ვეცით. ყველანაირად ვეცადეთ, რომ ცხოვრება აეწყო, ოჯახი ჰქონოდა. ქმრის ოჯახის წევრებს მისთვის ნერვები რომ არ აეშალათ, ბინა ვუყიდეთ, კოვზიდან დაწყებული და ავეჯით დამთავრებული, ყველაფერი შევიძინეთ, მაგრამ მაინც უკმაყოფილოა. ამბობს, ჩემს ძმას მეტი გაუკეთეთო.

ჩემმა ქალიშვილმა სამი შვილი გააჩინა და სამივე მე გავაზრდევინე. მისთვის მართლა არაფერი დამიკლია, მაგრამ მაინც გაიძახის, ჩემი ძმისშვილები უფრო გიყვარსო. ბავშვებს ერთმანეთისგან როგორ განვასხვავებ, ყველა ჩემი გაზრდილია, მაგრამ ჩემს შვილს ეს არ ესმის.

ახლახან დასასვენებლად წავედით. ქალიშვილმა თავისი შვილებიც გამომყოლა. ჩემს რძალს თბილისში წასვლა მოუხდა, რადგან მამამისს სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა. ბავშვები, რა თქმა უნდა, მე დამიტოვა. ექვსი ბავშვის მოვლა ძალიან გამიჭირდა. ჩემს ქალიშვილს დავურეკე, ჩამოდი, მომეხმარე, არ მიჯერებენ, უკან დევნა სჭირდებათ, სადილების კეთებასაც ვერ ავუდივარ-მეთქი. ჯერ ტელეფონში გამომლანძღა, რაღას მიგყავდა, ჩემს შვილებს ყველაფერს ამადლი, ჩემი ძმისშვილებისთვის კი არაფერი გენანებაო. მეორე დღეს კი მოვარდა, თავის შვილებს ხელი დაავლო და წაიყვანა. ვეხვეწე, დატოვე, მათთვის ჩემი სიცოცხლე არ მენანება, ასე არ მომექცე-მეთქი, მაგრამ ვერაფერი შევაგნებინე. ისე გამტაცა ბავშვები, თითქოს მისთვის სრულიად უცხო ადამიანი ვყოფილიყავი. მან ხომ ყველაზე კარგად იცის, რომ მისი შვილების გამო უამრავი ღამე მაქვს გათენებული.

საკმარისია, ოჯახში რამე შევიძინოთ, რომ მაშინვე აგრესიული ხდება, ჩხუბობს, გოგოს შვილად არ მიიჩნევთ, მარტო ბიჭს სცემთ პატივსო. შვილებს არც მე ვასხვავებ და არც ჩემი ქმარი. რომ ჩამოვთვალოთ, შეიძლება გოგოსთვის მეტი გვქონდეს გაკეთებული, მაგრამ მისი უმადური გული ვერაფრით ავავსეთ. აღარ ვიცით, მასთან როგორ მოვიქცეთ.

„ხარკის" მკითხველი

Cyan Magenta Yellow Black

„ვნანობ, რომ შვილებს მამა შევაძულე"



ჟურნალ „სარკის" 29-ე ნომერში დაიბეჭდა წერილი — „ყოფილ ქმარზე შურისძიების სურვილმა მრუშობის ცოდვაში ჩამაგდო". ძალიან მომინდა, ამ წერილის ავტორს გამოვხმაურებოდი, რადგან შურისძიების წყურვილმა მეც ძალიან ცუდ დღეში ჩამაგდო.

ქმარმა მიღალატა. თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი და ამ ტკივილს ვერაფრით მოვერიე. მეუღლესთან ერთად ცხოვრება ვეღარ შევძელი და გაცლა ვამჯობინე. არც მაშინ მიჭირდა ცხოვრება და არც ახლა მადგას გასაჭირი, ამიტომ შვილების გაზრდის არ შემშინებია. მათ არასოდეს არაფერი დაჰკლებიათ, მაგრამ ამჟამად სულ სხვა პრობლემის წინაშე აღმოვჩნდი.

შვილებს ვეუბნებოდი, რომ მათი მამა საშინლად მოგვექცა, მას ყოველთვის ცუდად მოვიხსენიებდი. ერთი სიტყვით, ისინი მამის სიძულვილით გავზარდე. დიახ, ეს შურისძიების მიზნით გავაკეთე. მინდოდა, იმ შეურაცხყოფისთვის, რაც ქმარმა მაშინ მომაყენა, სამაგიერო მიმეზღო და დამეტანჯა. შვილებს არ ვახვედრებდი. თვითონ ცდილობდა, ბავშვები სადმე მაინც ენახა, მაგრამ ისინი ახლოს არ იკარებდნენ, პირდაპირ ეუბნებოდნენ, გვძულხარო. ძალიან მრცხვენია ამის თქმა, მაგრამ მათი ასეთი საქციელი მახარებდა. მეგონა, საწადელს მივაღწიე და შვილები ცუდი მამის მიმართ სათანადოდ განვაწყვე. მიხაროდა, რომ ჩემი მოღალატე ქმარი შვილებს არ უყვარდათ.

ახლა გეტყვით, ჩემმა შურისძიებამ რა შედეგიც გამოიღო: ბავშვებს აღარც მამის რიდი აქვთ, აღარც ჩემი. ბიჭები არიან და საშინლად იქცევიან, საერთოდ არაფერს მიჯერებენ. მათთვის ავტორიტეტი არ ვარ. მამის ხსენებაზე ხომ საერთოდ იცინიან, მათთვის სიტყვა „მამის" ცნება არ არსებობს. ახლა ძალიან ვნანობ, შვილები ასეთი სიძულვილით რომ გავზარდე. მამას რომ პატივს სცემდნენ, შეიძლებოდა მისთვის ყურიც დაეგდოთ.

ასე რომ, შურისძიების წყურვილმა არც მე მომიტანა სიკეთე, შვილებს მეც ვკარგავ. იმ გოგოს მსგავსად არავის გირჩევთ, შურის საძიებლად განეწყოთ, რადგან ასეთ შემთხვევაში თვითონ ცხოვრება გახდება შურისმაძიებელი და ბედნიერების საშუალებას არ მოგცემთ.

„სარკის" მკითხველი

„ჩემი ჯანმრთელი ქმარი რიცხ დაინვალიდდა, ცოლი მაშინ გაახსენდა"

ჟურნალ „სარკის" 31-ე ნომერში წავიკითხე წერილი, სადაც ქალი წერდა: „ჩემმა ქმარმა ახალგაზრდობა საყვარლებს შეალია, ცოლი კი სიბერეში გაუტკბა". სამწუხაროდ, ასეთი ისტორია და ამ წერილის ავტორის განცდა ჩემთვის ძალიან ნაცნობია. კარგად ვიცი, რას ნიშნავს, როცა გღალატობენ; კარგად ვიცი, რას ნიშნავს, როცა ქმარს საყვარელი ჰყავს, შენ კი ვერაფრის შეცვლას ახერხებ.

ჩემი ქმარი ძალიან სიმპათიური იყო. ქალები ეპრანჭებოდნენ და ესეც არ აკლებდა ყურადღებას. საყვარლებს ცხვირსახოცებივით იცვლიდა და ამით თავი მოჰქონდა. რამის თქმის უფლებაც არ მქონდა, საშინელ დღეში მაგდებდა. ფუ, რას ჰგავხარო, ხშირხშირად მიმეორებდა.

ერთ დღეს ავარიაში მოყვა და, რომ იტყვიან, თავიდან ასაწყობი გახდა. ცალი ხელი დაკარგა, ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები აქვს. ახლა სახლში ზის და თვალებში შემომცქერის. ჩემ მიმართ ტკბილ სიტყვებს არ იშურებს, მაგრამ მისი აღარაფერი მჭირდება. სანამ ჯანმრთელი იყო, სხვა ქალებს დასდევდა, ცოლი კი ინვალიდს გაახსენდა. დარწმუნებული ვარ, კარგად რომ იყოს, ძველებურად გააგრძელებდა ცხოვრებას.

თქვენი მკითხველი

„ქმრის სისასტიკე შვილების გამო ავიტანე და ახლა ინვალიდი ვარ"

ჟურნალ „სარკის" 32-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „სასტიკ ქმარს გამოვექეცი და ამის გამო შვილებს ვკარგავ". თქვენმა სიძლიერემ აღმაფრთოვანა და წერილის დაწერაც ამიტომ გადავწყვიტე. არ ინერვიულოთ, მთავარი დაბრკოლება უკვე დაძლიეთ და დარწმუნებული ვარ, შვილებსაც დაიბრუნებთ. ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ცხოვრებას არ დანებდეთ, არ გატყდეთ და ყველას დაუმტკიცოთ, რომ ვერავინ დაგჩაგრავთ. შვილები გაიზრდებიან, გაიგებენ, სინამდვილეში რაც მოხდა და მერე თქვენს ყოფილ ქმარს ექნება მათთან საბოდიშო. ჩემს ამბავს დავწერ, რომ ცოტა დაგამშვიდოთ და ბრძოლის უნარი შეგმატოთ.

„სარკის" ეს ნომერი მეზობლის ქალმა წამიკითხა. წერილის დაწერაშიც ის მომეხმარა და იცით, რატომ? მე თითქმის ვეღარ ვხედავ. ამ მდგომარეობაში კი ქმრის სისასტიკემ ჩამაგდო.

მხიარული, ლამაზი გოგო ვიყავი, მაგრამ ქმარმა დამაბეჩავა. თაფლობისთვის ნაცვლად ცემისთვე მომიწყო. სამი დღის გათხოვილი ვიყავი, პირველად რომ მცემა. პატარა გოგოს რაღაც შემეშალა, დედამთილს ცუდად გავეხუმრე და ქმარმა არ მაპატია. ერთხელ რომ დამარტყა, მერე ხელი შემაჩვია და მთელი ცხოვრება ასე გაგრძელდა. პატრონი არ მყავდა, რომ ვინმე გამომსარჩლებოდა და ჩემი ქმრისთვის ეთქვა, ასე არ მოექცეო. ჩემები შორიდან მიყურებდნენ, თვალსა და ხელშუა როგორ ვდნებოდი და არაფერს ამბობდნენ. საერთოდ ყველა საკუთარ თავზე ფიქრობს, სხვა არავის ანაღვლებს, თუნდაც ის „სხვა" და, მამიდა, ბიძაშვილი ან შვილი იყოს...

შვილები გავაჩინე, საკუთარ თავს შთავაგონე, რომ მათთვის ყველაფერი უნდა ამეტანა და ასეც ვიქცეოდი. ამდენი ცემისგან კი მხედველობა თანდათან დავკარგე. სათვალე რომ გავიკეთე და ექიმებში სიარული დავიწყე, ქმარი ბრუტიანს მეძახდა და მაგინებდა. წამალს რომ ყიდულობდა ჩემთვის, იმასაც მაყვედრიდა. ამდენი რომ ვეღარ ავიტანე, მკურნალობა შევწყვიტე. ფიზიკურ ტრავმებს ნერვიულობაც ემატებოდა და მხედველობა სულ წამერთვა.

ახლა ფაქტობრივად ინვალიდი ვარ, ხელის ცეცებით დავდივარ, წონასწორობის დაცვაც მიჭირს. თქვენ გგონიათ, შვილები მაფასებენ? არა. მეუბნებიან, სულელი იყავი, რომ ამდენი აიტანეო. დაბეჩავებული დედა არც მათ სჭირდებათ. სადმე თუ გვეპატიჟებიან, ვატყობ, რომ ჩემ გვერდით სიარული ეთაკილებათ კიდეც. სამაგიეროდ მამა ეამაყებათ. მას ხომ ხალხში კარგი კაცის სახელი აქვს. არავინ იცის, როგორი ხდება, როცა სახლის კარს გამოიხურავს და ჩემ გვერდით რჩება...

მკითხველი

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

Cyan Magenta Yellow Black

უცნაური გაუჩინარება — 17 წლის დარეჯან დიასამიძე თავის სახლამდე ერთ კილომეტრში ხალხის თვალწინ დაიკარგა

„ოღონდ ჩემი შვილი გამოგვიჩინონ და შურს არავიზე ვიძიებთ!“

■ დარეჯან დიასამიძე

ღვისპირეთი და მთელი საქართველო ჯერ კიდევ თავზარდაცემული იყო 16 წლის ბათუმელი გოგონას, მარიამ კოჩალიძის შემზარავი მკვლელობით, როცა ამ ტრაგედიიდან ცოტა ხანში კიდევ ერთი აჭარელი გოგონას ოჯახმა ატეხა განგაში. 7 აგვისტოდან სამართალდამცავი ორგანოები უშედეგოდ ეძებენ უგზო-უკვლოდ დაკარგულ 17 წლის დარეჯან დიასამიძეს. მისი ფოტოსურათები მთელი აჭარის ტერიტორიაზეა გაკრული. დარეჯანი ბათუმთან ახლომდებარე სოფლიდან ახალშენიდან არის. 6 აგვისტოს ის ნათესავთან სტუმრად სოფელ სამებაში იმყოფებოდა. მეორე დილით, დაახლოებით 10 საათზე, სახლიდან გავიდა და მას შემდეგ მისი კვალი დაიკარგა.

ოჯახის წევრებმა დარეჯანი ნათესავისგან წასვლის შემდეგ დაახლოებით ერთ საათში მოიკითხეს, მაგრამ მისი მობილური ტელეფონი უკვე გამორთული იყო. მათ მაშინვე სამართალდამცავებს მიმართეს.

დარეჯანის სახლსა და ნათესავის სახლს შორის, სადაც გოგონამ ღამე გაათია და დილით წავიდა, მანძილი სულ ერთი კილომეტრია. ის ხალხმრავალი ადგილია, იქ ადამიანები მუდმივად მოძრაობენ, მაგრამ რაღაც უცნაური მიზეზით, დარეჯანი არავის შეუნიშნავს, ბავშვის კვალი იმ ადგილებში არ იძებნება. არადა ბიცოლამ გამოაცილა და 3-4 მეტრის მანძილზე მიჰყვებოდა. ამის შემდეგ ის აღარავის უნახავს. გოგონას ოჯახი ვერაფრით ხსნის ამ გაუჩინარების მიზეზს.

როგორც „სარკესთან“ საუბარში გოგონას დედამ, ლამზირა მახარაძემ აღნიშნა, ეჭვი, რომ ის გათხოვდა, გამოირიცხა მას შემდეგ, რაც მისი შეყვარებული ნახეს, რომელიც არსად წასულა. სხვა ვერსიის დასახელება, თუ სად შეიძლება 17 წლის გოგონა გაუჩინარებულიყო, ოჯახის წევრებს უჭირთ. ამ ფაქტს ისინი ვერც ფულის გამოძალვას უკავშირებენ, რადგან გამტაცებლები ამ ხნის მანძილზე მათ არ დაკავშირებიან.

გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს დაკარგული გოგონა ბათუმში, დემეტრე თავდადებულის ქუჩაზე შენიშნეს. მოსახლეობის თქმით, გოგონა წყალს სვამდა და თან ტელეფონზე ლაპარაკობდა, სახლში არ დავბრუნდები, დედა თურქეთში მყავს და იქ უნდა გადავიპაროო. თვითმხილველებმა განაცხადეს, რომ მაშინვე პოლიციას დაუკავშირდნენ და ამის შესახებ აცნობეს, მაგრამ პატრული გამოძახების ადგილზე არ მისულა.

ამ ფაქტს შინაგან საქმეთა სამინისტრო მალევე გამოეხმაურა. შსს-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ არასწორია ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს ბათუმში მოქალაქეებმა დაკარგული გოგონა შეამჩნიეს, საპატრულო პოლიციამ კი რეაგირება არ მოახდინა. შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აჭარის საპატრულო პოლიციაში შეტყობინება არ შესულა და ყველას მოუწოდებს, გადაუმოწმებელი ინფორმაცია არ გაავრცელონ, რათა ამით დაკარგული გოგონას ოჯახის წევრები და საზოგადოება შეცდომაში არ შეიყვანონ.

საქმის გამოძიებაში აჭარის მთავარი სამმართველოს უფროსი ვალერიან თელიაც აქტიურადაა ჩართული. „დამატებითი ძალებია გამოძახებული. შინაგან საქმეთა მინისტრს პირად კონტროლზე აქვს აღნიშნული საქმე აყვანილი და საათობრივად მოვახსენებთ დღის განმავლობაში ჩვენ მიერ გატარებული ყველა სამძებრო ღონისძიების შესახებ. აქედან გამომდინარე, მაქსიმუმს ვაკეთებთ იმისათვის, რომ დარეჯან დიასამიძის უგზო-უკვლოდ დაკარგვის ფაქტი დროულად იქნეს გამოძიებული და გავარკვიოთ, თუ სად იმყოფება და როგორია მისი ამჟამინდელი მდგომარეობა“, — აცხადებდა გოგონას დაკარგვის პირველ დღეებში თელია.

ოჯახის წევრები კატეგორიულად უარყოფენ იმ ფაქტსაც, რომ გოგონას შესაძლოა ოჯახის წევრებთან რაიმე კონფლიქტი ჰქონოდა და სახლიდან ამის გამო გაპარულიყო. „სარკეს“ დარეჯან დიასამიძის დეიდა და დედა ესაუბრნენ.

თეონა მახარაძე, დარეჯან დიასამიძის დეიდა:

— უკვე მერამდენე დღეა, დარეჯანს ისევ ისე თავგამოდებით ვეძებთ, მაგრამ უშედეგოდ. პოლიცია ცალკე ეძებს, ჩვენ — ცალკე. ქუჩა-ქუჩა დავდივართ, ტყეში, ღელეში, ღრეში, სადაც კი ხელი და ფეხი მიგვიწვდება, ყველგან ვეძებთ. ქუჩაში დარეჯანის სურათებს ვაკრავთ, მაგრამ ამაოდ.

— ბოლო ინფორმაცია რა იცით მის შესახებ, ის ნათესავი, ვისთანაც დაკარგვის დღეს იყო, რას ყვება?

— რაც ბიძამისის სახლიდან გავიდა, მისი მნახველი არავინაა. ბიძასთან იყო ღამით სახლში. 7 აგვისტოს, დილის 10 საათზე, სახლიდან გავიდა, 11 საათზე კი ორსულმა დამ მოიკითხა. სახლში მარტო რომ არ დარჩენილიყო, დარეჯანს მობილურ ტელეფონზე შეეხმიანა. როცა მას შეტყობინება არ მიუვიდა, მამას დაურეკა, დარეჯანი სად არისო. მამამ უთხრა, ბიცოლასთან არისო. იქ რომ დარეკეს, უკვე წამოსული აღმოჩნდა. მას შემდეგ დავეძებთ. სხვა ინფორმაციას არ ვფლობთ.

„თუ საღამე ღამით დაჩრენა უნდოდა, მამამისს უფლებაც ჰომ მიეცა, მეც აუცილებლად მკითხავდა. უპასუხისმგებლო და უჭკუო ბავშვი ნამდვილად არ არის. ბიჩიქით, მის ასაკთან შედარებით ძალიან დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა გააჩნია“.

— იმ დამეს ნათესავებს დარეჯანისთვის არაფერი შეუნიშნავთ, რაც მის დაკარგვასთან რაიმე კავშირში იქნებოდა, ვინმესთან სატელეფონო საუბარი ხომ არ ჰქონია?

— საღამოს შეყვარებულს ესაუბრა და დაიძინა. მეტი არაფერი ვიცით. შეყვარებულთან კონფლიქტი არ ჰქონია. ისე ელაპარაკა, როგორც შეყვარებულები საუბრობენ.

— რა ვერსიები გაქვთ, სად შეიძლება იყოს დარეჯანი?

— ვერაფერს ვფიქრობთ.

— ამბობენ, რომ გოგონა რამდენიმე დღის წინ ბათუმში ნახეს.

— სხვა აღმოჩნდა, უბრალოდ დარეჯანს მიამსგავსეს. თვითმხილველები დაიკითხნენ, გავესაუბრეთ, ის ჩვენი გოგონა არ ყოფილა.

— მთელი ამ დროის განმავლობაში მობილური ტელეფონი არ ჩაურთავს?

— არა. ტელეფონი თუნდაც ბარათის გარეშე რომ ჩაერთო, სამართალდამცავები მის ადგილმდებარეობას გაიგებდნენ.

— როგორც თვითმხილველმა განაცხადა, იმ გოგონას, რომელიც ტელეფონზე ლაპარაკობდა, დედასთან უნდოდა თურქეთში წასვლა და სახლიდან ამიტომ წავიდა. დარეჯანის დედა სად არის, გოგონა ოჯახში ვისთან ერთად ცხოვრობს?

— ბაბუასთან, ბებიასთან, ძმასთან და მამასთან ერთად. დედა თურქეთში იყო, და გათხოვილი ჰყავს.

— რამდენად მოელოდნელია დარეჯანისგან ასეთი ნაბიჯი, სხვა დროს მსგავსი რამ არ გაუკეთებია?

— არა, მსგავსი არასოდეს არაფერი ჩაუდენია. ძალიან კარგი ხასიათის, მხიარული გოგონაა. უზრდელი არასდროს ყოფილა. ძალიან მობილიზებულიცაა. თუნდაც მეზობელთან რომ გადასულიყო, იქიდან კი სადმე მეგობართან, ან სახლში მოვიდოდა და იტყოდა, იქ მივდივარო, ან გვირეკავდა, წავიდე თუ არაო. ძალიან ყურადღებიანი, ცოცხალი ბავშვია. ასეთ რაღაცას მისგან ვერ წარმოვიდგენდით. მას რომ ახლა ხმის მოწვდენის საშუალება ჰქონდეს, ამას გააკეთებდა. მე ვფიქრობ, რომ დარეჯანს საშუალება არ აქვს, თავს უშველოს.

— ანუ ფიქრობთ, რომ გატაცებულია?

— ფაქტია, რომ ბავშვი ვიღაცას სადღაც ჰყავს და არ გვიჩენს.

— რა მიზეზით შეიძლება ჰყავდეთ გატაცებული?

— ფულის გამოძალვა რომ იყოს, უკვე მერამდენე დღეა გასული და სად არიან, ფულს რატომ არ ითხოვენ? თუ ცოლად მოყვანის მიზნით ჰყავთ გატაცებული, გოგო ვის არ მოუტაცია, ვინ არ გაპარულა? რატომ არ ამბობენ?

— ოჯახის წევრებთან ხომ არ ჰქონდა კონფლიქტი?

— არა, ეს გამორიცხულია! დარეჯანი ოჯახში დიასახლისი იყო. ის დამბლიან ბებიას უვლიდა. სკოლაშიც ჩვეულებრივად სწავლობდა, ნორმალური მოსწავლე იყო. ყველას ვთხოვთ, ვემუდარებით, რომ დაგვეხმარონ! იმას თუ არ გვეტყვიან, სად არის, იქნებ მინიშნება მაინც მოგვცენ.

❖

დარეჯან დიასამიძე დედამ, ლამზირა მახარაძემ, ბოლოს 18 ივლისს ნახა. იმ დროისთვის 20 დღის ჩამოსული იყო თურქეთიდან, სადაც სამუშაოდ არის წასული. 18 ივლისს ქალბატონი ლამზირა შვილებს, ოჯახს დაემშვიდობა და თურქეთში დაბრუნდა, თუმცა გოგონასთან კავშირი არ გაუწყვეტია, ტელეფონით, კომპიუტერით ესაუბრებოდა შვილს.

ლამზირა მახარაძე:

— არანაირი ვერსია არ გამაჩნია. ვეღარც კი ვაზროვნებ, რა შეიძლებოდა მომხდარიყო.

Cyan Magenta Yellow Black

ალექსიშვილის კლინიკა

ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა ეფექტური და სწრაფი მეთოდით

ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.

ლუიზა გაბუნია *(62 წლის. რუსთავი).*

დიაგნოზი: *მეოთხე ხარისხის კოქსართროზი.* დიდი ხანია, მაწუხებს სახსრების ტკივილი, ყურადღება არ მივაქციე. მტკიოდა ყველაფერი – წელი, მენჯები, კუნთები. ნაბიჯის გადადგმა მიჭირდა, ვკოჭლობდი, ჯოხით დავდიოდი. თითქმის ერთი წელია, გამუდმებული ტკივილისგან დამისუსტდა გული, დამეწყო უძილობა. „ალექსიშვილის კლინიკაში" მისვლა ახლობელმა მირჩია. ქალბატონი მანანა ისე მესაუბრა, იმედი მომეცა. დავიწყე მკურნალობა და პირველი სეანსის დასრულებისთანავე შვება ვიგრძენი, ღამითაც კარგად მეძინა. ტკივილები ყოველდღიურად იკლებდა, მესამე დღეს კი სრულებით მომეხსნა. თავს არაჩვეულებრივად ვგრძნობ. მკურნალობას ბოლომდე მივიყვან.

ჟუჟუნა საველიძე *(67 წლის, თბილისი).*

დიაგნოზი: *წელის მალების ოსტეოქონდროზი, მუხლში სითხე და მარილები (გონართროზი).* სამი წლის წინ საშინელი ტკივილები დამეწყო წელის არეში, რომელიც მთელ ფეხში გადაეცემოდა. აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი. არ დამრჩა ექიმი, რასაც კი ყურს მოვკრავდი, ყველგან დავდიოდი, მაგრამ, ოდნავაც ვერავინ მიშველა. არ მშველიდა არანაირი წამალი თუ გამაყუჩებელი. ვერც ვწვებოდი, ვერც ვდგებოდი, ძილი მენატრებოდა. როდესაც ყველა იმედი გადამეწურა, მაშინ შევიტყვე ქალბატონი მანანა ალექსიშვილისა და მისი კლინიკის შესახებ. მივედი და ჭეშმარიტი სასწაული მოხდა: პირველივე სეანსის შემდეგ ვიგრძენი შვება და ღამით ნორმალურად მეძინა. 15 სეანსის შემდეგ სავსებით განვიკურნე. სამი წელი მშვენივრად ვიყავი,

მაგრამ, ცოტა ხნის წინ მეორე მუხლში დამეწყო ისეთივე ტკივილები. რა თქმა უნდა, ისევ ქალბატონ მანანას მივაკითხე და დავიწყე მკურნალობა. იგივე განმეორდა: პირველივე სეანსის შემდეგ თავი ბევრად უკეთ ვიგრძენი. მკურნალობას კვლავ განვაგრძობ.

მინდა, უდიდესი მადლობა გადავუხადო ქალბატონ მანანას, მის ვაჟს – ბატონ სოსოს და მთელ პერსონალს უდიდესი პროფესიონალიზმისა და გულისხმიერებისთვის!

ბუასილი მარტივად იკურნება

ომარ ვაშაძე *(52 წლის. მძღოლი. რუსთავი).*

– 10-15 წელია, ბუასილი მაწუხებს. თავიდან ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ, ბოლო ორი-სამი წელია, მდგომარეობა მკვეთრად გამიუარესდა – დამეწყო ძლიერი ტკივილები, რომელიც 7-8 საათს გრძელდებოდა. აფთიაქში რა სანთელი და მალამოც არსებობს, ყველაფერი გამოვცადე, თუმცა, შედეგი ვერ მივიღე. შემდეგ პროქტოლოგს გავესინჯე და დიდი ზომის ნაპრალი აღმომაჩნდა. გავიკეთე ოპერაცია, მაგრამ, მალე ისევ ტკივილები დამეწყო. აქ ახლობელმა მომიყვანა. რომ მივედი, ტკივილისგან სკამზე ვერ დავჯექი. მკურნალობა დავიწყე. იმ საღამოსვე ვიგრძენი შელავათი, მეორე დღეს კი ტკივილი თითქმის გაქრა. ასევე, მომიწესრიგდა კუჭის შეკრულობა, შეწყდა სისხლდენა. ნეტავი თავიდანვე აქ მოვსულიყავი. აშენდა ამათი ოჯახი!

ნელი ნანობაშვილი *(46 წლის. გურჯაანი).*

– სამკურნალოდ კახეთიდან ჩამოვედი. ძალიან ცუდად ვიყავი, ენით ვერ აგიწერთ იმ ტკივილებს. მქონდა ბუასილის გამწვავება, გადიდებული კვანძები, ანთებითი პროცესი, ტკივილი, წვა, ქავილი, კუჭის აშლილობაც. არც ერთი გამაყუჩებელი შელავათს არ მაძლევდა. კინალამ გამაგიჟა. მეუღლემ ჩამომიყვანა ამ კლინიკაში. არ ვიცი, ამას სასწაული ჰქვია. ჩემი მდგომარეობა საათობით უმჯობესდებოდა. 3 დღეში აღარაფერი მტკიოდა. დღეს პატარა, უმტკივნეულო კვანძებიღა მაქვს დარჩენილი და ამისთვის მიმაქვს წამლები. სხვა ყველაფერი მომეხსნა, მომიწესრიგდა კუჭიც. დიდი მადლობა ჩემს საყვარელ ექიმებს – ქალბატონ მანანას და ბატონ სოსოს!

მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან", ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18, №19. მიღება 11-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.

ამის ფიქრის უნარიც აღარ შემწევს. უკვე რამდენი დღეა, შვილი დაკარგულია და არც არანაირი კვალი ჩანს, არავის დაუნახავს. გაგიჟებული ვარ! რისი ეჭვიც მქონდა, მაშინვე გამოირიცხა! ვფიქრობდი, იქნებ შეყვარებულმა დააჩქარებინა დაქორწინება-მეთქი. დარეჯანს შეყვარებული ჰყავდა. თვე თუ თვენახევრის გაცნობილ ადამიანს შეყვარებული არც უნდა ერქვას, მაგრამ ვიცოდი, რომ მათ ერთმანეთი უყვარდათ. დარეჯანმაც მითხრა, ეს ბიჭი მიყვარსო. ვიფიქრე, იჩქარეს და ნაადრევად დაქორწინდნენ-მეთქი. ეს ეჭვი რომ არ გამართლდა, უკვე ვერსია აღარ გამაჩნია.

— ითქვა, რომ მას თურქეთში თქვენთან წამოსვლა უნდოდა და სახლიდან ამიტომ გაიპარა.

— ორივე შვილი, დარეჯანიც და ჩემი უმცროსი ვაჟი ზვიადიც, თურქეთში მყავდნენ. სადაც ვმუშაობ, იმ ოჯახში მთხოვეს, ბავშვები ჩამოიყვანე, აქ დაასვენეო. ძალიან კარგი დრო გაატარეს, დაისვენეს და ისევ საქართველოში წამოვიდნენ. თურქული ენა არ იცოდნენ და იქ მოიწყინეს. როცა შვილები საქართველოში გამოვუშვი, ერთ კვირაში მეც ჩამოვედი, 20 დღე დავრჩი და 18 ივლისს ისევ თურქეთში წავედი. ესე იგი ბოლოს დარეჯანი 18 ივლისს ვნახე. მას შემდეგ ჩვენ ტელეფონზე და სკაიპით ვსაუბრობდით. დღე არ გავიდოდა, რომ არ გვემესიჯა.

— რაიმე პრობლემა ხომ არ ჰქონდა, ბოლო დროს უსასიათობას ხომ არ ატყობდით?

— არა. ნებისმიერი მცირეოდენი პრობლემაც რომ ჰქონოდა, გამაგებინებდა. როცა სადმე წასვლა უნდოდა, დედიკო, მამა არ მიშვებს და უთხარიო, მეტყოდა ხოლმე. თუ სადმე ღამით დარჩენა უნდოდა, მამამისს უფლებაც რომ მიეცა, მეც აუცილებლად მკითხავდა. უპასუხისმგებლო და უჭკუო ბავშვი ნამდვილად არ არის. პირიქით, მის ასაკთან შედარებით ძალიან დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა გააჩნია.

— იქნებ ოჯახის რომელიმე წევრზე იყო გაბრაზებული და ახლა სახლში დაბრუნების ეშინია. ამას გამორიცხავთ?

— არა, არავისთან ჰქონია კონფლიქტი. რამე რომ დაეშავებინა, ოჯახიდანაც არ გაუშვებდნენ. საღამოს ბიცოლასთან ერთად ზღვაზე იყო, სახლში ერთად მივიდნენ. კარგ ხასიათზე ყოფილა. კვალი მას შემდეგ ქრება, რაც ბიცოლამ ის სახლიდან გააცილა. დაახლოებით 3-4 მეტრში გამოჰყვნენ, როცა დაინახეს, რომ ბავშვი წავიდა, უკან მიბრუნდნენ. იმის შემდეგ დარეჯანი აღარავის უნახავს.

— რა მანძილითაა დაშორებული თქვენი სახლები ერთმანეთს, ანუ ტრანსპორტი დასჭირდებოდა თუ ფეხით წაყოდოდა?

— ჩვენს სახლებს შორის ერთი კილომეტრია დაშორება. ის ადგილი ხალხმრავალია, დარეჯანი ვინმეს აუცილებლად უნდა შეენიშნა. იქ ბოსლები აქვთ, წყაროს წყალია და ბევრი ხალხი მოძრაობს. სამწუხაროდ, დარეჯანი არავის შეუმჩნევია. რა ვიფიქრო, რა ვივარაუდო, არ ვიცი. სად წავიდა 17 წლის ბავშვი? როგორ გაუჩინარდა? ისე როგორ იმუშავა, რომ წერტილისოდენა კვალიც არ დატოვა? პოლიცია ცალკე ეძებს, ჩვენ ცალკე. თუ ვინმეს ვიცნობთ, ყველა გვეხმარება. აქ ყველა ბოძზე მისი სურათებია გაკრული, მაგრამ მაინც ვერ ვნახეთ.

„ჯვალი მას შემდეგ ქრება, სადაც ბიცოლამ ის სახლიდან გააცილა. დაახლოებით 3-4 მეტრში გამოჰყვნენ, როცა დაინახეს, რომ ბავშვი წავიდა, უკან მიბრუნდნენ. იმის შემდეგ დარეჯანი აღარავის უნახავს".

დარეჯანი ძალიან მხიარული ბავშვია, სახლის დალაგებისასაც მუსიკა რომ არ ჩაერთო, ისე არ დაალაგებდა. სადმე თუ იჯდა, ყურსასმენებით მუსიკას უსმენდა. სამ-ოთხ თვეში ერთხელ საქართველოში ჩამოვდიოდი, სახლში რომ მოვიდოდი, ხან ცეკვავდა, ხან მღეროდა. და-ძმა მუსიკას ჩართავდნენ და ერთად ცეკვავდნენ. მე თვითონ ძალიან მხიარული ქალი ვარ, მუსიკა მიყვარს და ქართულ სიმღერებს ჩამრთავდა ხოლმე. ჭურჭლის დასარეცხად რომ შევიდოდა სამზარეულოში, მაშინაც სიმღერებს უსმენდა. დარეჯანის გარდა კიდევ ორი შვილი მყავს. ეს შუათანაა. უფროსი გოგო გათხოვილია, ზვიადი კი 13 წლისაა.

თუ დარეჯანი ვინმეს ჰყავს სადმე და ხედავს, რომ ჩვენ ასეთ დღეში ვართ, ვნერვიულობთ და ეშინია, მისი ნახვის შემდეგ ეს გამწარებული ხალხი შურს ვიძიებთ, სიტყვას ვაძლევ, ასე არ მოხდება! ჩემთვის მთავარია, გავიგო, რომ ჩემი შვილი ცოცხალია! სიტყვას ვაძლევ ნებისმიერ ახალგაზრდას თუ მოხუცს, რომ არაფერს დავუშავებთ, ოღონდ შვილი მანახონ!

✓ ეკა ლემონჯავა

Cyan Magenta Yellow Black

კახი კახიშვილი: „ზურაბ ხარატიშვილი ვანო მერაბიშვილის კადრია“

«ივანიშვილი რომ წავა, პარლამანეტში უმრავლესობა ნაცმოძრაობა გახდება»



ცესკო-ს ყოფილი თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი სრულიად მოულოდნელად პოლიტიკოსად მოგვევლინა. მან საარჩევნო კომისიაში თავისი პოსტი 12 აგვისტოს დატოვა. მომდევნო დღეებში კი განმარტა, რომ აპირებს, დაგროვილი გამოცდილება აქტიურ პოლიტიკაში გამოიყენოს და ამ მიზნით ახალ პოლიტიკურ ცენტრს ქმნის.

„საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობამ საშუალება მომცა, ცუდი და კარგი მიუკერძოებლად დამენახა. გადავწყვიტე, ჩემი ცოდნა და გამოცდილება ნდობის აღდგენისა და საზოგადოების კონსოლიდაციისკენ მივმართო. აქტიურ პოლიტიკაში ჩართვით ჩემს წილ პასუხისმგებლობას ვიღებ ქვეყნის მომავალზე, რომ მთელი ენერგია საზოგადოების განვითარებას, სამოქალაქო მშვიდობის დამკვიდრებას მოვახმარო“, — ასეთმა მისი ზოგადი განაცხადი.

ცუდი ნამდვილად არ იქნებოდა, ხარატიშვილს ეს განცხადება სხვა დროს და სხვა პირობებში გაეკეთებინა, მაგრამ ახლა, როცა საარჩევნო კამპანია დაწყებულია, მისი ეს ნაბიჯი გარკვეული ძალის მიერ მართულად აღიქმება, ხოლო მის განცხადებაში იმავე ძალის პოლიტიკური ინტერესები იკითხება. მაგრამ ვისი? ამ თემაზე „სარკე“ საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევითი ცენტრის დირექტორ კახი კახიშვილს ესაუბრა.

— ბატონო კახი, თქვენი ხედვა როგორია, რა იკითხება ზურაბ ხარატიშვილის მოქმედებასა და სიტყვაში?

— თავიდანვე ვთქვი, რომ ხარატიშვილის გადადგომა იქნებოდა პოლიტიკური. მისი სახელი 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს უკავშირდება, რომლის შედეგადაც ხელისუფლება არჩევნების გზით შეიცვალა. ეს არის მისი კაპიტალი და არ უნდოდა, საპრეზიდენტო არჩევნებით გადაეფარა. სწორედ ამიტომ შეეცადა, ამ კაპიტალით წასულიყო პოლიტიკაში, მაგრამ ისეთი პრაგმატული ადამიანები, როგორიც ხარატიშვილია, ასეთ გადაწყვეტილებას ერთ დღეში არ იღებენ. გამოდის, რომ ბატონ ხარატიშვილს ამ საკითხზე ფიქრი კარგა ხნის წინ ჰქონდა დაწყებული და ალბათ კონსულტაციებსაც გადიოდა. ზუსტად ამიტომაა გაუგებარი, ეს განცხადება გაგანია საარჩევნო კამპანიის პერიოდში რატომ გაკეთდა. შეეძლო, იგივე ექნა საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნამდე ან დანიშვნიდან, მინიმუმი, მეორე-მესამე დღეს, მაგრამ მან არამარტო გადაწყვეტილება მიიღო, გარკვეული ინტრიგის შენარჩუნებასაც შეეცადა.

— რაში მდგომარეობს ინტრიგა და რისთვის სჭირდება ის?

— გადადგომის შესახებ განცხადება ცესკო-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა გაახმაურა. ხარატიშვილმა კი დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში კომენტარებისგან თავი შეიკავა, რითიც ბიძგი მისცა სხვადასხვა მოსაზრებების გამოთქმას. გახსოვთ ალბათ, სხვადასხვა ვერსიები სახელდებოდა, რომ ზეწოლა იყო ნაცმოძრაობის მხრიდან, რომ ზეწოლა იყო „ქართული ოცნების“ მხრიდან და ა.შ. თუ მას მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკაში ჩართვის და საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭისყრის განზრახვა ჰქონდა, განცხადების გამოქვეყნებისთანავე შეეძლო ეთქვა, მაგრამ ეს არ გააკეთა, რითიც ბიძგი მისცა ინტრიგას.

მას შეეძლო, ეს არჩევნები ჩაეტარებინა და მერე წასულიყო პოლიტიკაში. მით უმეტეს, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ არის თვითმმართველობის არჩევნები, ანუ არ ეჩქარებოდა. რა საჭირო ისეთი ნაბიჯი, რითიც მან ირიბად, მაგრამ მაინც, ხელი შეუწყო მისი ძალადობით გადადგომის მოტივების დასახელებას? საქმე ისაა, რომ ეს ინტრიგა სპეციალურადაც იყო ჩაგდებული. მას აინტერესებდა რეაქცია მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ. ამავდროულად, ამ რეაქციას აკვირდებოდნენ ის უცხოელი პარტნიორები, რომლებიც დაკვირდებიან საპრეზიდენტო არჩევნებს. ხარატიშვილის გადადგომა ნებისთ თუ უნებლიეთ მაინც შევა არჩევნების შეფასების დასკვნაში.

— და ეს უარყოფით კონტექსტში იქნება წარმოჩენილი?

— აუცილებლად და ვიღაცეები ზეწოლაზეც ილაპარაკებენ, მაგრამ უფრო სერიოზულია ის, რომ ამით კიდევ ერთი ბერკეტი ჩაუგდეს ხელში სააკაშვილს. დარწმუნებული ვარ, სააკაშვილი დაიწყებს ვაჭრობას, თუ არ დამითმობთ, ისეთ ადამიანს წარვადგენ ცესკო-ს ხელმძღვანელის კანდიდატად, რომ არ აირჩევთ და მერე ეს არჩევნები მოვალეობის შემსრულებლის პირობებში ჩატარდებაო. ნამდვილად არ იყო საჭირო სააკაშვილისთვის კიდევ ერთი ბერკეტის მიცემა.

„ნაცმოძრაობის შიგნით ახის განხეთქილება, მაგრამ იციან, რომ ბუშტში სხედან და ბუშტის გახეთქვის შემთხვევაში ვერავინ გადარჩება, ამიტომ ისინი მუშაობენ ბაქრაძეზე. სააკაშვილი აცხადებს, რომ პოლიტიკაში იქნება, ამიტომ ესენი გაემიჯნებიან მას და დაამკვიდრებენ აზრს, რომ არ არიან იმ პარტიასთან, რომელიც ძალადობასთან ასოცირდება. ხარატიშვილიც ამ კონფიგურაციაში იქნება ერთ-ერთი პარტია“.

— ბოლო-ბოლო ვისი კადრი გამოდის ზურაბ ხარატიშვილი?

— რამდენადაც ვიცი, ის თავის დროზე ვანო მერაბიშვილის რეკომენდაციით გახდა ცესკო-ს თავმჯდომარე. ამავდროულად, თუ მიშა სააკაშვილი დარჩება ერთიანი ნაცმოძრაობის თავმჯდომარე, ვანო მერაბიშვილს ნამდვილად დასჭირდება პოლიტიკური პარტია. ვანოსაც აღარ ენდომება მიშასთან ერთად ყოფნა, რადგან პირდაპირ ჩანს, რომ სააკაშვილი სულაც არ წუხს ვანოს დაკავების გამო.

— ხარატიშვილის შესაძლო საპრეზიდენტო კანდიდატობა რას შეცვლის ამ თამაშში?

— არაფერს, გარდა იმისა, რომ შესაძლებელია ხმები წაართვას ბაქრაძეს, რადგან დაახლოებით ერთი და იმავე ელექტორატზე იმუშავებენ.

— ერთმანეთის კონკურენტებად გამოსვლა რას მოუტანთ?

— ეს იმაზეა დამოკიდებული, ვის თამაშს თამაშობს ხარატიშვილი. თუ მას სურს, მეორე ნაწილს თავისი ძალა დაუმტკიცოს, წავა კონსულტაციები, რაღაცის სანაცვლოდ ეს ნაბიჯი არ გადადგას. სხვა თუ არაფერი, ხარატიშვილს ვერ წაართმევ იმას, რომ იცის, რა არის არჩევნები და რას ნიშნავს მასში ჩართვა.

— ანუ ხარატიშვილი ბაქრაძის საბირწონეა? გამოდის, რომ ვაჭრობა ნაცმოძრაობაშიც მიდის.

— ასე იქნება, თუ ხარატიშვილმა კანდიდატობა მოინდომა.

— სხვა კანდიდატს, კობა დავითაშვილს რა შანსები აქვს?

— დავითაშვილი რეალურად „ქართულ ოცნებას“ გაემიჯნა და მიზეზებიც დაასახელა. საპრეზიდენტო არჩევნებში საქართველოში ზოგი პირველობისთვის იბრძვის, ზოგი — მეორეობისთვის, ზოგიც სულ სხვა რამისთვის, მაგრამ რა მისია ამოძრავებს დავითაშვილს, ვერ გეტყვით. ის კი ვიცი, რომ კობას და ნინო ბურჯანაძის განცხადებები ერთნაირია და ერთმანეთს გაუყოფენ ხმებს. ყველაზე დიდი შეცდომა ოპოზიციას ის მოსდის, რომ ერთმანეთთან კონსულტაციები და ერთიანი სტრატეგიის დასახვა არ შეუძლიათ, რომ ერთმანეთს ხმები არ წაარ-

თვან. საპრეზიდენტო არჩევნები სტრატეგიულად მნიშვნელოვანია არა იმიტომ, თუ ვინ იქნება პრეზიდენტი, არამედ ამ არჩევნებზეა დამოკიდებული პოლიტიკური ამინდი უახლოესი ორი წლის განმავლობაში. ამიტომაც ცუდი არ იქნებოდა, არასაპარლამენტო ოპოზიციას ერთიანი კანდიდატი ჰყოლოდა, რომ ბოლოს ისე არ აღმოჩნდეს, ერთმანეთს ხმები წაართვან და მეორე ადგილზე მართლაც ნაცმოძრაობა გავიდეს.

— მეორეობას ექსპერტების უმრავლესობა ბურჯანაძეს უწინასწარმეტყველებს. „ოცნებიდან“ ბურჯანაძის პარტიაში ხალხის გადასვლაც არ უნდა იყოს კარგის ნიშანი მმართველი ძალისთვის.

— ზუსტად ვერ გეტყვით, გადავიდნენ თუ არა. ეს „ოცნებამ“ არ დაადასტურა, მაგრამ რაღაც პრობლემები რომ არის კოალიციის შიგნით, ცხადია. არც არის გასაკვირი, რადგან ხალხს მიაჩნდა, რომ სამართლიანობის აღდგენა იქნებოდა პირველი მათთვის და ამაში მხოლოდ ვიღაცეების დაჭერა არ იგულისხმებოდა, წართმეული ქონების დაბრუნება უნდა დაწყებულიყო. ეს რომ იგვიანებს, ხალხიც გაღიზიანებულია და არ არის გამორიცხული, ბურჯანაძის მხარდამჭერებში გადასულიყვნენ, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა ივანიშვილი აცხადებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ თანამდებობიდან წავა. ეს განცხადება გარკვეული რევერანსია არასაპარლამენტო ოპოზიციის მიმართ, რითიც ამომრჩეველს ეუბნება, ჩემი ხათრით ნურავის მისცემთ ხმას, აგერ, ბატონო, იცოდეთ, მე მივდივარ და რომელი კანდიდატიც გინდათ, იმას დაუჭირეთ მხარიო. მართალია, ბიძინას ხათრით მარგველაშვილს ბევრი მისცემს ხმას, მაგრამ ეს მესიჯი მაინც იმოქმედებს მასაზე.

„დღეს საქართველოს პარლამენტში არის 60/40-ზე. ივანიშვილი რომ წავა, 60 დაიშლება და 40 გახდება უმრავლესობა, ანუ ნაცმოძრაობა“.

— თავად მსმენია, ხალხში არის ასეთი აზრი, რომ „ოცნება“ ბურჯანაძეზე მუშაობს. შესაძლებელია, მართლა ასე იყოს?

— არა მგონია. „ოცნება“ არ არის ერთიანი ორგანიზმი. იცით, რამდენი პარტიაა შიგნით და ყველას თავისი ინტერესი აქვს. ვინც ამბობს, რომ „ოცნება“ ბურჯანაძეზე მუშაობს, იგივე ხალხი იმასაც ამბობს, რომ „ოცნება“ ცდილობს, ნაცმოძრაობა მეორე ადგილზე გაიყვანოს. მე არც ერთის მჯერა.

— მარგველაშვილის მესიჯები რამდენადაა გასაგები და მისაღები ხალხისთვის?

— მოდით, ასე ვთქვათ: მარგველაშვილი არ ასოცირდება არც ერთ პარტიასთან და ალბათ სწორედ ამის გამო შეარჩიეს თავის დროზე. მით უმეტეს, ბიძინა ივანიშვილი წასვლას აპირებს და ურჩევნია, პრეზიდენტად დატოვოს კაცი, რომელიც რეალური არბიტრი იქნება. შეძლებს თუ არა არბიტრობას, ეს რთული სათქმელია, რადგან დღეს ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რა კონფიგურაციაა პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის მეთაურად ყოფნის პირობებში. კონფიგურაცია სერიოზულად შეიცვლება, როგორც კი ივანიშვილი წავა თანამდებობიდან. თუ პირველ ხანებში პარტიები ინერციით დაუჭერენ მხარს ივანიშვილის კადრებს, რაც დრო გავა, ეს უფრო შემცირდება. ყველას აქვს თავისი სტრატეგია, თავი გააძლიეროს და, როგორც კი ბიძინა წავა, ამ მთავრობას თვითონ საპარლამენტო უმრავლესობა გაუწევს სერიოზულ კრიტიკას, რადგან მათ ამოცანებში მინისტრთა პორტფელები იქნება. შესაძლებელია თავიანთი პრემიერიც კი გაიყვანონ.

არის მეორე მომენტიც — დღეს საქართველოს პარლამენტში არის 60/40-ზე. ივანიშვილი რომ წავა, 60 დაიშლება და 40 გახდება უმრავლესობა, ანუ ნაცმოძრაობა. ასე რომ, მინისტრების დამტკიცებაში ის იქნება მთავარი მოვაჭრე და იტყვის, დაგიჭერ მხარს, თუ მისი მოადგილე ჩემი კაცი იქნებაო. თავისთავად ეს პოლიტიკურ სიტუაციას არევს და ხალხში „ოცნების“ მიმართ უკმაყოფილებას გაზრდის, რაც ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების აუცილებლობას დააყენებს.

— ამაზე განსხვავებული მოსაზრებებია.

— მაგრამ ერთი რამ ფაქტია, დღევანდელ პარლამენტში საერთოდ არ არის ოპოზიცია. დღეს პარლამენტში გვყავს ორი ხელისუფალი — „ოცნება“ მთავრობით და პარლამენტით და ნაცმოძრაობა პრეზიდენტით, თვითმმართველობით და უშიშროების საბჭოთი. ასე რომ, ხელისუფლებას ოპონენტი არ ჰყავს. ეს ორნი ერთმანეთს ელაპარაკებიან ინტერესებზე, რომლებიც მხოლოდ საკუთარ თავზე აქვთ მორგებული. ამას ხალხი ხედავს და ბუნებრივია, ასე ვერ გაგრძელდება. ამიტომაც, უნდათ თუ არ უნდათ, ეს პარლამენტი ვადას ვერანაირად ამოწურავს. უბრალოდ დგება საკითხი, როდის ჩატარდება — ერთი წლის თავზე საპრეზიდენტო არჩევნებიდან თუ ორი წლის შემდეგ.

— ივანიშვილის წასვლა არჩევნების შემდეგ რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ?

— მისი წასვლა თუ იმითაა განპირობებული, რომ სამოქალაქო საზოგადოება გაამაგროს, რომელიც სერიოზულ მოთხოვნებს წაუყენებს ხელისუფლებას, მაშინ ძალიანაც გამართლებულია, მაგრამ თუ მიდის იმისთვის, რომ წავიდეს, დროული ნამდვილად არ იქნება.

— მისი შემცვლელი ბეკრი დასახელდა, თქვენ ვის ფიქრობთ?

— ვინც უნდა დატოვოს, დროებითი იქნება.

შალვა ნათელაშვილი: „ოპოზიციას ერთადერთი გზა რჩება — მხარი მე დამიჭიროს“

„თუ ივანიშვილმა 7 მილიარდი მთლიანად დახარჯა, მარგველაშვილი, ჰა და ჰა, მეორე ადგილზე გავიდეს“

„პრეზიდენტობის კანდიდატი შალვა ნათელაშვილი ანუ, მდიდრებო, ისევ შარში ხართ“ — ეს წარწერა ლეიბორისტების ოფიციალურ გვერდს ამშვენებს „ფეისბუქზე“. ჯერჯერობით მათი ლიდერი არ აკონკრეტებს, შარში რას გულისხმობს, მაგრამ „სარკესთან“ საუბარში მტკიცედ იმუქრება, თუ აღმოვაჩენ, რომ არჩევნებში დავმარცხდით, 28 ოქტომბერს შავად გავუთენებ ბიძინა ივანიშვილსო. საპრეზიდენტო არჩევნებში თავის მთავარ და ერთადერთ კონკურენტად ის მხოლოდ კოალიციის კანდიდატს მიიჩნევს მხოლოდ იმიტომ, რომ მას ზურგს ბიძინას მილიარდები უმაგრებს, რაც შეეხება დანარჩენებს: „დამიჭირონ მე მხარი და მართლა დამარცხდება ეს რეჟიმი. თუ ისევ დაიწყებენ ვაჭრობას მეორე და მესამე ადგილისთვის, რომ ადგილობრივი არჩევნებისთვის ბაზა შეიქმნან და ფინანსები იშოვონ, ეს ნიშნავს, რომ მათგან არაფერი გამოვა“, — აცხადებს შალვა ნათელაშვილი.

— ბატონო შალვა, ბოლო ამბებით დავიწყოთ. ზურაბ ხარატიშვილის გადადგომის ჭეშმარიტი მიზეზი რა არის — ზეწოლა თუ ინტრიგა?

— ამერიკის პრეზიდენტი ნიქსონი გადადგა გასული საუკუნის 70-იან წლებში და ასეთი აჟიოტაჟი არ მოყოლია იმ ამბავს, როგორიც ხარატიშვილის გადადგომას მოჰყვა. მისი გადადგომა და გადმოდგომა მისი ოჯახის პრობლემაა და ამ პროცესს არანაირი პოლიტიკური გავლენა არ შეიძლება ჰქონდეს საქართველოზე. სულ არ მაინტერესებს, რატომ გადადგა. უკეთესი იქნებოდა, უფრო ადრე გადამდგარიყო, რადგან მან გვითხრა უარი — უფრო სწორად, ჯერ სააკაშვილის, შემდეგ კი ივანიშვილის დავალება შეასრულა ავღანეთიდან ჩვენი ბიჭების გამოყვანის რეფერენდუმზე. ამ ორ უარამდე რომ გადამდგარიყო, უფრო შეუნარჩუნებდა რესპექტაბელურობას. რომ ეთქვა, უარის თქმას მაძალებენ და ამიტომ გადავდექიო, ეროვნული გმირი იქნებოდა, მაგრამ, ეტყობა, თავის თავს არ ეკუთვნის.

— არის ვარაუდი, რომ თქვენი კონკურენტი იქნება არჩევნებში.

— საერთოდ არ მაინტერესებს არც მისი განცხადებები და არც მასზე განცხადებები.

— მაგრამ ფაქტია, ასე წასვლით რამდენიმე კურდღელი დაიჭირა. ერთ-ერთი ისაა, რომ კარგი ბერკეტი ჩაუგდო ხელში სააკაშვილს.

— ნაცმოძრაობა და სააკაშვილი ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ არჩევნებზე და შემდგომ პერიოდშიც პროცესები დაძაბონ, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ საქმეში თანაშემწე ჰყავთ — ივანიშვილი თავისი ბლოკით, რომელმაც არანაირი ცვლილება საარჩევნო კოდექსში არ გააკეთა და სააკაშვილის გაკვალული გზით აგრძელებს სიარულს. სააკაშვილს და ნაცებს ვიცნობთ. აი, ამათ არ ვიცნობდით, ყოველდღიურად ხდება ამათი შესწავლა და შედეგები რომ ძალიან სატირალია, ესაა უბედურება.

— ახალი პოლიტიკური ცენტრის შექმნასაც აპირებს ყოფილი ცესკო-ს თავმჯდომარე.

— პოლიტიკური ცენტრები განცხადებებით კი არ →18

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

კეთდება, ამას წლები და სერიოზული იდეოლოგიურ-ორგანიზაციული მუშაობა სჭირდება. მე მკითხონ, პარტიის შექმნა რასთანაა დაკავშირებული. 20 წელია ჩასაფრებული ვარ, როგორმე პარტიას არაფერი დაემუქროს, არაფერი დაუზიანდეს და მაინც ამდენი პრობლემა აქვს. ეს ასე იოლად არ კეთდება. მაშინ უნდა დაუჭიროს მხარი რომელიმე საერთაშორისო პოლიტიკურმა ცენტრმა უცხოეთიდან, მაგრამ, როგორც ვიცი, უცხოეთიდან ასეთი ფავორიტები აღარ გვყავს უკვე. კი, ბატონო, გახდეს ცენტრი, მაგრამ მე მაქვს უფლება, ეჭვი შევიტანო.

— საარჩევნო კამპანია ხურდება. როგორ შეაფასებთ პროცესს?

— რა უნდა შევაფასო, ერთადერთი სიახლე ის არის, რომ ისევ არჩევნების უსამართლოდ ჩატარების კანონმდებლობა მოქმედებს. არჩევნები კვლავ ტარდება ივანიშვილისა და მისი ბლოკის მიერ დაწუნებული სააკაშვილის საარჩევნო კანონმდებლობით, სადაც კომისიებში უმრავლესობა ისევ ხელისუფლებისაა; სადაც არავინ იცის, ამომრჩევლები ვინ არიან და რამდენი, სია ისევ არ არსებობს; არ არსებობს ამომრჩევლებისთვის მოვალეობა, მივიდესარჩევნებზე და მისცეს ხმა და არც საარჩევნო კომისიის წევრებისთვის კანონი, რომ ოდესმე შედეგი გაიხსნება და ხელახლა გადაითვლება. შესაბამისად, ვართ ასე, ღვთის ანაბარად.

— დაფინანსების წესი ხომ შეიცვალა?

— ეს არის სამარცხვინო! 2,5 მილიონს რომ ივანიშვილის კოალიცია წაიღებს ბიუჯეტიდან და მე დამლაგებლის ფული არ მექნება, რაზე შეიძლება ლაპარაკი? საკუთარი თავი გაამასხარაონ! როდის იყო, პარტიები ბიუჯეტიდან არ ფინანსდებოდნენ?! დღეს მსოფლიოში ბიუჯეტიდან ფინანსდება ყველა, ამათ კი 100 წლის წინანდელ მდგომარეობაში გადაგვაგდეს.

— როგორ წინასაარჩევნო ამინდს ვარაუდობთ?

— ძალიან დაძაბული და საინტერესო წინასაარჩევნო კამპანია იქნება. არ ვაპირებთ არავის დანდობას, ყველას ვამხელთ — ვინ რითი სუნთქავს, ვინ საიდან მოვიდა, ვინ ვის ურტყამს და ვის რა უნდა საქართველოსგან. ამას აუცილებლად ვიტყვით. ეს საპატიო ღვთიური ფუნქციაა და მზად ვარ, შევასრულო.

— მხილებაზე დროის კარგვას ხომ არ ჯობდა, არასაპარლამენტო ოპოზიციას ერთიანი კანდიდატი შეგერჩიათ, მაგალითად, ისე, როგორც კუკავამ თქვა.

— კუკავა ჭკვიანი კაცია და შესანიშნავად მოეხსენება, რომ პრაიმერი ერთი პარტიის ფორმატში ტარდება. მრავალპარტიულში ამას ჰქვია არჩევნები და ამას ველოდებით 27 ოქტომბერს. ერთადერთი გზა რჩება, რომ ოპოზიციამ მხარი დამიჭიროს მე, რადგან ჩემზე მეტი ძალა, მხარდაჭერა და ოპოზიციონერობის მორალური უფლება არავის აქვს, ხოლო თუ ვინმეს ამაში ეჭვი ეპარება, დამიჯდეს ტელედებატებში. დამიჭირონ მე მხარი და მართლა დამარცხდება ეს რეჟიმი. თუ ისევ დაიწყებენ ვაჭრობას მეორე და მესამე ადგილისთვის, რომ ადგილობრივი არჩევნებისთვის ბაზა შეიქმნან და ფინანსები იშოვონ, ეს ნიშნავს, რომ მათგან არაფერი გამოვა.

— რატომ გიჭირთ გაერთიანება, ასეთი რთული ამბიციების დათმობა?

— ამბიციები თავისთავად პრობლემაა, უფრო მთავარი კი განსხვავებებია. მე ვერასოდეს გავუთანაბრებ თავს ორჯერ პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელ და ორჯერ პარლამენტის თავმჯდომარედ ნამყოფს, შევარდნაძეყვანიას და სააკაშვილის ფავორიტს, ვარდების რევოლუციის დედას — ნინო ბურჯანაძეს. ეს გამორიცხულია! რაღაც ხომ არსებობს. ქალმა ქვეყანა დაშალა და ახლა ამბობს, უკეთესობაა. არაფერს მოგახსენებთ იდეოლოგიურ მიმართულებაზე და ა.შ. აღარ მინდა ამაზე ლაპარაკი.

> **„იცით, ჰატომ მიდის იანვარში? იმიტომ, ჰომ ფული აიღო 2 მილიარდი, ვითომ ჰომ გაყიდა ჩუსეთში მისი ქონება. კონტრაქტი დეკემბრის ბოლომდეა, ალბათ აქედანაც დაჰპირდა ჩაღაცას, სავარაუდოდ, პრეზიდენტის გაყვანას და მერე 2 მილიარდს ჩაიჩხრიალებს ჯიბეში".**

**— ბატონო ქალბატონ ნინოს ბევრი ამბობ, ეს ალბათ ბოროტებაა, ასეთ ადამიანებს ასეთ ადამიანებად ვერ ვიხსენებ.

ელისო ჩაფიძე-მიქაბერიძე: „მეც ვარ მათ რიგებში, ვინც უფრო მკაცრი გადაწყვეტილებების მომხრეა“

„ჩემი ვარაუდით, ივანიშვილი თავის საქმიანობას პარტიაში გააგრძელებს“

„ბატონ გიორგის ძალიან მაღალი ინტელექტი და მოხალული ჯიტელიუმები აქვს იმისათვის, რომ თავისი ოჯახური მდგომარეობის შესახებ მიანოდოს ინფორმაცია საქართველოს მოსახლეობას და ეს ასეც მოხდება“.

„ქართულ ოცნებას“ კრიტიკოსები პარტიის შიგნითაც მოუმრავლდნენ. „რა ჯანდაბა ხდება ბოლოს და ბოლოს? ყველამ ვიცით, რომ თბილისის სასამართლომ აპრიორი დამნაშავეებს გამამართლებელი განაჩენები გამოუტანა და ჩვენ ამაზე უნდა ვიძახოთ, სასამართლო დამოუკიდებელიაო?! კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, რისგანაა დამოუკიდებელი ეს სასამართლო, კანონიერებისგან და სამართლისგან?! და ახლა რა ვქნათ, ველოდოთ, როდის გამოუშვებენ ამათ გარეთ? რას აკეთებს ამ დროს მთავარი პროკურატურა, ტელეეკრანებიდან ჩვენ გვარწმუნებს, რომ მაქსიმუმი გააკეთეს? არა, ბატონებო, დღემდე ბევრი ვერაფერიც ვერ გააკეთეთ! ან ცოდნა არ გყოფნით, ან კომპეტენცია, ან კიდევ უარესი, სურვილი არ გაქვთ, გაუძლოთ მორიგ მეგობრულ შემოტევებს საზღვარგარეთიდან და თუ ასეა, დროზე და მშვიდობიანად დავშორდეთ, ასე აჯობებს!“ — წერდა ცოტა ხნის წინ „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე ოზურგეთის მაჟორიტარი ზვიად კვაჭანტირაძე. რამდენიმე დღის წინ „ოცნების“ რამდენიმე წევრმა ბურჯანაძის პარტიაში არჩია გადასვლა. მიზეზად ისევ დამნაშავეების დაუსჯელობა დასახელდა.

რატომ დაივიწყა ხელისუფლებაში მოსულმა ძალამ არჩევნებამდე უხვად გაცემული დაპირებები სამართლიანობის აღდგენის შესახებ? ამ და სხვა აქტუალურ კითხვებს „სარკესთან“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ელისო ჩაფიძე-მიქაბერიძე უპასუხებს.

— ქალბატონო ელისო, შარშანდელ თქვენს ინტერვიუს გადაუხედე, სადაც ამბობთ, ბატონ ბიძინას სახლიდან მოაქვს, ხალხს და ქვეყანას ახმარს და მომავალშიც იმაუს გააკეთებსო. მართლა ასე მოხდა?

— ძალიან ვამაყობ, რომ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით მოსული პოლიტიკური ძალა ეტაპობრივად ახორციელებს ქვეყნისათვის უაღრესად საჭირო და ფუნდამენტურ ღონისძიებებს, რომლებიც ქვეყანას რეალურად დააყენებს ფეხზე. ჩვენი წინასაარჩევნო დაპირების 60-70 პროცენტის შესრულება უკვე შევძელით ხელისუფლებაში მოსვლიდან 10 თვის თავზე.

— მოდით, დავაკონკრეტოთ, რა შესრულდა.

— გადავამუშავეთ ბიუჯეტი და უარი ვთქვით უსარგებლო პროექტებსა და ისეთ მშენებლობებზე, რომლებშიც დიდი ფული მიდიოდა, მოსახლეობას კი არაფერს აძლევდა. სექტემბრიდან მინიმალური პენსია 100 დოლარი გახდება, ანუ 150 იქნება ხელზე, 15 ლარი კი საყოველთაო დაზღვევას მოხმარდება. უნდა აღიაროთ, რომ ძალიან ბევრი გეგმური ოპერაცია კეთდება. რაც შეეხება ივანიშვილის სახსრებს, ფონდი, რაშიცის ჩაიდო, ქართული ეკონომიკის განვითარებას ხმარდება. პირველი ეტაპი გახლდათ საყოველთაო ხვნა-თესვის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც დაითესა და სასუქი მიეცა ისეთ მიწებს, ბოლო 20 წელი რომ არ მოხნულა. ამის შედეგს შემოდგომაზე ვნახავთ. სწორედ საკვებზე და ჯანდაცვაზე უნდა ვიზრუნოთ, პირველ რიგში და მერე უკვე მოდის ისეთი ზედნაშენი, როგორიცაა განათლება, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ძალების ჩამოყალიბება პროდასავლურად.

დამიჯერეთ, არ არის ადვილი ახალი დასავლური სტანდარტების დამკვიდრება — ანუ მოწინააღმდეგე პოლიტიკურ ძალასთან თანამშრომლობის სურვილი, მაგრამ იქნებ ერთხელ და სამუდამოდ დავასრულოთ მოჯადოებულ კავკასიურ ცარცის წრეში ტრიალი, როცა გამარჯვებული ასამარ- →20

მამაკაცებისთვის!

სქესობრივი სისუსტის, პროსტატის დაავადებების: პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (ხშირი შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი), ვირუსული და მიკრობული დაინფიცირების მკურნალობა. ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, დეპრესიის, შიშების, უძილობის მკურნალობა; ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებისა და გვერდითი მოვლენების გარეშე. შედეგი და ანონიმურობა 100%-იანია.

ექიმი ქალბატონი მზია

☎ 514-246-446, 218-48-99

თიდანაც დაავალეს აქტიურობა და გაფართოვდა სფერო.

— პრეზიდენტობა ბევრს სდომებია. კობა დავითაშვილის საპრეზიდენტო ამბიცია როგორ განსხილავთ?

— დავითაშვილმა, როგორც კარგი ყნოსვის პოლიტიკოსმა, ტრადიციულად ყველაზე ადრე იგრძნო რყევა და წამოვიდა. ძალიან მალე კოალიციას დატოვებენ ალასანიას ჯგუფი, რესპუბლიკელები, მაჟორიტარები და დაიწყება დუღილი, რაც კარგია. ერთპარტიულობამ დაგვამხო და დაგვაქცია. ასეთი პროცესებით კი ჩვენ მივიღებთ მაჭარს და არა — ღვინის ძმარს, როგორც აქამდე ხდებოდა.

— ქაოსის საშიშროებას ვერ ხედავთ?

— არავითარი ქაოსი, რაც მეტი არჩევანი იქნება ანუ, რაც მეტად დაიშლება, მით მეტად განვითარდება ქვეყანა. ვინ დაუშვებს ახლა აქ ქაოსს? ბაქო-ჯეიჰანის ნავთობი გადის, არც გასული 90-იანი წლები აღარ არის. დასაშლელი უნდა დაიშალოს, მოსასვლელი უნდა მოვიდეს და მერე წავიდეს კიდეც თავის დროზე.

— დაშლის ეპიდემია ალბათ არჩევნების შემდეგ დაიწყება.

— არა, არჩევნებამდეც დაიშლება მმართველი ძალა. მერე პარლამენტი ივლის მორიგების გზით და კანონებიც ამ მეთოდით მიიღება. ეს უკეთესი გზაა დემოკრატიისა და ხალხისათვის. როცა პარლამენტში იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ვიყავი, უმრავლესობა არც შევარდნაძეს ჰყავდა და არც არავის, მაგრამ იყო სიტუაციური უმრავლესობა — მოეწონებოდათ კანონპროექტი, მისცემდნენ ხმას, თუ არ მოეწონებოდათ, ვარდებოდა. 26 პარტია იყო და მაშინ მიღებული კანონები დღემდე მოვიდა. ამდენად, ეს სწორი პროცესია. აბა, ერთი პარტია რომ არის უმრავლესობაში და ერთი კაცის დაკვეთას ასრულებს, სადამდე მოგვიყვანა, ხედავთ.

— ბევრი პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ ჯადამდელი საპარლამენტო არჩევნები აუცილებელია. თქვენც ასე ფიქრობთ?

— ივანიშვილმა თუ ვადამდელი არჩევნები არ ჩაატარა, მაშინ თვითონ მას დაამხობენ, ხალხი ისეა გამწარებული. თუ ჭკუა აქვს, უნდა დანიშნოს არჩევნები, იმის მიუხედავად, წავა თუ არ წავა. პარლამენტში არსებული პოლიტიკური სპექტრი წინააღმდეგობაშია საზოგადოების აზრთან. მაპატიეთ, ამას რომ ვამბობ, მაგრამ რესპუბლიკელების მიმართ რა ზიზღიცაა, მარტო ის კმარა, რომ ივანიშვილის რეიტინგი ნულამდე დავიდეს. უნდა გაირკვეს ეს ყველაფერი და თან უნდა გაირკვეს არჩევნების გზით. არ შეიძლება, 15 პარტიაგამოცვლილი ძიძიგური ჭკუის დამრიგებელი იყოს და ან გონორით გველაპარაკებოდნენ ვაჭარი მრეწველები, მელუდეები, რომლებმაც არაერთხელ მოატყუეს ხალხი და მილიონრები გახდნენ. სირცხვილია! გაგიგიათ, ჰაინეკენი ყოფილიყო გერმანიის პარლამენტის წევრი? ჩვეულებრივი მელუდე ხარ, წადი და ლუდი ხარშე, მაგრამ თავს იკლავენ, რომ არჩევნები არ ჩატარდეს, რადგან იციან, მათ არავინ აირჩევს.

— დაბოლოს, 28 ოქტომბერს რომ არ დასახელდეთ გამარჯვებულად, რას იზამთ?

— ვერც ერთი ვარსკვლავთმრიცხველი ვერ ეტყვის ივანიშვილს, ისეთი შავი დღეები დაუდგება!

— ქუჩაში გამოხვალთ?

— ყველაფერს გავაკეთებთ, რაც სამართლიანობამდე მიგვიყვანს!

თლებდა დამარცხებულს.

— ამაზე მაშინ რატომ არ იფიქრეთ, როცა ამომრჩეველს დაპირება მიეცით, რომ სამართლიანობა აღდგებოდა?

— სამართლიანობის აღდგენა ნამდვილად შედიოდა ჩვენს დაპირებაში და მეც ვარ მათ რიგებში, ვინც ხანდახან უფრო მკაცრი გადაწყვეტილებების მომხრეა, ვიდრე ამას ჩვენი აღმასრულებელი ხელისუფლება ახორციელებს. მეორე მხრივ, ხელისუფლების ყველა რგოლს აქვს თავისი ფუნქცია. ჩვენი ფუნქციაა მონიტორინგი და მზად ვართ, რაღაც პერიოდის შემდეგ მოვითხოვოთ იმ პირთა პასუხისმგებლობის დაყენება, ვისაც უნდა დადგეს. მეორე მხრივ, გვერდს ვერ ავუვლით იმ განწყობებს, რომლებიც დღეს საქართველოს მიმართ არის. ჩვენ უფრო გლობალურად უნდა ვიაზროვნოთ, უნდა გავითვალისწინოთ გარე თუ შიდა პროცესები და შევძლოთ მოწინააღმდეგე ძალასთან თანამშრომლობა, ყოველ შემთხვევაში იმ ნაწილთან მაინც, ვინც არ არის კონკრეტულ კრიმინალთან ასოცირებული. ვიცით, რომ ამის გამო შეიძლება კრიტიკა დავიმსახუროთ, მაგრამ, როცა ხელისუფლებაში ხარ და გადაწყვეტილებებს იღებ, არც ამ კრიტიკას უნდა შეუშინდე. ჩვენ ვფიქრობთ იმაზე, როგორ შეაფასებს ამას ისტორია და არა — იმაზე, ამის შემდეგ გავიმარჯვებთ თუ არა არჩევნებში. თუმცა ვიბრძოლებთ იმისთვისაც, რომ ეს სიკეთეები საზოგადოებამაც დაინახოს.

— ახალაიას გამამართლებელმა განაჩენმა საზოგადოებაში კი არა, თქვენს პარტიაშიც გამოიწვია უკმაყოფილების ტალღა. ყიღაცეები ბურჯანაძესთანაც კი გადაბარგდნენ.

— 3 ათასიდან შეიძლება 3 ან 5, რომელიც გარკვეულ ცდუნებას ვერ უძლებს, სხვაგან წავიდეს. ამაში ტრაგიკული არაფერია, ჩვეულებრივი პროცესია და ამაზე ყურადღების გამახვილებას არ ვაპირებთ.

— თქვენ რომ ისევ ჟურნალისტიკაში ყოფილიყავით, ახალაიას შემთხვევას ასე მარტივად შეხედავდით?

— მეც იმას გავაკეთებდი, რასაც თქვენ აკეთებთ. უბრალოდ მე არ მაქვს იმის ფუფუნება, რომ ხმამაღლა ვიღაპარაკო, რადგან პარლამენტის წევრის, მაჟორიტარის ტვირთი ცოტა განსხვავებულია. არ მაქვს ის თავისუფლება, პოლიტიკური კომენტატორივით გამოთქვა ჩემი პოზიცია, რადგან ჩემზე 23 ათასი ადამიანის ბედია დამოკიდებული. მე ისე ვერ მოვიქცევი, როგორც პროპორციული სიით გასული კობა დავითაშვილი იქცევა. შეიძლება კონკრეტული პირების მიერ გადადგმული ნაბიჯები არ მომწონდეს, მაგრამ ამას პარტიის შიგნით განვიხილავ.

— ამ დღეებში პოლიტსაბჭო გქონდათ. თუ საიდუმლო არ არის, რაზე ისაუბრეთ?

— იყო რამდენიმე საკითხი დისციპლინაზე, საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადებაზე და მასში „ქართული ოცნების“ ჩართვის ფორმაზე. ასევე ბევრი ახალი წევრი მივიღეთ პარტიაში. სხვათა შორის, ურეკში გამართულ პოლიტსაბჭოზე საუბარი გვქონდა იმასთან დაკავშირებით, რა დროს დაუთმობს მომავალში პარტიას ივანიშვილი. მან თქვა, რომ როცა აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელობიდან წავა, უფრო აქტიურად ჩაერთვება პარტიის საქმიანობაში. ჩემი ვარაუდით, ეს უფრო გვიან მოხდება, ვიდრე სახელდება, მაგრამ სწორედ პარტია იქნება, სადაც საქმიანობას გააგრძელებს.

— ანუ საკუთარ პარტიაში მიდის?

— უფრო საზოგადოებრივ მოძრაობაში იქნება, მაგრამ მან თვითონ გვითხრა, რომ მეტ დროს დაუთმობს პარტიას.

— მარგველაშვილისგან როგორ პრეზიდენტს ელოდებით?

— აქ რამდენიმე ფაქტორია მნიშვნელოვანი. პირველია თვითონ გიორგის პიროვნება, რომელიც მიმზიდველი უნდა იყოს საზოგადოებისთვის და მეორე, გიორგის პრეზიდენტობა ნიშნავს იმას, რომ ის პროექტები, რომელთა განხორციელებაც „ქართულმა ოცნებამ“ დაიწყო, გაგრძელდება. ნამდვილად გვჭირდება 4 წელი იმისათვის, რომ ყველა დაპირება შესრულდეს. საზოგადოებას ვთავაზობთ არა პარტიულ ლიდერს, არამედ ადამიანს, რომელიც მაკონსოლიდირებელი ლიდერის როლს შეასრულებს და ყველა ძალასთან გამოძებნის საერთო ენას. ანუ ვთავაზობთ არა პიარსა და ქარიზმას, არამედ გონებრივ გადაწყვეტილებასა და რაციონალურ ლიდერს, რომელიც შეიძლება იყოს მსახური და არა — ბატონი.

— მაგრამ მარგველაშვილის მესიჯები დიდად არ ხიბლავს ამომრჩეველს.

— იცით, ქუთაისში ჩემს წარდგენაზე ბევრმა ჟურნალისტმა მითხრა, რომ ჩემი გამოსვლა არ მოეწონა. ზოგს ბიძინას წარდგენა არ მოეწონა. ზოგი იმასაც წერდა ანონიმურად, რომ წარმატებას ვერ მივაღწევდი, მაგრამ არსებობს არაჩვეულებრივი ქართული ანდაზა: „წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან“. ჩვენ ეს წიწილები პირველ ოქტომბერს დავითვალეთ და ისიც არასრულად. ოქტომბრის ბოლოს თქვენ ზუსტად გეცოდინებათ, როგორი არის გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურის შეფასება.

— თქვენმა პარტიელმა ომარ ნაშნანიძემ მას ოჯახური მდგომარეობაც დაუწუნა, მის იმიჯზე უარყოფითად მოქმედებსო.

— ნამდვილად არ მიმაჩნია სწორად, პარტიის წევრების მხრიდან ასეთი შეფასებები წავახალისო. იყო მომენტი, როცა ჩემს ოჯახურ მდგომარეობასაც გაუსვეს ხაზი პოლიტსაბჭოს სხდომის შემდეგ. არც ბატონ ომარს ვურჩევ და არც სხვებს, ასეთ პიროვნულ თემებზე გაამახვილონ ყურადღება. ბატონ გიორგის ძალიან მაღალი ინტელექტი და მორალური კრიტერიუმები აქვს იმისათვის, რომ თავისი ოჯახური მდგომარეობის შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოს მოსახლეობას და ეს ასეც მოხდება.

✓ **პოლიტიკის რუბრიკა მოამზადა მანანა გეგიამ**

ირმა სოხაძე გიორგი მარგველაშვილისთვის იმღერებს

მომღეიალი ჯეტუჩის მინისტრობას — ახა, მაგრამ საზოგადოებრივ ტელევიზიას უმიზნებს

„ეაც დღეს საქართველოში ხდება, ყველაფერი, კოაბიტაცია თუ რაც ჰქვია, იმის ბრალია. სოფელში გვითხრეს, რომ არ არის საქაჩი, გადაიწვა ძრავა. გვითხრეს, ნაცების დროს ამას ერთ დღეში აკეთებდნენ, ახლა უკვე 6 თვეა წყალი არ გვაქვს და არ აკეთებენო. რატომ? დავფიქრდეთ! სპეციალურად არ აკეთებენ, ხომ? რომ დღევანდელ ხელისუფლებას დაბრალდეს ყველაფერი. ასეა ყველგან, აბსოლუტურად ყველა სამინისტროში. ისინიც არიან, ესენიც არიან და ასე საქმე არ გამოდის. ამიტომ ცოტა ხანი უნდა გავუძლოთ“, — ამ სიტყვებით მიმართა მომღერალმა ირმა სოხაძემ ქალაქ გორში შეკრებილ ხალხს, რომელიც იქ „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატ გიორგი მარგველაშვილის მოსასმენად მივიდა.

მომღერლის გამოჩენამ საპრეზიდენტო კანდიდატის ამალაში საზოგადოებაში არარერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ზოგს უკვირს, ზოგი აქილიკებს. თავის წრეში კი ალბათ ბევრი უწონებს ამ ნაბიჯს. თუ რა მოტივები ამოძრავებს ირმა სოხაძეს, ამის გარკვევა პირადად მასთან გადავწყვიტეთ. როგორც ამბობს, გიორგი მარგველაშვილის წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართვა მეგობარმა სთხოვა. თავიდან ეგონა, რომ უნდა ემღერა, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ სიტყვით გამოსვლას სთხოვენ.

— ქალბატონო ირმა, მომღერალი ქალი პოლიტიკურ ტირიბუნაზე რამ აგიყვანათ?

— არასოდეს მიმიღია საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა. პირველი შემთხვევაა, რომ არ მერიდება, ვიღაცას მხარი დავუჭირო. მე არ ვარ იმ კატეგორიის, რომ ამბობენ, მე ვმღერი და არ მაინტერესებს, პოლიტიკაში რა ხდებაო. მე ყოველთვის მაინტერესებდა. იმ ხელისუფლების დროს, რომელთა წევრებიც ახლა ე.წ. კოაბიტაციაში არიან ახალ მთავრობასთან და ბევრ რამეში ხელს უშლიან, მე საერთოდ არ ვჩანდი, 10 წელი გამქრალი ვიყავი. ახლა კი გაოცებული ვარ, რეგიონებში რომ ჩავდივარ და ხალხს ისევ ვახსოვარ. უნდა ნახოთ, როგორ მეფერებიან.

ადრეც ბევრჯერ შემოუთავაზებიათ სხვადასხვა პარტიებს, მათი აქტიური მხარდამჭერის როლში გამოვჩენილიყავი, მაგრამ ეს არასოდეს გამიკეთებია. არასოდეს დამიმალავს ჩემი პოზიცია. ალბათ გახსოვთ, რომ საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვიყავი და ეს თანამდებობა დაახლოებით ერთ წელიწადში დავტოვე. არ შემიძლია იქ ყოფნა, სადაც ვგრძნობ, რომ ტყუილია.

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ჩემმა მეგობარმა დამირეკა და მითხრა, გვინდა, რომ ჩვენს საარჩევნო კამპანიაში მიიღო აქტიური მონაწილეობაო. ვუპასუხე, რომ ეს მეც ძალიან მინდოდა.

— ეს „აქტიური მონაწილეობა“ თქვენი მხრიდან კონკურტების ჩატარებას გულისხმობს?

— ალბათ. ჟურნალისტებმა კარგად იცით, წინა მთავრობის არჩევნების დროს რაც ხდებოდა. მათი ფავორიტი მომღერლები შესეული იყვნენ სოფლებსა

Cyan Magenta Yellow Black

თუ ქალაქებს და მასშტაბურ აქციებს ატარებდნენ. ჩვენი კამპანია ბევრად მოკრძალებულია.

მე „ოცნების“ წევრი არ ვარ, მაგრამ იქ ბევრი მეგობარი მყავს და ვიცი, რომ მართლა უნდათ საქმის კეთება. სისულელეა, როცა ბატონ ბიძინაზე ამბობენ, იმიტომ იყო ქველმოქმედი, რომ პრემიერობა უნდოდაო. მართლა აუტკივარი თავი აიტკია. ყველაზე მეტად იმის მეშინია, ბატონი ბიძინა რომ წავიდეს, მართლა აირევა ქვეყანა. ძალიან მინდა, გადაიფიქროს და იქამდე მაინც არ წავიდეს, სანამ, როგორც თვითონ ამბობს, სამოქალაქო საზოგადოებას ყველა ნიშნით არ ჩამოაყალიბებს. ჯერ ჩვენს საზოგადოებას ამის ნიშანი არ ეტყობა.

— პიროვნებების ასეთმა სიყვარულმა, უპირობო მხარდაჭერამ, ბელადომანიამ ვერ მოგვიტანა სიკეთე. სააკაშვილის იმედიც ჰქონდა ხალხს.

— ეს ბელადომანია არ არის. პიროვნულ თვისებებზეა ლაპარაკი. მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა არ მიმიღია, მაგრამ ხმა მივეცი, რადგან სიახლე, ცვლილება მინდოდა. მათ რაც ჩაიდინეს, ის კატასტროფაა. მათ ხელიდან გაუშვეს უნიკალური შანსი, რომ დღეს ყველას მათი სურათი გვკიდებოდა ოთახში და ბედნიერებიც ვყოფილიყავით. გამორიცხული არ არის, ახალ მთავრობასაც იგივე დაემართოს, მაგრამ გულზე ხელებს ხომ არ დავიკრეფთ?!

— კარგად იცნობთ გიორგი მარგველაშვილს?

— არა, ახლა გავიცანი და ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, როგორიც მეგონა. ძალიან განათლებული, უბრალო, ღია, იუმორით სავსე კეთილი ადამიანია. ბოღმა და კარიერაზე გაგიჟებული არ არის. შემიძლია დარწმუნებული ვიყო, რომ უმსგავსო, არაადამიანურ საქციელს არ ჩაიდენს. როგორი

„ნაციონალებს თავიანთი ჩრეული მომღერლები ხომ დაჰყავდათ, იმათ უზარმაზარ ჰონორარებს უხდიდნენ. ჩვენ კი არავითარ ჰონორარზე არ შევთანხმებულვართ“.

პრეზიდენტი იქნება და რა უნარებს გამოავლენს, ამის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. ისეთი ენერგიული და ქარიზმატული არ არის, როგორიც მიშა სააკაშვილი ჩანდა, მაგრამ ამ ენერგიამ და ქარიზმატულობამ რაც მოგვიტანა, კი ვნახეთ.

მე „ქართული ოცნების“ მომხრე ვარ და ბატონი ბიძინასი მჯერა. გარდა იმისა, რომ უამრავი რამ ააშენა საქართველოში, ხელოვანი ადამიანები სირცხვილის, შიმშილისა და შეიძლება სიკვდილისგანაც იხსნა. ამის არდაფასება კი უმადურობაა. ყველა უბედურება უმადურობიდან მოდის.

— რამდენადაც მახსოვს, თქვენც იყავით იმ ხელოვანთა სიაში, რომლებსაც ბიძინა ივანიშვილი წლების განმავლობაში ეხმარებოდა.

— დიახ, ბოლო რამდენიმე წელი ათასლარიან დახმარებას ვიღებდი, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ეს არც ისე ბევრია, მაგრამ, როცა უმუშევარი ხარ და 10 წლის განმავლობაში ფრაგმენტულად, 3-4 თვით გიწევს მუშაობა...

„იმედში“ რაც გამიკეთა არველაძემ, ალბათ გახსოვთ. დიდი ამბით მიმიყვანეს, გამაკეთებინეს „დილა“, 5 თვე მამუშავეს და დღის 1 საათზე რომ მადლობა გადამიხადეს, საღამოს 7 საათზე მითხრეს, თავისუფალი ხართო. ასეთი დამოკიდებულება ჰქონდათ ნაციონალებს ადამიანების მიმართ. გენერალურმა დირექტორმა, ლომინაძემ, 1 საათზე რომ მადლობა გადამიხადა, ყველაფერს პროფესიონალურად აკეთებთ და კმაყოფილები ვართო, საღამოს 7 საათზე მითხრა, თვალებში ვერ გიყურებ, მაგრამ ამერიკული ხედვის გოგონა მოვიდა და შენი ადგილი დავუთმეთო. თუ არ მოვკვდებოდი, არ მეგონა, რადგან ასეთი დიდი დამცირება არავისგან მიმიღია. იმ „ამერიკული ხედვის გოგონამ“ დაშალა და დააქცია მთელი რედაქცია. რაღაც საშინელება გააკეთეს, რომელმაც ორი თვეც ვერ გაძლო და ის გოგო წავიდა ტელევიზიიდან. როგორც ჩანს, ვიღაცამ დარეკა და მათთვის მთავარი ეგ იყო.

„მინისტრობაზე არც მიფიქრია, არც მიოცნებია და არც არავის შემოუთავაზებია. მინისტრობაზე უფრო საზოგადოებრივ არხზე დაბრუნება და ამ ტელევიზიის ხალხის სამსახურში ჩაყენება მინდა. ვიცი, ეს როგორ გავაკეთო“.

— ქალბატონო ირმა, საარჩევნო კამპანიაში ხალხი რომ გხედავთ, არ გთხოვენ გვიმღერეთ?

— თავიდან მეგონა, რომ სიმღერისთვის დამპატიჟეს. სოფელ ვარიანში ქალები შემომეხვივნენ. მეგონა, თავიანთ პრობლემებზე დამელაპარაკებოდნენ, მაგრამ უნდოდათ, რომ მემღერა. გიტარა მაინც რომ მქონოდა, ვუმღერებდი, მაგრამ არ წამიღია. შევპირდი, რომ ჩავალ და აუცილებლად ვუმღერებ, კონცერტს ჩავუტარებ ღია ცის ქვეშ.

— რა გამოდის, ნაციონალებს თავიანთი მომხრე მომღერლები დაჰყავდათ საარჩევნო კამპანიების დროს. „ოცნებას“ — თავისი მომხრეები დაჰყავს. ივიკე ხომ არ მეორდება?

— ეს მიღებული პრაქტიკაა, მაგრამ იგივე არ მეორდება. ნაციონალებს თავიანთი რჩეული მომღერლები რომ დაჰყავდათ, იმათ უზარმაზარ ჰონორარებს უხდიდნენ. ჩვენ კი არავითარ ჰონორარზე არ შევთანხმებულვართ. ეს აბსოლუტურად ნებაყოფლობითია. ხშირად გამიგია ჩემი კოლეგებისგან, მომღერალი ვარ და, ვინც გადამიხდის, იმას ვუმღერებო. მათ არ ვსაყვედურობ, მაგრამ მე მხოლოდ იმას ვუმღერებ, ვინც მესიმპათიურება. ახლა, რაც თქვენ მკითხეთ, მას მერე დავფიქრდი, ჰონორარი რომ შემომთავაზონ, რა უნდა ვთქვა. ადამიანს რომ დაუჭერ მხარს, ამაში ჰონორარი უნდა აიღო?! ჰონორარს არ ველოდები, მაგრამ სამართლიანობის აღდგენა კი მინდა.

— როგორ ფიქრობთ, მაგალითად, ლელა წურწუმიას რომ შესთავაზონ მარგველაშვილის მხარდაჭერა, დათანხმდება?

— არ ვიცი. როგორ გგონიათ, ლელა წურწუმია ჩვენთან ერთად ივლის? ლელას კარგად ვიცნობ და არა მგონია, შარშან რომ ნაციონალებთან დადიოდა, წელს „ოცნებასთან“ გამოჩნდეს. ალბათ არც არავინ შესთავაზებდა.

— მას მერე, რაც მარგველაშვილის გვერდით გამოჩნდით, მუსირებს ახრი, ირმა სოხაძეს კულტურის მინისტრობა უნდაო.

— კულტურის სამინისტროს ჰყავს მინისტრი, რომელიც ცდილობს, დღეს მართლაც საშინელ დღეში მყოფი სამინისტრო რაღაცას დაამსგავსოს. მინისტრობაზე არც მიფიქრია, არც მიოცნებია და არც არავის შემოუთავაზებია. მინისტრობაზე უფრო საზოგადოებრივ არხზე დაბრუნება და ამ ტელევიზიის ხალხის სამსახურში ჩაყენება მინდა. ვიცი, ეს როგორ გავაკეთო. რა ორიენტაციის ტელევიზიაც არის „რუსთავი 2“, ყველამ ვიცით, მაგრამ მისი ტოქ შოუს წამყვანი, ნინო შუბლაძე, გაცილებით ნეიტრალური და გაწონასწორებულია გადაცემის დროს, ვიდრე „პირველი არხის“ წამყვანები — ეკა კვესიტაძე და დავით პაიჭაძე.

„პირველ არხზე“ მუშაობა უმცროსი რედაქტორიდან დავიწყე და არხის გენერალური დირექტორის მოადგილემდე ავედი. შემიძლია ყველაფერი თავიდან ბოლომდე გავაკეთო. როცა ეს ე.წ. კოაბიტაცია დამთავრდება, საზოგადოებრივი მაუწყებელი ისევ საზოგადოების გახდება და მე იქ აუცილებლად დავბრუნდები!

✓ **რუსუდან ადვაძე**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

„37 წელია ერთ ქალზე ვგიჟდები“

60 წლის ზურა ყიფშიძე სიყვარულზე, ოჯახზე და ცხოვრების მთავარ საქმეზე

დიდი ხნის წინ კინორეჟისორმა ლანა ღოღობერიძემ „სარკესთან“ საუბრისას აღნიშნა, ზურა ყიფშიძე თვითონ ბედისწერამ აირჩია მსახიობად. ჩვენი მხრიდან დავამატებდით, რომ ვარსკვლავადაც. ბედისწერამ აირჩია, თორემ თავად არასდროს უზრუნია იმაზე, რომ ვარსკვლავური სტანდარტებით და სტერეოტიპებით ეცხოვრა. ლანა ღოღობერიძე მაშინ „სარკესთან“ ფილმზე „როცა აყვავდა ნუში“ საუბრობდა, სადაც ზურაბ ყიფშიძე ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს. ამ როლით გახდა ის თაობის სიმბოლო. კადრი, როცა ულამაზესი ბიჭი აყვავებული ნუშის რტოებით ხელში რუსთაველზე მოაბიჯებს, ვარსკვლავის დაბადებად იქცა. ეს იყო შორეული, გასული საუკუნის 70-იანი წლები.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ზურა ყიფშიძე წელს 60 წლის გახდა.

სამი დედის გაზრდილი

თბილისის ძველ უბანში, პლეხანოვზე დაიბადა. საკუთარ თავს სამი დედის გაზრდილს უწოდებს.

— სამი დედა მყავდა, ერთი — ჩემი ნამდვილი და ორიც — გაუთხოვარი პედაგოგი დეიდა. ამ სამმა ქალმა თავიანთი ცხოვრება შემომწირეს, მაგრამ ჩემი ჯიუტი ხასიათის გამო მათ ბოლომდე მაინც არ ვუჯერებდი. სამწუხაროდ, მათი დიდი მონდომების მიუხედავად, სკოლა მაინც ცუდად დავამთავრე, — იხსენებს „სარკეში“ მსახიობი, — პლეხანოვის 71-ში დავიბადე. ბაბუამ დამარქვა თავისი მამის სახელი. მამაჩემს სხვა ოჯახი ჰქონდა და ცოტა რთული სიტუაცია იყო. 14 წლის ვიყავი, როდესაც დედაჩემს ვკითხე, მამაჩემი ვინ არის-მეთქი. ყველაზე მეტად ვინც გეფერება და მოგწონს, ის არისო. მერე ძალიან დავუახლოვდი მამაჩემს, მის ცოლს, ძმას, იმასაც ზურა ერქვა, ჩემზე უფროსი იყო. როცა გავიგე, ვინ იყო მამაჩემი, მახსოვს, როგორი მეგობრული დამოკიდებულება მქონდა. ახლა ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო გასახსენებელი სწორედ ეს არის.

ხასიათით დედას ძალიან ვგავდი, პირველ რიგში, სიჯიუტით. ორივეს საქმის მიმართ ფანტასტიკური სიყვარული გვახასიათებდა. ცოტა უხერხულია ამის თქმა, მაგრამ დედას აღტაცებაში მოვყავდი ხოლმე მისი პატარა თუ დიდი სახასიათო როლებით... წლებთან ერთად ბევრმა საყვარელმა ადამიანმა მიმატოვა — დედამ, მამამ, ძმამ, დეიდებმა, მეგობრებმა... ჩემი ცოლი და შვილებიღა დამრჩნენ. მათთან კი ხშირად ვჩხუბობ, — აღიარებს მსახიობი.

დედას, ცნობილ მსახიობ ელენე ყიფშიძეს, პატარ ზურა ხშირად დაჰყავდა თავისთან, მარჯანიშვილის თეატრში. ბიჭი კულისებიდან უყურებდა გიორგი შავგულიძეს, სანდრო ჟორჟოლიანს, სესილია თაყაიშვილს... გარდა მსახიობობისა, სხვა პროფესიაზე არც უფიქრია.

მისი პირველი ფილმი „მაცი ხვიტია“ იყო. პატარა როლმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. მაშინ პირველად ნახა ნამდვილი ცხენი, თოფი და ხანჯალი. ცხენი იქიდან შეუყვარდა და მთელი მისი ცხოვრების გატაცებად დარჩა, თუმცა ბოლო დროს ფეხზე გადატანილი ოპერაციების გამო ჯირითს თავი დაანება.

■ „როცა აყვავდა ნუში“

37 წელი მხოლოდ ერთი ქალი

ზურა ყიფშიძეზე, როგორც იტყვიან ხოლმე, ქალები გიჟდებოდნენ, პატარა გოგოებით დაწყებული, მისი თანატოლებითა და უფროსი ასაკით დამთავრებული. მის გვერდით კი 37 წელია, რაც უნდა დაუჯერებელი იყოს მეგაპოპულარული მსახიობის მხრიდან, მხოლოდ ერთი არსებობს — ლელა გოცირიძე.

— ცოლი სიყვარულით მოვიყვანე და ამიტომ დღემდე სიგიჟემდე მიყვარს. მახსოვს, მოსკოვიდან არდადეგებზე თბილისში ვიყავი ჩამოსული და ცხონებული ვასო გოძიაშვილის გასვენებაში მოვკარი პირველად ლელას თვალი. მერე კარგახანს ვასო გოძიაშვილის საფლავზე დავდიოდი დიდუბის პანთეონში, რომ კიდევ ერთხელ დამენახა ის გოგო. მეორედ ახალ წელს ქუჩაში შევხვდი, შემდეგ — თეატრალურში და ყველაფერი ასე დაიწყო. მკაცრი მამა ჰყავდა, წინაალმდეგი იყო მისი გოგოს გათხოვების, მაგრამ 24 წლისამ მოვიყვანე ცოლად. ქორწილიც უცნაური გვქონდა. ნათხოვარი პიჯაკი მეცვა და სიმამრისგან ჩუმად 15 კაციანი ქორწილი გავაკეთე რესტორანში, — უამბობს მსახიობი „სარკეს“.

კითხვაზე, რა არის ამ სიყვარულის საიდუმლო, რომელმაც ამდენ წელს გაუძლო, გვპასუხობს:

— ეს ჩემი ბუნებიდან გამომდინარეა, არ მიყვარს ცოლების და მანქანების ცვლა. მე და ჩემი ცოლი სულ ვჩხუბობთ, მაგრამ გულიდან ჩხუბი ჩვენ შორის არ ყოფილა, მხოლოდ ვჯაჯღანებთ. ახლაც მიყვარს ჩემი ცოლი და რა ვქნა? 37 წელია ცოლ-ქმარი ვართ და ჩვენმა სიყვარულმა ყველა ეტაპი გაიარა. სიყვარული ყოველ 5 წელიწადში იცვლება, სულ სხვანაირი ხდება. ახლა ჩვენი გრძნობა უფრო სენტიმენტალურია. სულ იმაზე ვფიქრობთ, რამე არ მოგვივიდეს, რადგან ორივეს გაგვიჭირდება ცალად დარჩენა. ღმერთმა დაიფაროს ჩვენი სიყვარული ამისგან!

ვისაც მართლაც მჯერა, ეს ჩემი მეუღლეა, ლელა გოცირიძე. ის ყოფილი მსახიობია. ვერ გაუძლო თეატრალურ ინტრიგებს. მერე მემოდელე იყო, ასწავლიდა კიდეც. ახლა ოჯახს გადაჰყვა.

მიუხედავად იმისა, რომ რაღაც გატაცებები ყველას გვქონია, მაინც ერთგული კაცი ვარ. ჩემ გამო ცოლს არანაირი საფიქრალი არ გასჩენია.

შვილები

ორი შვილის, გიორგის და ლენუკას აღზრდაში მამას დიდი როლი არ უთამაშია, არც მათ პროფესიულ თუ პირად ცხოვრებაში ერეოდა. მისი დრო საქართველოსა თუ უცხოეთში გადაღებებს მიჰქონდა. ეგონა, მის კვალს ქალიშვილი ლენუკა გაჰყვებოდა, მაგრამ პირიქით მოხდა, ბებიის და მამის გზას ვაჟი, გიორგი დაადგა.

— ხანდახან მშობლები შვილებისთვის ყველაფერს აკეთებენ, მაგრამ ისინი ბოლოს მაინც არ გამოდიან ისეთები, როგორებიც დედ-მამას უნდათ. თუ ჩემი შვილები ვინმეს უყვარს და ვინმე მათ კარგ ადამიანებად მიიჩნევს, ამას საკუთარ თავზე ნამდვილად ვერ ავიღებ და ვერ ვიტყვი, რომ ეს ჩემი დამსახურებაა. შვილების პროფესიულ არჩევანში კი არა, მათ პირად ცხოვრებაშიც კი არასოდეს ვერევი. შვილებს შეიძლება რჩევები მივცე, მაგრამ მაინც არ მიჯერებენ და ამასაც აღარ აქვს აზრი.

გიორგიმ სარეჟისოროზე ჩააბარა. ლენუკასგან განსხვავებით, ბავშვობაში გიორგის მსახიობის მონაცემები არ ჰქონდა, სწრაფად

„ხასიათით დედას ძალიან ვგავდი, პირველ რიგში, სიჯიუტით. ორივეს საქმის მიმართ ფანტასტიკური სიყვარული გვახასიათებდა“.



■ დედა-შვილი — ელენე და ზურა

Cyan Magenta Yellow Black

ლაპარაკი უყვარდა. ვერაფრით ვიფიქრებდი, ჩემს გზას თუ გაჰყვებოდა. როცა სარეჟისოროზე ჩააბარა, მაშინ მიხვდა, რომ ის სულ სხვა პროფესია იყო და ამიტომ საბუთები სამსახიობოზე გადაიტანა. მიშა თუმანიშვილთან მუშაობა არ მოუწია, მაგრამ, სამაგიეროდ, მის მოსწავლესთან, გოგი მარგველაშვილთან თამაშობდა. ძალიან კარგად შეასრულა მერკუციოს როლი სპექტაკლში „რომეო და ჯულიეტა“. მისთვის არასოდეს მითქვამს, ეს ასე უნდა გააკეთო-მეთქი. თანაც, როცა რაღაცას ვჯავჯღანებ, ასე და ასე გააკეთეთ-მეთქი, მაინც სხვანაირად აკეთებენ და რა აზრი აქვს?


■ ლელა გოცირიძე

„ცოლი სიყვარულით მოვიყვანე და ამიტომ დღემდე სიგიჟემდე მიყვარს... ის მიყვარს ცოლების და მანქანების ცვლა. 37 წელია ცოლქმარი ვართ და ჩვენმა სიყვარულმა ყველა ეტაპი გაიარა. ახლა ჩვენი გრძნობა უფრო სენტიმენტალურია“.

გიორგის ძალიან უნდოდა, რუსეთში წასულიყო, იქ ესწავლა და ეცხოვრა, მე კი ვეუბნებოდი, ამერიკაში წადი-მეთქი. ვიცოდი, იქ რა სიტუაცია იყო და მინდოდა, ამერიკაში ეცადა ბედი. არც ამ შემთხვევაში დამიჯერა.

— რატომ არ ითვალისწინებენ შვილები თქვენს რჩევებს? ეს ალბათ ძალიან საწყენია.

— მეც არ ვუჯერებდი არავის და ამათ რატომ უნდა დამიჯერონ?! შეიძლება მათთვის რაღაც რჩევა მიმიცია, მაგრამ აკრძალვით არასოდეს არაფერი ამიკრძალავს. ხომ გაგიგიათ, აკრძალული ხილი ტკბილიაო? ჰოდა, ამიტომ არ ვთვლიდი საჭიროდ, მათთვის რამე დამეშალა. ცხოვრებაში ბევრი კარგი და ცუდი მომენტი მქონდა. მუდამ ვჯიუტობდი, რასაც მეუბნებოდნენ, პირიქით ვაკეთებდი. ყოველთვის ოჯახის წევრებისგან განსხვავებულად ვფიქრობდი. დროთა განმავლობაში ბევრ რამეს მივხვდი, მაგრამ რაღა დროს!

მე არ ვიცი, როგორი ვარ სცენაზე, მაგრამ როცა გიორგის სპექტაკლებზე ვუყურებ, მგონია, რომ ძალიან მგავს. სხვებსაც უთქვამთ, რაღაცეებით შენ გგავსო. აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ გიორგის პოპულარობა ჩემი დამსახურება არ არის. ხომ არიან მშობლები, რომლებიც ზრუნავენ იმაზე, რომ შვილები „გაქაჩონ“, ჩემს შემთხვევაში მსგავსი არაფერი ყოფილა. ერთი პერიოდი გიორგის ძალიან აღიზიანებდა მამის ფაქტორი. სულ იმას ამბობდა, ზურას შვილი რომ ვარ, ეს არაფერს ნიშნავს, მე მე ვარო. ახლა ასე აღარ ფიქრობს.

— გახსოვთ ის ემოცია, როცა თქვენი პირველი შვილი დაიბადა და მამა გახდით?

— ჩემს ცოლს გიორგი დღე-დღეზე უნდა გაეჩინა და მე ამ დროს გამოცდა მქონდა ჩასაბარებელი, მოსკოვში ვსწავლობდი. მითხრეს, თუ არ ჩამოხვალთ მოსკოვში და არ ჩააბარებთ, დიპლომს არ მოგცემთო. ვთქვი, სულ არ მინდა დიპლომი-მეთქი, მაგრამ ოჯახმა გამოაცხადა, უდიპლომო სიძე რა არისო და... ჩავედი, ჩავაბარე და იქიდან რომ მოვდიოდი, თბილისმა არ მიიღო თვითმფრინავი, სოხუმში დავჯექით. ისე ვნერვიულობდი, მთელი თვითმფრინავი ჩემი გულშემატკივარი იყო.

სოხუმში კაგებე-ს მანქანით წამიყვანეს და სახლში დამარეკინეს, რომ გამეგო, რა ხდებოდა. ნუ გეშინია, არ გაუჩენიაო, მითხრეს. ჩემი ძმაკაცი შოთიკო მშვენიერაძე მირბოდა სამშობიაროში და ამ დროს დაინახა, რომ ჩემი ცოლი სამშობიაროდან გამორბოდა. სად გარბიხარ, ლელაო, უკითხავს. ჯერ ზურა არ ჩამოსულა და რომ ჩამოვა, მერე გავაჩენო, უპასუხია. თვითმფრინავი რომ გაჩერდა, ისე გადმოვხტი ტრაპიდან, კინაღამ ფეხი მოვიტეხე. დედაჩემი და ჩემი მეგობარი ნუგზარ კერესელიძე იდგნენ და მიყვიროდნენ, ნუ გეშინია, დაწყნარდი, ჯერ არ გაუჩენიაო.

ერთი სიტყვით, ჩამოვუსწარი გიორგის დაბადებას, მაგრამ ერთი სამწუხარო ფაქტი მოხდა: ჩემს ცოლთან ერთად იმშობიარა მამუკა სალუქვაძის მეუღლემ და ბავშვს გადაჰყვა. არასოდეს დამავიწყდება, რომ მე ცოლი ბავშვთან ერთად გამოვიყვანე და მამუკამ მხოლოდ შვილი წამოიყვანა. ამ ფაქტს ცრემლის გარეშე ვერ ვიხსენებ...

გოგო რომ გამიჩნდა, მასთან უფრო გამიადვილდა ურთიერთობა. მართალია, რომ გოგო უფრო მამისაა, ბიჭი — დედის. ქალიშვილი ცალკე ისტორიაა, მთლიანად მამისაა. ჩემს ქალიშვილთან ერთად „რაზვედკაში“ წავიდოდი. ძალიან ვაჟკაცური გოგო მყავს. ზოგჯერ შეიძლება ზედმეტად ემოციური, ნერვული და ფსიქოპატიც კი არის, მაგრამ ძალიან ერთგული, ყურადღებიანი და დაუზარელია.

შვილიშვილები

გვარის გამგრძელებელი შვილიშვილი 59 წლის ასაკში ეყოლა. გიორგი დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ალექსანდრეს მამა გახდა. მანამდე ყიფშიძეები ნატალია ყიფშიძეს — გიორგის უფროს გოგონას და ნიკუშა ნინუას — ლენუკას ბიჭს ზრდიდნენ. ისინი ახლა 12-12 წლისები არიან.

— მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩემთვის მესამე შვილიშვილია, საოცარი შეგრძნება მაქვს. რაც უფრო ხანში შედიხარ, შვილიც კი, რომელიც უკვე 35 წლისაა, სხვა შინაარსს იძენს. ყველაფერს სხვანაირად შეიგრძნობ. მე ვბერდები თუ ის ღვინდება, არ ვიცი, მაგრამ ბუნებრივი პროცესი მიმდინარეობს, რაც ძალიან კარგია. ბევრი უარყოფითი თვისება მაქვს და არ მინდა, ჩემი შვილიშვილი ბევრ რამეში მგავდეს. შეიძლება ერთგულებით დამემსგავსოს. ყოველთვის ვცდილობ, ერთგული ვიყო, მიუხედავად იმისა, რომ მეც მომსვლია უზარმაზარი შეცდომა. სენტიმენტალობით, მიმტევებლობით დამემსგავსოს. არ უნდა გახდეს გობსეკი, არაფერი უნდა დაენანოს, ადამიანების შველა უნდა შეეძლოს, გარშემომყოფებს მისი იმედი უნდა ჰქონდეთ. მერე კი არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რა გამოვა — ხელოვანი, მეცნიერი, ფიზიკოსი თუ უბრალო მუშა.

რაც ეს პატარა დაიბადა, გიორგიც შეიცვალა, გადასარევი კაცი გახდა. ჩემ მიმართაც უფრო მეტი ყურადღება გამოიჩინა, ვიდრე აქამდე იჩენდა, — გვიზიარებდა თავის ემოციებს ალექსანდრე ყიფშიძის დაბადებით გახარებული ზურა.

— ახლა შვილიშვილებთან მაინც თუ ანაზღაურებთ იმ დროს, რაც შვილებს დააკლდათ თქვენგან?

— კი, შვილიშვილებთან უფრო მეტ დროს ვატარებ, ვიდრე შვილებთან ვატარებდი, მაგრამ მაინც ბორიალა კაცი ვარ და დიდხანს სახლში ყოფნა და ოჯახური სიმყუდროვით ტკბობა არ შემიძლია. ხან მარტოობა მინდა, ხან ბუნებაში გაჭრა.

■ შვილები

გოგო ჰომ გამიჩნდა, მასთან უფრო გამიადვილდა ურთიერთობა. მართალია, ჰომ გოგო უფრო მამისაა, ბიჭი — დედის. ქალიშვილი ცალკე ისტორიაა, მთლიანად მამისაა.

თეატრი და ჯინო

— ძალიან რთული გზა ავირჩიე. მსახიობის პროფესია ისე არ ფასდება, როგორც საჭიროა. სულ გაჭირვებაში და ფულის სესხებაში ვართ. ჩემი აზრით, თეატრში უფრო მეტი მაქვს გაკეთებული, ვიდრე კინოში. მხოლოდ 2-3 ფილმი მოიძებნება, რომელთა ყურებაც არ მრცხვენია. ამ დროს

→24

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

კი დაახლოებით 70 ფილმში მითამაშია. დეიდაჩემები ჩემი ფილმების რაოდენობას ითვლიდნენ ხოლმე. 40-მდე დაითვალეს, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, მათ გარდა თურმე ვიღაც „მანიაკიც“ ითვლიდა ჩემს როლებს. ტელეფონით მომიყვა ყველა ჩემი გმირის ისტორია. გადავირიე! სწორედ მისგან შევიტყვე, რომ 70-მდე ფილმში ვმონაწილეობდი.

თეატრში თუ რამე ღირებული გამიკეთებია, ყველაფერი მიშა თუმანიშვილთან არის დაკავშირებული, შემდეგ — თემურ ჩხეიძესთან. რობერტ სტურუასთან მუშაობის საშუალება 1992 წელს მომეცა, ესპანეთში დადგა სპექტაკლი. 5 სპექტაკლი ვითამაშე და შემდეგ თბილისში უნდა გამეგრძელებინა, მაგრამ საშინელ ავტოკატასტროფაში მოვყევი და სამი თვე ლოგინს მივეჯაჭვე. ამის გამო ზაზა პაპუაშვილმა შემცვალა.

■ „სარქის“ არქივიდან

„ცოტა ხნის წინ მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალის ჟიურიში მიმიწვიეს. კი მესიამოვნა, მაგრამ შუა ფესტივალზე ბოდიში მოვიხადე და იქაურობა დავტოვე. ძალიან ცუდი ვქენი, მაგრამ სხვანაირად ახ შემეძლო, მიხალკოვური და პუტინური სული ტრიალებდა და თავი კომფორტულად ვერ ვიგრძენი“.

„მე-20 საუკუნის კაცად დავჩრჩი“

— მიყვარს ტრადიციები, მაგრამ ტრადიციულობა არ გამომდის და რა გავაკეთო?! მე მახსოვს დრო, როცა მთელი ოჯახი საუზმეზე, სადილსა და ვახშამზე ერთად ვიკრიბებოდით. ახლა ვისღა უნდა ერთად სადილი? ვინ როდის მოდის, ვინ სად მირბის, ვინ როდის ჭამს, ვერაფერი გაგვიგია. მძიმე ცხოვრება გვაქვს.

მე-20 საუკუნის კაცად დავრჩი. ამ შემთხვევაშიც ძალიან ვჯიუტობ, რადგან ყველას უყვარს კომპიუტერი, მე არ ვეკარები. არ ვამბობ, რომ ეს კარგი თვისებაა, პირიქით, ძალიან ცუდია. კარგი იქნება, ადამიანებმა სხვების შეცდომებზე ვისწავლოთ რაღაცეები, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვების შეცდომებზე კი არა, საკუთარზეც არ ვსწავლობთ.

■

10 აგვისტოს ზურაბ ყიფშიძეს 60 წელი შეუსრულდა. სხვა ქვეყანაში ამ რანგის მსახიობის იუბილე მასშტაბური იქნებოდა, მაგრამ ქართული კინოს ვარსკვლავმა ეს დღე გლამურული სიტუაციებიდან შორს, რაჭაში აღნიშნა პატარა შემოქმედებითი საღამოთი.

— მიჩვეული ვარ, რომ ჩემს დაბადების დღეს განსაკუთრებული არაფერი ხდება და სულ მოგზაურობაში აღვნიშნავ ამ თარიღს. 10 აგვისტოს თბილისში კარგა ხანია არ შევხვედრივარ. ამ დროს თბილისში არავინაა. სკოლის პერიოდშიც ჩემს დაბადების დღეზე კლასელები ვერ მოდიოდნენ, ინსტიტუტში კი სექტემბერში ვიხდიდი. წელს ეს დღე ამბროლაურში გავატარე. შემოქმედებითი საღამო მოვაწყვეთ მეგობრებთან ერთად. საათნახევარი სცენაზე ვიყავი და ჩემს მაყურებელთან მქონდა კონტაქტი.

უამრავი მოსალოცი ზარი და მესიჯი მივიღე. კულტურის მინისტრმა საჩუქარი გამომიგზავნა. მოგვიანებით ნინო ბურჯანაძემაც დამირეკა. ჩემი ოჯახის წევრებიც ტელეფონით მილოცავდნენ. ჩემი ცოლი ზღვაზე იყო, მე — რაჭაში, შვილები კი — წყნეთში. მოკლედ, ამ დღეს დაფანტულები ვიყავით. განსაკუთრებულად არ მიყვარს ჩემი დაბადების დღე, არა იმიტომ, რომ წლები მემატება, უბრალოდ, ყურადღების ცენტრში ყოფნა არ მსიამოვნებს. ამ მხრივ ცოტა მორიდებული ვარ.

— რა განცდებით გაიღვიძეთ ამ დღეს, როცა 60 წელი შეგისრულდათ?

— შინაგანად ვერანაირ 60 წელს და ასაკს ვერ ვგრძნობ. ასაკს ერთი უცნაურობა აქვს, რაც უნდა ფიქრობდე, რომ შორსაა შენგან, ის მაინც გაგრძნობინებს თავს. შინაგანად ახალგაზრდა ვარ, მაგრამ გარეგნულად მაინც ვგრძნობ, რომ ასაკი მოვიდა, ამიტომაც ხშირად ხდება ჩემს თავში „ავარიები“.

■ „მიდიოდა მატარებელი“

უკვე კარგა ხანია, ცხენზე არ ვზივარ. მუხლების პრობლემა მაქვს, მენისკის ორ-ორი ოპერაცია გადავიტანე. ძალიან ცუდია, რომ ფეხბურთსაც ვერ ვთამაშობ. სხვა მხრივ, ასაკს არ ვიმჩნევ. სცენაზე სამუხლეები მიკეთია და ვერავინ შემამჩნევს, რომ ფორმაში არ ვარ. საკუთარი წლოვანება მხოლოდ მაშინ მახსენდება, როცა ვინმე ამაზე გამიმახვილებს ყურადღებას.

— ანუ არანაირი, დეპრესია თუ არა, სევდა მაინც?

— არა, არანაირი დეპრესია და სევდა! დედაჩემი არ მალავდა არასოდეს ასაკს და მე როგორ დავმალო ან ვინერვიულო ამაზე?! ჩემს წარსულს როცა გადავხედავ, სიამოვნებას ვიღებ და ცოტა სევდაც მოდის, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ის მოვლენები, რაც წარსულში მოხდა, აღარ ხდება.

რა თქმა უნდა, ის გზა თავიდან რომ გავიარო, ძალიან ბევრ შეცდომას გამოვასწორებდი. როცა ჩემს ოჯახზე დავფიქრდები ხოლმე, ყველაფერი მავიწყდება. ბედნიერების გრძნობა მეუფლება, როცა ვიცი, რომ ოჯახი ჩემ გვერდითაა და ყველა ჯანმრთელადაა. წარსულზე როცა ვფიქრობ, ყველაზე ტკბილად მიშა თუმანიშვილთან და მოსკოვში გატარებული წლები მახსენდება. მიკვირს ხოლმე, რამდენ რამეს ვასწრებდი ახალგაზრდობაში — მუსიკით და სპორტით გატაცება, თეატრი და კინო...

— არსებობს თქვენს ცხოვრებაში ე.წ. დაკარგული წლები?

— ბოლო 7 წელი და ალბათ იმიტომ, რომ ახალი არაფერი გამიკეთებია. რასაც ახალს ვაკეთებდი, ისიც ვერ დავამთავრე. 70-იანი წლებიდან დაწყებული ახალი საუკუნის დასაწყისამდე ძალიან პროდუქტიული ვიყავი.

— ყველაზე მეტად რას ვერ პატიობთ საკუთარ თავს, რისი გაკეთება შეგეძლოთ და რა ვერ გააკეთეთ დღემდე?

— სინანულის გრძნობა ყოველთვის მაქვს. როცა ამბობენ, ცხოვრებაში არაფერს შევცვლიდიო, ყოველთვის მიკვირს. მე რომ ეს შემეძლოს, ძალიან ბევრ რამეს შევცვლიდი. განათლებას მეტ დროს დავუთმობდი. ქუჩაში ხეტიალს ვამჯობინებდი, კარგი საქმისთვის მიმეხედა. რომ შემეძლოს, ჩემს შვილებს ყველა პრობლემას ავარიდებდი, ვიღაცეებს არ ვაწყენინებდი, არც გავლახავდი და არც თავს გავალახვინებდი. მეუღლეს, შვილებს არაფერს ვაწყენინებდი.

ამ გადასახედიდან ვხვდები, რომ რამდენიმე კარგ შეთავაზებაზე უარი ვთქვი. რამდენიმე სერიალში მუშაობას არ დავთანხმდი. გული მწყდება, რომ ვერ დავასრულე დოის სპექტაკლი „სირანო დე ბერჟერაკი“. თემურ ჩხეიძეც აღარ მეძახის, არადა წლების წინ მან გამაცოცხლა სცენაზე, როდესაც მათამაშა სპექტაკლში „მამები“. ახლა თავის დადგმებში ვეღარ მხედავს.

— რატომ ხდება, რომ დღემდე რუსეთში უფრო აქტუალური, მოთხოვნადი მსახიობი ხართ, ვიდრე საქართველოში?

— უბრალოდ ჩვენთან ფილმებს არ იღებენ ისე ხშირად. როცა ვერ გრძნობ, რომ რაღაც ფასეულს აკეთებ, არც უნდა დათანხმდე. ზედაპირულად მუშაობა არ მიყვარს და ამიტომ ბევრ ფილმზე თუ სერიალზე მაქვს უარი ნათქვამი. თუ რამე არ მინდა, ვერაფრით გამაკეთებინებთ. ახალგაზრდობაში უფრო დამყოლი ვიყავი. რაც წლები მემატება, ხასიათი გამირთულდა. ჩემი სიფიცხის გამო ბევრს უკვე აღარ უნდა ჩემთან საქმის დაჭერა.

შარშან რუსული სერიალიდან წამოვედი. ძალიან კარგად მივლიდნენ, კარგი ანაზღაურებაც მქონდა, მაგრამ აღარ შემიძლია ბანდიტებისა და ქურდების თამაში.

ცოტა ხნის წინ მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალის ჟიურიში მიმიწვიეს. კი მესიამოვნა, მაგრამ შუა ფესტივალზე ბოდიში მოვიხადე და იქაურობა დავტოვე. არ მომეწონა შერჩეული ფილმები და ზოგადად ტენდენცია. იმდენი ჰომოსექსუალისტური და დეგენერატული თემა იყო გააქტიურებული, რომ მივხვდი, იქ ჩემი ადგილი არ იყო. ძალიან ცუდი ვქენი, ფესტივალი რომ დავტოვე, მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო, მიხალკოვური და პუტინური სული ტრიალებდა და თავი კომფორტულად ვერ ვიგრძენი. სხვა ჩემს ადგილზე ამასაც გაუძლებდა, მაგრამ მე ვერ მოვახერხე.

✓ ავთო ჩიტაძე

Cyan Magenta Yellow Black

АКОГ-ის კონვექტორები და Teplowest-ის ქვაბები:

უმაღლესი ევროპული ხარისხი, დაბალი ფასები, კომპაქტური ზომები და მარტივი მონტაჟი

Teplowest ГАЗОВІ КОТЛИ

აირჩიეთ ეფექტური და უკვე გამოცდილი გაზის გამათბობელი სიტემები!

Завод Конвектор

ადღესდღეობით ფართების გასათბობად უამრავი სახის გამათბობელი სისტემები გამოიყენება: ელექტრო, მყარ და თხევად საწვავზე, ბუნებრივ და თხევად აირზე. თითოეულ მათგანს თავისი უპირატესობანი და ნაკლოვანებები გააჩნია. რაც შეეხება ბუნებრივ აირს, შენახვისა და მიწოდების თვალსაზრისით ის ნამდვილად არა მარტო იაფია, არამედ მოხერხებულიც. სწორედ ამიტომ, გაზის გამათბობელი მოწყობილობების გამოყენება დღესდღეობით ყველაზე მეტად ეფექტურია. რაც შეეხება გაზს, მასთან დაკავშირებით ისედაც ყველაფერი ნათელია, თუმცა საჭიროა გავარკვიოთ კიდევ ერთი რამ – რომელი მოწყობილობა უნდა გამოვიყენოთ საცხოვრებელი ფართების, ოფისების ან საწარმოო ფართების გასათბობად?

გამათბობლების ტექნიკის ბაზარზე წარმოდგენილ მოწყობილობებს შორის ავტონომიური გათბობისთვის ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტს წარმოადგენს გაზის კედლის ქვაბები და კონვექტორები.

მაშ ასე, რა უნდა ვიცოდეთ, თუკი საკუთარ სახლში ამინდის პირობებისგან სრული დამოუკიდებლობის გამოცხადებას ვაპირებთ?

ცენტრალური გათბობის ქვაბის ან კონვექტორის ასარჩევად, გაეცით პასუხი შემდეგ კითხვებს:

1) მხოლოდ გათბობა გჭირდებათ, თუ ცხელი წყალიც?

2) რა ფართობი უჭირავს თქვენს სათავსოს, არის თუ არა საკვამურის დამონტაჟების საშუალება?

3) სურვილი გაქვთ, შეარჩიოთ სანდო ტექნიკა, რომელიც წლების მანძილზე მოგემსახურებათ, თუ გსურთ, მაქსიმალური ეკონომია გასწიოთ?

პირველ საკითხში გარკვევა ძალიან ადვილია. თუკი ცხელი წყლის მიწოდება არ გჭირდებათ და უბრალოდ ეძებთ იაფ ვარიანტს, კონვექტორები АКОГ მუშაობენ ლითონის თბოგადამცემში გაზის წვის პრინციპზე, რომელიც უზრუნველყოფს სითბოს მაღალეფექტურ გადაცემას ფართისთვის, ახორციელებს რა ატმოსფერული ჰაერის შეტანას წვისათვის და წვის პროდუქტების გარეთ გამოტანას. კონვექტორები მუშაობენ ბუნებრივ აირზე და თხევად აირზე, ავტომატურად ინარჩუნებენ ტემპერატურას 8-დან 33°C-მდე, ანუ იმ დონეზე, რომელსაც თქვენ ოპტიმალურად მიიჩნევთ. ისინი უკვე ტრადიციული გათბობის სისტემათა რეალურ ალტერნატივად იქცა: ინდივიდუალურ სახლებში, ბინებში, ოფისებში, საზოგადოებრივ შენობებში. ქარხანა „კონვექტორის“ ავტონომიური გათბობის გაზის დანადგარები მომხმარებლებში დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობენ. მოთხოვნა აპარატებზე უწყვეტად იზრდება და ეს კანონზომიერია, რადგან АКОГ-ის კონვექტორებისთვის დამახასიათებელია რიგი უპირობო უპირატესობა, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო ნიმუშებს გააჩნიათ.

კერძოდ, ეს არის:

- სხვადასხვა დანიშნულების ცალკეული ფართებისთვის ავტონომიური გათბობის სწრაფად უზრუნველყოფის შესაძლებლობა;
- АКОГ-ის კონვექტორების მქკ (მარგი ქმედების კოეფიციენტი) ბევრად აღემატება გათბობის ცენტრალური სისტემების მქკ-ს (კონვექტორის მქკ არანაკლებ 85%);
- თბოგადამცემები შიგნიდან და გარეგან დაფარულია ემალით, რაც უზრუნველყოფს მათ გრძელვადიან მუშაობას;
- ცნობილი იტალიური მარკის „SIT“ მაქსიმალურად უსაფრთხო გაზის ავტომატიკა, რაც ნიშნავს ელექტროკვებისგან დამოუკიდებლობას;
- დაყენებული ტემპერატურის ავტომატური შენარჩუნება ფართში, თერმოსტატის მეშვეობით;
- ენერგომომარაგება;
- აბსოლუტური უსაფრთხოება;
- ფუნქციონირების სანდოობა და ექსპლუატაციის სიმარტივე;
- ყინვაგამძლე – არ მოითხოვს წყალმომარაგებას;
- გაზის ქსელში წნევის ცვალებადობისგან დამოუკიდებლობა;
- ეკოლოგიურად სუფთა.

ვსაუბრობთ რა АКОГ-ის კონვექტორების ტექნიკურ და სხვა უპირატესობებზე, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ისეთი არსებითი პლუსის შესახებ, როგორიცაა ფასი. სწორედ АКОГ-ის კონვექტორების დირებულება, ანალოგიური, ხშირად კი უფრო მაღალი ხარისხის პირობებში, აბსოლუტურად იპყრობს მყიდველებს. სხვა ბრენდები კი არ იძლევიან მაღალი ხარისხის გარანტიას და გარანტიებს ექსპლუატაციასთან მიმართებით.

თუკი გათბობის და წყალმომარაგების საკითხს კომპლექსურად განიხილავთ – აირჩიეთ კედლის ორკონტურიანი ქვაბი Teplowest განცალკევებული თბოგადამცემით (Teplowest Optima +). ამასთან, თუკი გჭირდებათ დიდი რაოდენობით წყლის გათბობა, თქვენ გამოგადგებათ Teplowest Comfort, რომელიც განკუთვნილია ავტონომიური გათბობისთვის, ბოილერის მიერთების შესაძლებლობით.

Teplowest Comfort-ის ქვაბების უპირატესობები განსაკუთრებით საგრძნობია ცხელი წყლის დიდი მოცულობების მოხმარებისას, უფრო მეტის, ვიდრე ამის უზრუნველყოფა შეუძლია ჩვეულებრივ ორკონტურიან ქვაბს.

ყველაზე მეტად გამოდგება:

- ❖ ორი ან მეტი სანკვანძის მქონე კერძო სახლებისთვის;
- ❖ ბინებისთვის და სახლებისთვის, სადაც მრავალშვილიანი ოჯახები ცხოვრობენ;
- ❖ მცირე რესტორნებისთვის, კაფეებისთვის, ბარებისთვის და ა.შ.

შესაბამისად, ჩვენ უკვე გაგვაჩნია პასუხი პირველ კითხვაზე – თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ ის გამათბობელი დანადგარი, რომელიც სწორედ თქვენ გჭირდებათ.

როდესაც საქმე გაქვთ АКОГ-ის კონვექტორებთან და Teplowest-ის ქვაბებთან, ფართო ასორტიმენტის წყალობით მეორე საკითხის გადაწყვეტაც საკმაოდ სწრაფად ხდება. სიმძლავრის მიხედვით ექვსი განსახვავებული (2,3-დან 5 კვტ-მდე) АКОГ-ის კონვექტორი იძლევა 125 $м^2$-მდე მოცულობის სათავსების სითბოთი უზრუნველყოფის საშუალებას.

გამოდის გაზის ქვაბების Teplowest Optima + სამი ვარიანტი: 18 კვტ – 150 $м^2$-მდე ფართებისათვის, 24 კვტ – 200 $м^2$-მდე, 30 კვტ – 300 $м^2$-მდე ფართებისათვის.

მოდელი Teplowest Comfort წარმოდგენილია ორ ვარიანტში – 24 და 30 კვტ, რაც იძლევა სითბოთი და ცხელი წყლით შესაბამისად 200 $м^2$-მდე და 300 $м^2$-მდე ფართების სითბოთი უზრუნველყოფის საშუალებას. გამოდის Teplowest-ის ქვაბის ორი ვერსია: საკვამური და ტურბო ვერსია. ტურბო ვერსიაში ქვაბს გააჩნია საკუთარი უპირატესობები – ასეთ ქვაბს არ სჭირდება ჩვეულებრივი საკვამური, იგი შესაძლებელია დამონტაჟდეს მრავალსართულიანი სახლის ბინაში, ოფისში ან საწარმოო ფართში.

ხოლო მესამე საკითხი დეტალურ განხილვას მოითხოვს, რადგან გამათბობელი ტექნიკის არჩევანი უზარმაზარია, მწარმოებლები და ფასები კი სხვადასხვა. ჩვენ არ დავიწყებთ გადაჭარბებულ ხოტბის შესხმას, უბრალოდ პატიოსნად მოგიყვებით АКОГ-ის კონვექტორების და Teplowest-ის ქვაბების უპირატესობის შესახებ:

■ **ევროპული ხარისხი.** ჩვენ ვიყენებთ მსოფლიოს წამყვანი მწარმოებლების ავტომატიკას და მაკომპლექტებლებს. ეს ნიშნავს უსაფრთხოებას, კომფორტულობას და სანდოობას. არის მხოლოდ ერთი განსხვავება – ჩვენი კონვექტორები და ქვაბები მისადაგებულია გაზმომარაგების არაიდეალურ ადგილობრივ პირობებთან, აღნიშნული კი საკმაოდ დიდ პლუსია.

■ **ფასი.** ფასი გამიზნულია საშუალო კლასზე, ხარისხი – უმაღლესი. იხდით მხოლოდ და მხოლოდ სამართლიან ფასს სანდო კონვექტორში ან ქვაბში.

■ **ეკონომია.** კომპაქტური ზომები და მარტივი მონტაჟი ამცირებს დანახარჯებს მონტაჟის დროს, ხოლო მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტი და კარგად გააზრებული კონსტრუქცია ამცირებენ თქვენს დანახარჯებს გაზზე. ჩვენ არ ვაკეთებთ ფულს მაკომპლექტებლებზე, როგორც ევროპული მარკების უმრავლესობა. ყველა საჭირო დეტალი ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია მწარმოებლის ფასში, საწყობში!

■ **გარანტია.** გარანტიის ხუთი წელი, სერვისული ცენტრების ქსელი და თქვენ თავდაჯერებული და დაცული ხართ.

■ **გამოცდილება.** АКОГ-ის კონვექტორებს და Teplowest-ის ქვაბებს ამზადებენ ერთ-ერთ სპეციალიზირებულ უკრაინულ საწარმოში. ქარხანამ „კონვექტორი“ მუშაობის 15 წლის მანძილზე გაზის კონვექტორების №1 მწარმოებლის წოდება მიიღო უკრაინაში. დღესდღეობით ხორციელდება 800.000-ზე მეტი კონვექტორის ექსპლუატაცია უკრაინაში, საქართველოში, ყაზახეთში, რუსეთში, უზბეკეთში. Teplowest-ის 20.000 ქვაბმა უკვე გამოიარა ცივი სეზონები რეკლამაციის გარეშე.

■ **მუდმივი ზრუნვა მომხმარებელზე.** ჩვენ არ ვახდენთ ტექნიკური მახასიათებლების დეკლარაციას, ჩვენ ვიძლევით მათ გარანტიას. ჩვენს სპეციალისტებს მუდმივი კავშირი აქვთ სამონტაჟო და სერვისულ სამსახურებთან და ყველაფერს აკეთებენ ჩვენს პროდუქციაში ინოვაციების დასანერგად.

სერვისული ცენტრების სპეციალისტები, რომლებმაც სწავლება გაიარეს ქარხანაში „კონვექტორი“, უზრუნველყოფენ ხარისხიან საგარანტიო და გარანტიის შემდგომ მომსახურებას.

Cyan Magenta Yellow Black

შალვა რამიშვილს „მეცხრე არხიდან“ წასვლაში ფული გადაუხადეს

„მინდა, ჩემს დოსიეში გამარჯვებული პრეზიდენტისთვის ჩატარებული პიარკამპანია შედიოდეს“

წელწამყვანმა შალვა რამიშვილმა „მეცხრე არხთან“ კონტრაქტი გაწყვიტა. მოულოდნელად გაწყვეტილ კონტრაქტში პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილის ოჯახის საკუთრებაში მყოფმა ტელეკომპანიამ კომპენსაციაც გადაუხადა, რადგან შალვას წასვლით თავადაც იყო დაინტერესებული — მას „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის შტაბის პიარის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობა ჩააბარეს.

შალვა რამიშვილი გიორგი მარგველაშვილის მეგობარია. ყოფილი განათლების მინისტრი თავის დუშეთის სახლში მეგობარს ხშირად ეპატიჟება სტუმრად და თავისი ხელით მოყვანილი პომიდვრით უმასპინძლდება.

„მეგობრებო, იმის გამო, რომ გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო პიარს ვხელმძღვანელობ, ოქტომბრის არჩევნებამდე ეთერში ვეღარ გამოვჩნდები. მადლობა ყურადღებისთვის და მომავალ შეხვედრამდე ცისფერ ეკრანებთან“, — ასე დაემშვიდობა მაყურებელს შალვა რამიშვილი, რომელიც ახლა ეთერში პრეზიდენტობის კანდიდატის გვერდით ჩნდება. მას მეგობრის გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარება. „ჩემი პიარის კარგ ხელმძღვანელობაში ეჭვის შემტანთ კი ვეცდები, დავუმტკიცო, რომ ეგრე არაა. გამომივა, მგონი...“ — დაწერა რამიშვილმა „ფეისბუქის“ გვერდზე, რითიც, სავარაუდოდ, ტელეწამყვან ნანუკა ჟორჟოლიანს და მის თანამოაზრეებს უპასუხა. „შალვა რამიშვილი დაუნიშნავთ მარგველაშვილის პიარის ხელმძღვანელად. არ დამცინოთ და, მგონი, ჩაფიქრებული აქვთ, რომ მარგველაშვილმა წააგოს. რაც შეეხება შალვას, დარწმუნებული ვარ, კარგად უხდიან და ამიტომ არ ვნერვიულობ“, — წერს ჟორჟოლიანი.

— შალვა, აქტიური ჟურნალისტიკა საპრეზიდენტო კანდიდატის პიარის სამსახურის გამო რატომ დათმეთ?

— არავისთვის დასამალი არ არის, რომ არჩევნებამდე ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ გაერთიანებას ვუჭერდი მხარს. ვთვლი, რომ საქართველოში მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა. ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ჩვენ გვაქვს, ე.წ. კოაბიტაციაა, როცა გვყავს მესაბოტაჟე პრეზიდენტი და ეს უნდა დამთავრდეს, რომ ხალხმა სრულფასოვნად შეძლოს მოღვაწეობა და საქმის კეთება! ამ ამბავში ვეხმარები გიორგის. შეხვედრა გვქონდა და ორივე ერთად მივედით იმ გადაწყვეტილებამდე, რომ მე მისი პიარის ხელმძღვანელი ვყოფილიყავი.

— ერთ დროს პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილიც თქვენი მეგობარი იყო.

— სააკაშვილსა და მარგველაშვილს შორის პარალელს ვერ გავავლებ. გიორგი უფრო ახლო მეგობარია ჩემი, ვიდრე სააკაშვილი იყო მაშინ.

— ყოველ შემთხვევაში, ხელისუფლებაში მოსვლაში თქვენც დაეხმარეთ.

— არა მგონია, რომ მის ხელისუფლებაში მოსვლაში დიდი წვლილი შევიტანე, თუმცა ახლო ურთიერთობა გვქონდა და გარკვეული დახმარება გავუწიე.

— საერთოდ, რამდენად მისაღებია, ჟურნალისტი პოლიტიკოსებთან მეგობრობდეს? ჟურნალისტების ნაციონალებთან მეგობრობამ რაც მოგვიტანა, ვიცით.

— მე არასოდეს მითქვამს, რომ კლასიკური გაგებით ჟურნალისტი ვარ. მე ვიყავი ადამიანი, რომელიც ყოველთვის გამოხატავდა თავის პოლიტიკურ სიმპათიებს ან ანტიპათიებს და ეს არასოდეს დამიმალავს. კი, ბატონო, ვიყავი პოლიტიკური შოუების წამყვანი, არ უარვყოფ, მაგრამ მე არ ვიყავი ჩვეულებრივი ჟურნალისტი.

— აბა, არაჩვეულებრივი?

— არც ჩვეულებრივი ჟურნალისტი ვყოფილვარ და არც არაჩვეულებრივი. მე მუდამ სხვანაირად ვცხოვრობდი. ყოველთვის ღიად ვამბობდი, რომელ პოლიტიკურ მიმართულებას თუ პოლიტიკურ ძალას ვუჭერდი მხარს. რამდენად მისაღებია ეს ყველაფერი, ხალხმა უნდა გადაწყვიტოს. თუ ხალხის ნაწილს მოსწონს წამყვანი, რომელიც სატელევიზიო შოუს აკეთებს და ამბობს, რომ გარკვეული პოლიტიკური ძალის მხარდამჭერია, რატომაც არ არის ნორმალური?! მე რა გადაცემაც გამიკეთებია, თითქმის არც ერთი ყოფილა ურეიტინგო.

„გაიხსენეთ ისინი, ვისაც ვეხმარებოდი. მაგალითად, მიხეილ სააკაშვილი, ჰომელმაც მოიგო. მეხე „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ვიყავი და ჩოგოჩ დამთავრდა არჩევნები, კი ხედავთ. ვთვლი, ჩომ მე ეს საქმე კარგად მესმის“.

— გიორგი მარგველაშვილი მეგობრობაში როგორია?

— ძალიან უშუალო ადამიანია. თბილისში დაიბადა, გაიზარდა, ცხოვრობს დუშეთში, აგრარულ ვითარებაში. სახლი თბილისშიც აქვს და ახლა უფრო ხშირად აქ უწევს ყოფნა. ძალიან უშუალოა ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელთან. რაც მთავარია, ინტელექტუალია და იმდენი საერთო თემა გვაქვს, რომ საუბარი არ გვეზარება.

— მათ შორის ალბათ სუფრულ ვითარებაშიც.

— კი, არაერთხელ დაგვილევია ერთად და გვილაპარაკია თემებზე, რომლებიც შეიძლება იყოს ძალიან ღრმა და ზოგადი. გიორგი ღვინის კარგი მცოდნე და კარგი მოსუფრე ადამიანია. მასთან ერთად სუფრაზე ყოფნა სიამოვნებაა. კარგი იუმორი აქვს.

— დუშეთშიც ყოფილხართ მასთან?

— დიახ, ვყოფილვარ. დუშეთში გიორგის აქვს ორსართულიანი სახლი, აგრეთვე მიწის ნაკვეთი, სადაც მშვენიერი პომიდორი იზრდება, რომელსაც თვითონაც უვლის. ხეხილიც აქვს. იქაური მეგობრები ამ ნაკვეთის მოვლაში ეხმარებიან.

— ნანუკა ჟორჟოლიანი წერდა თქვენზე, შალვა რამიშვილი დაუნიშნავთ მარგველაშვილის პიარის ხელმძღვანელად და ალბათ ჩაფიქრებული აქვთ, რომ წააგონო.

— არ მინდა ნანუკა ჟორჟოლიანის ნათქვამზე კომენტარის გაკეთება.

— რატომ?

— არ მიმაჩნია სწორად პასუხის გაცემა. არ მინდა, თავი გავუყადრო.

— ალბათ მხოლოდ ნანუკა ჟორჟოლიანი არ ფიქრობს ასე.

— თქვენ როგორ ფიქრობთ? გაიხსენეთ ისინი, ვისაც ვეხმარებოდი. მაგალითად, მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც მოიგო. მერე „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ვიყავი და როგორ დამთავრდა არჩევნები, კი ხედავთ. საიდან გამომდინარე ამბობენ ამას ჩემზე, არ ვიცი. ვთვლი, რომ მე ეს საქმე კარგად მესმის.

უამრავი გეგმა გვაქვს — შეხვედრები ხალხთან, სოფლად და ქალაქად, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში. ყველას დველაპარაკებით. რასაც გვეუბნებიან, ყველაფერს ვაფიქსირებთ. არც ერთი თხოვნა დარჩება კონკრეტული რეაგირების გარეშე. ეს ძალიან აზარტული, საინტერესო და შრომატევადი საქმეა.

— ბოლო დროს ავორდა ხმები, რომ ბიძინა ივანიშვილს ნინო ბურჯანაძის გაპრეზიდენტება სურს.

— ეს აბსურდი და ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფია. ალბათ თავად კონკურენტი ავრცელებს ამ მოსაზრებას, თორემ როგორ შეიძლება ეს სიმართლე იყოს?!

— გიორგი მარგველაშვილს პლასტელინის კაცად რომ მოიხსენიებენ, არ სწყინს?

— ეს იმ კონტექსტში იყო ნათქვამი, რომ გიორგის კომფორტი არ სჭირდება და პლასტელინივით ერგება იმ პირობებს, რაშიც მუშაობა უწევს. ანუ ხასიათზე კი არ იყო საუბარი, არამედ მის შემგუებლობაზე სამუშაო პირობებთან.

— რითი არწმუნებთ ხალხს, რომ მაინცდამაინც გიორგი მარგველაშვილმა უნდა გაიმარჯვოს?

— გიორგი მარგველაშვილმა იმიტომ უნდა გაიმარჯვოს, რომ იგი აგრძელებს იმ კურსს, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“ დაიწყო. ეს არის ცვლილებები, რომლებიც მორგებულია ადამიანებზე, მოქალაქეებზე. ახლა მთავრობა ერთი კაცის ახირებულ პროექტებს კი არ ემსახურება, არამედ თითოეული ჩვენგანის

Cyan Magenta Yellow Black

საჭიროებას. მაგალითად, ჩვენი შვილები რომ მივლენ სკოლებში, უფასო წიგნები დახვდებათ. ძალიან ბევრისთვის ეს შეღავა-

„მამუკა ღლონტს მოვუნოდებ, ოცა ასეთ ჰამეებს ამბობს, დააკონკრეტოს, ვინ და როგორ ცდილობს ამის გაკეთებას. ოცა ასეთ მძიმე ბრალდებას აყენებ, არ შეიძლება აღელვებელმა, ემოციის საფუძველზე ჰაერში ილაპარაკო! ბრძანოს კონკრეტულად, რადგან ჩემთვის, როგორც „ქართული ოცნების" და გიორგი მარგველაშვილის პიარის ხელმძღვანელისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია ეს თემა".

თია. ყურძენი რომ ერთი ლარი ეღირება, ეს კახელი გლეხებისთვისაა შეღავათი. შეუდარებლად მეტი თავისუფლებაა და ამას თითოეული ჩვენგანი გრძნობს. ადამიანები ალაპარაკდნენ და არ ეშინიათ. აღარ არის ბიზნესსა და მედიაზე ზეწოლა. ცვლილებები დაიწყო, ეს ცვლილებები უნდა გაგრძელდეს და ამიტომ უნდა მოიგოს გიორგი მარგველაშვილმა.

— თუმცა კრიმინალი გაიზარდა და ეს ყველასთვის თვალსაჩინოა. მაგალითად, ახლახან ყოფილ პატიმარს, ნოდარ გოგატიშვილს, რომელიც „ობიექტივის" პირდაპირ ეთერში მოყვა, როგორ გააუპატიურეს ციხეში, თავს დაესხნენ და ცეცხლსასროლი იარაღით ჭრილობები მიაყენეს. ასეთი უამრავი ფაქტია.

— როცა ასეთ ფართომასშტაბიან ამნისტიასთან გვაქვს საქმე, გარკვეულწილად იზრდება კრიმინალიც, მაგრამ სიტუაცია კონტროლიდან არ გამოსულა, პოლიცია ყველაფერს აკონტროლებს და არც მასობრივი და თვალშისაცემია კრიმინალური შემთხვევები.

— თქვენს მეგობარ მარგველაშვილზე იმასაც ამბობენ, რომ პრეზიდენტობისთვის შეუფერებლად და ზედმეტად პატიოსანი ადამიანია.

— სამწუხაროა, რომ საქართველოში პატიოსნება და კეთილსინდისიერება პოლიტიკოსის ნაკლად მიაჩნიათ. ეს არასწორი, დამახინჯებული წარმოდგენაა. ზედმეტად პატიოსანი არ არსებობს. ადამიანი ან ხარ პატიოსანი, ან — არა. გიორგი მარგველაშვილი პატიოსანი კაცია. უდაოდ განათლებული, წესიერი და პრინციპულია. მისი პრინციპულობა განათლების მინისტრობის დროს გამოჩნდა, როცა დაუპირისპირდა გამომცემლების ჯგუფს, ბენდუქიძეს... კარგი მენეჯერია — „ჯიპა" ნულიდან გააკეთა და საუკეთესო სასწავლებლად აქცია. არ არის გარეული პოლიტიკურ ინტრიგებში. ჩვენი ამოცანაა, 28 ოქტომბრის მერე გიორგი მარგველაშვილი მთავრობის პარტნიორი იყოს და პრობლემები მოაგვაროს. ვინმესთვის რაიმე სახის შავი პიარის კეთებას არ ვაპირებთ. ამის არც დრო გვაქვს და არც სურვილი.

— არადა, რა კარგად გეხერხებათ შავი პიარის კეთება.

— მე სააკაშვილს ღიად ვებრძოდი. ახლა აღარ არის ის დრო, ბურჯანაძეს ან ბაქრაძეს რაღაცეები შევახსენოთ, რადგან ჩვენი მხრიდან ეს არ იქნება სწორი და სოლიდური.

— ადიარეთ, რომ ხალხი „ქართული ოცნებისგან" აშკარად ბევრად მეტს ელოდა, ვიდრე მიიღო.

— რთულია კოაბიტაციის რეჟიმში ცხოვრება. რაღაცეების შეცვლას კანონის მიღება სჭირდება. სააკაშვილმა ახლაც დაადო ვეტო კანონს. ელჩებს არ ნიშნავს, ჩვენი საგარეო თემები პრობლემაა. დადის და ლანძღავს საქართველოს, რაც ინვესტიციებს აფერხებს. მართლმსაჯულებაში უხეშად ერევა. მისი მომხრე ჩინოსანი კანონის მიხედვით დაიჭირეს და გაასამართლეს, მან კი გამოუშვა. ამ პირობებში სამართლიანობაზე ლაპარაკი ზედმეტია. კიდევ კარგი, ვანო მერაბიშვილს და ახალაიას არ აქვთ მისჯილი, თორემ იმათაც გამოუშვებდა.

— ტელეკომპანია „მაესტროზე", სადაც საპარლამენტო არჩევნების დროს თქვენც მუშაობდით, დიდი ამბები ტრიალებს. მამუკა ღლონტი ამბობს, რომ ხელისუფლების ერთ-ერთმა ფრთამ მას შემდეგ, რაც ვერ შეძლო „მაესტროს" დამორჩილება, მათ წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო. ხომ არ იცით, რა ხდება?

— არაფერიც არ ხდება. „მაესტროს" ხელმძღვანელობამ ვერ ააშენა ისეთი ტელევიზია, რომელიც კომერციულად მომგებიანი იქნებოდა. ჩემი აზრით, მათ რამდენიმე წარუმატებელ პროექტში ჩადეს ფული. იქიდან რეკლამა ვერ შეუვიდათ და, ცხადია, ფინანსური პრობლემები შეექმნათ.

„ზედმეტად პატიოსანი ან ხარ პატიოსანი, ან — არა. გიორგი მარგველაშვილი პატიოსანი კაცია. უდაოდ განათლებული, წესიერი და პრინციპული".

— და მაინც, მამუკა ღლონტი აცხადებს, რომ ხელისუფლებას მისგან ახალი ერისა კიწმარიშვილის შექმნა სურს.

— მამუკა ღლონტს მოვუნოდებ, როცა ასეთ რამეებს ამბობს, დააკონკრეტოს, ვინ და როგორ ცდილობს ამის გაკეთებას. არ შეიძლება აბსტრაქტული ლაპარაკი. როცა ასეთ მძიმე ბრალდებას აყენებ, არ შეიძლება აღელვებულმა, ემოციის საფუძველზე ჰაერში ილაპარაკო. ბრძანოს კონკრეტულად, რადგან ჩემთვის, როგორც „ქართული ოცნების" და გიორგი მარგველაშვილის პიარის ხელმძღვანელისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია ეს თემა. თუ არ იტყვის, ჩავთვლი, რომ ეს იმ ადამიანის ემოციური წამოძახილია, ვინც რაღაც მიზეზებს იგონებს იმის გადასაფარად, რომ საქმე კარგად არ წაუვიდა. ჟიჟილაშვილმაც და სიჭინავამაც, რომლებმაც „მაესტრო" დატოვეს, თქვეს, რომ მათზე ზეწოლა არ ყოფილა. რამდენადაც ვიცი, იქ ფინანსური პრობლემები იყო.

— ისევ ნანუკა ყორჟოლიანს უნდა დაეესესხო. თქვენზე თქვა, დარწმუნებული ვარ, კარგად უნდიანო.

— ჩემი შემოსავალი ყველა საშტატო დოკუმენტში იქნება დაფიქსირებული და შეგიძლიათ ნახოთ.

— ეს შემოსავალი იმაზე მეტია, ვიდრე ტელეკომპანია გიხდიდათ?

— არა, ნაკლებია, მაგრამ ეს სხვა აზარტია, სხვა გამოწვევაა და მომწონს! აქ არ მოდიან ფულის საკეთებლად, აქ მოდიან, რომ საქმე გააკეთონ, ძალიან მნიშვნელოვანი კამპანია ჩაატარონ და მერე თქვან, რომ მათ დოსიეში არის გამარჯვებული პრეზიდენტისთვის ჩატარებული კამპანია. ფული არ არის პრობლემა. ტელევიზიიდან რომ წამოვედი, კონტრაქტის თანახმად, გარკვეული ანაზღაურება მომცეს დამატებით.

— კონტრაქტი შეწყვიტეთ და დამატებით მოგცეს ანაზღაურება?

— კონტრაქტის ნებაყოფლობით გაწყვეტა მოხდა და დამატებითი ანაზღაურება მომცეს. კანონით ასეა.

— მე რომ ახლა ჩემს ხელმძღვანელებს მოულოდნელად გამოვუცხადო, სამსახურიდან მივდივარ-მეთქი, კანონით, ჯარიმას გადავიხდი.

— ჩვენ შევთანხმდით. მე არ დამირღვევია კონტრაქტის პირობები. ყველაფერი კანონიერად, ორივე მხარის თანხმობით მოხდა. ძალიან მომწონს, რასაც ახლა ვაკეთებ.

— ტელეკეთერს სულ ჩამოშორდით? თუ მარგველაშვილი პრეზიდენტი გახდება, ალბათ მისი პიარის ან პრესის სამსახურში დარჩებით.

— ვნახოთ, რა იქნება მომავალში. პრეზიდენტს მერე ისეთი პიარი აღარ სჭირდება, როგორიც წინასაარჩევნოდ. მოკლედ, არ დავიკარგები! დიდი ალბათობით, ეთერს დავუბრუნდები.

— ისევ „მეცხრე არხს"?

— რა თქმა უნდა, „მეცხრე არხი" ჩემი საყვარელი არხია და იქ მომუშავე ადამიანებიც მიყვარს.

— ასევე ამბობენ, რომ „მეცხრე არხზე" თქვენი გავლენა საგრძნობი იყო და გარკვეულ პროცესებს მართავდით.

— არ მგონია, რომ იქ რაღაცას ვმართავდი. უბრალოდ ისეთი კარგი მენეჯერი, როგორიც ლუბა ელიაშვილია, ჩემს რჩევებს ითვალისწინებდა. სრული კომფორტი გვქონდა ერთმანეთთან ურთიერთობაში.

— „მეცხრე არხის" რეიტინგი რომ ძალიან დაბალია?

— ეგ იმიტომ ჰქონდა დაბალი რეიტინგი, რომ მხოლოდ ერთ ტელევიზორში გადიოდა და ახლა ბევრში გადის. ბევრ სიხშირეზე გავიდა და მალე რეიტინგს აკრეფს. „მეცხრე არხი" სამი თვეა, რაც ახალ სტუდიაში გადავიდა. აქამდე ცუდი ხარისხის სტუდიიდან მაუწყებლობდა. ახლა ძალიან მაღალი ხარისხის, ყველაზე კარგი სტუდია აქვთ საქართველოში. სხვადასხვა სიხშირეზეც გავიდა და რეიტინგი აუცილებლად ექნება.

✓ **რუსუდან ადვაძე**

ნათელმხილველი
სელინა
მკითხაობს ტაროს
კარტზე და ყავაზე
აკეთებს თილისმებს
და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58

Cyan Magenta Yellow Black

„ჩემს დაქალს ბინძური ჭორი გაუვრცელეს“

ჩემს დაქალი მყავს, რომელსაც ისე ვენდობი, როგორც საკუთარ თავს. უზომოდ კარგი ადამიანია. პატარაობიდან სითამამით გამოირჩევა. ბევრი მეგობარი ბიჭი ჰყავს, მაგრამ მათთან მხოლოდ მეგობრობს და სხვა არაფერი. მე სულ მის გვერდით ვარ, კარგად ვიცი, რას აკეთებს, როგორ ცხოვრობს, ამიტომ თავს დავდებ, რომ ცუდს არაფერს აკეთებს.

ის ძალიან ლამაზი გოგოა. დედამისი უცხოეთში მუშაობს და შვილს არაფერს აკლებს, საუკეთესოდ აცმევს, საუკეთესო მოდელის ტელეფონებს თუ კომპიუტერებს ყიდულობს. ამის გამო ბევრს შურს მისი და იმაზე ფიქრობენ, რა დაუშავონ. ახლა კი ბოროტმა გოგოებმა ძალიან ცუდი რაღაც მოუგონეს.

ჩემს დაქალს მეზობელი ბიჭი ჰყავს, ჩვენზე უფროსია და მასთან ძალიან ახლო ურთიერთობა აქვს, რამდენჯერმე სკოლაშიც მოაკითხა. ჩვენმა შურიანმა კლასელმა გოგოებმა კი მოუგონეს, რომ საყვარლები არიან. ამ ბინძურმა ჭორმა თავზარი დამცა. იმ გოგოებს კი საკადრისი პასუხი გავეცი, მაგრამ ხალხი უკვე ჭორაობს და ყველას სათითაოდ პირს ვერ ამოუკერავ.

ჩემი მეგობარი ამ ჭორმა გაანადგურა, სახლში ჩაიკეტა, აღარავის ეკონტაქტება, სულ ტირის. ხმებმა დედამისის ყურამდეც მიაღწია და გაგიჟდა. შვილს დაურეკა და უთხრა, მე აქ წელებზე ფეხს ვიდგამ, რომ შენ კარგად იყო, არაფერი მოგაკლდეს, შენ კი ხალხი აალაპარაკეო. დედამისს მეც ველაპარაკე და ავუხსენი, რომ ეს საშინელი ჭორი იყო და მსგავსი არაფერი ხდებოდა, მაგრამ ჩემი მოსმენაც არ ისურვა. მითხრა, ყველა შემთხვევაში დამნაშავეა, ხალხს სალაპარაკო რატომ მისცაო. ძალიან მეშინია, ჩემი მეგობარი დეპრესიაში არ ჩავარდეს. ინტერნეტიც კი გამორთო, რომ არავის დაეკონტაქტოს. ამბობს, დედაჩემს იმედები გავუცრუეო.

მეც ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ჯერ ერთი, ჩემმა მშობლებმა მკაცრი კონტროლი დამიწესეს, მეუბნებიან, შენი მეგობარი თუ რამე ცუდს ჩადის, შეიძლება შენც მისნაირი იყო, სხვაგვარად საერთო ენას ვერ მონახავდითო. მეორეც, მკაცრად გამაფრთხილეს, რომ მასთან მეგობრობა დავივიწყო. მამამ მითხრა, ახლოს არ გაეკარო, თორემ ჩემი სახლის კარს ვეღარ შემოაღებ, ტალახიანი ღორი სხვებსაც სვრისო.

ამის გაგონებაზე გული შემეკუმშა. ის გოგო ძალიან კეთილია, ნამდვილად არ იყო ღირსი, ხალხს რომ მასზე ასეთი ცუდი რაღაცეები ელაპარაკა. მასთან სახლში ვერ მივდივარ, რადგან მშობლების მეშინია. ვიცი, საშინელ დღეში ჩამაგდებენ. მეგობარს ახლა ვჭირდები, მე კი მის გვერდით დგომა არ შემიძლია.

ამ წერილს ალბათ ის გოგოებიც წაიკითხავენ, ასეთი ბინძური ჭორები რომ გაავრცელეს. ამიტომ მინდა, მათ ვუთხრა, რომ ეშინოდეთ, თავიანთი ბოროტება უკან დაუბრუნდებათ. სხვისი ცხოვრების დამახინჯების უფლება არავის აქვს და, თუ ვინმე ამას ცდილობს, ბოროტებითვე მიეზღვება. დაფიქრდნენ და თავიანთი შეცდომა გამოასწორონ, აღიარონ, რომ ადამიანს ცილი დასწამეს.

თქვენი ერთგული მკითხველი, 16 წლის

„საკუთარ კარში გატანილი გოლის გამო მწვრთნელი მკაცრად მსჯის“

7 წლის ვიყავი, მამამ ფეხბურთზე რომ მიმიყვანა. მას შემდეგ ამით ვცხოვრობ, ძალიან მიყვარს. ყველგან ბურთით დავდივარ და ვთამაშობ, კარგი შედეგებიც მაქვს, მაგრამ...

წელს ძალიან მკაცრი მწვრთნელი მოგვივიდა. ადრე სხვა გვყავდა და ის საოცრად კარგი ადამიანი იყო, ყველას გვიყვარდა. მომთხოვნი კი იყო, მაგრამ ბავშვებს თბილად გვექცეოდა. ახალ მწვრთნელთან ურთიერთობა კი ძალიან რთულია. ისეთ რაღაცეებს გვეუბნება, რომ პატივისცემას ნამდვილად არ იმსახურებს.

ბოლო დროს ამხანაგური შეხვედრა გვქონდა. სხვადასხვა ქალაქის გუნდები ერთმანეთს შევხვდით. მე ძალიან დავითარსე, პირველივე ტაიმზე საშინელი მარცხი ვიწვნიე, პენალტი დავარტყი, მაგრამ გოლი ვერ გავიტანე. მეორე ტაიმში კი ბურთი საკუთარ კარში შევაგდე. ახლაც არ ვიცი, ეს როგორ დამემართა, მაგრამ ამგვარი რამ გამოცდილ ფეხბურთელებსაც მოსდით.

ჩემი მასწავლებელი ისტერიკაში ჩავარდა. მატჩი დამთავრდა თუ არა, მაშინვე თითი ჩემკენ გამოიშვირა და ბავშვებს მიმართა, აი, ამ ვაუბატონის გამო დამარცხდითო. თანაგუნდელებმა უთხრეს, ასეთი რამ ყველას შეიძლება დაემართოს, ასე გასაზვიადებელი არაფერიაო. ახლაც ვერ ვხვდები, მწვრთნელმა ეს სიტყვები რატომ თქვა, რატომ უნდოდა, რომ მთელი გუნდი დამპირისპირებოდა.

ახლა კი უარესი რაღაც გააკეთა. გუნდი სპორტულ შეკრებაზე უნდა წავსულიყავით, მან კი გამომიცხადა, შენ ვერ წამოხვალ, იმ წაგებული მატჩის გამო დასჯილი ხარო.

მე ყველაზე კარგად მაშინ ვგრძნობ თვს, როცა ბიჭებთნ ერთად სადმე მივდივარ. ამ დროს გუნდი თითქოს იკვრება, კარგადაც ვთამაშობთ და განწყობაც განსაკუთრებული გვაქვს. ახლა კი იმის წარმოდგენაც არ მინდა, რომ ბიჭები შეკრებაზე უჩემოდ წავლენ. კი, შეცდომა დავუშვი და ჩემ გამო წააგეს, მაგრამ შეკრებაზე წასვლა ნამდვილად დავიმსახურე. რატომ იმ გოლებს და გამარჯვებებს არ თვლის, რაც გუნდს ადრე მოვუტანე?

მწვრთნელი აშკარად ვერ მიტანს, მაგრამ ვერ მივხვდი, ამის ნამდვილი მიზეზი რა არის. ერთმა თანაგუნდელმა მითხრა, ეგ ჩვენს ძველ მწვრთნელს ვერ იტანდა, ამიტომ ყველა სძულს, ვინც მას უყვარდაო. თუ მართლა ასეა, მაშინ გამოდის, რომ მოედანზე გასვლას არც მაღირსებს და სათადარიგო სკამზე ჩამომახმობს.

აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. სიტუაციის გამწვავება, ჩივილი და ასეთი რაღაცეებიც არ მინდა, მაგრამ ვერც იმას ვხვდები, ამ ადამიანს რა მოვუხერხო.

„სარკის“ მკითხველი, 15 წლის

«როდემდე დავმალავ, რომ ძმას აიპოდი გავუტეხე?»

ამდენიმე დღის წინ ცუდი ამბავი შემემთხვა — ძმას აიპოდი გავუტეხე. მე 13 წლის გოგო ვარ, ჩემი ძმა კი უფროსია. ის არ მემეგობრება, პირიქით, სულ მიყვირის და ჩემს დამცირებას ცდილობს. ახლა თავის ძმაკაცთან ერთდ დასასვენებლადაა. აიპოდი სახლში დარჩა, ამაზე ძალიან ინერვიულა, მშობლებს ურეკავდა, გამომიგზავნეთო, მაგრამ ჩვენებმა ვერ მოახერხეს. იმის მერე არც მოუკითხავს, ეტყობა, კარგად ერთობა და ამისთვის არ სცალია.

მე ვიფიქრე, სანამ სახლში არ არის, ვისარგებლებ და აიპოდს ვიხმარ-მეთქი, მაგრამ ერთი საათიც არ იყო გასული, რომ გამიტყდა. მშობლებსაც ვერ ვეუბნები, რაც დამემართა, რადგან ვიცი, საშინელ დღეში ჩამაგდებენ. ჩემი ძმა რამდენიმე თვის განმავლობაში ეხვეწებოდა მათ, აიპოდი მიყიდეთო, მე კი გავუტეხე.

სიმართლე რომ გამჟღავნდება, ყველას საშინელი რეაქცია ექნება. მე კი აღარ ვიცი, ეს ყველაფერი როგორ ვთქვა. მინდა, ისეთი რამ მოვიფიქრო, რომ ძალიან არ დამსაჯონ. თქვენ რას მირჩევთ?

„სარკის“ მკითხველი

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე
ან ია ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:

1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დაანჭაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაგეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru

ანონიმურობა დაცულია

Cyan Magenta Yellow Black

«ჩემი მშობლები რძალს თავს ევლებიან, მე კი ყურადღებას აღარ მაქცევენ»

16 წლის ვარ. ერთი ძმა მყავს, რომელიც 6 წლით უფროსია ჩემზე. იანვარში ცოლი მოიყვანა და ჩემს ცხოვრებაშიც ყველაფერი აირია. ყველა იმ გოგოს ევლება თავს, მე კი ისე მექცევიან, თითქოს არ ვარსებობდე. პრინციპში, მათთვის არც ვარსებობ, რადგან ზედ არავინ მიყურებს.

სანამ ჩვენს ოჯახში ახალი წევრი შემოვიდოდა, ყველაფერი კარგად იყო, ყველა მათამამებდა. ძმა ჩემს სახელს იფიცებდა, ამბობდა, ყველაზე ძალიან ჩემი და მიყვარსო. იმ გოგომ კი ყველაფერი არია. ჩემი ძმა ძალიან შეიცვალა, საერთოდ აღარ აინტერესებს, რა მინდა, რა მაწუხებს, სულ თავის ცოლს დასტრიალებს. ჩემი მშობლებიც თითის წვერებზე დადიან, იმას ფიქრობენ, რა ასიამოვნონ. ახლა ორსულად არის და საერთოდ ლამის გაგიჟდნენ. ისე იქცევიან, თითქოს მათ გარდა შვილიშვილს არავინ ელოდება. დედაჩემი სპეციალურად მისთვის ამზადებს საჭმელებს, წვენებს უწურავს, სულ მისი ცხოვრებით ცხოვრობს. მე კი აჩრდილად ვიქეცი, ვერავინ მამჩნევს.

ახლახან ცოლ-ქმარი დასასვენებლად გაუშვეს. საუკეთესო კურორტი შეურჩიეს საუკეთესო პირობებით. მშობლებს ვეხვეწები, მეც გამიშვით დასასვენებლად-მეთქი, მაგრამ ამბობენ, ფული არ გვაქვს, ამდენი არ შეგვიძლია, წელს უნდა მოითმინოო. ვეკითხები, ისინი თუ გაუშვით, მე რატომ მჩაგრავთ-მეთქი. გასაგებია, რომ უნდა დაესვენათ, მაგრამ მათთვის ცოტა მოეკლოთ, ისეთ ძვირადღირებულ დასვენებას ნუ მოუწყობდნენ და მეც დავისვენებდი. მართალია, ამბობენ, ორსულად არის და ასე იმიტომ ვიქცევითო, მაგრამ ფეხმძიმედ რომ არ იყო, მაშინაც იმავეს აკეთებდნენ.

უკვე ძალიან მიჭირს რძლის ატანა, რადგან მის გამო დავიჩაგრე. ის ყველას ისე აჩვენებს თავს, რომ ძალიან უსუსურია და ამიტომ ყველა თან უნდა გადაჰყვეს. მას ძალიან კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ ასე არ არის. ხვდება, მის გამო როგორ ვიჩაგრები, მაგრამ სინდისი არ აწუხებს.

მკითხველი

„სტუდენტობის სიხარული შეყვარებულის ღალატმა გამიფერფლა“

3 ერასოდეს ვიფიქრებდი, ჩემი სიყვარული ასე თუ დამთავრდებოდა. მეცხრე კლასიდან ერთი ბიჭი მიყვარს. მასაც ვუყვარდი, მეუბნებოდა, რომ სურდა, მთელი ცხოვრება ჩემ გვერდით ყოფილიყო. წელს მისაღები გამოცდები ჩავაბარე, სტუდენტი გავხდი, მაგრამ ეს სიხარული გამიფერფლდა, შეყვარებულმა გამომიცხადა, რომ მშორდება, რადგან აღარ ვუყვარვარ. საერთოდ აღარაფერი მიხარია. არც კი ვიცი, ასეთ ცხოვრებას რა აზრი აქვს, რადგან ის უზომოდ მიყვარდა და ახლაც მიყვარს.

უკვე რამდენიმე თვეა, რაც ვატყობ, რომ ჩემ მიმართ შეიცვალა, გაცივდა. დაქალები ერთ ჩვენს საერთო ნაცნობზე მეუბნებოდნენ, შენს შეყვარებულს ეპრანჭება და ხშირად ერთადაც არიანო, მაგრამ ჩვენი სიყვარულის იმდენად მწამდა, რომ ამას ყურადღება არ მივაქციე. ჩემ მიმართ სიცივეს რომ იჩენდა, ვსაყვედურობდი, მაგრამ თავს იმართლებდა, ამაში დამნაშავე შენ ხარ, ჩემთვის ვერ იცლიო. ასეც იყო, ბევრს ვმეცადინეობდი და მისთვის დრო არ მრჩებოდა. წესით, შეყვარებულს ჩემთვის უნდა გაეგო, რადგან მომავალ წელს ჩემს დღეში თავადაც იქნება და მიხვდება, რას ნიშნავს აბიტურიენტობა.

მეგობრები მართლები აღმოჩნდნენ, ჩვენი დაშორების მიზეზი სწორედ ის გოგოა. თურმე დიდი ხანია ერთად არიან, მე კი გვიან გავიგე. ახლა ძალიან ცუდად ვარ, არც კი ვიცი, ცხოვრება როგორ გავაგრძელო.

თქვენი ერთგული მკითხველი

„ჯობია, იცოდე, რომ მშიშარაა, ვიდრე ვაჟკაცი გეგონოს და ხელში არაკაცი შეგრჩეს“

ქურნალ „სარკის“ 32-ე ნომერში დაიბეჭდა წერილი — „საყვარელმა ბიჭმა ატრაქციონზე შემარცხვინა“. მინდა, ამ გოგოს მივმართო, რომ ემოციების გამოხატვა სირცხვილი არ არის.

მეც გოგო ვარ, 16 წლის. მყავდა შეყვარებული, რომელიც ჩემთვის ძალიან მაგარი ადამიანი იყო. მეგონა, ჩემი ყველანაირად ესმოდა, მაგრამ ძალიან შევცდი. იმ ვითომ ვაჟკაცმა ადამიანმა უამრავი რამ დამიშავა. ახლაც რომ მახსენდება, ცუდად ვხდები. ნამდვილი რაინდი მეგონა, ვფიქრობდი, რომ ქალთან არაფერი შეეშლებოდა, მუდამ თავდაჭერილი იყო, ზედმეტ სიტყვას არ იტყოდა.

ერთ დღეს კლასელები ექსკურსიაზე წავედით, ისიც გამოგვყვა. ეს საქციელი მოვუწონე, ვიფიქრე, რომ ჩემი მარტო გაშვება არ უნდოდა და ასე იმიტომ მოიქცა, მაგრამ იქ არც გავხსენებივარ, ისე მოილხინა. ჩემს კლასელ გოგოებს უცებ დაუმეგობრდა და მათთან მხიარულად ატარა დრო. მე ძალიან ვიეჭვიანე და ამის გამო სერიოზული ჩხუბი მოგვივიდა, მან კი ყველას თვალწინ გამლანძღა, მაგინა. ისეთი შეურაცხყოფა ჩემთვის არავის მოუყენებია, ტირილით მოვკვდი. რა თქმა უნდა, მას დავშორდი და იმ დღის შემდეგ მისი სახელის გაგონებაც კი არ მინდა.

ერთი სიტყვით, ვითომ რომ ვაჟკაცობენ, სინამდვილეში ხშირ შემთხვევაში ყველაზე ლაჩრები არიან. კაცი რომ გოგოს ყველას თანდასწრებით აგინებს, ის ლაჩარია და არა — ვაჟკაცი. ასე რომ, ბიჭის შეფასება არ შეიძლება იმით, ატრაქციონზე თავისი ემოცია რომ გამოხატა. ჯობია, იცოდე, რომ მშიშარაა, ვიდრე ვაჟკაცი გეგონოს და ხელში არაკაცი შეგრჩეს.

„სარკის“ ერთგული მკითხველი

„ჩემმა ბიძაშვილმა შეყვარებულის გამო ბიჭი დაჭრა“

ქურნალ „სარკის“ 32-ე ნომერში დაიბეჭდა სტატია, სათაურით „შეყვარებული ჩემ გამო დააპატიმრეს“. გოგოები ძალიან დიდ შეცდომას უშვებენ, როცა თავიანთ საქმეებს შეყვარებულებს აგვარებინებენ.

ჩემი ბიძაშვილი შეყვარებულს კინალამ ემსხვერპლა. იმ გოგომ ერთ ბიჭზე უთხრა, სიყვარული ამიხსნა, ჩემს შებმას ცდილობსო. ჩემი ბიძაშვილი კი იმ ბიჭთან მივიდა, ჩხუბი მოუვიდათ და დაჭრა. მადლობა ღმერთს, გადარჩა, თორემ ჩემს ბიძაშვილს მთელი ცხოვრება მკვლელის სახელი ექნებოდა. ამ ამბავს რომ ვიხსენებ, ახლაც ეკლები მაყრის ტანზე, რადგან მთელმა ოჯახმა საშინელი დღეები გამოვიარეთ.

ყველა გოგოს მივმართავ, თქვენი საქმეები თქვენვე მოაგვარეთ და შეყვარებულებს საფრთხეში ნუ ჩააგდებთ!

„სარკის“ მკითხველი

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

მალხაზ გოგიაშვილი: „ცეცხლმოკიდებულ სახლში შესვლა ყველანაირ შიშს მავიწყებს“

მალხაზ გოგიაშვილისთვის 27 წელია საკუთარი სიცოცხლის გარისკვა ყოველდღიურ საქმედ იქცა. ის მაშველმეხანძრეა, საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს სახანძრო ოპერატიული განყოფილების მთავარი სპეციალისტია. შიშის განცდა თითქმის დაკარგული აქვს, ცეცხლმოკიდებულ სახლში თამამად შერბის. თავს ყველაზე ცუდად მაშინ გრძნობს, თუ ვინმეს სიცოცხლის გადარჩენა ვერ შეძლო. ყველა ის შემთხვევა ახსოვს, რომლებიც ტრაგიკული შედეგით დასრულდა. ამ შეგრძნების გადაფარვა მხოლოდ იმ წუთებს შეუძლია, როცა გადარჩენილი ადამიანების თვალებს ხედავს.

— ბატონო მალხაზ, როცა გამოძახებაზე მიდიხართ, წინასწარ ყოველთვის იცით, რამდენად დიდია საფრთხე თუ ამას ადგილზე მისულები იგებთ?

— ფაქტობრივად, ყველა გასვლა გარკვეულ საფრთხეს შეიცავს, ეს საფრთხე ხანნაკლებია, ხანაც მეტი. გამოძახებაზე გასვლა უკან დაბრუნებამდე სახიფათოა. ხშირ შემთხვევაში, შველა არამხოლოდ ხანძრის კერასთან სჭირდებათ ხოლმე, რადგან კვამლთან ერთად ცეცხლი ზედა სართულებზეც ადის. ასეთ დროს ხალხის ევაკუაციაც კია საჭირო.

ყველაზე მძიმე შემთხვევა მახსენდება, რომელიც სოფელ გლდანის დასახლებაში მოხდა. ბავშვებმა ეზოში ითამაშეს, შემდეგ სახლში შევიდნენ, სადაც შეშის ღუმელი ენთო. არ ვიცი, იქ რა გააკეთეს, მაგრამ ხანძარი გაჩნდა. სამი ბავშვი გარეთ გავარდა, ის კი, ვინც, სავარაუდოდ, დააშავა, უკანა ოთახში საწოლის ქვეშ დაიმალა. ვიკითხეთ, იყო თუ არა შიგნით ვინმე და აღმოჩნდა, რომ ბავშვი ოთახში დაიწვა. ჩვენ კი გამოვიყვანეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ორი დღე იცოცხლა. ამ ბავშვის ძებნის მომენტში ძალიან დიდი საშიშროება იყო, მთელი ჭერი ჩამოქცეულიყო და ჩვენც შიგ მოვყოლილიყავით, თან კვამლის და დიდი აალების დროს ვერაფერს ხედავ, სად რა ხდება. ხელების ცეცებით შევედით იქ. სამწუხაროდ, ბავშვის გამოყვანა დაგვიანდა.

— ასეთ წუთებში შიშის გრძნობა არ გაჩნდებათ?

— თავიდან შესვლა ჭირს, მაგრამ როცა იცი, რომ იქ ვიღაც არის და მასზე მეტი შეგიძლია, ეს შიშს გავიწყებს. ხანძრის დროს ყველაზე დიდი საფრთხე შენობის ჩამონგრევაა. ელექტროსადენებზე აღარაფერს ვამბობ, რომლებიც შეიძლება ვერ დაინახო. მქონია შემთხვევა, როცა დენს ძლიერად დაურტყამს. როცა შემთხვევიდან გამოვსულვართ, ბევრჯერ დავფიქრებულვართ, თუ როგორი საშიში მდგომარეობა იყო.

— როცა ამ პროფესიას ირჩევდით, მაშინ არ გიფიქრიათ, თქვენს სიცოცხლეს როგორი რისკის ქვეშ აყენებდით?

— სიმართლე გითხრათ, არა. უკვე 27 წელია, რაც აქ ვარ. სამხედრო სამსახურის შემდეგ პირდაპირ დავიწყე მუშაობა. ამ სფეროსთან ბავშვობიდანვე მქონდა შეხება. მამაჩემი კასპის რაიონში სახანძრო რაზმის უფროსად მუშაობდა, მანაც რიგითი მეხანძრიდან დაიწყო და ამ პოსტამდე მივიდა. ცეცხლზე ბევრი რამ ვიცოდი და აღბათ მამის როლმაც იმოქმედა. როცა არჩევანის წინაშე დავდექი, ეს სპეციალობა ავირჩიე. ამ საქმეში სხვებს ვამზადებდი, პოლიციის აკადემიაში 9 წელი ვიმუშავე, შემდეგ აქ მოვედი.

„სადმე პატარა ნაპერწკალიც რომ დარჩენილიყო, აფეთქებას გამოიწვევდა და დიდი კატასტროფა მოხდებოდა. შესვლა მე გავბედე! თან არ ვიცოდი, იქ რა ხდებოდა. იქიდან რომ გამოვედი, ხელები მიკანკალებდა, მაგრამ იმ მომენტში მხოლოდ ერთადერთ რამეზე, ავზის გადაკეტვაზე ვფიქრობდი. იქ იმ დროს იმდენი ნიუანსი გაქვს გასათვალისწინებელი, თვალყურმისადევნებელი, რომ აღარაფერზე ფიქრობ, გარდა იმისა, რომ რამე არ გამოგრჩეს და გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდეს, რამაც შეიძლება შენი სიცოცხლეც იმსხვერპლოს და სხვისიც.

— და არასდროს გინანიათ?

— არა, არასოდეს. ვფიქრობ, ჩემგან სხვა ვინმე არც გამოვიდოდა.

ძალიან იშვიათად, რომ დღე სერიოზული შემთხვევის გარეშე დასრულდეს. მახსოვს, ქვემო ფონიჭალაში 60 ტონიანი თითქმის სავსე ავზიდან გაჟონვა მოხდა. თხევადი გაზი აალდა და ცეცხლი გაჩნდა. პრობლემა ის გახლდათ, რომ ავზი ძალიან დიდი იყო. თავიდან ჩაქრობა არც გვიცდია, მხოლოდ მის გაგრილებას ვცდილობდით, რომ ცეცხლის არეალი არ გაფართოებულიყო, ავზი არ გაეცხელებინა და არ აფეთქებულიყო. თან იმ მხარეს ხალხით დასახლებული პუნქტია. საკმაოდ რთული შემთხვევა იყო. ავზის დაცლას ვერ შევძლებდით, ამას რამდენიმე დღე დასჭირდებოდა.

როგორც იქნა, ცეცხლი ჩავაქრეთ. იქ მათი სპეციალისტებიც იყვნენ, რომლებმაც გვითხრეს, რომ მთავარი იყო, ჩვენ ცეცხლი ჩაგვექრო და ავზს ისინი გადაკეტავდნენ. ჩვენ კი ჩავაქრეთ ხანძარი, მაგრამ ავზის გადაკეტვაზე უარი განაცხადეს, ეშინოდათ, არ აფეთქებულიყო. იძულებული გავხდი, მე შევსულიყავი. სხვა გზა არ იყო. ის რომ აალებულიყო, უკვე სხვა მასშტაბების ხანძარი იქნებოდა. თან ჩამქრალზე იქ გაზი მაინც გროვდებოდა, სადმე პატარა ნაპერწკალიც რომ დარჩენილიყო, აფეთქებას გამოიწვევდა და დიდი კატასტროფა მოხდებოდა. შესვლა მე გავბედე! თან არ ვიცოდი, იქ რა ხდებოდა.

— აცნობიერებდით, რა საფრთხის ქვეშ იყავით?

— იქიდან რომ გამოვედი, ხელები მიკანკალებდა, მაგრამ იმ მომენტში მხოლოდ ერთადერთ რამეზე, ავზის გადაკეტვაზე ვფიქრობდი. იქ იმ დროს იმდენი ნიუანსი გაქვს გასათვალისწინებელი, თვალყურმისადევნებელი, რომ აღარაფერზე ფიქრობ, გარდა იმისა, რომ რამე არ გამოგრჩეს და გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდეს, რამაც შეიძლება შენი სიცოცხლეც იმსხვერპლოს და სხვისიც.

— როცა ასეთ რთულ სიტუაციას დაძლევთ, რა შეგრძნება გეუფლებათ?

— აი, ეს შეგრძნება ყველაზე კარგია, ამ დროს ძალიან ამაყი ხდები. ავზის გადაკეტვა სხვამ ვერ შეძლო და მე შევძელი. წარმოიდგინეთ, საკუთარი სიცოცხლე როგორი ძვირფასია და ამ სიცოცხლეს სხვის გადასარჩენად საფრთხეში რომ ჩააგდებ და ეს გამოგივა — გადაარჩენ, იმ ბედნიერებას სიტყვებით ვერ გადმოგცემთ! გადარჩენილებიც მადლობას ისე გამოხატავენ, როგორც შეუძლიათ.

გლდანში გაზის აფეთქება მოხდა, სადაც ორი ბავშვი და ორსული ქალი იყო. ჩვენ ისინი გადავარჩინეთ. მართალია, შოკში იყვნენ, სიტყვას ვერ გვეუბნებოდნენ, მაგრამ მათი თვალები ყველაფერზე მეტყველებდნენ.

— როცა თქვენს მცდელობის მიუხედავად, შემთხვევა ფატალურად მთავრდება, მძიმედ განიცდით?

— ასეთ დროს ძალიან ცუდი კი არა, საშინელი განცდაა. ახლახან, მახსოვს, დაკეტილი ბინა იწვოდა, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 16 წლის გოგონა იყო. სამწუხაროდ, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა, რადგან იმ ოთახში იმყოფებოდა, სადაც ცეცხლის კერა იყო. თან სახლში მარტო იყო. ასეთი შემთხვევისას საშინელი განცდა გეუფლება, მით უმეტეს, გამოსვლის შესაძლებლობა არ ჰქონდა. ჯანმრთელი რომ ყოფილიყო, შეიძლებოდა მოესწრო და გამოსულიყო. როცა გარდაცვლილს და, მით უმეტეს, ასეთ მდგომარეობაში გარდაცვლილს ხედავ, ფსიქოლოგიურად ძალიან მძიმე გადასატანია. ამ მდგომარეობიდან გამოსვლას და დავიწყებას დრო სჭირდება.

„ნახმოიდგინეთ, საკუთარი სიცოცხლე ოგორი ძვირფასია და ამ სიცოცხლეს სხვის გადასარჩენად საფრთხეში რომ ჩააგდებ და ეს გამოგივა — გადაარჩენ, იმ ბედნიერებას სიტყვებით ვერ გადმოგცემთ!“.

სიცოცხლე არის ის, რასაც აუცილებლად უნდა მოვუფრთხილდეთ. ის ერთხელ გვეძლევა. ეს ცხოვრება ისე უნდა გავიაროთ, რომ არც სხვამ თქვას და არც შენ, რისთვის მოვედი და რა გავაკეთეო. თუ რაღაც მოხდება, იმის განცდა უნდა გქონდეს, რომ სიცოცხლეს ტყუილად არ ჩაუვლია.

✓ ეკა ლემონჯავა

Cyan Magenta Yellow Black

გმირი ძმის სახელზე ჯარში წასული დის ისტორია

სოფო სოფრომაძე: „საკუთარ თავს ვერ ვპატიობ, რომ ომში მის გვერდით არ ვიუავი“

■ სოფო

■ შმაგი

ის ქალია, თუმცა ჯარისკაცად ინოდება. სამხედრო სამსახურში წასვლა 2008 წლის აგვისტოს ომში ჯარისკაცი ძმის დაღუპვის შემდეგ გადაწყვიტა და ავღანეთის მისია აირჩია. 31 წლის სოფო სოფრომაძე შმაგი სოფრომაძის დაა და უკვე სამწელიწადნახევარია, რაც სამხედრო ფორმას ატარებს. საინჟინრო ბრიგადის უზრუნველყოფის ასეულის სამედიცინო ოცეულის პუნქტის ექიმის თანაშემწე და ჯარისკაცია.

25 წლის შმაგი სოფრომაძე ტყვედ მაშინ აიყვანეს, როცა დაჭრილი ჯარისკაცები გამოჰყავდა. ის წამებით მოკლეს, რადგან მტრის ბრძანებას არ დაემორჩილა და ქართულ დროშას შეურაცხყოფა არ მიაყენა. შმაგი რამდენიმე თვის განმავლობაში დაკარგულად ითვლებოდა. ბოლოს მისი იდენტიფიცირება დნმ-ის ანალიზით მოხდა.

ოჯახისთვის ურთულესი იყო იმ ფაქტთან შეგუება, რომ მათ ქალიშვილს საომარ სიტუაციაში უნდა ემსახურა, მაგრამ მის გადაწყვეტილებას წინ ვერ აღუდგნენ. სოფომ 6 თვე იმსახურა ავღანეთში და წელს, 30 აპრილს, სამშობლოში დაბრუნდა, თუმცა გულში მალულად ისევ ატარებს ცხელ წერტილში წასვლის სურვილს. ამის შესახებ „სარკეს“ გაუმხილა.

— სოფო, ქალისთვის ძალიან უჩვეულო სამსახურში ხართ. ალბათ რაღაც დიდი ძერა მოხდა თქვენში, რომ გადაწყვიტეთ, ჯარისკაცის ფორმა ჩაგეცვათ და ავღანეთში წასულიყავით.

— ეს ჩემთვის უჩვეულო არ არის, პირიქით, დიდი ბედნიერებაა. გადაწყვეტილება 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მივიღე, მაგრამ ჯარში სამსახურის სურვილი მანამდეც მქონდა, რადგან ჩემი ძმა ჯარისკაცი იყო. ერთმანეთზე იმდენად ვიყავით დამოკიდებული, სულ მინდოდა, მის გვერდით ვყოფილიყავი. ბავშვობიდან ჩემი ძმის გარეშე არ შემეძლო, ტყუპებივით ვიყავით. მისი დაკარგვა ჩემთვის ყველაზე დიდი შოკი იყო, რაც კი შეიძლებოდა ცხოვრებაში მიმეღო. მასზე პატარა ბავშვივით ვიყავი დამოკიდებული, ძალიან სხვანაირი გახლდათ. მისი დაკარგვით მეგონა, სამყაროს დასასრული დადგა, ვეღარ ვაზროვნებდი.

ორი წელი ყველაზე ძალიან მიჭირდა. ქუჩაში რომ გავდიოდი, ყველა ადამიანში ჩემს ძმას ვეძებდი, ძალიან ბევრჯერ მიმიმსგავსებია სხვისთვის. ბოლოს გადავწყვიტე, მეც იგივე საქმე მეკეთებინა, რასაც ჩემი ძმა აკეთებდა. მაინტერესებდა, ჩემი ძმა ჯარში როგორ ცხოვრობდა.

— თქვენი შშობლების რეაქცია როგორი იყო, როცა ამ გადაწყვეტილების შესახებ შეიტყვეს?

— მშობლები ცოტა რთულად შეხვდნენ. დედისთვის ეს შოკი იყო, ძალიან ცუდად მიიღო, არ წახვიდე, ერთი შვილი დავკარგე და შენც რომ დაგკარგო, რა მეშველება, როგორი დედა ვიქნებიო. ვუთხარი, შენ ყველაზე მაგარი დედა იქნები, რომ სამშობლოს ასეთი შვილები გაუზარდე-მეთქი. მამას ცრემლები წამოუვიდა.

„მამას ვუთხარი, მოდი, ჰოგოჰცს მეგობარმა მეგობარს, გამიგე, შენ ხომ ამბობდი, ჰომ მეოჰე ბიჭი დაგჩჩა, ჰოდა, წავალ ავღანეთში-მეთქი“.

სულ ვამბობ, ადამიანმა ბევრი სიკეთე უნდა აკეთო ცხოვრებაში, რომ არ წაიქცე-მეთქი, თუმცა ზოგჯერ წაქცევაც საჭიროა ალბათ, რომ ადგომა შეძლო და ნორმალური ცხოვრება გააგრძელო. ჩემი ძმის დაღუპვამ გამაძლიერა, საკუთარი თავი დავარწმუნე, მე თუ წავიქცევი და ცუდად ვიქნები, ოჯახს უფრო მეტ ტკივილს მივაყენებ-მეთქი. თან შვილი მეზრდება, ამას გარდა, ორი ობოლი ძმისშვილი დამრჩა. ვფიქრობდი, რომ ჩემი ამ გადაწყვეტილებით ძმის სულს დავეხმარებოდი. რაც უნდა გავაკეთო, პირველ რიგში, ამას ჩემი ძმის და სამშობლოს სიყვარულით გავაკეთებ. რა ვქნა, ჩემთვის პირველ ადგილზე ჩემი ძმაა!

— სურვილი ერთია, მაგრამ ქალისთვის ჯარისკაცობა ძნელი არ არის?

— ზოგადად სამხედრო სამსახურში ყოფნა კაცისთვისაც რთულია. იმდენად ვიყავი მონდომებული და იმ ცხოვრებისთვის მომზადებული, რაც იქ უნდა გამევლო, რომ არ გამჭირვებია. ბევრი მეუბნებოდა, გოგო ხარ, თან შვილი გყავს, მის გარეშე გაგიჭირდებაო.

როცა პირველად ავღანეთში წავედი, დედა კინაღამ გაგიჟდა. აგვისტოს ომის დროს ჩემი ძმის ბატალიონი ერაყში იყო, ჩემებმა კი შმაგი ერაყში არ გაუშვეს. დედაჩემს ეშინოდა, მოკლავენო. მამას ვუთხარი, მოდი, როგორც მეგობარმა მეგობარს, გამიგე, შენ ხომ ამბობდი, რომ მეორე ბიჭი დაგრჩა, ჰოდა, წავალ ავღანეთში-მეთქი. მაშინ მამაჩემს თვალზე ცრემლები მოადგა. არც კი ვიცი, რა გითხრა, მაშინ ჩემი შვილი ერაყში რომ გამეშვა, დღეს ჩემ გვერდით იქნებოდა, ამიტომ წასვლას არ დაგიშლი, წადი, შენი იმედი მაქვს და ზუსტად ვიცი, დამიბრუნდებიო.

„ჰოცა დედა ტიჩის, ჩა მეშველებაო, სუე ვეუბნები, იმაზე იფიქჩე, ჰოგოჩი მაგაჩი შვიდი გაუზაჩდე სამშობლოს, ბევჩისთვის სანაატჩელიც ჯი ჩის, 25 ნელი იცხოვჩო და ასეთი სიკვდილით ნახვიდე, ეს დიდი პატივია-მეთქი“.

როცა ფორმა ჩავიცვი და ავღანეთში წასასვლელად სახლიდან გამოვედი, ძმისშვილები ცუდად გახდნენ. როგორც მამა დაიკარგა, მამიდაც ისე დაიკარგება, ჯარში არ წავიდეს, რუსებმა მამიდაც არ წაიყვანონო, ამბობდნენ. ეს ჩემთვის ძალიან ემოციური წუთები იყო.

— როცა უშუალოდ ავღანეთში ჩახვედით, როგორ გაართვით თავი იქაურ სამსახურს?

— ავღანეთში ყოფნა არ გამჭირვებია, ძალიან მობილიზებული ვიყავი, არ დავთრგუნულვარ, არ შემშინებია. როგორც ქალისთვის, მხოლოდ ის იყო რთული, რომ ამდენი მამაკაცის გარემოცვაში ვიყავი, მაგრამ მჯეროდა, რომ ყველაფერს შევძლებდი. ვფიქრობდი, შეიძლება ყველა ჯარისკაცზე მეტი მე გავაკეთო-მეთქი. ძალიან რთულია, ავღანეთში ჯარისკაცი იყო და ქართული ფორმა გეცვას, რადგან ქართველებს ძალიან საპასუხისმგებლო მისია გვაკისრია. რა მამხნევებდა, ძალას რა მაძლევდა, არ ვიცი. სულ დაძაბული ვიყავი. ჯარისკაცებს რაციაც კი წავართვი, რომ რამე არ გამომპარვოდა. შიშის მომენტი არასოდეს მქონია. ახლა რომ ვათვალიერებ ავღანეთში გადაღებულ ფოტოებს, ვიდეოებს, თითქოს განვიცდი, მაგრამ შიშს არც ახლა ვგრძნობ.

„ქუჩაში ჰომ გავდიოდი, ყველა ადამიანში ჩემს ძმას ვეძებდი, ძაღიან ბევჩჯეჩ მიმიმსგავსებია სხვისთვის. ბოლოს გადავწყვიტე, მეც იგივე საქმე მეკეთებინა, ჩასაც ჩემი ძმა აკეთებდა“.

ბიჭების დაღუპვამ ძალიან იმოქმედა, განვიცდიდი, იმ მომენტში იქ რატომ არ ვიყავი. ვერ გეტყვით, რას გავაკეთებდი, მაგრამ ამოჩემებული მაქვს, რომ აუცილებლად იქ უნდა ვყოფილიყავი. იმაზე ვნერვიულობ, აქამდე რატომ დავუჯერე სხვებს და ჯარში რატომ არ წავედი, რომ ომში ჩემი ძმის გვერდით ვყოფილიყავი. ამას საკუთარ თავს ვერ ვპატიობ.

როცა დედა ტირის, რა მეშველებაო, სულ ვეუბნები, იმაზე იფიქრე, როგორი მაგარი შვილი გაუზარდე სამშობლოს, ბევრისთვის სანატრელიც კი არის, 25 წელი იცხოვრო და ასეთი სიკვდილით წახვიდე, ეს დიდი პატივია-მეთქი.

— ჯარისკაცები როგორ აღიქვამენ, როგორც სუსტ არსებას თუ მათთან თანაბარი უფლებებით სარგებლობთ?

— მიფრთხილდებიან. ავღანეთში მეუბნებოდნენ, სოფო, ამას ხელი არ მოჰკიდო, სოფო, ჩანთას ჩვენ წამოვიღებთო და ასე შემდეგ. პატრულში მინდოდა ხოლმე წასვლა, მაგრამ უარს მეუბნებოდნენ. ამის გამო ვტიროდი, თქვენ ჯარისკაცად არ მთვლით, თქვენზე ნაკლები რითი

→32

Cyan Magenta Yellow Black

ვარ-მეთქი. ზოგჯერ ხმასაც არ ვცემდი.

ავღანეთში საქართველოს პრეზიდენტიც გავიცანი. ალბათ ბევრს ნიშნავს, ახალ წელს ქვეყნის პრეზიდენტი შენ გვერდით რომ ატარებს რთულ რეგიონში. პრეზიდენტი ჩემი გადაწყვეტილებით აღფრთოვანებული იყო. გამამხნევა. თქვა, ჩვენს ქვეყანას გადაშენება არ უწერია, რადგან ასეთი გოგონები ჰყავსო. შემდეგ ბიჭებს მიმართა, სოფოს თამადობით მთელ შეიარაღებულ ძალებს გაუმარჯოსო. ეს ჩემთვის ცოტა უხერხულიც კი იყო, რადგან ბიჭები ისეთ რამეს აკეთებდნენ, მე იმათთან შედარებით ნული ვიყავი.

— ვარეგნულად ნაზი ქალი ხართ. უნიფორმას, მძიმე იარაღის ტარებას როგორ უძლებდით?

— ფორმა ძალიან მიყვარს. რომ შემეძლოს, ქუჩაშიც ასე ვივლიდი. ბიჭების 5 წლისთავზე სასაფლაოზეც ფორმით ავედი.

— რა ვითარებაში დაიღუპა თქვენი ძმა, ამის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია გაქვთ?

— ომის დროს სატანკო ბატალიონში ტანკის მეთაური იყო, ბრძოლის ველიდან დაჭრილები გამოჰყავდა. ბოლოს ათმეთაური გამოიყვანა. მან უთხრა, მის მანქანას გაჰყოლოდა უკან, რადგან უკან დახევის ბრძანება მიიღეს, მაგრამ ჩემმა ძმამ უარი განაცხადა, დაჭრილებს ვერ მივატოვებო. უკან წავიდა და 7 ჯარისკაცთან ერთად ტყვედ ჩავარდა. შვიდივე დაბრუნდა, ჩემი ძმა კი, სამწუხაროდ, წამების მერე დახვრიტეს, რადგან ქართულ დროშაზე არ იცეკვა. მისი გარდაცვალების შესახებ ნოემბერში გავიგეთ, მანამდე ვეძებდით. ჯარში სამსახურის მეექვსე წელს დაიღუპა.

■ შმაგის ბიჭები

სანამ ომი დაიწყებოდა, ძალიან ცუდად ვიყავი, ღამეები არ მეძინა, ვერ ვისვენებდი. მშობლებს ვეკითხებოდი, რამე წინათგრძნობა ხომ არ გაქვთ-მეთქი. ზოგჯერ რაღაც ხმა მაღვიძებდა. ფანჯრიდან რომ ვიხედებოდი, მეჩვენებოდა, თითქოს წინ მდგარ კორპუსს ცეცხლი ეკიდა, შავებში ჩაცმულ ქალს ვხედავდი. ეს რამდენჯერმე დამემართა. როცა ომი დაიწყო, ვგრძნობდი, რომ ჩემს ძმას ვერასოდეს ვნახავდი.

შმაგი მუხათგვერდის სასაფლაოზეა დაკრძალული. მეტი დედმამიშვილი არ მყავს. როცა ტირილს დავიწყებდი, ჩემს 2-3 წლის შვილს, ელენეს, მისი სურათები მოჰქონდა, აჰა და აღარ იტიროო. ელენე ახლა 7 წლისაა.

— ძმისშვილები რამდენი წლისანი არიან?

— გიგი 8 წლის ხდება, ზაზა 6 წლისაა. მეკითხებიან ხოლმე, ჩვენ რომ გავიზრდებით, შენ კიდევ ჯარში იქნები, ხომ არ დაბერდებიო. ერთხელ თქვეს, ჩვენც ჯარში უნდა წავიდეთ, რუსებს ის მიწები უნდა წავართვათ, რომლებიც ჩვენ წაგვართვესო. ვუთხარი, აუცილებლად თქვენ გვერდით ვიდგები, როცა ჯარისკაცები გახდებით-მეთქი.

ელენეც სულ ამბობდა, მეც ჯარისკაცი უნდა გამოვიდეო, მაგრამ ახლა იმდენად აღარ ამბობს. ძალიან უყვარს, როცა ფორმაში მხედავს.

— პროფესიით ექიმი ხართ. თქვენი პროფესია ჯარში თუ გამოგადგათ?

— ჯარში იმიტომ არ წავსულვარ, რომ ექიმად მემუშავა. თავიდან ქუთაისში მივედი. იქ ჩემი ძმის მეგობრები მსახურობდნენ, რომლებთან ერთადაც ის გაიზარდა. მინდოდა, მათ გვერდით ვყოფილიყავი. გასაუბრებაზე ბრიგადის მეთაურმა ძალიან ბევრი კითხვა დამისვა. ამიხსნა, ჯარში როგორი ცხოვრებაც იყო. როცა დამინახა, ალბათ იფიქრა, ეს ჯარისთვის არ არისო. ვუთხარი, ძალიან მინდა, ჯარისკაცი გავხდე, პროფესიას მნიშვნელობა არ აქვს, მერე რა, რომ ექიმი ვარ, ჩვეულებრივ ჯარისკაცად მიმიღეთ და არა ექიმადმეთქი. შევეხვეწე, ყველაფერს გავაკეთებ და პირობას გაძლევთ, ჩემით იამაყებთ-მეთქი და ამიყვანეს კიდეც.

განსაკუთრებული სირთულეები არც მახსენდება, უბრალოდ ჯარში თავისი წესებია. თავიდან ცოტა ვჯიუტობდი, არავის ვუჯერებდი. შემდეგ ამ ყველაფერს მივეჩვიე. ვამბობ ხოლმე, მოურჯულებელი ჯარისკაცი ვარ-მეთქი. მინდა, ყოველი დღე, რომელიც ჩემს ცხოვრებაში თენდება და ნაბიჯი, რომელსაც ვდგამ, სიყვარულით იყოს სავსე.

— შვილის გაზრდაში ქმარი გეხმარებათ?

— არა, გაშორებული ვარ. ბავშვის აღზრდაზე ძალიან ვწვალობ. როცა ქუთაისში ვმსახურობდი, ძალიან მიჭირდა. ძიძა მყავდა, მაგრამ ხანდახან შაბათ-კვირასაც მიწევდა სამსახური, ამ დროს კი ძიძას არ ეცალა. ის პერიოდი ძალიან ცუდად მახსენდება, მაგრამ ჩემი შვილი ამ ამაგს აუცილებლად დააფასებს. ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდი. როცა ძიძას არ ეცალა, მე-9 სართულზე, ზამთარში, ჩართულ გაზის გამათბობელთან ბავშვს მარტო ვტოვებდი. სამსახურიდან ყოველ წუთას ვურეკავდი, მაგრამ ბოლოს ძალიან დავიძაბე, ყველა კუნთი დაჭიმული მქონდა, სანამ სახლამდე მივიდოდი.

შემდეგ თბილისში გადმოვედით. სადაც ჩემი რძალი და ძმისშვილები ცხოვრობენ, იქ ვიქირავე ბინა. ძმისშვილების და ჩემი შვილის გაზრდაში დედა გვეხმარება, ცოტა უჭირს, მაგრამ ვეუბნები, ჩვენ რომ გაგვზარდე, ახლა ესენი უნდა გაზარდო ისეთივე ძლიერები-მეთქი. ფსიქიკურად ძალიან ძლიერი ვყოფილვარ, ბევრი რამ გადავიტანე, ამას სუსტი ადამიანი ვერ გაუძლებდა.

— მთელი ამ ხნის მანძილზე, რაც ჯარში მსახურობთ, ან აკადემიაში, ან საქართველოში, ერთი წუთითაც არ გინანიათ, რომ ამ გზით წახვედით?

— მიუხედავად ბევრი სირთულისა, ჯარში წასვლა არ მინანია და არც ვინანებ, რადგან არასოდეს დამავიწყდება, ვინ ვარ. ჩემი ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა, რაც ცხოვრებაში ძმამ დამიტოვა, არის ის, რომ მისი და ვარ და ფორმა მაცვია.

ახლა ავღანეთში წასვლის სურვილი ისევ მაქვს, მაგრამ ჯერ მხოლოდ მამას გავუმხილე, დედისთვის არ მითქვამს.

✓ ეკა ლეშინგაია

თეონა ბაღდავაძემ საჭე ვერაფრით შეიყვარა

„ჩემი მანქანის მოძრაობაზე ყველა მიხვდება, რომ საჭესთან ქალია"

საქმიანი ქალის, კომპანია „ბილაინის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის, თეონა ბაღდავაძისა და ავტომანქანის „ურთიერთობა" მართლაც რომ რთულია. თეონას მართვის 10 წლიანი გამოცდილება აქვს, მაგრამ საჭეს ვერა და ვერ „დაუმეგობრდა". ხანდახან თავის მანქანაზე უარსაც ამბობს და ტაქსით დადის. შენიშვნებს ქმრისა და 4 წლის შვილისგანაც კი იღებს. არც ჯარიმების ნაკლებობას უჩივის. ყველაზე ხშირად ტელეფონზე საუბრისა და არასწორი პარკირებისთვის აჯარიმებენ.

„უბრალოდ მანქანა არ მიყვარს. ავტომობილი ჩემთვის არც პრესტიჟის ნიშანი არ არის და არც ფუფუნების. მანქანა ჩემთვის ყოველდღიური აუცილებლობა უფრო არის, ვიდრე სიამოვნება", — აღიარა თეონამ „სარკესთან".

— თეონა, როდის და რატომ გაჩნდა საჭიროება, რომ მანქანის საჭესთან დამჯდარიყავით?

— მანქანის მართვის დიდი სურვილი არასოდეს მქონია. როცა უკვე ვიცოდი, რომ მართვის მოწმობის აღება შემეძლო, ავტოსკოლაში ვიარე. მანამდე კი ტარებას ჩემი მეგობრების ავტომობილზე ვსწავლობდი.

— რა იყო თქვენი პირველი ავტომობილი?

— უნივერსიტეტში რომ ჩავაბარე, მშობლებმა საჩუქარი გამიკეთეს და თეთრი ფერის „ოპელი" მიყიდეს. მისი ნაწილები ძალიან იაფი ღირდა და მივხვდი, რომ მშობლებმა სწორად შემირჩიეს მანქანა. 2 წელი მყავდა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში იმდენი ფარი დავამტვრიე, ძვირადღირებული მანქანა რომ მყოლოდა, ბევრად ძვირიც დამიჯდებოდა მისი შენახვა. მანქანის გაბარიტებს ვერ ვგრძნობდი და ფარებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვამტვრევდი. 30-ჯერ მაინც ექნება გამოცვლილი. სულ იმის მტკიცებაში ვიყავი, ამ ხალხმა მანქანის ტარება არ იცის და ფარებსაც იმიტომ ვამტვრევ-მეთქი. ბოლოს კი მივხვდი, რომ ჩემი ბრალი იყო. ასე რომ, ჩემი პირველი მანქანა ძალიან სასაცილოდ მახსენდება.

> **„ბევრ ჩემს მეგობარს პირადად ვუნახივარ, შუქნიშანზე მდგარი მაკიაჟს როგორ ვისწორებ. ამაზე ძალიან ხალისობენ კიდეც".**

შემდეგ „აუდი" მყავდა, მაშინ უკვე ვმუშაობდი. ნაწილი თანხა მშობლებმა მომცეს, ნაწილი მე გამოვიტანე ბანკიდან და ძალიან მიხაროდა, რომ ჩემს შენაძენში ჩემი წილიც იყო.

— მძღოლის უნარ-ჩვევებს მალე დაეუფლეთ?

— თავიდან, როგორც ყველა ქალი მძღოლი, მეც დაბნეული, მაგრამ საკუთარ თავში დარწმუნებული ვიყავი. სულ მჯეროდა, რომ სხვები არღვევდნენ მოძრაობის წესებს და მე სწორად დავდიოდი. მერე უკვე ნელ-ნელა მივეჩვიე მძღოლობას. ახლა საკუთარ თავს კარგ მძღოლად ნამდვილად არ ვთვლი, რადგან მანქანას მაინც ქალივით ვმართავ და ჩემი მანქანის მოძრაობაზე ყველა მიხვდება, რომ საჭესთან ქალია.

Cyan Magenta Yellow Black

— საინტერესოა, თქვენი გაგებით, რას ნიშნავს „ქალიყით მართვა“. როგორია ქალი საჭესთან?

— ისევე, როგორც ცხოვრებაში, ქალები საჭესთანაც მოულოდნელები ვართ. აუცილებლად ყველა მიხვდება იმას, რომ ქალმა თუ მარჯვნივ გადაუხვია, მარცხნივ გადახვევას აპირებდა. ძალიან ხშირად შუქნიშანთან მეც დიდხანს ვყოვნდები, რადგან სარკეს ვწევ და ვიყურები. ბევრ ჩემს მეგობარს პირადად ვუნახივარ, შუქნიშანზე მდგარი მაკიაჟს როგორ ვისწორებ. ამაზე ძალიან ხალისობენ კიდეც.

— თქვენი მანქანის სალონსაც ეტყობა, რომ მძღოლი ქალია?

— სალონის საბარგულში განსაკუთრებულს არაფერს ვინახავ. სალონში კი სულ მიგდია ჩანთა, სადაც სპორტული ტანსაცმელი მიწყვია. ყოველთვის ქუსლიანი ფეხსაცმელი მაცვია და ასე ვმართავ. ჩემი მეგობრების დიდ ნაწილს მანქანაში აუცილებლად უყრია კედები. მე ეს არ მჭირდება, რადგან დიდი ხანია ქუსლიანი ფეხსაცმლით დავდივარ და ამას არც მანქანის მართვის დროს შეუქმნია პრობლემა.

— რისკი თუ გახასიათებთ საჭესთან?

— არ ვთვლი, რომ რისკიანი ვარ, სხვა მძღოლებისთვის სახიფათოდ ნამდვილად არ ვმოძრაობ. ისეთი კარგი მძღოლიც არ ვარ, რომელსაც შეუძლია დიდ გზაზე საჭესთან საათობით იჯდეს და დანიშნულების ადგილზე დროულად ჩავიდეს. როცა ძალიან ცუდ ხასიათზე ან ემოციურად დატვირთული ვარ, ვცდილობ, საჭესთან არ დავჯდე. ადამიანი თავისი ხასიათის გამო შეიძლება შარში გაეხვეს და ამას ჯობია, მანქანაზე უარი თქვას. როცა მოძრაობა გადატვირთულია, სულ ვცდილობ, ძალიან ფრთხილად ვიარო. მანქანის მართვა ჩემი საყვარელი საქმიანობა არ არის.

— რატომ?

— თითქმის 10 წელია, რაც საჭესთან ვზიავარ, თუმცა გეტყვით, რომ მანქანის მართვა მაინც არ შემიყვარდა. უბრალოდ მანქანა ჩემთვის ყოველდღიური აუცილებლობა უფრო არის, ვიდრე სიამოვნება. იშვიათად მომინდება მისი მართვა. თუ ვინმე მეტყვის, მე წაგიყვანო, სიამოვნებით დავთანხმდები.

— მძღოლის აყვანაზე არ გიფიქრიათ?

— ოჯახში გვყავს ადამინი, რომელიც ბავშვის წაყვანა-მოყვანაში მეხმარება, მაგრამ ჩემთვის ცალკე მძღოლი დისკომფორტი იქნება. არ მიყვარს, როცა ვიღაც ქუჩაში ტყუილად მელოდება, ამ დროს ვიძაბები. მირჩევნია, საჭესთან მე ვიჯდე, თუმცა პარკინგზე იმხელა პრობლემა მაქვს, ამ პროცესის დროს სულ ვნატრობ, ნეტა, გვერდში ვინმე მყავდეს-მეთქი. ამის გამო ხშირად ტაქსითაც კი დავდივარ. როცა საჭესთან ჯდომა ძალიან მბეზრდება, ტაქსით გადაადგილება ჩემთვის ყველაზე კომფორტული ხდება. ჩემს ახალ მანქანას კი აქვს პარკინგ-კონტროლი, მაგრამ სანამ მას შევიძენდი, ჩემი მეგობრები შეკლული მყავდა, სულ ვთხოვდი, მანქანა დამაყენებინეთ-მეთქი. ალბათ ეს იმის ბრალია, რომ უბრალოდ მანქანა არ მიყვარს. ავტომობილი ჩემთვის არც პრესტიჟის ნიშანი არ არის და არც ფუფუნების.

— სამაგიეროდ ოჯახის საჭიროებებისთვის, მისვლა-მოსვლისთვის, რაც ალბათ ხშირად გაქვთ, მანქანა შეუცვლელია.

— მანქანას პირადი საჭიროებისთვის უფრო ვიყენებ, ვიდრე ოჯახისთვის, რადგან დღის ძალიან დიდ ნაწილს სამსახურში ვატარებ. იმაშიც გამიმართლა, რომ ჩემი ოჯახის წევრებთან ძალიან ახლოს ვცხოვრობ და ფეხითაც შემიძლია მათთან წავიდე. ვარჯიშზეც სახლთან ახლოს დავდივარ. საქართველოში ხომ ყოველთვის ვწუწუნებთ, რომ პარკინგი არ გვაქვს, უცხოეთში კი მანქანას რომ დააყენებ, დანიშნულების ადგილამდე შეიძლება 2 კილომეტრის გავლაც მოგიწიოს. ძალიან ბევრჯერ წავსულვარ, მივარჯიშია, 5 კილომეტრი ფეხით მირბენია, მერე გამოვსულვარ და მანქანამდე 200 მეტრი მანძილის გავლა დამზარებია. ჩაბეჭდილი მაქვს, რომ პარკინგი ახლოს უნდა იყოს. აბა, უცხოეთში რაღა უნდა ქნან?

— ამჟამად რა მარკის ავტომობილი გყავთ?

— თავი უფრო დაცულად რომ მეგრძნო, ჯერ „ჰიუნდაის“ მარკის ჯიპი შევიძინე, რომელიც, 4 წელია, რაც გავყიდე, შემდეგ კი „ლექსუსის“ ჯიპი ვიყიდე და ახლაც მყავს. ვთვლი, რომ ჩემნაირ მძღოლს აუცილებლად ჯიპი უნდა ჰყავდეს. „ლექსუსი“ ბავშვობიდან ძალიან მომწონდა, ამ მარკას სწორედ ამიტომ მივანიჭე უპირატესობა, თორემ ვერ გეტყვით, რომ მანქანებში ძალიან კარგად ვერკვევი.

— შესაბამისად, ალბათ ვერც მის ნაწილებში ერკვევით.

— ნამდვილად. პროფილაქტიკაში სიარული ხშირადაც არ მიწევს, რადგან მანქანა არ საჭიროებს და თან დაზღვეულიც მყავს. თუ პროფილაქტიკა დამჭირდა, ამ საქმესაც ჩემი ოჯახის მამაკაცები ასრულებენ.

— ქმრისგან როგორ შეფასებებს იმსახურებთ, როგორც მძღოლი?

— კაცებს საერთოდ არ მოსწონთ, როცა ქალი მანქანას მართავს და თვითონ გვერდით სხედან. სიმართლე გითხრათ, საჭესთან ჯდომა დიდად არც ჩემს ქმარს უყვარს, ამიტომ ჩემს მძღოლობაზეც პრეტენზიები ნაკლებად აქვს. ყველაზე ხშირად ტელეფონზე ლაპარაკის გამო მაძლევს შენიშვნას. ჩემი ტელეფონი გამუდმებით რეკავს. ყურსასმენები კი მიყრია მანქანაში, მაგრამ მათი გამოყენება სულ მავიწყდება. ჩემი 4 წლის შვილი მარიამი თუ მიზის მანქანაში, სულ შენიშვნებში ვყავარ, ამას ასე ნუ აკეთებ, პატრულმა გამოიარაო. თუ ყვითელ შუქნიშანზე გავივლი, აუცილებლად აღნიშნავს, რომ ასე არ უნდა მოვქცეულიყავი.

> **„სულ იმის მეტკიცებაში ვიყავი, ამ ხალხმა მანქანის ტარება არ იცის და ფარებსაც იმიტომ კამეტვრევ-მეთქი. ბოლოს კი მივხვდი, რომ ჩემი ბრალი იყო“.**

— მანქანის მართვის დროს ტელეფონზე საუბარი არ გაბნევთ?

— კი, თან ყველაზე მეტად. უბრალოდ არ მიყვარს, როცა ვინმეს ზარს უპასუხოდ ვტოვებ და ასე არც არასოდეს ვიქცევი. როცა ტელეფონზე ვლაპარაკობ და თან მანქანას ვმართავ, მაქსიმალურად ვცდილობ, გარემო კარგად ვაკონტროლო, რადგან რამდენჯერმე უსიამოვნო ფაქტსაც გადავეყარე. ამას წინათ ბორდიურთან ნელა ვმოძრაობდი. დედას ბავშვი გამოექცა და, საბედნიეროდ, დამუხრუჭება მოვასწარი. სწრაფად რომ მემოძრავა, მანქანის დამორჩილება გამიჭირდებოდა. საჭიროების შემთხვევაში სწრაფად ვრეაგირებ, მაგრამ ნელა ვმოძრაობ, რომ სწრაფი რეაგირება არ დამჭირდეს.

— მოძრაობის წესებს რამდენად ხშირად არღვევთ?

— მოძრაობის წესს განზრახ არ ვარღვევ, უბრალოდ მიწევს ხოლმე და შესაბამისად ჯარიმებსაც ვიღებ. სასმელს არ ვეტანები, მაგრამ თუ დავლიე, გამორიცხულია, საჭესთან დავჯდე. ეს მძღოლისთვის ძალიან არასწორი ქმედებაა. ძირითადად ტელეფონზე საუბრისთვის და არასწორი პარკირებისთვის ვჯარიმდები. ხშირად ვამბობ, „სითი პარკს“ მთელი სახელფასო ფონდი ჩემით აქვს შევსებული-მეთქი. ვიცი, რომ დამაჯარიმებენ, მაგრამ როცა ძალიან მეჩქარება, აკრძალულ ადგილზე მაინც ვაყენებ მანქანას. ამ კომპანიას ჩემი მანქანა ბევრჯერ წაუყვანია და სულ მის მოყვანაში ვარ.

> **„ყოფილა შემთხვევა, როცა მგონებია, რომ დიღომში მივდიოდი და საბურთალოზე აღმოვჩენილვარ. ამ დროს ვცდილობ, მამაჩემის გარდა დახმარება არავის ვთხოვო. მხოლოდ მას ვურეკავ და ვეკითხები, როგორ მოვიქცე. მის გარდა ყველა ან დამცინის, ან მეჩხუბება“.**

— მოძრაობის დროს რა გიქმნით ყველაზე დიდ დისკომფორტს?

— ჩვენთან ადრე უფრო ქაოტურად მოძრაობდნენ მანქანები. მე მახსოვს დრო, როცა შუქნიშანმა თავისი ფუნქცია დაკარგა, არავინ ჩერდებოდა. ახლა კი ყველაფერი შედარებით დარეგულირდა. ერთ რამეშიც უნდა გამოგიტყდეთ — საშინელი ორიენტაციის უნარი მაქვს. გმირთა მოედანზე ახალი გზები რომ გაკეთდა, იქ მოძრაობა თავიდან ძალიან გამიჭირდა. იმ ტერიტორიაზე საგზაო ნიშნებს დიდხანს ვაკვირდებოდი. ყოფილა შემთხვევა, როცა მგონებია, რომ დიღომში მივდიოდი და საბურთალოზე აღმოვჩენილვარ. ამ დროს ვცდილობ, მამაჩემის გარდა დახმარება არავის ვთხოვო. მხოლოდ მას ვურეკავ და ვეკითხები, როგორ მოვიქცე. მის გარდა ყველა ან დამცინის, ან მეჩხუბება. ხან ვარკეთილისკენ ამიღია გეზი და გლდანში აღმოვჩენილვარ.

— აპირებთ ამ მანქანის გამოცვლას?

— არც კი მიფიქრია. მანქანაში ფულის ჩადებას ყოველთვის მირჩევნია, ინვესტიცია სხვა მნიშვნელოვან რაღაცეებში ჩავდო, მაგალითად, საკუთარ განათლებაში, საოჯახო ნივთებში ან მოგზაურობაში. მანქანის საკითხი ყველაზე ბოლო პლანზე მაქვს ხოლმე გადაწეული, რადგან, როგორც გითხარით, ავტომობილებისადმი დიდი სიყვარულით არ გამოვირჩევი.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები. 2-დან 25 წლამდე!

3-5 სმ-ის მომატება კურსით. ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინების, ამინომჟავების კომპლექსით! ვარჯიშები, ზრდის ზონების გააქტიურებით. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს.

გახდომა-გასუქება თვეში 8-20 კგ-ით!

დიეტის და ვარჯიშის გარეშე მადის დარეგულირება, ცხიმების აქტიური წვა, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მიღებული შედეგის შენარჩუნება მხოლოდ მცენარეული პრეპარატებით. შედეგები 100 %-იანია.

593-44-58-65. ექიმი. ქალბატონი დეა

Cyan Magenta Yellow Black

ეტაპი

ნინა წკრიალაშვილს ფსიქოლოგის დახმარებამ უშველა

ჟომღერალი ნინა წკრიალაშვილი ისევ და ისევ რჩება საზოგადოების ყურადღების ცენტრში, მიუხედავად იმისა, „შავი ზოლის“ ეტაპი უდგას თუ „თეთრის“. ბოლო ერთი წელიწადი მისთვის მართლაც რთული და დატვირთული იყო სხვადასხვა მოვლენით. სამსახურიდან — კულტურის სამინისტროდან წამოვიდა, ავტოკატასტროფის შედეგად მოულოდნელად დაკარგა საყვარელი მამაკაცი — თენგო წივწივაძე, ქვეყანაში პოლიტიკური რეალობა შეიცვალა და ნინას მეგობრები ყოფილი ხელისუფლებიდან ციხეში აღმოჩნდნენ... ამ ყველაფერს კი ფონად გასდევდა არცთუ კეთილგანწყობილი, ხშირად არაჯანსაღი ინტერესი თავად მის მიმართ, რაც სოციალური ქსელებიდან მოედინებოდა.

გარკვეული პერიოდი ნინა წკრიალაშვილი მძიმე სტრესულ მდგომარეობაში იყო და, როგორც „სარკეს“ გამოუტყდა, ფსიქოლოგის დახმარებაც დასჭირდა, რამაც შედეგი გამოიღო. მომღერლის ცხოვრებაში პატარ-პატარა გამონათებები დაიწყო. ნინას ხალისი დაუბრუნდა. უკვე ახალ სამსახურს ეძებს, სექტემბრიდან კი ახალ სიმღერებზეც იწყებს მუშაობას.

— ნინა, დიდი ხანია, რაც კულტურის სამინისტროში აღარ მუშაობთ. სხვა სამსახურის მიძებნაზე არ ფიქრობთ?

— ძალიან ვეცდები, სამსახური მოვძებნო, რადგან უსაქმურად ყოფნა ძალიან მომბეზრდა. დავისვენე კი არა, უსაქმურობისგან უკვე გავგიჟდი, აღარ ვიცი, რა გავაკეთო, რაღაცეებს ვიგონებ ხოლმე. აუცილებლად უნდა ვიპოვო სამსახური და დავკავდე. აქამდე გარკვეული მიზეზები მქონდა, რომ არ მემუშავა, მერე თენგოს ამბავიც დაემთხვა და ამის თავი არც მქონდა. ახლა უფრო ყოჩაღად ვარ და ვფიქრობ, რომ სამსახურიც ბევრი რაღაცის გადალახვაში დამეხმარება.

— როგორ სამსახურს ეძებთ?

— ისეთს, სადაც ბოლომდე დავიხარჯები, მაღალი ხელფასი და ერთთვიანი შვებულება მექნება. რა კარგია, როგორი მოთხოვნები მაქვს, არა?

— ისევ საჯარო სამსახურს ხომ არ უმიზნებთ?

— არა, საჯარო სამსახური არ შემიძლია, დავიღალე. რამე ისეთი მინდა, რისი გაკეთებაც მესიამოვნება. იმხელა გამოცდილება მაქვს, ვფიქრობ, ძალიან ბევრგან გამიადვილდება მუშაობა. ვნახოთ, რა იქნება. რასაც წინასწარ ვგეგმავ ხოლმე, არასდროს გამომდის.

— რამდენიმე თვის წინ რიცა გესაუბრეთ, ძალიან მძიმე გასაჭირში იყავით თქვენი გარდაცვლილი მეუღლის, თენგოს გამო. ახლა გამხიარულებული ჩანხართ. რა დაგეხმარათ, რომ ამ მდგომარეობიდან გამოსულიყავით?

— ამ მდგომარეობიდან ვერასოდეს ვერავინ გამოვა ბოლომდე. მე ისე ცუდად ვიყავი, რამდენჯერმე ფსიქოლოგის დახმარებაც დამჭირდა. საკუთარ თავში ჩავიკეტე. ფსიქოლოგის დახმარების შემდეგ ამ ყველაფერს სხვანაირად ვუყურებ. ვიცი, რომ თენგო სხვა განზომილებაშია. როცა იქნება, მეც წავალ და შევხვდები. რადგან ცოცხალი ვარ, ცხოვრება ჩვეულებრივად უნდა განვაგრძო, სახლში ჯდომით მხოლოდ საკუთარ თავს ვავნებ, ჩემს შვილს კი ჯანმრთელი დედა სჭირდება.

ფსიქოლოგის გარდა, ჩემი მეგობრები და ოჯახის წევრები დამეხმარნენ. მათ იმის საშუალება არ მომცეს, რომ დიდხანს ვყოფილიყავი ცუდად. პირველი სამი თვე ძალიან მძიმე იყო, შემდეგ მაქსიმალურად ვეცადე, მდგომარეობიდან გამოვსულიყავი. ქალაქიდან გასვლაც დამეხმარა. მე მგონი, მდგომარეობიდან მართლა გამოვდივარ. ისე ყოფნას აზრი არ აქვს, რაც უფრო დიდხანს ხარ ჩავარდნილი, მერე უფრო ვეღარ გამოხვალ. არადა ცხოვრება გრძელდება.

— როგორც ვიცი, თენგოს გარდაცვალების შემდეგ ერთხანს მის ოჯახში ცხოვრობდით. ახლაც ხშირად ხართ მათთან?

— რაც დასასვენებლად ვიყავი წასული, რა თქმა უნდა, ვერ ვნახულობდი, მაგრამ ტელეფონით ბავშვებთან, ოჯახთან ვკონტაქტობდი. ჯერ ახალი ჩამოსული ვარ და ამ დღეებში ნელ-ნელა ყველას ვნახავ.

— ძალიან სულდაცინი სიმღერა და ვიდეო ორგული იყო, რომელიც თენგოს ხსოვნას მიუძღვნით.

— მის მიმართ ჩემი განწყობა ასეთია და ყოველთვის ასე დარჩება. უბრალოდ ახლა ტვინი ჩავკეტე და ყოველ წამს ამაზე არ ვფიქრობ. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს თენგო სხვა ქალაქშია წასული და მუშაობს. ასე რომ არ ვიფიქრო, მდგომარეობიდან ვერასოდეს გამოვალ. ტვინს ვატყუებ, რომ ის სხვაგანაა. ეს მეთოდი ძალიან დამეხმარა.

— სად იყავით დასასვენებლად?

— წელს კარგი ბოდიალი მომიწია. ბათუმში ვიყავი ორჯერ, შემდეგ რიგა-იურმალაში. ახლა თბილისში ვარ, მაგრამ სიამოვნებით წავიდოდი კიდევ სადმე... ახლა გამახსენდა, მთაში ვაპირებ რამდენიმე დღით წასვლას. ჩემი შვილი, სანდრო, იქ არის და მეც ჩავაკითხავ. წელს მრავალფეროვანი დასვენება გამომივიდა.

— ვისთან ერთად დასასვენეთ?

— ბათუმში ოჯახთან ერთად ვიყავი. ეს ბოლო ორი წელია, სანდროსთან ერთად დასვენებისას დაძაბული ვარ. უკვე დიდია, მარტო წასვლა უნდა. ბევრგან ერიდება დედასთან ერთად სიარული. ძირითადად, შორიდან ვუთვალთვალებ ხოლმე, ვითომ ვერ ვხედავ და, თუ დამინახა, ვაი ჩემს დღეს! საშინელი პროტესტი უწნდება, დიდი ვარ და თავი დამანებეთო.

იურმალაში, როგორც იცით, სალომე ქათამაძის საგულშემატკივროდ წავედი. დიდი მხიარულება იყო, ამის მიზეზიც გვქონდა და განწყობაც. ზღვაზე დასვენებას რაც შეეხება, დილით ადრე ვდგებოდი, ადრე ვიძინებდი, ფეხით ვსეირნობდი. ასეთი დასვენება მიყვარს. დასასვენებლად ქუსლებით და გამოპრანჭულები რომ მიდიან, მე ასე არ შემიძლია. როცა ვისვენებ, მაქსიმალურად უნდა დავისვენო. თუ გასართობად მივდივარ, უნდა გავერთო. კლუბებში სიარული მეზარება, განსაკუთრებით — საქართველოში, ამიტომ აქ მშვიდად ვისვენებ ხოლმე.

საზღვარგარეთ უფრო ვერთობი მეგობრებთან ერთად. საქართველოში ძირითადად ძალების აღდგენას ვცდილობ. სხვების სიამოვნებაზე დავდივარ ხოლმე, რაც იმათ უნდათ, იმას ვაკეთებ. დედ-მამა გორში ცხოვრობენ, ერთად ყოფნის ფუფუნება ხშირად არ გვაქვს, ამიტომ, როცა სადმე ერთად მივდივართ, ყოველთვის იმას ვაკეთებ, რაც მათ უნდათ. ადამიანს რაც უფრო გემატება ასაკი, მით უფრო ხვდები მშობლების ფასს.

„ჯდგან ცოცხალი ვარ, ცხოვრება ჩვეულებრივად უნდა განვაგრძო, სახლში ჯდომით მხოლოდ საკუთარ თავს ვავნებ, ჩემს შვილს კი ჯანმრთელი დედა სჭირდება“.

— კარგად ხართ გარეულები. ზღვაზე დიდ დროს ატარებდით?

— უფრო მეტადაც ვიყავი. ბათუმში პლაჟზე გასვლაც მეზარებოდა, ძირითადად სახლში ვიყავი და მეძინა ან ფეხით ვსეირნობდი. ძალიან დიდ სიცხეს ვერ ვიტან, პლაჟზე დიდხანს ყოფნა მბეზრდება, თან თბილისშიც აუზზე დავდიოდი საცურაოდ. ადრე მზეზე თავს ვიხრუკავდი ხოლმე. ახლა მაგრად მეზარება, მაგრამ არც ის შემიძლია, თეთრი რომ ვიყო. ალბათ ყველაფერი ასაკობრივია.

— კარიერაში რა ხდება, ახალი სიმღერების ჩაწერას არ გეგმავთ?

— როგორ არა. მაიკო კაჭკაჭიშვილმა დამიწერა სიმღერა და საერთოდ სექტემბრის დასაწყისიდან დავიწყებ სიმღერებზე მუშაობას. კონცერტები არის თუ არა, მაინც მნიშვნელოვანია, ახალი სიმღერები ვაკეთო. ვცდილობ, არ გავჩერდე.

— ოურმალაში თქვენს ჩაცმულობას „ქალიანი სანაბრისთვის შეუფერებელი“ უწოდეს. რას იტყვით ამის შესახებ?

— ჰო, ასე იყო. აქ კი გადააკეთეს და თქვეს, ყველაზე უგემოვნოდ ჩაცმულად დაასახელესო. თუნდაც ასე ჩაეთვალათ, ყველას თავისი გემოვნება აქვს. მე უბრალოდ ძალიან გამეცინა, რადგან ეს სტატია გამოვიდა თუ არა, აქ მაშინვე სათაური შეუცვალეს. უმეტესწილად ქართველი დიზაინერების სამოსი მეცვა. იურმალაში ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა დათუნა სულიკაშვილის, ავთანდილის სამოსმა, ასევე, ნინო ჩუბინიშვილის ტყავის ქურთუკმაც, რომელზეც ვგიჟდები და ყველგან თან დამაქვს, სადაც მივდივარ. ამ ქურთუკზე მეკითხებოდნენ, ვისი არისო. უგემოვნოდ ჩაცმულებში რომ დავესახელებინე, რა პრობლემაა, ვიტყოდი, არ მომერიდებოდა.

— სხვა დროის თუ დაგამსახურებათ თქვენი ჩაცმულობის გამო კრიტიკა?

— კი, როგორ არა! სულ მაკრიტიკებენ. ძალიან ბევრი გოიმს და სოფლელს მეძახის. დამიძახონ, ჩემთვის არც ესაა პრობლემა. მე მომწონს, როგორც მაცვია.

„დასასვენებლად ქუსლებით და გამოპრანჭულები ხომ მიდიან, მე ასე არ შემიძლია. როცა ვისვენებ, მაქსიმალურად უნდა დავისვენო“.

— თქვენი მეგობრები და ის დიზაინერები, რომელთა სამოსიც გეცვათ, როგორ შეხვდნენ ამ შეფასებას, რომ თქვენ იქურობისთვის შეუფერებლად გეცვათ?

— ყველანი იუმორით შეხვდით. იუმორი სიტუაციიდან გამოსასვლელად ყველაზე კარგი ხერხია. ძალიან ბევრი ჩემზე კარგად ჩაცმული ადამიანი მეკითხებოდა, ვისი კაბა მეცვა და სად ვიყიდე. სხვათა შორის, ჩვენი დიზაინერების საიტების მისამართებიც გამომართვეს.

✓ ეკა ლეონიძე

Cyan Magenta Yellow Black

მარკუს მეტრეველი ტელეწამყვანი ხდება

ომოღერალი მარკუს მეტრეველი საზოგადოებას სექტემბრიდან განსხვავებულ ამპლუაში მოევლინება — ხატია სიჭინავასთან ერთად გაუძღვება ახალ გადაცემას „ლაიფ სთაილი“ (ცხოვრების სტილი). როგორც სახელწოდებიდან თავადაც მიხვდებოდით, გადაცემა შოუბიზნესისა და ცნობილი ადამიანების ცხოვრების სტილის შესახებ იქნება. თუ რომელ არხზე, ამის დაკონკრეტებისგან მარკუსი ჯერჯერობით თავს იკავებს. როგორც მომღერალი „სარკესთან“ საუბარში ამბობს, ამ ფაქტით აჟიტირებულია და ერთი სული აქვს, ეკრანზე როდის გამოჩნდება.

მარკუს მეტრეველი:

— უახლოეს მომავალში სატელევიზიო სივრცეში გამოვჩნდები, რაც ჩემთვის ძალიან დიდი გამოცდაა, რადგან, როგორც ტელეწამყვანს, გამოცდილება არ მაქვს. ახლა ცხოვრება ამ გამოცდას მიწყობს, მე კი მზად ვარ, დავხვდე. ხატიაც დამეხმარება, რომ ეს პროფესია შევისისხლხორცო. იმედია, ყველაფერს თავს გავართმევ.

— საიდან გაჩნდა იდეა, რომ გადაცემა თქვენ და ხატია სიჭინავას წაეკეთებინათ?

— ერთმანეთს დიმიტრი ჩხეიძემ დაგვაკავშირა. ის საქართველოში „ნიუ ფეშენ ლაიფის“ წარმომადგენელია. დიმიტრი საზღვარგარეთაც ძალიან წარმატებული ივენთ ორგანიზატორია, ბევრი გრანდიოზული პროექტი დაუგეგმავს და მასში მეც მიმიღია მონაწილეობა. ის საქართველოში ჩამოვიდა და გადაწყვიტა, გრანდიოზული პროექტი გაეკეთებინა მამუკა ლიპარტელიანთან და ეკა ანდრონიკაშვილთან ერთად. სწორედ დიმიტრიმ დამირეკა და გადაცემის წაყვანა შემომთავაზა. ეს ძალიან გამიკვირდა, თან გამიხარდა კიდეც.

ახლა სერიოზულ ფაზაში ვართ, გადაცემის პილოტებს ვწერთ. პირველი სტუმრებიც შერჩეული გვყავს.

— გადაცემას რიმელ არხზე ვისილაეთ?

— ამის თქმის უფლებას კონტრაქტი არ მაძლევს.

— მაშინ მე გეტყვით: როგორც გავიგე „ჯადოსზე“. ეს სიმართლეა?

— სამწუხაროდ, უფლება არ მაქვს, ვთქვა. სექტემბრის თვიდან გადაცემის ქუდი დაიწყებს ეთერში ტრიალს. სექტემბრის შუა რიცხვებიდან კი პროექტიც დაიწყება. ყოველ გადაცემაში შოუბიზნესის ან სხვა სფეროს ერთი ცნობილი წარმომადგენელი გვეყოლება. იმ ადამიანის ერთ დღეს განვიხილავთ — თუ როგორ იღვიძებს, რითი ერთობა, თავისუფალ დროს რას აკეთებს, რომელ ბრენდებს ანიჭებს უპირატესობას, რა მუსიკას უსმენს, მის შემოქმედებაში რა ხდება, კარიერა როგორ დაიწყო და ა.შ. საზოგადოებაში ამდენი პოლიტიკა უკვე მოსაბეზრებელია, რაღაც გასართობიც უნდა არსებობდეს.

— ხატიას მანამდე თუ იცნობდით?

— ხატიას ისე ვიცნობდი, როგორც შოუბიზნესის ერთ-ერთ წარმომადგენელს. სხვა დროს მასთან შეხება არ მქონია. ჩვენ ძალიან განსხვავებულები ვართ და ვფიქრობ, ეს მაყურებლისთვის საინტერესო იქნება. ხატიას ამ სფეროში დიდი გამოცდილება აქვს და ამის ფონზე ჩავთვალე საჭიროდ, რომ გვეთანამშრომლა, გამოცდილების მიღებაში დამეხმარება.

— მისგან რა სახის რჩევებს იღებთ?

— როგორც მოგეხსენებათ, განათლება საქართველოში არ მაქვს მიღებული, ამიტომ საუბრისას რაღაცეები მეშლება. ვცდილობ, მაქსიმალურად გავფილტრო ჩემი ლექსიკა და შეცდომები არ მქონდეს. სკოლაც და უნივერსიტეტიც საბერძნეთში დავამთავრე, ამიტომ ძალიან რთულია ჩემთვის სუფთა ქართულით ლაპარაკი. არის მომენტები, როცა ხატია და ჩემი პროდიუსერი გრამატიკულ შეცდომებს მისწორებენ.

— წაძყვანის ამპლუაში მოგწონთ საკუთარი თავი?

— ძალიან. დისკომფორტს არ ვგრძნობ, რადგან მთელი ცხოვრება დიდ აუდიტორიასთან მაქვს ურთიერთობა. მართალია, წამყვანის სპეციფიკა სულ სხვაა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამასაც ძალიან კარგად ავუღებ ალღოს.

— რადგან შოუბიზნესზე აკეთებთ გადაცემას, უნდა გკითხოთ, რა ხდება დღეს ამ სფეროში და კონკრეტულად თქვენ რას აკეთებთ.

— დეკემბრიდან დაწყებული დღემდე, 50-მდე საქველმოქმედო კონცერტი მქონდა, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რომ მომღერლები მხოლოდ საქველმოქმედო კონცერტებით ვერ ვიარსებებთ. დაახლოებით 2 თვეა, კორპორატიული კონცერტები დაიწყო, ამიტომ ჩემთვის ივლისი და აგვისტო ძალიან მსუყე იყო. ფოთში, გრიგოლეთში, ბათუმში, კახეთში, ყვარლის ტბაზე მქონდა კონცერტები, 28 აგვისტოს კი მე და ბატონი თემურ წიკლაური მარნეულში ვიმღერებთ ბერძენი მოსახლეობისთვის.

„ეთ-ოთ ჯომპეტენტეს პოლიტიკოსთან მქონდა საუბარი. მათ ვკითხე, თუ რა გვეშველებოდა მომღერლებს, შოუბიზნესის წარმომადგენლებს. ეთ-ეთმა მიპასუხა, ყველაფერს გავაკეთებ საზღვარგარეთ წასული მომღერლების დასაბრუნებლად, რომ აქ დაიმკვიდრონ თავიო. მჯერა, ისინი ამ სიტყვებს გაამართლებენ.

რაც შეეხება შოუბიზნესში გაყინულ პროცესს, ამაზე ერთ-ორ კომპეტენტურ პოლიტიკოსთან მქონდა საუბარი. მათ ვკითხე, თუ რა გვეშველებოდა მომღერლებს, შოუბიზნესის წარმომადგენლებს. ერთ-ერთმა მიპასუხა, ყველაფერს გავაკეთებ საზღვარგარეთ წასული მომღერლების დასაბრუნებლად, რომ აქ დაიმკვიდრონ თავიო. მჯერა, ისინი ამ სიტყვებს გაამართლებენ.

— დღეს თქვენი შემოსავლის ძირითადი წყარო რა არის, კორპორატიული კონცერტები?

— ვიცოდი, რომ ქართულ შოუბიზნესში პრობლემები იყო და სასიკეთო ძვრები დიდხანს ვერ იქნებოდა, ამიტომ ევროპიდან ბევრი სამოსი ჩამოვიტანე. საბედნიეროდ, პატარა ფინანსური დანაზოგიც მქონდა, რითიც დღემდე მოვედი. შიგადაშიგ კონცერტებიც შემეშველება ხოლმე. საქართველოში სიმღერის ჩაწერა ძალიან ძვირია, შემოსავალი კი — ძალიან ცოტა. როცა ერთი სიმღერა 2500 დოლარი ჯდება, დამკვეთი კი 200-300 დოლარს გიხდის, წარმოიდგინეთ, რამდენი უნდა იმღეროთ, რომ ერთი სიმღერის ფასი ამოიღოთ. მე 5 თვეში 2 სიმღერა ჩავწერე. ჩემი შესაძლებლობები ასე შევეკვეცე.

— მაგრამ არიან მომღერლები, რომლებიც თითქმის ყოველთვე ახალ სიმღერებს წერენ.

— იმ კატეგორიაის არ მივეკუთვნები, რომელიც სტუდიაში შევა და 100 ლარიან სიმღერას ჩაწერს. მე ჯერ საკუთარ თავს ვცემ პატივს და შემდეგ — ჩემს მსმენელს. მათ 100 ლარიან სიმღერას ვერ შევთავაზებ.

— იმის თქმა გინდათ, რომ თქვენი ყველა სიმღერა მაღალი დონისაა?

— ალბათ მკითხველსაც გაუკვირდება და იტყვის, რომ მეც ერთი-ორი სიმღერა მასებზე მაქვს გათვლილი. „ფეისბუქზეც“ ბევრი მეკითხება, აზიურ სიმღერებს რატომ წერო. მათ პასუხს თქვენი საშუალებით გავცემ: დღეს საქართველოში ეს სიმღერა იყიდება. მე რომ ჯაზი, კლასიკა ჩავწერო, ვინმე მოუსმენს? მოთხოვნადია ის, რასაც დღეს ვწერ. მოითხოვონ ხარისხიანი სიმღერები და სიამოვნებით, მე აქ ვარ!

— საბერძნეთში დაბრუნებაზე არ გიფიქრია-ათ?

— სხვათა შორის, ძალიან ბევრჯერ მიფიქრია სხვა ქვეყანაში წასვლაზე. ახლა, მაგალითად, ძალიან ცნობილი მომღერლისგან მაგარი შემოთავაზება მივიღე, რომ მოსკოვში წავიდე.

— ქართველი მომღერლისგან?

— დიახ, თამუნა ამონაშვილისგან. ის რუსეთშია, საკუთარი „ლაივ ბენდი“ ჰყავს. რამდენიმე დღის წინ ყვარლის ტბაზე კონცერტი ერთად გვქონდა. სწორედ მაშინ მითხრა, თუ მოსკოვში წასვლა გინდა, ყველანაირად დაგეხმარები, გვერდში დაგიდგები, რომ იქ კარიერა აიწყოო. ძალიან დიდი მადლობა მას ამ შემოთავაზებისთვის. ვნახოთ, არ ვიცი, რას ვიზამ, ჩემს ქვეყანას იმდენად ვარ მონატრებული. არადა, დიდ შოუბიზნესში გადასვლაც ძალიან მინდა. 24 საათი საქველმოქმედო კონცერტებზე ვერ ვივლით, ბოლოს მგონი, ჩვენ გავხდებით დასახმარებლები.

— რიცა საქართველოში ჩამოდიოდით, იცოდით, შოუბიზნესში რა მდგომარეობა იყო?

— კი. ნინი შერმადინმა მითხრა, საქართველოში არ წახვიდე, თორემ ძალიან ინანებ, იქ არაფერი ხდებაო. მე მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი საქართველოში ჩამოსვლა და ამას არც ვნანობ. ხალხის სიყვარული, რასაც კონცერტებიდან ვიღებ, ჩემთვის იმდენად ძვირფასია, საბერძნეთის მილიონებს მირჩევნია. თუმცა არსებობენ ადამიანები, რომლებიც საკუთარი წარუმატებლობის ფონზე ლანძღვის და კრიტიკის მეტს არაფერს აკეთებენ.

— თქვენს სფეროს გულისხმობთ?

— ჩემი სფეროდანაც და ხალხისგანაც. იცით, რას დავაკვირდი? ძალიან ბევრია ამ ქვეყანაში ბოროტი და უსაქმური. ძალიან ბევრი სხვისი ცხოვრებით ცხოვრობს. დაანებონ ჩემი და ჩემი კოლეგების ლანძღვას თავი და თვითონ გააკეთონ სერიოზული და მნიშვნელოვანი რამე, რომ გამოჩნდნენ.

✓ ეკა ლემონჯავა

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

სოფო გელოვანმა მკვეთრ მაკიაჟსა და შავ ფრჩხილებზე ქმრის ხათრით უარი თქვა

ომღერალი სოფო გელოვანი თავის მოსაწესრიგებლად სარკესთან ზუსტად იმდენ დროს ატარებს, რამდენიც იმ კონკრეტულ სიტუაციაში აქვს. ხუთ წუთშიც კი შეუძლია თავი ფორმაში მოიყვანოს, მით უმეტეს, საკუთარი გარეგნობა დიდ პრობლემებს არ უქმნის. არ აქვს ისეთი ნაკლი, რომლის შენიღბვაც დიდ შრომას მოითხოვს, არც ზედმეტი წონა აწუხებს. მისი მაკიაჟი სადაა, რადგან ყოველთვის ითვალისწინებს ქმრის აზრს, რომელსაც მკვეთრი კოსმეტიკა არ მოსწონს.

სოფო ქალის სილამაზის ძირითად საიდუმლოდ კარგ განწყობას მიიჩნევს და მისთვის ასეთი განწყობა საყვარელ ადამიანებთან გატარებულ დროს და მუსიკას მოაქვს.

— სოფო, ჩვენი საუბარი ეკროიზიის კუთხით დაიწყოთ. რა სიახლის ან ცვლილებების შეტანა დაგჭირდათ გარეგნობაში ამ კონკურსისთვის?

— არაფრის. იმიჯის შეცვლა არ დამჭირვებია და ამის არც სურვილი მქონია. საერთოდ, ამ მხრივ დიდად არ მიყვარს რადიკალური ცვლილებები.

— ეკროიზიაზე შვედეთში მყოფი იქაურ ქალებს თუ აკვირდებოდით და ადარებდით ქართველებს?

— ალბათ ქართველებს მაინც სხვა შარმი აქვთ. ამბობენ, რომ ქართველ ქალებს განსხვავებული თვალები და მზერა ახასიათებთ. ვეთანხმები ამას, ქართველი ქალის შარმს ალბათ მისი თვალებიც განაპირობებს.

— თქვენი პირველი მაკიაჟი გახსოვთ?

— მაკიაჟი პირველად 14 წლის ასაკში გავიკეთე. ეს ის ასაკია, როცა ნებისმიერი გოგო იწყებს გაპრანჭვას და ექსპერიმენტების ჩატარებას. რა თქმა უნდა, მაშინდელი ჩემი საქციელი ექსპერიმენტი იყო და არა — ცხოვრების წესი, რადგან 14 წლის ბავშვს მაკიაჟი არ სჭირდება.

— დღეს მაკიაჟით აქცენტს რაზე აკეთებთ?

— უფრო მეტად თვალებზე ვაკეთებ. როცა მაკიაჟით თვალები იკვეთება, ტუჩები ნაკლებად უნდა დავტვირთოთ. ვფიქრობ, ქალისთვის თვალები მნიშვნელოვანია, ამიტომ მასზე მირჩევნია აქცენტის გაკეთება.

— რა რაოდენობის კოსმეტიკაა თქვენს ხელჩანთაში?

— ზაფხულში სახეზე არაფერს ვისვამ. ზამთარში კი ჩემი ხელჩანთა სავსეა კოსმეტიკით. ნებისმიერ დროს გამოსაყენებელი კოსმეტიკა მაქვს.

— სამოსში რომელ ფერებს ანიჭებთ უპირატესობას?

— ფერებს ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. ჩემ გარდერობში ბევრ თეთრ ტანსაცმელს ნახავთ. ეს ფერი განსაკუთრებით მიყვარს.

— გიყვართ გარეგნობით ყურადღების მიქცევა?

— ეს ალბათ ყველა ქალს უყვარს და იმიტომ ვიხდენთ სამოსის სტილს, ვიკეთებთ განსხვავებულ მაკიაჟს და ა.შ. თუმცა ყოველდღიურად გარეგნობით ყურადღების მიქცევაზე ნამდვილად არ ვფიქრობ. ეს უფრო სცენას ეხება, რადგან სცენაზე აუცილებელია, განსხვავებული იყო.

— გარეგნობაზე ექსპერიმენტების ჩატარება თუ გაინტერესებთ?

— ძალიან მაინტერესებს, მაგრამ ამავდროულად რადიკალური ნაბიჯების უცებ გადადგმა არ მიყვარს. ადრე, როგორც ყველა, მეც ბევრ ექსპერიმენტს ვატარებდი. ამ ეტაპზე კი მომწონს ჩემი გარეგნობა და ჯერ მის შეცვლას არ ვაპირებ.

— ამდენად, ალბათ არც პლასტიკურ ქირურგიაზე ფიქრობთ, მაგრამ საერთოდ რა აზრის ხართ ამ საკითხზე?

— პლასტიკური ქირურგისთვის არასოდეს მიმიმართავს, მაგრამ როცა პლასტიკური ოპერაცია ქალის გარეგნობის გაუმჯობესებას ემსახურება, რა თქმა უნდა, მივესალმები. ზღვარგადასულობა არაფერში ვარგა. პლასტიკურ ქირურგიას მომავალში შეიძლება კანის გაახალგაზრდავების მიზნით მივმართო.

— სარკის წინ დგომისას თქვენს გარეგნობაში რა მოგწონთ?

— არის პერიოდი, როდესაც საკუთარი გარეგნობა მომწონს, მაგრამ ზოგჯერ პირიქითაც ხდება. ეს ხასიათსა და განწყობაზეა დამოკიდებული. შეიძლება საუკეთესო ფორმაში ვიყოთ, მაგრამ ცუდი განწყობის გამო თავი არ მოგვწონდეს და პირიქით, ჩვეულებრივ ფორმაში მყოფებმა სარკეში საკუთარი ანარეკლი დადებითად აღვიქვათ. ამიტომ ქალის სილამაზეს დიდმნიშვნელოვნად განაპირობებს მისი განწყობა.

„ჩემს სახეზე ოხი მხარე აქვს. ეთში სუსტი და სასონარკვეთილი ქალი ჩანს, მეორიდან კი ძალიან ძლიერი და მიზანდასახული ქალი მიყურებს".

გარეგნული მომხიბვლელობის საიდუმლო შინაგანი წონასწორობა და კმაყოფილებაა. ამიტომ ვცდილობ, ყოველთვის კარგ განწყობაზე ვიყო. ამაში კი მუსიკა, ოჯახი და მეგობრები მეხმარებიან.

— თქვენი გარეგნობა კრიტიკის საგანი გამხდარა?

— არ ვიცი. პირადად ჩემთვის ეს არავის უთქვამს, მაგრამ ალბათ არ არსებობს ადამიანი, რომელიც ყველას მოსწონს. შეიძლება ვიღაცას გავუკრიტიკებივარ კიდეც.

— თუ საიდუმლო არაა, რა მიგაჩნიათ გარეგნობაში თქვენს ნაკლად?

— ამას კონკრეტულად ვერ გეტყვით. ჩემი აზრით, არ არსებობს ქალი, რომელიც თავისი გარეგნობით ბოლომდე კმაყოფილია და არც მე ვარ გამონაკლისი. არც ულამაზო ქალი არსებობს. უბრალოდ არიან ისეთი ქალები, რომლებიც საკუთარ გარეგნობას სათანადოდ ვერ აფასებენ.

— უფროსი თაობისგან, დედისგან, ბებიისგან რაიმე რჩევები მიგიღიათ თაყის მოვლასთან დაკავშირებით?

— ის, რომ ქალი არ უნდა ეწეოდეს, რადგან მოწევა კანს, ფრჩხილებსა და კბილებს ანადგურებს; ის, რომ უძილობა ნაადრევად აბერებს და კიდევ, გარუჯვა კანს ვნებს. პირველ ორ წესს ჯერჯერობით ვიცავ. რაც შეეხება მზის სხივების და რუჯის სიყვარულს, ვფიქრობ, მათზე ვერასოდეს ვიტყვი უარს, რადგან გარუჯული სხეული ჩემი სისუსტეა.

— როგორ უვლით კანს?

— შესაბამისი კრემებით და ნიღბებით. მისი მოვლა სახლის პირობებშიც შემიძლია. ახლა ზაფხულია და ხანდახან ხილის და ბოსტნეულის ნიღბებს ვიკეთებ. ეს ძალიან სასარგებლოა კანისთვის. საბედნიეროდ, პრობლემური კანი არ მაქვს.

— არც თქვენი თმა საჭიროებს დამატებით ჩარევას?

— ხარისხიან შამპუნს ვიყენებ და თმის საშრობზე უარს ვამბობ. სულ ეს არის. მიუხედავად იმისა, რომ გრძელი თმა მაქვს, მისი მოვლისთვის ბევრი დრო არ მეკარგება. ჩემი თმის ხარისხი მაკმაყოფილებს.

— სწრაფად, რამდენმე წუთში მოწესრიგების მეთოდს თუ ფლობთ?

— უბრალოდ სწრაფად ვწესრიგდები. თუ მეჩქარება, 5 წუთშიც შემიძლია ფორმაში ვიყო. რა თქმა უნდა, თუ დრო მაქვს, სარკის წინ სიამოვნებით ვდგავარ.

— გადატვირთული დღის შემდეგ ძალებს როგორ აღიდგენთ?

— ოჯახში, შვილთან და მეუღლესთან ყოფნა რელაქსაციის ძალიან კარგი ხერხია. მათთან დროის გატარების შემდეგ თავს ბედნიერად ვგრძნობ. ბედნიერება კი ქალისთვის ძალების აღდგენის საუკეთესო საშუალებაა.

— რას აკეთებთ, რომ წონაში არ მოიმატოთ?

— არაფერს. არასოდეს მქონია წონის პრობლემა, ამიტომ დიეტაც არასოდეს დამიცავს. რაც შეეხება ვარჯიშს და მასაჟებს, თუ დრო მაქვს, ვცდილობ, მათ მივმართო, მაგრამ არა — წონის კორექციისთვის, არამედ ჯანმრთელობისთვის.

— სილამაზე ჯანსაღ კვებაზეცაა დამოკიდებული. თქვენ როგორ იკვებებით?

— რომ გითხრათ, განსაკუთრებულად ჯანსაღი ცხოვრების წესით ვცხოვრობ-მეთქი, მოგატყუებთ. მიყვარს ცომეული და ტკბილეული. შოკოლადი შემიძლია უზომო რაოდენობით ვჭამო. მიყვარს ხორცეული და სწრაფი კვების ობიექტებში ჭამა, ეს უკანასკნელი კი ორგანიზმს ძალიან ვნებს. ალბათ ასე იმიტომ ვიქცევი, რომ არასოდეს მქონია წონის პრობლემა და არც გასუქების მეშინია.

— რა არის თქვენი საყვარელი აქსესუარები?

— საათი და სათვალე. ამ ორი აქსესუარის გარეშე თავი ვერ წარმომიდგენია. ვერ ვიტყვი, რომ მათზე დამოკიდებული ვარ, მაგრამ ორივეს მუდმივად ვატარებ.

— თქვენი ქმარი, ნოდარ ლანდია, როდის გაძღვნით განსაკუთრებულ კომპლიმენტებს?

— ჩვენი გემოვნება ერთმანეთს თითქმის ყოველთვის ემთხვევა, მაგრამ გამონაკლისი შემთხვევებიც არის. მაგალითად, მას არ უყვარს მკვეთრი მაკიაჟი. შესაბამისად, უყვარს, როდესაც ბუნებრივად გამოვიყურები. ასევე საშინლად აღიზიანებს ქალზე შავი ფრჩხილის ლაქი. ერთხელ ვცადე და იმის მერე აღარც წამისვია.

— ვინ გიყურებთ სარკიდან?

— ჩემს სარკეს ორი მხარე აქვს. ერთში სუსტი და სასოწარკვეთილი ქალი ჩანს, მეორიდან კი ძალიან ძლიერი და მიზანდასახული ქალი მიყურებს.

— როდის ხართ სუსტი და სასოწარკვეთილი?

— ბოლო ხანებში ვიგრძენი ჩემი სისუსტე, როდესაც ლეიკემიით დაავადებული ბავშვები მოვინახულე. იმ დროს ნამდვილად უძლური ვიყავი, რადგან ვერაფრით ვეხმარებოდი. ბევრი რამ გასუსტებს ადამიანს, მით უმეტეს მაშინ, როცა გარშემო ამდენი გაჭირვებულია.

✓ მანანა ნოდია

Cyan Magenta Yellow Black

დალი ფრიდონაშვილმა სახლში 5 ლიტრი ღვინო დაწურა

ჟურნალისტის, ტელერადიოსივრცის პოპულარული სახის, დალი ფრიდონაშვილის კულინარიული ოსტატობა მთლიანად მისი ერთადერთი ქალიშვილის, ნუკი კოპალეიშვილის გემოვნებაზეა მორგებული. კვებაში პრეტენზიულ ნუკისაც მხოლოდ დედის ნახელავი უყვარს. მათ ოჯახში ეგზოტიკურ კერძებს არ სწყალობენ, ძირითადად ტრადიციული ყოველდღიური მენიუთი შემოიფარგლებიან. კვება ერთფეროვანი რომ არ გამოუვიდეთ, დალი ფანტაზიას იშველიებს, ათას ხრიკს მიმართავს, რომ ქალიშვილს რაიმე ახალი მოაწონოს და ამასობაში მშვენიერ რეცეპტებსაც იგონებს.

— ქალბატონო დალი, ყველაზე ხშირად რა მზადდება თქვენს სამზარეულოში?

— ჩემი შვილის, ნუკის გემოვნებაზე ვარ აწყობილი. ძირითადად ჭამს სუპებს, კატლეტს, მაკარონს და შემწვარ კარტოფილს. თან კერძი აუცილებლად ჩემი მომზადებული უნდა იყოს. არასოდეს უჭამია პომიდორი, ზეთისხილი, მაიონეზი, ტყემალი, სალათები, აჯაფსანდალი, მწვანე ლობიო, მწნილები და უამრავი სხვა რამ... გეტყვით, ჩვენს სახლში რა კეთდება: ბოსტნეულის და მაწვნის სუპები, კატლეტი, ბურღულეული და კარტოფილი. ბოლო დროს ტოლმა შევაყვარე, ოღონდ მხოლოდ შიგთავსს მიირთმევს და არა — კომბოსტოს. ბორშჩის მხოლოდ წვენი მოსწონს, არანაირი ბოსტნეული. პატარაობიდან ასეთი უცნაურია. სამაგიეროდ, ძალიან უყვარს ხინკალი, პილმენი, ასევე — შემწვარი ქათმის მხოლოდ ბარკალი.

— და ეს ყველაფერი აუცილებლად თქვენ უნდა გაუკეთოთ თუ სხვის მომზადებულსაც მიირთმევს?

— ან სახლში გაკეთებული უნდა იყოს, ან მხოლოდ იმ ფირმისა, რომელიც უყვარს. როცა უცხოეთში მივდივართ, ნუკის კვება დიდი

■ დედა-შვილი

პრობლემა ხდება. იქ ჩემს გაკეთებულ ტოლმებს ხომ ვერ წავიღებ, ამიტომ გამოსავალი „მაკდონალდსის“ პროდუქტებშია. ცოტა ხნის წინ ვანახე ვიდეო, რა ხორცისგან მზადდება „მაკდონალდსის“ საჭმელები, მაგრამ ასე მიპასუხა, მე მაგით მკვდარი ჯერ არავინ მინახავსო.

ჩვენ ძირითადად ვჭამთ არამრავალფეროვან, მაგრამ სასარგებლო საკვებს, ცხიმიან კერძებს საერთოდ არ ვეტანებით, ნაკლებად გეახლებით ცომეულს და ხორცეულს. ჩახოხბილსაც კი ბევრი წვენით ვაკეთებ.

— თან ფორმასაც ინარჩუნებთ, გასუქება არ გეშუქრებათ.

— აბა რა! ქალები ვართ და ჩვენს გარეგნობას ვუფრთხილდებით. თუ ცომეულის ჭამა მოგვინია, მერე განტვირთვის დღეებს ვიწყობთ. ნუკის კი რა განტვირთვა სჭირდება, ისედაც არაფერს ჭამს. საღამოობით რომ მეცადინეობს, დაჭრილი ხილი შემაქვს მასთან. მერე ვუყურებ — თუ არ ჭამს, მივდივარ და მეცადინეობის დროს თითოთითოს ჩანგლით ვაჭმევ. ზამთარში, როცა ხილი არ არის, თევზის ქონს ვაშველებ, რომ მის ორგანიზმს ვიტამინები არ მოაკლდეს. შეუძლია სულ ერთი და იგივე საჭმელი ჭამოს. რაც უყვარს, არასოდეს ბეზრდება.

ერთხელ დახუნძლულ, მრავალფეროვან სუფრაზე ვიღაც ქალმა ყურადღება მიაქცია, ბოლოს ვეღარ მოითმინა და გვითხრა, ასეთი რამ არ მინახავს, ბავშვმა ყველი და პური გასინჯა, პური და ყველი, ჭადი და ყველი, ხაჭაპური, მეტი არაფერი უჭამია, ცოტა ხანში რომ მოშივდა, იგივე გაიმეორაო. სუფრასთან კარტოფილი თუ მოიტანეს, ბედნიერი ვარ! შარშან ბულგარეთში ვიყავით და მისი მენიუ მხოლოდ შემწვარი ბარკლებით და ჩაით შემოიფარგლებოდა. შემწვარი კვერცხიც კი არ ჭამა, სხვანაირად გამოიყურებაო.

„ჩვენ ძირითადად ვჭამთ არამრავალფეროვან, მაგრამ სასარგებლო საკვებს, ცხიმიან კერძებს საერთოდ არ ვეტანებით“.

— როგორც ვიცი, ახლახან დაბრუნდით თურქეთიდან. იქაური სამზარეულო როგორ მოგეწონათ?

— თბილისში შაურმას არასოდეს ვჭამ, იქ გავსინჯე, რადგან თურქული შაურმა განთქმულია, მაგრამ არ მომეწონა. შეიძლება ცხიმიანი რომ არის, იმიტომ არ მომეწონა.

ჩემი მეზობელი თურქეთშია გათხოვილი. რომ გაიგო, იქ ვიყავით, ერთ საღამოს არაბულ რესტორანში წაგვიყვანა, ტრადიციული სამზარეულო უნდა გაგასინჯოთო. გორგოლაჭებიანი მაგიდით შემოიტანეს რაღაც დიდი და მრგვალი, რომელსაც ცეცხლი ეკიდა. ამიხსნეს, რომ ეს იყო ცეცხლმოკიდებული მარილი. თურმე 7 საათია საჭირო ამ კერძის მოსამზადებლად. ცეცხლი რომ ჩაქრა, დიდი ეროთი დაიწყეს გამომწვარი მარილის მტვრევა. გაქვავებული მარილი რომ დაამტვრიეს, შიგნით დიდი შემწვარი დედალი გამოჩნდა. თურმე იმ ქათამს დანის წვერი არ უნდა მოხვდეს, რომ კანი არ დაზიანდეს. ასე, დაუჭრელად დებენ მაგიდაზე. ქათამი რომ გადახსნეს, შიგნით იყო თურქული სანელებლებით შეზავებული და ცხიმით გაუღენთილი ბრინჯი. ძალიან გემრიელი კი იყო, მაგრამ მე ორი დღე მინერალური წყლით დავდიოდი, ისეთი ცხიმიანი აღმოჩნდა.

კიდევ გავსინჯე ბადრიჯანი, ოღონდ ისე იყო გაკეთებული, ვერავინ მიხვდებოდა, რა იყო. დამწვარი შეშის გემო ჰქონდა. სპეციალურად აძლევენ ნახშირის გემოს. ნუკიმ ეს ყველაფერი რომ დაინახა, კინაღამ ცუდად გახდა.

— და მაინც, მოუხედავად ნუკის გემოვნებისა, რაიმე განსხვავებული კერძი თქვენს ოჯახში მზადდება?

— გასწავლით აჭარულ კერძს, რომელიც ჩვენს სახლშია დამკვიდრებული. რამდენიმე წლის წინ, როცა ბათუმში ვიყავი, ჩემმა მეგობარმა სახელდახელოდ რაღაც მოამზადა. ვერ გავიგე, რა იყო და ამიხსნა, როგორ კეთდება. მას შემდეგ თითქმის უკვე 10 წელია მეც ვაკეთებ. ისინი ამას სინორს ეძახიან. მე მას ცოტა განსხვავებულად ვამზადებ.

ცომის თხელი, დახვეული ფენები პაკეტებით იყიდება აჭარაში, იქიდან ბევრი ჩამომაქვს და მთელი წელი საყინულეში ვინახავ. ტაფაში ვასხამ წყალს და ვაგდებ ცოტა კარაქს. რომ ადუღდება, ამ დახვეულ ცომს ვდებ. ცეცხლზე ცოტა ხანს ვაჩერებ. შიგ რომ ჩაიფუშება, ვაყრი გახეხილ სულუგუნს და ბოლოს, თუ გინდათ, ზემოდან კვერცხსაც მოახლით. უგემრიელესია! თუ არ ვცდები, აჭარლები ამას ხაჭოთი აკეთებენ.

ნუკი ხაჭოს კრემზე გავზარდე. ხაჭოს რომ არ ჭამდა, გამოსავალი ვიპოვე. დღესაც ხშირად ვუმზადებ და თქვენც გასწავლით. ხაჭოს ცოტა შაქარს ვაყრი და არაჟანთან ერთად იქამდე ვთქვეფ, სანამ კრემად არ იქცევა. ხაჭოს კრემიც ამიტომ დავარქვი. შიგნით ფხვიერ ნამცხვარს, ე.წ. „პეჩენიასაც“ ვყრი, გემრიელი გამოდის.

გეტყვით ტრუფელის რეცეპტს, რომელიც ჩემმა მეგობარმა მასწავლა და თქვენც ძალიან მოგეწონებათ. ზუსტად 5 წუთში კეთდება სახლის პირობებში. ფხვიერ ორცხობილას ბლენდერში ჩავყრით, ცალკე ჯამში შესქელებულ რძეს ჩავასხამთ და კაკაოს ჩავაყრით. ბლენდერში გატარებულ ორცხობილას იმდენს შევურევთ, რომ სქელი მასა მივიღოთ. მე მუდამ მაქვს სახლში არაყში ჩაწყობილი ფორთოხლის კანი, ფორთოხლის ერთგვარი ესენცია. მას და ვანილს ვამატებ და ბოლოს ტრუფელის ფორმის პატარა გუნდებს ვაკეთებ. ამ დამრგვალებულ მასას ქოქოსში ამოვავლებ, ცოტა ხანს მაცივარში შევდებ და უგემრიელესი დესერტი მზადაა.

— კულინარობის ნიჭი ნუკისაც გამოჰყვა?

— ძალიან უყვარს ნამცხვარი, სულ მეხმარება და მეხვეწება, მეც გავაკეთებ დამოუკიდებლადო, მაგრამ ცაციაა და მეზარება მისი ტიტყნაობა. ყველაფერს გააკეთებს სახლში, ოღონდაც ჭურჭელი არ გაარეცხვინო. სამაგიეროდ, დაუთოება უყვარს, რაც მე მეზარება. ფანტასტიკურად წვავს კარტოფილს, ზუსტად „ფრის“ მსგავსი გამოსდის. სადილებს ჯერ არ აკეთებს.

— აშკარაა, რომ ტკბილეულთან კარგ დამოკიდებულებაში ხართ.

— ძალიან გვიყვარს მეც და ნუკისაც. შოკოლადი რომ არ ვჭამო, არ შემიძლია, მაგრამ სულ ვაკონტროლებ, ზედმეტი არ მომივიდეს. უამრავ რამეს ჩემითაც ვიგონებ და საინტერესო, ორიგინალურ რაღაცეებს ვაკეთებ. თითქმის ყველაფერი მიყვარს, მაგრამ ნაყინი ყველაფერს მირჩევნია.

აუცილებლად უნდა მქონდეს მაცივარში მაწონი, ღამე მაწვნით ვიკლავ შიმშილის გრძნობას. ვთვლი, რომ ქართული სამზარეულოს უნიკალური პროდუქტია. მაწვნის სუპიც ძალიან გემრიელია, რომელსაც ბრინჯის ნაცვლად ფქვილით ვაკეთებ. ნუკის ჩიხირთმა არ უყვარს. ვეუბნები, მაწვნის სუპია-მეთქი და ტყუვდება.

— ღვინით რომ გაგვიმასპინძლდით, თქვენი დაწურული ხომ არაა?

— აბა რა! კახეთში თალარი გვაქვს. ყურძენი ჩამოვკრიფე, სახლში წამოვიღე, სულ ხელით ჩავჭყლიტე და კარგახანს იდგა, ვიდრე არ დაილექა. მერე ლექი გადავღვარე და ამასობაში დაღვინდა. 5 ლიტრი კარგი შავი ღვინო გამომივიდა. ტრადიციად მაქვს, სახლში რომ მოვდივარ, სულ ცოტას ვისხამ და ვსვამ, ჩემს სისხლს ამით ვაახლებ.

ახლა მინდა, კახეთში, აგარაკზე, კარტოფილი, კომბოსტო, ლობიო, პომიდორი და კიტრი დავთესო. სად — საკუთარი ხელით მოყვანილს რომ შეჭამ და სად — ნაყიდს. ვიკითხე, რა როგორ უნდა დავთესო, მიწა როდის უნდა დავამუშაო, როგორ მოვუარო და ვნახოთ, რა გამომივა.

✓ ქეთი დინოშვილი

Cyan Magenta Yellow Black

„ერისიონს“ და „სუხიშვილებს“ ისევე აქვთ რაიმე საერთო, როგორც ატამს და ქლიავს“

ჰოგოჰ სჯის ჯემალ ჭკუასელი ზედმეტად „თავაწეულ“ მოცეკვავეებს



ანსამბლ „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელი, ჯემალ ჭკუასელი, სიმკაცრით განთქმულია, მაგრამ თავად ამას არ აღიარებს. პირიქით, ირწმუნება, იმაზე გაცილებით ლმობიერი ვარ, ვიდრე ჩემს საქმეს სჭირდებაო. მის გუნდში უპატიებელია რეპეტიციაზე დაგვიანება და იმაზე მეტად „თავის აწევა“, ვიდრე ბატონ ჯემალს მოსწონს. ცოტა ხნის წინ მას ანსამბლის მოცეკვავე თათია დონაძეც კი დაუპირისპირდა, საჯაროდ განაცხადა, რომ „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელს ანსამბლში ბატონყმობა აქვს დამყარებული. ჯემალ ჭკუასელმა ამ ბრალდებაზე პასუხის გაცემა საჭიროდაც არ ჩათვალა.

22 წლის იყო, როცა შეხვდა თავისი ცხოვრების მთავარ ქალს, გიული ჭულუხიძეს. მისი მადლიერია, რომ ყოველთვის გვერდით უდგას მას — მამაკაცს, რომელიც ყოველთვის პირველობისთვის იბრძვის და ბრძოლით არასოდეს იღლება. ამბობს, რომ არა გიული, ამდენის გაკეთებას ვერ შევძლებდიო.

„ჩვენი რეპეტიციები ჯოჯოხეთია... სილის გაწვნით და სახაზავის რტყმით საქმე რომ არ კეთდება, ეს კარგად ვიცი, მაგრამ როცა მარჯვნივ გადასადგმელ ფეხს მარცხნივ ადგამ, როგორ უნდა მოვითმინო?!“.

— ბატონო ჯემალ, როგორ გარემოში გაიზარდეთ? ბავშვობიდან რომელიმე მკაცრი მოგონებას, კარგს ან ცუდს, ხომ არ გაიხსენებდით ჩვენთან?

— 1935 წელს დავიბადე, სამამულო ომის მომსწრე ვარ. მაშინ ვგრძნობდი, რომ რაღაც ხდებოდა, მაგრამ კონკრეტულად რა, ვერ ვხვდებოდი. სახლში საჭმელ-სასმელი არ გვაკლდა, ოჯახის წევრები მუშაობდნენ და ყველა ჩემზე იყო გადაყოლილი. მათ ასეთ მიდგომას არ გავუნებივრებივარ, თავნება ბავშვი არასოდეს ვყოფილვარ, ეშმაკი კი ვიყავი.

ჩემი ბავშვობის ერთადერთი შავი წერტილი ისაა, ჩემი თიკანი რომ წამართვეს. მეზობელთან გადავიდა, ქორწილი ჰქონდათ და ალბათ დაკლეს. მაშინ ძალიან პატარა ვიყავი, 2 წლის. ეს შემთხვევა კარგად არ მახსოვს, მაგრამ საშინლად ჩამრჩა გონებაში. დღესაც კი არ ვჭამ თიკნის, გოჭის და ხბოს ხორცს. დედამ მითხრა, ისე ნერვიულობდი, ათი დღე მაღალი ტემპერატურა გქონდა, ყვიროდი, ჩემი თიკანი მომიყვანეთო. ბავშვობაში მიღებული ტრავმა მთელი ცხოვრება მომყვება. დღემდე ძალიან მიყვარს ცხოველები.

„ძალიან კარგად ცეკვავდა, მაგრამ მაინც წავიდა. თქვა, მინდა, ხალხს ასეთი დავამახსოვრდე, ვატყობ, რომ ის აღარ ვარ, რაც ვიყავიო“.

ბავშვობაში კიდევ ერთი რაღაც მაწუხებდა. სტუმარს ვერ ვიტანდი, რადგან უნდა დავმდგარიყავი და მემღერა. მშობლები მეუბნებოდნენ, სტუმარია და მისთვის უნდა იმღერო, სირცხვილიაო. ამ საკითხში ძალიან ვჯიუტობდი. ბავშვს რაც არ უნდა, ის არ უნდა დააძალო, ყოველგვარი ცემის გარეშე უნდა შეაგნებინო. ერთხელ ჩვენთან რაიკომის მდივანი მოვიდა, ოჯახში საპატიო სტუმარი იყო და დედამ მითხრა, არ შეიძლება, რომ არ იმღეროო. მას შემდეგ ყველა სტუმარზე ვკითხულობდი, რაიკომიდან ხომ არ არის-მეთქი.

ჩვენს სახლში სულ იყო ერთი საწოლი გაშლილი, რომელშიც არავინ ვწვებოდით. დედა ამბობდა ხოლმე, ეს სტუმრის არის, ეს მჭადის ფქვილი, ხაჭაპური სტუმრისთვის არის გადანახულიო.

— ემოციური ბავშვი იყავით?

— ძალიან და ეს ჩემი ემოციურობა ჩემს ცხოვრებაზე, შემოქმედებაზე, განვლილ გზაზე აისახა. ვერ გეტყვით, რომ ცხოვრებაში არაფერი მეშლება. როცა ემოციებს ვყვები, საქმე ყოველთვის მიფუჭდება.

ჩვენი რეპეტიციები ჯოჯოხეთია. მათ რომ რაღაცას ვუხსნი, მგონია, ყველასთვის გასაგები უნდა იყოს, მაგრამ ზოგი ვერ იგებს და სწორედ ამ დროს შეიძლება ემოციებს ავყვე. კაცს, რომელიც ბავშვებს ზრდის, ემოციების ვერგაკონტროლება არ ეპატიება. მათ არ ესმით, რატომ შეიძლება გავჯავრდე, სხვანაირი ფსიქიკა აქვთ და განსხვავებული მიდგომა სჭირდებათ. სილის გაწვნით და სახაზავის რტყმით საქმე რომ არ კეთდება, ეს კარგად ვიცი, მაგრამ როცა მარჯვნივ გადასადგმელ ფეხს მარცხნივ ადგამ, როგორ უნდა მოვითმინო?! როცა კონცერტის შემდეგ მაყურებელი მეუბნება, ძალიან დიდი ენერგია მივიღეთო, ეს ყველაფერი სწორედ ემოციებისგან მოდის. მთელი ცხოვრებაა, არც საკუთარ თავს ვზოგავ და არც ჩემს მსახიობებს. ყველაფერს გულიდან ვაკეთებ და სწორედ ამიტომ ხშირად სასურველ შედეგსაც ვიღებ. ხშირად მაყურებელი მეკითხება, ეს ცომი სად იზილება, ეს შემოქმედება სად იძერწებაო. ერთადერთი გამონაკლისი ვარ, ვინც უცხო ხალხს რეპეტიციაზე ასწრებს. როცა ისინი ხედავენ, რეპეტიციები რა ჯოჯოხეთია, უფრო აფასებენ ჩვენს შრომას და შემოქმედებას. თუ რამე არ გამომდის, ძილი და მოსვენება მეკარგება.

— ყველაფერში ასეთი მაქსიმალისტი ხართ?

— მაგარი მაქსიმალისტი ვარ: ან ყველაფერი, ან არაფერი. ცუდად არ გამიგოთ და, მეორე ადგილზე ყოფნა არ მაწყობს. ნუ იფიქრებთ, რომ თავხედი ვარ, მაგრამ პირველობა მიყვარს. პრინციპში, ვის არ უყვარს ლიდერობა, ოღონდ ყოველთვის არ გამოდის.

— როგორი ურთიერთობებია თქვენი ანსამბლის შიგნით ახალგაზრდებს შორის, თქვენ მართავთ შიდა სიტუაციას თუ პირადული ამბები არ გეხებათ?

— ჩემთან მომღერლები და მოცეკვავეები რომ მოდიან, ყველას ვეუბნები, ან და-ძმა ხართ, ან ცოლ-ქმარი, სხვა ვარიანტი არ გვაქვს-მეთქი. ძალიან ბევრი მსახიობის გაშვება მომიხდა. მართალია, ჩემი საქმე არაა, ვის ვინ უყვარს, მაგრამ ეს მრუშობაში არ უნდა გადაიზარდოს. ბევრი ოჯახი და სიყვარული გადავარჩინე. კატეგორიულად მყავს ყველა გაფრთხილებული, რომ ჩუმ-ჩუმად სასტუმროებში სიარული აკრძალულია. შეიძლება ამაში ვცდები და არ ვარ მართალი, მაგრამ ეს ჩემი კატეგორიული მოთხოვნაა.

„ჩემთან მომღერლები და მოცეკვავეები რომ მოდიან, ყველას ვეუბნები, ან და-ძმა ხართ, ან ცოლ-ქმარი, სხვა ვარიანტი არ გვაქვს-მეთქი. მართალია, ჩემი საქმე არაა, ვის ვინ უყვარს, მაგრამ ეს მრუშობაში არ უნდა გადაიზარდოს. ბევრი ოჯახი და სიყვარული გადავარჩინე“.

ეკა ჭკუასელი

ყველა ჩვენი რეპეტიცია და კონცერტი წუთიერი დუმილით იწყება, ამიტომ კონცერტის შემდეგ განმარტოება არ არის კარგი. მე ეს ყველაფერი ჩემი ოჯახიდან მომდევს, იქიდან ვიცი, რა შეიძლება და რა — არა. ქალში რომ მისტიკურობა უნდა იყოს და გაშიშვლებული არ უნდა იყოს, თურქულ სერიალებს რომ არ უნდა ვუყურებდეთ და მათი ცხოვრებით არ ვცხოვრობდეთ, ამას ბევრი ცოდნა სჭირდება?

ვიღაცისთვის არაფერია, მაგრამ ჩემთვის მიუღებელია ქუჩაში კოცნა, გრეხვა და მანჭვა. როცა გოგოს ქუჩაში ყველას დასანახად კოცნი, გამოდის, რომ ის ყველასია და მაშინ მეც მათხოვე. ამ ყველაფერს ბავშვები უყურებენ, ჩემი შვილიშვილები, შვილთაშვილები და არ მსიამოვნებს. ბავშვი რასაც უყურებს, იმავეს აკეთებს, იმას სწავლობს და მთელი ცხოვრება ისეთად რჩება, როგორიც ბავშვო-

Cyan Magenta Yellow Black

ბაშია. ძალიან ყოფით საკითხებს შევეხე, არადა აქედან ყალიბდება ადამიანი.

ცოტა ხნის წინ ერთ ქალბატონს ველოდე, რომელსაც მანქანა ცუდად ჰქონდა გაჩერებული და ჩემი მანქანა ვერ გამომყავდა. ძალიან მაგვიანდებოდა და არც ტაქსის ფული მქონდა. რომ მოვიდა, აქეთ მისაყვედურა, რა ნაწყენი სახე გაქვს, დიდი ამბავი, თუ ცოტა ხანს შეყოვნდიო. ასეთ ადამიანს რა უნდა ვუთხრა, ცუდადაა გაზრდილი. ვუთხარი, მე რა მიჭირს, აქედან წახვალთ და თქვენმა ქმარ-შვილმა იკითხონ, მათთან რომ ცხოვრობთ-მეთქი.

— როგორც აღნიშნეთ, საქმეში პირველობა თქვენთვის უმთავრესია, მაგრამ არსებობს „სუხიშვილები“, თქვენი ყველაზე ძლიერი კონკურენტი. ამ კონკურენციას უძლებთ?

— რაც შეეხება ჩვენს კონკურენციას, მითხარით, ატამს და ქლიავს რა საერთო აქვთ, გარდა იმისა, რომ ორივე კურკოვანი ხილია? არც არაფერი. „ერისიონი“ და „სუხიშვილები“ არც შემოქმედებითად ვგავართ ერთმანეთს, არც სულიერად, არც აზროვნებით. საერთოდ სხვადასხვა ვართ. განსხვავებული გზები გვაქვს არჩეული, მაგრამ ერთს კი გეტყვით: როცა მუსიკაში უცხოური ნოტები შემოდის, იცოდეთ, რომ იქ ქართული ცეკვა დაკარგულია. ნოდარ დუმბაძე გამახსენდა, რომელმაც თქვა, ქალაქში სოფლელ ხიხოს მეძახდნენ, სოფელში — ქალაქელ კინტოსო. ადამიანი უნდა იყო ის, რაც ხარ, დანარჩენი სიყალბეა, ეს კი არავის სჭირდება. ასეთი რაღაცეები აღარ მიკვირს.

— ყოფილა შემთხვევა, როცა უცხოეთში გასტროლებზე ყოფნისას მოცეკვავეებს თქვენთვის უმტყუნია, ცუდი გამოსვლა ჰქონიათ?

— ყოფილა ასეთი შემთხვევები და ესაა უბედურება. იქ ძალიან ბევრ დეტალს ექცევა ყურადღება — გარემოს, შუქს, სცენას და, როცა რაღაც რიგზე ვერ არის, ეს მათზე მოქმედებს. ვეუბნები, ეს თქვენი საქმე არ არის, თქვენ თქვენი აკეთეთ, მაყურებელს გაეპრანჭეთ-მეთქი. ისეთი შემთხვევა არ ყოფილა, მაყურებელს რომ ეთქვას, არ მოგვწონაო, მაგრამ მე ყველა პატარა შეცდომას ვხვდები და განვიცდი.

— ყველა წარმატებული კაცის უკან ცოლი დგასო, ამბობენ. თქვენი მეორე ნახევრის როლს თქვენს ცხოვრებასა და საქმეში როგორ აფასებთ?

— 22 წლის ვიყავი, ცოლი რომ მოვიყვანე. ჩემი მეუღლე მაშინ მეცხრე კლასში იყო. მასზე 5 წლით უფროსი ვარ. ჩემმა ცოლმა ჯერ საშუალო სკოლა დაამთავრა დიდი წარმატებით და შემდეგ ჭკუასელების ოჯახის სამზარეულო. ასე მოვდივართ დღემდე.

მეუღლე ამჯერად შვილიშვილებს უვლის და შვილთაშვილის მოლოდინშია. ერთმანეთი თბილისში, ფიროსმანის 25-ში გავიცანით. მაშინ კინოსტუდიის ანსამბლში ცეკვავდა. დეიდასთან ხშირად დავდიოდი იმ ქუჩაზე. იქ დავინახე, მერე ცეკვის რეპეტიციაზე ჩუმად მივედი. მივხვდი, რომ ძალიან მომწონდა. 7-8 თვე ვხვდებოდით ერთმანეთს და ბოლოს დავქორწინდით. ალბათ დღეს ისიც ჩემსავით ბედნიერია. მე მისით ვარ უბედნიერესი კაცი. ბოლოს ცეკვას თავი დაანება და თქვა, მირჩევნია, შვილებს მივხედოო. სამი შვილის გაზრდა არც ისე იოლია. თან მაშინ ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდით და უფრო გვიჭირდა.

ახალდაქორწინებულებმა დამოუკიდებლად ცხოვრება დავიწყეთ. ყველა წყვილს ამას

„ერისიონი“ და „სუხიშვილები“ არც შემოქმედებითად ვგავართ ერთმანეთს, არც სულიერად, არც აზროვნებით. საერთოდ სხვადასხვა ვართ. განსხვავებული გზები გვაქვს არჩეული, მაგრამ ერთს კი გეტყვით: როცა მუსიკაში უცხოური ნოტები შემოდის, იცოდეთ, რომ იქ ქართული ცეკვა დაკარგულია“.

ვურჩევ, ეს აუცილებელია. ყოველთვის დალხენილი არ იქნები, ამიტომ ჯობს, ჭირიც და ლხინიც მხოლოდ ცოლ-ქმარმა გადაიაროს ყოველგვარი დამსწრეების გარეშე.

თუკი რამეს ვაკეთებ ან გამიკეთებია, ყველაფერი გიულის დამსახურებაა. ჩვენ ტკბილი და დალხენილი ცხოვრება არ გვქონია. ერთმანეთთან კი ვიყავით ტკბილად, მაგრამ დალხინებული არასოდეს ვყოფილვართ. ახლაც ოროთახიან ბინაში ვცხოვრობთ, მაგრამ მისგან საყვედური არასოდეს გამიგონია. ბოლო დროს მითხრა, რა კარგი იქნებოდა, მე და შენ ცალ-ცალკე ოთახები რომ გვქონდესო.

დედობა ყველაზე დიდი საჩუქარია ქალისთვის. ჩვენ სამი შვილი გვყავს და ჩემმა მეუღლემ მათ მიუძღვნა თავი. ახლა კი ერთსქესიანთა ქორწინება ხდება დასაშვები და აქციებს აწყობენ. არ ვიცი, რატომ მტენიან ცხვირპირში თავიანთ საქციელს. ჩემი სალოცავის წინ აქციებს მიწყობენ, ამისი კატეგორიული წინააღმდეგი ვარ!

— შეილებიც თქვენსავით ტრადიციულები არიან?

— აბა, როგორ! ამით ვამაყობ. ძალიან ტრადიციული ხალხი აუცილებლად სიახლის ერთგული უნდა იყოს. ყველა სიახლე კარგად დავიწყებული ძველია.

ორი შვილი ჩემი საქმის გამგრძელებელია. ბიჭი, მამაჩემის მოსახელე შერმადინი, ანსამბლის მთავარი დირიჟორია. ქალიშვილი ეკა ანსამბლის რეპეტიტორ-მასწავლებელია. 2008 წელს ცეკვას თავი დაანება. ძალიან კარგად ცეკვავდა, მაგრამ მაინც წავიდა. თქვა, მინდა, ხალხს ასეთი დავამახსოვრდე, ვატყობ, რომ ის აღარ ვარ, რაც ვიყავიო. ვეხვეწე, დარჩენილიყო, მაგარი მოცეკვავე იყო, მაგრამ არ მოინდომა.

— თქვენ გარშემო ხშირად არის ინტრიგა, დაყა, ხან საავტორო უფლებას გედავებიან, ხან ანსამბლის თანამშრომელი გაკრიტიკებთ... ასეთ უსიამოვნებებზე მძაფრად რეაგირებთ თუ სიმშვიდეს ინარჩუნებთ?

— ჯერ კიდევ 1958 წელს ვმღეროდი „შატილის ასულო“-ს, მერე ცოტა გადავაკეთე. 1962 წელს გამოჩნდა ვიღაც, ვინც თქვა, ეს სიმღერა მე დავწერეო. სასამართლოც დაემოწმა, ნამდვილად ამან დაწერაო. საწყალი კაცი, რომელმაც ეს სიმღერა მასწავლა, იფიცებოდა, მე ვასწავლე ეს სიმღერაო, მაგრამ არავინ დაუჯერა.

როცა ასეთ უსამართლობას ვაწყდები, ძალიან მეშლება ნერვები.

მხოლოდ ჩემი ცოლი მატყობს, რომ ცუდ ხასიათზე ვარ. ამ დროს არაფერს მეკითხება. თბილისში დაბადებულ-გაზრდილი კი არის, მაგრამ ქართლური სიდინჯე აქვს. ბოლოს მეტყვის ხოლმე, ყველაფერს მშვიდად შეხედე, რა მოგვიდაო.

როცა ცუდ ხასიათზე ვარ, მხოლოდ იუმორს შეუძლია ჩემი გახალისება. ვიცი, რომ არ ღირს იმაზე ფიქრი, რისი გამოსწორებაც არ შემიძლია, მაგრამ ამას ძალა სჭირდება. არც იმაზე ოცნება შეიძლება, რაც წარმოუდგენელია, ამის გამო მხოლოდ ხასიათი ფუჭდება. მეც ხშირად მიფუჭდება ხასიათი. ყველას ვეუბნები, ცხვირი არ ასწიოთ-მეთქი და მაინც ცხვირაწეულები დადიან. წლების წინ პარიზიდან ძალიან წარმატებულები რომ ჩამოვედით, 10 ადამიანი მხოლოდ იმიტომ გავუშვი, რომ თავი იმაზე მეტად ასწიეს, ვიდრე უნდა აეწიათ.

— არ ადიარებთ, მაგრამ, მგონი, მართლა მკაცრი ხართ.

— სამწუხაროდ, მართლა არ ვარ მკაცრი. იძახეს, ფრანგები გავაგიჟეთ და რეპეტიციები რაღად გვინდაო. მეკითხებიან, როგორ არ

„წლების წინ პარიზიდან ძალიან წარმატებულები რომ ჩამოვედით, 10 ადამიანი მხოლოდ იმიტომ გავუშვი, რომ თავი იმაზე მეტად ასწიეს, ვიდრე უნდა აეწიათ“.

უნდა ვიამაყოთ, რომ „ერისიონში“ ცეკვავთო. ვეუბნები, კი უნდა იამაყოთ, მაგრამ გაბღენძილებმა არ უნდა იაროთ და რეპეტიცია არ მიატოვოთ-მეთქი. ეს უკვე უპასუხისმგებლობაა, რასაც არავის ვაპატიებ! რეპეტიცია რომ 11-ზე იწყება, შენ 12-ის 10 წუთზე რატომ უნდა მოხვიდე?! ეს ყველასთვის უპატიებელია! ვისაც არ უნდა, წავიდეს. როცა მე ვერ შევძლებ, მეც წავალ სახლში, აქ რაღა მენდომება?

✓ ჭეთი დინოშვილი

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძის გაწმენდა, ფუნქციის ადგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება. საჭირო გამოკვლევები უფასოა! ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება 0. ძ-ნი ძეთევანი.

☎ 599-90-54-78, 234-02-38

Cyan Magenta Yellow Black

ვის გამო თქვა უარი თაკო ჩარკვიანმა საოცნებო ქორწილზე

„ჯონი ცხენზე შემჯდარი შემიყვარდა“

ჟურნალისტი და მუსიკათმცოდნე თაკო ჩარკვიანი თავისი ცხოვრების ყველაზე დიდ სიყვარულს 19 წლის წინ შეხვდა. ბიზნესმენ ჯონი გიგანის ცისფერმა თვალებმა თაკოს გული მალე დაიპყრო. ამ ურთიერთობას წინ არავინ აღდგომია. ერთწლიანი რომანი ოჯახის შექმნით დაგვირგვინდა, თუმცა თაკომ საოცნებო ქორწილზე უარი თქვა. მიზეზებზე ქვემოთ შეიტყობთ. სამაგიეროდ, როდესაც წყვილს ქალიშვილი ეყოლა, მის ნათლობაში ყველა ის ადამიანი მიიწვიეს, ვინც ქორწილში უნდა ჰყოლოდათ.

ბიზნესმენ ჯონი გიგანს პირველი ქორწინებიდან ორი შვილი ჰყავს, რომლებიც თაკოსთან და ირმასთან მეგობრობენ და ეს გარკვეულწილად თაკოს დამსახურებაა. მან მოინდომა, რომ ბავშვები მამასთან რაც შეიძლება ახლოს ყოფილიყვნენ.

— ქალბატონო თაკო, რა ასაკში გაიცანით თქვენი მომავალი ქმარი?

— პატარები არ ვყოფილვართ, ორივე 28 წლის ვიყავით. პირველად წყნეთში შევხვდით ერთმანეთს. იქ ერთი დღით მყავდა აყვანილი ჩემი ძმის, მამუკას შვილი ირინოლა. სახლის კარი რომ გავაღე, ამ დროს აიარა ჩემმა მომავალმა მეუღლემ მანქანით, რომელსაც გვერდით გივი სიხარულიძე ეჯდა. გივიმ გამომძახა, ხომ არ ვიცოდი, ერთ-ერთი კოტეჯი სად იყო. ვიცნობდი გივის და კოტეჯი მივასწავლე. წყნეთში, ჩვენთან, ხშირად იკრიბებოდნენ მეგობრები — მსახიობი ნანა შონია, პოეტი დათო მაღრაძე და სხვები. იმ დღესაც ჩვენს სახლში შეიკრიბნენ. ცოტა ხანში გივი სიხარულიძე და ჯონიც შემოგვიერთდნენ. მერე გავიგე, რომ მას გივისთვის უთხოვია, როგორმე ჩვენთან მოსულიყვნენ. საინტერესო ის არის, რომ მანამდე, რამდენიმე წლით ადრე, ვარაზისხევში გვინახავს ერთმანეთი. მოგვიანებით აღვიდგინეთ ეს ამბავი.

მეორე დღეს წყნეთში, მეგობრების კოტეჯში ვიყავი, როცა ჯონის ხმა გავიგონე, კითხულობდა, თაკო ჩარკვიანი აქ თუ არისო. რომ გავედი, უზარმაზარი, გაბაფთული ყუთი გადმომცა, ტკბილეულით სავსე... იმის მერე ჯონი ერთი თვე არ გამოჩენილა.

— ეს ცოტა უცნაურ საქციელად არ მოგეჩვენათ?

— თავისი საქმეები ჰქონდა. წყნეთიდან თბილისში რომ დავბრუნდი, სახლში ტელეფონმა დარეკა. გივი სიხარულიძე იყო. ძალიან მჭირდებიო, მითხრა. მაშინ „პირველ არხზე“ მუსიკალურ-შემეცნებითი საავტორო გადაცემა „კოლაჟი“ მიმყავდა. გივიმ მითხრა, სასტუმრო „საქართველოს“ გენერალურ დირექტორად დამნიშნეს, პრეზენტაციას ვაკეთებ და იქნებ დამეხმაროო. რა თქმა უნდა, მისთვის უარი არ მითქვამს და ამის შესახებ ჩემს მეგობრებს, დიზაინერს და მხატვარს ვუთხარი. გოგონებთან ერთად მივედი სასტუმროში შეხვედრაზე და წარმოდგენაც არ მქონდა, ვინ დამხვდებოდა. გივი სიხარულიძესთან და ვიცეპრეზიდენტთან ვისაუბრეთ, შევთანხმდით და ბოლოს გივიმ თქვა, რომ სასტუმროს პრეზიდენტთანაც უნდა განგვეხილა პრეზენტაცია. სასტუმროს პრეზიდენტად კი ჯონი დამხვდა. ძალიან ოფიციალურად შემხვდა, ეს არ მომეწონა და მალევე გამოვედი კაბინეტიდან. დერეფნის ბოლოში ვიყავი მისული, რომ ჯონი დამეწია და შემომთავაზა, მანქანით გაგიყვანო. უარი ვუთხარი, ტელევიზიის მანქანით წავალ-მეთქი. სინამდვილეში კი არ ვიყავი მანქანით.

„ჩემი და მამას აქტიურობა ჯონის ბიზნესს ჰიდაპჰის უჩტყამდა. ბევჩჯეჩ დაუჩეკავთ ჩემი ქმჩისთვის მუქაჩით, გააჩეჩე ცოლი და სიმამჩიო“.

საინტერესო ის იყო, რომ მეგობრებმა ორ დღეში დამირეკეს, პრეზენტაციისთვის ყველაფერი გავამზადეთ, მაგრამ, მგონი, არავინ აპირებს მის ჩატარებასო. მთხოვეს, გამერკვია, რა ხდებოდა. დავურეკე გივი სიხარულიძეს და მითხრა, ერთი შეკრება კიდევ არის საჭირო და შენც უნდა მოხვიდეო. ისევ გოგოებთან ერთად მივედი სასტუმროში და რომელ ოთახშიც შეგვიყვანეს, იქ საოცარი სუფრა დაგვხვდა გაშლილი. ჯონიც იქ იყო. ასე, თანამშრომლობით და მეგობრობით დაიწყო ჩვენი ურთიერთობა.

— 28 წლის ასაკში უკვე სასტუმროს მმართველი იყო, ეს ცოტა არ არის. ჯონიმ ალბათ ადრეული ასაკიდან დაიწყო ბიზნესი.

— ჯონი 15 წლამდე სვანეთში ცხოვრობდა. თბილისში რომ გადმოვიდა, სწავლა კომაროვში გააგრძელა. მოგვიანებით სპორტმა გაიტაცა, კერძოდ, ძიუდომ. ჯონი მშრომელი ადამიანია. ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა, მერე კი რუსეთში წავიდა და ნავთობთან დაკავშირებით ბიზნესი ააწყო. მარტომ გააკეთა ყველაფერი. ძალიან სანდო ბიზნესი ჰქონდა. იქიდან კოტე მახარაძემ ჩამოიყვანა. მერე ჯონიმ ყველაფერი სასტუმრო „საქართველოში“ ჩადო. იმ ავბედით პერიოდში, რომელსაც 9 წლიანი ნაციონალური მმართველობა ერქვა, ეს სასტუმრო გაიყიდა. ჯონის ყოველთვის კაცური პოზიცია ეჭირა, ეს კი არ შეარჩინეს.

ჯონი ყოველთვის იყო ბიზნესში, მაგრამ სხვადასხვა ტიპის დაჯგუფებებისა და საძმოებისგან შორს იდგა. მეც ეს მომეწონა, რომ საოცრად სუფთა, მშრომელი, მიზანდასახული და ალალი იყო. დედაჩემსაც მაშინვე მოეწონა ჯონი, ნდობა გაუჩნდა მის მიმართ.

— თქვენ 28 წლამდე ისე მიხვედით, არაკინ გაყვარებთათ ან გატაცება მთხეც არ გქონიათ?

— ჩემი ძმის სამეგობროდან ყველა ჩემი ძმა იყო. ჩემი სამეგობროდანაც, გამორიცხული იყო, ვინმე მომწონებოდა, რადგან მართლა ვმეგობრობდით. როცა მოვიდა სიყვარული, მაშინ შემიყვარდა და ეს ჯონი იყო.

— პირველი შეხვედრიდან რა დაგამახსოვრდათ?

— ეს ადამიანი გამომეტყველებით დამამახსოვრდა. დავიწყოთ იმით, რომ ფრიად სიმპათიურია. თან ჩემმა ძმისშვილმა ირინოლამ მიმაქცევინა ყურადღება. წყნეთში ყოფნისას ტკბილეულით სავსე შეკვრით რომ მოვიდა ჯონი, ირინოლამ დამიძახა და მითხრა, გარეთ ის ბიჭია, ცისფერთვალება და სიმპათიური რომ არისო. კარი გავაღე და დავაკვირდი, მართლა სიმპათიური იყო თუ არა. საინტერესო გამომეტყველება ჰქონდა.

— მალე მოჯადა საჭე ქორწილებამდე?

— მთელი წელი ვხვდებოდით ერთმანეთს და ერთი წლის მერე მოვაწერეთ ხელი. ახალგაცნობილი რომ მყავდა, ვუთხარი, ჩემი მეგობარი ხარ-მეთქი. მანაც მიპასუხა, კი, მეგობარი ვარ და ქორწილს სასტუმრო „საქართველოში“ გადაგიხდიო. ეს მაშინ არ მომეწონა. ცოლ-ქმარი რომ გავხდით, მერე მითხრა, ხომ გადაგიხადე ქორწილი იქ, სადაც შეგპირდიო.

— თქვენი ძმა მამუკა ჩარკვიანი რიგორ შეხვდა სასიძოს?

— მამუკა რბილად შეხვდა ამ ამბავს. მახსოვს, როცა ვკითხე, რა იცოდა ჯონის შესახებ, მიპასუხა, შენ საიდან იცნობ საერთოდო. მე კი ვუთხარი, ცხენზე მოჯირითე ვნახე და მაინტერესებს-მეთქი. მაშინ მამუკამ მითხრა, ვაუკაცი კაცის სახელი აქვსო. ეს ბევრს ნიშნავდა. მამუკა საერთოდ სიტყვაძუნწია. არასოდეს იხედებოდა კუნთებზე, მაგრამ კუნთი არ არის საჭირო იმისათვის, რომ კაცის სახელი გქონდეს. მამუკას კი ამ თვალსაზრისით კარგი სახელი ჰქონდა. ამიტომ მისი შეფასება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

— სად ნახეთ ცხენზე მჯდომი ჯონი გიგანი?

— იპოდრომზე, სადაც მეგობრებთან ერთად დამპატიჟა. მერე მოგვიანებით მკითხა ჯონიმ, როდის გაგიჩნდა ჩემ მიმართ სიმპათიაო. ვუთხარი, რომ იპოდრომზე, ცხენზე მჯდომი მომეწონა. ჯონი მამაჩემს მიუბრუნდა და უთხრა, ვიჯდებოდი ცხენზე კარგად, აბა, რა, „მერსედესი“ სვანეთში სად მყავდაო.

■ თაკო და ჯონი

„ეითხეე ჯაფეში ვისხედით და უცებ ნაცნობი ღიმიღი და ულვაშები დავინახე — მამა მოვიდა, გამომცდელად შეხედა ჯონის და იკითხა, ჩვენთან ვეჩ დაღევდით ყავასო. მეოჩე დღეს ჩვენთან მოვიდა ჯონი და იხუმჩა, ჯანსუღ, ხომ მითხაჩი და მოვედი ყავის დასალევადო. მინდა გითხჩათ, ჩომ დიღამდე სვამდენენ „ყავას“.

— სასტუმროსა, რიგორი რეპუტაცია ჰქონდა მამას, ბატონს ჯანსუღ ჩარკვიანს თქვენს გათხოვებაზე?

— ვინაიდან მამა უკვე იცნობდა მას, არ უნერვიულია. აქ ჯონიმ გამოიჩინა თავი და მამას დაუახლოვდა. ერთხელ კაფეში ვისხედით და უცებ ნაცნობი ღიმილი და ულვაშები დავინახე — მამა მოვიდა, გამომცდელად შეხედა ჯონის და იკითხა, ჩვენთან ვერ დალევდით ყავასო. მეორე დღეს ჩვენთან მოვიდა ჯონი და იხუმრა, ჯანსუღ, ხომ მითხარი და მოვედი ყავის დასალევადო. მინდა გითხრათ, რომ დილამდე სვამდნენ „ყავას“. მათ შორის თავიდანვე სწორი ურთიერთობა ჩამოყალიბდა.

— რიგორი ქორწილი გქონდათ?

— ჩემი გადაწყვეტილება იყო, 30 კაცი ხელის მოსაწერად წავსულიყავით და მერე ჯვარი დაგვეწერა. ირმა, ჩემი გოგონა, ერთი თვის რომ გახდა, მოვნათლეთ და მის ნათლობას დავარქვით ჩვენი ქორწილი. ეს ჩემი თხოვნა იყო და ჯონიმ გაითვალისწინა. მას პირველი ქორწინებიდან ორი შვილი ჰყავს. ბავშვები მაშინ იმ ასაკში იყვნენ, როცა მშვენივრად ხვდებოდნენ ყველა-

Cyan Magenta Yellow Black

ფერს და არ მინდოდა, მათი მამის ქორწილი ყოფილიყო. ირმას ნათლობაში 150 კაცი დავპატიჟეთ, ვინც ჩვენს ქორწილში გვინდოდა, ყოფილიყვნენ. ეს იყო ირმას ნათლობა და არა — თაკო ჩარკვიანის და ჯონი გიგანის ქორწილი. მიმაჩნდა, რომ ეს იყო სწორი. ჯონის შვილები და მე დღეს რომ ძალიან ვმეგობრობთ და ჩემს გოგონასთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა აქვთ, ამას დამსახურება უნდა. დღეს ჩვენ ძალიან სწორი და კარგი ურთიერთობა გვაქვს.

— ჯონის პირველი, წარუმატებელი ქორწილება არ გაფიქრებდათ?

— რა თქმა უნდა. მამუკას სწორედ ამიტომ ვკითხე, რა ჰქონდა გაგებული ჯონის შესახებ. ცხოვრებაში რაღაც იმიტომ არ ხდება, რომ ვიღაც ცუდი პიროვნებაა. უბრალოდ ხდება. შეიძლება ორი ადამიანის გზა გაიყოს და სხვადასხვა მხარეს წავიდნენ, მეტი არაფერი. მთავარია ის, რომ მშობლები შვილებს არ გასცილდნენ. ჯონი გასცილდა ცოლს, მაგრამ ძალიან კარგი მამაა თავისი შვილებისთვის და ეს კიდევ ერთი პლუსია ჩემთვის. ისინი უკვე დიდები არიან.

„მეც ეს მომეწონა, რომ საოცრად სუფთა, მშრომელი, მიზანდასახული და აღაღი იყო. დედაჩემსაც მაშინვე მოეწონა ჯონი, ნდობა გაუჩნდა მის მიმართ".

ჯონიმ პირველი ოჯახი ადრეულ ასაკში შექმნა, მერე რუსეთში წავიდა. მისი ვაჟი ირმაზე 10 წლით უფროსია, ხოლო ქალიშვილი — 9 წლით. ყველანი ვმეგობრობთ.

— როგორი მამაა ირმასთვის?

— ძალიან დამთმობი და რბილი. როგორც წესი, გოგო მამის სუსტი წერტილია.

— სვანები სპეციფიკური ხასიათით და ტრადიციულობით გამოირჩევიან. ეს თქვენს ქმარსაც ეტყობა?

— ბუნებრივია, ჯონი ტრადიციული სვანია. ერთხელ ვკითხე, შენი სოფლის იქით რა არის-მეთქი და მეხუმრა, თეთნულდიო. როცა ადამიანი ნიჭიერია, პროგრესისკენ მიიწევს, ტრადიცია გენიალურ განვითარებაში მოჰყავს. ასეთ დროს ტრადიცია ოქროდ გვევლინება.

— სვანების რძალმა კუბდარის მომზადება ისწავლეთ?

— კუბდარის მომზადება არ ვიცი, მაგრამ ჭვიშტარის გამოცხობა ვისწავლე. სვანები სულ ამბობენ, რომ ჭვიშტარი მათი სამზარეულოდანაა.

— 19 წელია ერთად ხართ. თქვენს ცხოვრებაში ამ ხნის განმავლობაში სირთულეებიც იქნებოდა.

— გახსენებაც არ მინდა, ისეთი სირთულეები იყო, ჯონის ბიზნესიდან გამომდინარე. ავბედით 90-იან წლებში ძალიან ატერორებდნენ ბიზნესს. ჯონი არ დაუშვებდა ბიზნესის „შეწერვას". ბანდიტური დაჯგუფებები ხშირად უვარდებოდნენ სასტუმრო „საქართველოს", საშინელი მდგომარეობა იყო, მაგრამ ვერაფერი მიიღეს და მერე თავი დაანებეს. მოგვიანებით ჯონის ლიკვიდირებაც უნდოდათ. იყო შავბნელი პერიოდი და ეს ბევრმა ვაუკაცმა გადაიტანა, მათ შორის — ჩემმა ქმარმაც.

„იჩინოლამ დამიძახა და მითხრა, გაიხეთ ის ბიჭია, ცისფეთვალება და სიმპათიური ხომ ხარ. ჯარი გავალე და დავაჯვიჩი, მართლა სიმპათიური იყო თუ არა. საინტერესო გამომეტყველება ჰქონდა".

ბუნებრივია, ეს ყველაფერი ოჯახზეც მოქმედებს, მაგრამ ჩვენ ერთმანეთის გვერდით მტკიცედ ვიდექით. ამას ჯონი ყოველთვის მადლიერებით იხსენებს. თვითონაც ბევრჯერ დამდგარა ჩემ გვერდით.

— მით უმეტეს, რომ თქვენ უკან არ ისიჯდით და თქვენს პოზიციას ამა თუ იმ საკითხზე ყოველთვის მკაფიოდ აფიქსირებდით.

— არ მახსოვს, ჯონის ერთხელ მაინც გადაკვრით ეთქვას, დაწერე, მაგრამ ცოტა მსუბუქადო. არადა ჩემი და მამაჩემის აქტიურობა მის ბიზნესს პირდაპირ ურტყამდა. ბევრჯერ დაურეკავთ მის ოფისში და უთქვამთ, გააჩერე ცოლი და სიმამრიო. ჯონი კი პირიქით მეუბნებოდა, რატომ არ წერ, წერეო. ერთხელ ნაციონალურმა მოძრაობამ ჯონის ყველაფერი დაუყადაღა და გაუჩერა. მაშინ მამამ უთხრა, რასაც ვფიქრობ, იმას ვწერ, მთელი ცხოვრება ასე გავატარე და მე ხომ არ გიფუჭებ რამესო. ჯონიმ უპასუხა, ნუთუ ასე მიცნობ, მთელი ცხოვრება არაფერი მწყენია შენგან და ახლა მეწყინა, როგორ მითხარი, რომ შეიძლება ეს მაწუხებდესო. ასეთი ურთიერთობები გვაქვს ოჯახში.

— ახლა რა გრძნობაა თქვენ შორის, 19 წლის შემდეგ?

— ჩვენ შორის სულ უფრო მეტი გრძნობაა, ვიდრე ადრე. ამას არ ვაჭარბებ. დღეს ჩემსა და ჩემს მეუღლეს შორის ბევრად მეტი ურთიერთობაა, ვიდრე ის გაბაფთული ყუთი იყო. ერთნი ვართ. ამას გააზრებულად ვამბობ. დასაწყისში უფრო ემოციებია, ახლა კი ყველაფერს გადატანილი მძიმე დღეები ემატება, რაც ურთიერთობას უფრო მყარს ხდის. ამას მხოლოდ სიყვარული გაგაკეთებინებს.

✓ მანანა ნოდია

მეგი წითლიძე:

„სანდროსნაირი შვილი ერთი რომ გაგიჩნდება, მისნაირი სულ უნდა აჩინო და ზარდო"

ხატომ ეიოდნენ მშობლები სანდრო ჯაჯულიას დაბადებას 7 წელი

„სანდრო დაქორწინებიდან 7 წლის შემდეგ შეგვეძინა, დაგეგმილი შვილი იყო. მისი დაბადება ჩვენთვის და განსაკუთრებით, ჩემი ოჯახისთვის, დიდი სიხარული გახდათ, რადგან ჩვენ სამი და ვიყავით და ჰორიზონტზე ბიჭი არ ჭაჭანებდა".

Uპრობლემო, უკონფლიქტო, მშვიდი, მოსიყვარულე, ნიჭიერი — ასეთი შვილი, რომელზეც ყველა დედა ოცნებობს, მეგი წითლიძეს და დავით კაკულიას დაქორწინებიდან 7 წლის შემდეგ შეეძინათ და მას სანდრო დაარქვეს. ბიჭუნა ბავშვობიდან გამოირჩეოდა წერის ნიჭით, ნათელი გონებით. 16 წლიდან მისი პიესები ლიტერატურულ წრეებში გაიცნეს, შემდეგ იურიდიული განათლება მიიღო, მოულოდნელად ჯერ ერთ-ერთ ქართულ ფილმში აღმოჩნდა, შემდეგ კი — პოპულარულ სერიალში და სანდრეექსას როლით გოგონების არმია მოხიბლა. თუმცა დედას, ქალბატონ მეგის, გული სწყდება, რომ კინომ მისი შვილი პიესების წერას ჩამოაშორა.

სანდრო კაკულიას მშობლებზე, ოჯახსა და ბავშვობაზე მისი დედის, მეგი წითლიძის ინტერვიუდან შეიტყობთ.

— ქალბატონო მეგი, როგორც ვიცი, თქვენ და თქვენი ქმარი, დავით კაკულია, ადრეულ ასაკში დაქორწინდით. გვიამბეთ თქვენი ოჯახის შექმნის ისტორია.

— დავითი კურორტზე, სურამში გავიცანი. მაშინ მეათე კლასში ვიყავი, მას კი სკოლა ახალი დამთავრებული ჰქონდა. გაცნობიდან 2 წელში დავქორწინდით. მე 18 წლის გახლდით, ჩემი ქმარი კი 19 წლის იყო. პროფესიით მხატვარ-ფერმწერი ვარ, სამხატვრო აკადემია დავამთავრე. დავითი ბიოლოგია, მაგრამ თავისი სპეციალობით თითქმის არ უმუშავია. აკადემიის დამთავრების შემდეგ იქვე დავრჩი, დღეს აკადემიის პროფესორი, სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე ხარისხის სამსახურის უფროსი ვარ.

— სანდრო რა ასაკში გაგიჩნდათ?

— სანამ სწავლა არ დავამთავრე, შვილზე არ გვიფიქრია. სანდრო დაქორწინებიდან 7 წლის შემდეგ შეგვეძინა, დაგეგმილი შვილი იყო. მისი დაბადება ჩვენთვის და განსაკუთრებით, ჩემი ოჯახისთვის, დიდი სიხარული გახლდათ, რადგან ჩვენ სამი და ვიყავით და ჰორიზონტზე ბიჭი არ ჭაჭანებდა.

— ამდენი ხანი შვილს რომ არ აჩენდით, ამას თქვენი ქმარი არ აპროტესტებდა?

— ეს ერთობლივი გადაწყვეტილება იყო. სანდრო დღემდე მისთვის დიდი სიხარულია.

— როგორი იყო სანდროს ბავშვობა, რა ხასიათს ამჟღავნებდა თქვენი ბიჭი?

■ სანდრო

— ძალიან კარგი ბავშვი იყო და ახლაც კომფორტული ადამიანია. ყველაზე მეტად ამ თვისებით გამოირჩევა. ძალიან უპრობლემოა. თუ რამეს ხელს ჰკიდებდა, მსუბუქად, წვალების გარეშე გამოსდიოდა. სწავლაზეც ძალდატანება არ სჭირდებოდა. განსაკუთრებულად ნიჭიერია. ძალიან კარგი დრამატურგია. 16 წლის იყო, სკოლის მოსწავლე, როცა ჯიბის თეატრში მივიდა, დრამატურგი ვარო. ამას იქ ღიმილით შეხვდნენ, მაგრამ მისი პიესები პირველად სწორედ იქ დაიდგა. ამის წყალობით, მალალ კლასებში სანდროს თავისი ფული ყოველთვის ჰქონდა. წერაც ეხერხებოდა, უცხო ენებიც, მათემატიკაც, გეოგრაფიაც. არც დიდი

→42

Cyan Magenta Yellow Black

■ მამა-შვილი

■ ოჯახი

და განსაკუთრებული მეცადინეობა სჭირდებოდა და არც ჩემი დახმარება. ასეთი გაჩნდა.

სწავლა ძალიან უყვარდა. მხოლოდ იმით მაწუხებდა, რომ დამდევდა, გაკვეთილს ჩაგაბარებო. დანარჩენ საკითხებში სანდრო და პრობლემა დღემდე შორს არის ერთმანეთისგან.

ნ წლიდან გამართულად კითხულობდა. ასეთ ლეგენდებს ალბათ ბევრი მშობელი ყვება, მაგრამ სანდრო სულ პატარა იყო, როცა მათემატიკურ ანგარიშებს დახედავდა თუ არა, მაშინვე პასუხებს ამბობდა. კითხვა ძალიან უყვარდა. რასაც თვითონ ერეოდა, კითხულობდა, რასაც — ვერა, მე ვუყვებოდი. სახლში ძალიან კარგი ბიბლიოთეკა გვქონდა, ყველაფერი გადაიკითხა და ბოლოს უკვე წიგნებს ვმათხოვრობდით. მერე იძულებული გავხდი, ყოველ ღამე უგრძესი, ახალ-ახალი ამბები მომეგონებინა, ოღონდ სანდროსთვის საკადრისი. ამასობაში მეც გავიწაფე და ახლა სანდრო არაჩვეულებრივ ამბებს მაბრალებს, ამბობს, რომ ყველაფერი თურმე ჩემი დამსახურება ყოფილა. არადა, ეს გარემოებამ გამოიწვია, ის იყო ასეთი.

— მშვიდი, გაწონასწორებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. ემოციების ამოფრქვევა, გაცხარება არ ახასიათებს?

— მშვიდი კი არა, უბრალოდ ვერაფრით წამოიკიდებ ვერანაირ კონფლიქტზე. სანდროს ძალიან დიდი შინაგანი სივრცე აქვს, რაღაც ზღვრამდე ვერ მიხვალ, მდგომარეობიდან ძალიან გამოსულ სანდროს ვერ ნახავთ. სულ გინდა, ნახო, სანდრო სად მთავრდება. ალბათ ეს ხიბლი აქვს მას, რაც გარეგნულად სიმშვიდით გამოიხატება. ამას გარდა, ძალიან მოსიყვარულეა. სანდროსნაირი შვილი ერთი რომ გაგიჩნდება, მისნაირი სულ უნდა აჩინო და ზარდო.

— მშობლებიდან, წინაპრებიდან ვის ამსგავსებთ ყველაზე მეტად?

— დედაჩემს, თავის უსაყვარლეს ბებიას ვამსგავსებ. მგონი, ხასიათით მე მგავს, მაგრამ ამაზე დიდი დავა გვაქვს. ყველას გვინდა, გვგავდეს.

— სანდრო მამის ახალგაზრდობას გაჭრილი ვაშლივით ჰგავს.

— კი, ახლაც ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. უმცროსი ვაჟი, ირაკლი, გარეგნულად მამაჩემსაც ჰგავს და მეც.

— ძმებს შორის ასაკობრივი სხვაობა რამდენია?

— ხუთწელნახევარი. ირაკლი მთლად მარტივი ბავშვი არ იყო. რაღაც თავისი ხედვები აქვს, ფილოსოფიური გადახრები. კითხვა ირაკლისაც ძალიან უყვარს. შეუძლია ორი კვირა სახლიდან არ გავიდეს და იკითხოს. ირაკლი სანდროსგან ძალიან განსხვავებულია, მაგრამ არაჩვეულებრივი ძმობა აქვთ. სანდრო თუ კომფორტულია, მსუბუქია, ირაკლი მისი საპირისპიროა. არც ირაკლი შეუქმნის ვინმეს დისკომფორტს, მაგრამ მსუბუქი ადამიანი არ არის. ყველაფერში რაღაც აზრს ეძებს, ფიქრობს, ასე რატომ არისო.

სწავლაშიც განსხვავებულები იყვნენ, ირაკლი თავს დიდად არ იტვირთავდა, თუმცა ძალიან დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდა და ახლაც აქვს. ძმები არც ვიზუალურად ჰგვანან ერთმანეთს.

— ორი ბიჭის მერე გოგონას გაჩენაზე არ გიფიქრიათ?

— თქვენ წარმოიდგინეთ, არასოდეს. მუდამ ორი ბიჭის ყოლა მინდოდა და მყავს კიდეც. ჩემს ქმარს კიდევ სულ გოგო უნდოდა. სამაგიეროდ ახლა შვილიშვილზე გიჟდება.

— თქვენმა შვილებმა პროფესია დამოუკიდებლად აირჩიეს, ამ საქმეში სრული თავისუფლება მიეცით?

— ვცდილობდი, არ ჩავრეულიყავი. ირაკლი ჯერ თანამედროვე ხელოვნებამ დააინტერესა და სამხატვრო აკადემიაში ჩაბარა. შემდეგ ჩათვალა, რომ ეს მისთვის საინტერესო არ იყო და არქიტექტურაზე გადავიდა, იქიდან კი სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე, გრაფიკაზე. სანდრომ თავიდან საერთაშორისო ურთიერთობებზე ჩაბარება გადაწყვიტა. მაშინ უნივერსიტეტში ადვილად ვერავინ ეწყობოდა. იქ მომუშავე ახლობლებმა გვითხრეს, რომ სანდროს მონაცემების მიუხედავად, ეს ასე მარტივად ვერ მოხერხდებოდა და მეც ვურჩიე, იქნებ იურიდიულზე ჩაებარებინა. რეპეტიტორი არ ჰყოლია. იმდენად გადაგვიწურეს იმედი, ჩავთვალეთ, რომ ის წელი მისთვის საცდელი იქნებოდა, მაგრამ, ჩვენ ბედად, უნივერსიტეტში რაღაც დარღვევები გახმაურდა. ზუსტად სანდროს მისაღებ გამოცდაზე ტელევიზია იყო შესული. გაუმართლა და ათიანები მიიღო. დღემდე მეუბნება, რომ ეს ძალით გადავაწყვეტინე. პროფესიით არასდროს უმუშავია, მაგრამ მინდა, გითხრათ, რომ იმდენად ნათელი გონების ადამიანია, ურთულესი კითხვაც რომ დაუსვათ, ყველაფერს იურიდიული კუთხით უდგება.

— სანდრო სპორტული აღნაგობისაა. რომელ სახეობაზე დადიოდა?

— ცურვაზე და ბეისბოლზე. ბეისბოლში იმ პოზიციამ, რაც მას ჰქონდა, მუხლის განსაკუთრებული დატვირთვა იცის. სანდრომ ტრავმა მიიღო და ბეისბოლს თავი დავანებეთ.

— თქვენი შვილი სახოგადოებამ სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებიდან“ გაიცნო. როცა სანდრო ეკრანზე გამოჩნდა, ეს ფაქტი როგორ აღიქვით?

— „ჩემი ცოლის დაქალებში“ მისი მოხვედრის შესახებ ბოლო წუთს გავიგეთ. დიდხანს ეკრანზე მას თვალი ვერც მოვკარი. თავიდან იმდენად პატარა ეპიზოდებში იყო ხოლმე, როცა დამიძახებდნენ, სანდრო არისო, ტელევიზორთან მისვლამდე უკვე აღარ ჩანდა. დასანანია, რომ სანდროს პოპულარიზაცია ასეთი მხრიდან მოხდა.

— თქვენ როგორ გერჩიოთ?

— მე კი არ მერჩივნა, უბრალოდ სანდროს ლიტერატურულ წრეებში უკვე მართლა იცნობდნენ, როგორც დრამატურგს. მსახიობობამ ალბათ მისი ეს უნარები გადაფარა და ამ მხრივ ცოტა გული დამწყდა, მეტი არაფერი.

— ატყობდით თქვენს შვილს მსახიობურ მონაცემებს?

— ეს სფერო ძალიან უყვარდა, მაგრამ თეატრალურში ჩაბარების საკითხი დღის წესრიგში არასოდეს დამდგარა.

— სანდრეესას წყალობით, სანდრო გოგონებში ძალიან პოპულარული გახდა. თქვენც გრძნობთ ამას?

— სანდრო მუდამ პოპულარული იყო. მასთან ერთად ქუჩაში გავლა პრობლემაა ხოლმე. იმდენად მოსიყვარულე და კეთილია, ყოველთვის და ყველასგან იმავეს იღებს საპასუხოდ. თურმე ამ სერიალს ძალიან ბევრი უყურებს, რაც ჩემთვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

„შეუძლებელია, სანდროს ვეჩი გაუგო. მისგან ყველაფერი გელნიფელია ხოლმე. ახაფერს დებს სასწორზე, არ ფვალობს, არ ფიქრობს, როგორ მოიქცეს. მასთან ერა ხდება, ყველაფერი ბუნებრივად, მსუბუქად ხდება“.

— რაიმე მსგავსებებს ხედავთ სანდრეესას და თქვენს შვილს შორის?

— სანდრეესას თავისი ბებია რომ უყვარს, იმაზე მეტად უყვარს სანდროს ბებიამისი. თავიდან სანდრეესა სერიალში რომ ტიპობდა და ახლა აღარ ტიპობს, ასეთი სანდრო არასდროს ყოფილა. სანდრეესა სანდროს ინტონაციებში, მანერებში ჰგავს. როცა რამე მსგავს მანერას ვხედავ, მსიამოვნებს ხოლმე. მეუღლე უფრო ერთობა მისი ყურებით, ვიდრე მე. მე ამისთვის დრო ნაკლებად მრჩება.

— სანდროს დაქორწინებას როგორ შეხვდით?

— ესეც ძალიან მსუბუქად მოხდა. ვიცოდი, რომ სანდრო და ნუცა აბაშიძე შეყვარებულები იყვნენ, მაგრამ არ გვეგონა, მალე თუ გადაწყვეტდნენ ოჯახის შექმნას. ერთ მშვენიერ დღეს მოვიდა და თქვა, რომ ჯვარი უნდა დაეწერათ და რომ ეს ნუცას მშობლებმა იცოდნენ.

— მაშინ უკვე იცნობდით ნუცას?

— კი. თან სანდროს მიმართ სრული ნდობა გვქონდა და ეს ნდობა და იმედები არ გაგვმტყუნებია.

— სერიალში თქვენი შვილის გმირი გათხოვილ ქალზეა შეყვარებული. ცხოვრებაში ასეთი რამ რომ დამართნოდა, როგორ მოიქცეოდით?

— აუცილებლად გავუგებდი. სანდროს მიმართ მაინც ნდობა მექნებოდა, ჩავთვლიდი, რომ სხვა გზა არ ჰქონდა.

— ყოველთვის ასე უგებთ შვილს?

— შეუძლებელია, სანდროს ვერ გაუგო. მისგან ყველაფერი გულწრფელია ხოლმე. არაფერს დებს სასწორზე, არ წვალობს, არ ფიქრობს, როგორ მოიქცეს. მასთან რაც ხდება, ყველაფერი ბუნებრივად, მსუბუქად ხდება.

— თქვენი მეორე ვაჟიც დაქორწინებულია?

— არა, ირაკლი პატარაა, 22 წლისაა. ამ თემაზე ჯერ არ ფიქრობს, რადგან დიდი გეგმები აქვს. ბევრი რამე უნდა და თან ისე ძალიან, რომ ვხვდები, ქორწინება დღის წესრიგში არ აქვს.

— თქვენს ერთადერთ შვილიშვილს ალბათ მთელი ოჯახი ანებივრებთ.

— კი, 3 წლის ელენე გვყავს, თავნება და გათამამებული. ელენე დედასაც ჰგავს და მამასაც. აქამდე სულ ამბობდნენ, რომ სანდროს ჰგავდა, ახლა დედამისსაც დაემსგავსა. მოკლედ, კარგი ნაზავია.

— სანდრეესა სერიალში ცოტა მოძველებჩო ტიპია, არადა, სანდრო ნამდვილად არ არის ასეთი.

— ეს ალბათ „ყარაბაღმა“ გამოიწვია, თორემ ასეთისგან სანდრო აბსოლუტურად განსხვავდება. ამ სერიალამდე ის თამაშობდა ფილმში „მოგზაურობა ყარაბაღში“. სერიალში უკვე რაღაცნაირად ცოტათი დაუახლოვდა სანდრო თავის თავს.

— ახლაც წერს პიესებს?

— სამწუხაროდ, საკმაოდ იშვიათად. ამას თვითონაც განიცდის და ჩვენც ვწუხვართ, მაგრამ, გარემოებებიდან გამომდინარე, ხელი ძალიან ეშლება.

✓ ეკა ლემონჯავა

Cyan Magenta Yellow Black

გია მაისაშვილს ლონდონური შოკიდან თავის დასაღწევად 2 წელი დასჭირდა



„სხვა სამყაროში მოხვედრილმა საკუთარი თავი უკეთ გავიცანი“

პოლიტიკაში აქტიურად მოღვაწე სახე, „ლიდერთა სკოლის“ ხელმძღვანელი, პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი გია მაისაშვილი მრავალი წელია გამუდმებით მოგზაურობაშია. თავიდან მისი წასვლა სამშობლოდან იძულებითი გახლდათ. მას მერე მრავალი წელი გავიდა და საზღვარგარეთ 20 წლიანი „ხეტიალის“ შემდეგ მიხვდა, რომ მისთვის საქართველოს გარეშე სიცოცხლე წარმოუდგენელი იყო. სურს, რომ მისმა სამმა შვილმაც, რომლებიც დიდ ბრიტანეთში ცხოვრობენ, არ დაკარგონ ფესვები, საქართველოს ხშირად ეს-ტუმრონ და ქართული ენა ისწავლონ.

მოგზაურობამ, მსოფლიოს გაცნობამ მის პიროვნებას ბევრი რამ შესძინა, რაც მთავარია, მეორე ნახევარი აპოვნინა. ბევრი რამ გარესამყაროშიც აღმოაჩენინა და საკუთარ თავშიც. რაც მთავარია, უცხოეთში ყოფნამ ის ფიზიკურად გადაარჩინა... ამ ყველაფერზე გია მაისაშვილი თავად გვიამბობს.

— ბატონი გია, როგორც ვიცი, ხშირად მოგზაურობთ. საქართველოსა და დასარჩენ სამყაროს შორის გამუდმებით გზაზე დგახართ.

— ნამდვილად ხშირად ვმოგზაურობ, რაც ძირითადად სამსახურსა და ჩემს ოჯახს უკავშირდება. ჩემი ცოლი და სამი შვილი ლონდონში ცხოვრობენ და 2007 წლიდან აქეთ-იქით მიწევს სიარული. სოფიკო 12 წლის გახლავთ, ტყუპი და-ძმა, ანა და შალვა, კი 10 წლისანი არიან.

— რამდენადაც ვიცი, მთავარი ცოლი ამერიკაში გაიცანით.

— დიახ. ჩემი ცოლი, რობინ ლაიტნერ-მაისაშვილი, ამერიკელია, შვილებიც იქ დაიბადნენ. ამერიკაში 20 წელი ვცხოვრობდი.

— რიგორ მოხვედით პირველად ამერიკაში?

— როგორც შევარდნაძის ხელისუფლების პოლიტიკური დევნილი. ოჯახთან ერთად ჯერ კალიფორნიაში ვიცხოვრე, შემდეგ ტექსასის შტატში. ჩემი მომავალი მეუღლე კალიფორნიაში, სტენფორდის უნივერსიტეტში ლექციებს

„სანამ ამერიკას ვნახავდი, მასზე ისეთივე მიამიტური შეხედულება მქონდა, როგორიც სხვებს. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა უაღრესად წარჩინებული ქვეყანაა, როცა ჩახვალთ, სულ სხვა რეალობა დაგხვდებათ და მიუღებელიც ბევრი რამაა".

კითხულობდა, მე კი სტუდენტის რანგში ვიყავი. უნივერსიტეტის დამთავრებიდან 3 დღეში ჯვარი დავიწერეთ. ჩვენი სამივე შვილი ტექსასში დაიბადა. მოგვიანებით კი საცხოვრებლად ლონდონში გადავედით.

— ეს გადაწყვეტილება რატომ მიიღეთ?

— ლონდონის უნივერსიტეტში სადოქტოროზე ვმუშაობდი და საცხოვრებლად იქ ამიტომაც გადავედით. პოლიტიკური ბატალიების გამო საქართველოში დავბრუნდი, ოჯახი კი იქ დარჩა. ჩემს ბიჭს თვალის უჩვეულო სიმსივნე აღმოაჩნდა, რომლის სამკურნალო ერთადერთი ცენტრი ლონდონშია. ლონდონში ჩასვლა 3 თვეში ერთხელ მაინც მიწევს.

— რიცა 20 წლის წინ ამერიკაში ჩახვედით, რიგორ მიგიღეთ ამერიკის საზოგადოებამ?

— ამერიკაში რომ ჩავედი, 28 წლის ვიყავი. შევარდნაძის მმართველობის პერიოდში უმთავრესი საკუთარი თავის გადარჩენა იყო. თბილისში დანიშნულების ადგილამდე მისვლას ერთს საათს ვანდომებდი, ყველგან ჩემი სახელი მესმოდა. ამერიკაში კი არავინ მიცნობდა, მაგრამ იმდენად კარგ ადამიანებთან მომიწია ურთიერთობა, ადაპტაცია ადვილად მოვახერხე. თავიდან კალიფორნიაში ვცხოვრობდი. ბიზნესის მექანიზმთან, სადაც სტივ ჯობსი თავის სასწაულებს ქმნიდა, მეც მქონდა შეხება. ჩემი ფიზიკური გადარჩენის ერთ-ერთი კომპონენტი სწავლა და შემდეგ უკვე ამერიკულ საზოგადოებაში წარმატების მიღწევა იყო.

— უცხოეთში დასაწყისს ყველაზე მეტად რა ვაგიჭირდათ?

— სამშობლო და ჩემიანები მენატრებოდნენ და ეს ყველაზე რთული იყო. სხვა მხრივ ამერიკა ჩემი ქვეყანაა. თუ რამე სიახლე გაინტერესებს, ყველაფერი იქ იყრის თავს. პირველ წელს 6 სხვადასხვა სამსახურში ვმუშაობდი, 24 საათიან რეჟიმში მიწევდა ცხოვრება. მიუხედავად იმისა, რომ რაჭველი ვარ და დაგვიანება მჩვევია, იქაურ ტემპს ადვილად შევეწყვე, შევიცვალე. როცა ჰარვარდის უნივერსიტეტში ჩავბარე, საკუთარი თავის გადარჩენისთვის ბრძოლაც იქ დამთავრდა და წარმატებისკენ სვლის ეტაპი დაიწყო. სწავლის დამთავრების შემდეგ ცნობილ და აღიარებულ ენერგეტიკულ კომპანიაში დავიწყე მუშაობა.

— საზღვარგარეთ გატარებულმა წლებმა ალბათ უმდიდრესი გამოცდილება შეგძინათ.

— ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ წლებმა სხვა კულტურისა და სხვა ადამიანების გადმოსახედიდან დამანახა სამყარო და მომცა შესაძლებლობა, საკუთარ თავს დავკვირვებოდი, როგორც ქართულ-კავკასიური ცივილიზაციის წარმომადგენელს. სხვა სამყაროში მოხვედრილმა საკუთარი თავიც უკეთ გავიცანი და სხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ურთიერთობაც ვისწავლე. სანამ ამერიკას ვნახავდი, ისეთივე მიამიტური შეხედულება მქონდა მასზე, როგორიც სხვებს. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა უაღრესად წარჩინებული ქვეყანაა, როცა ჩახვალთ, სულ სხვა რეალობა დაგხვდებათ და მიუღებელიც ბევრი რამაა.

— თქვენთვის რა აღმოჩნდა მიუღებელი?

— მიუღებელი — ნაკლებად, უფრო ახალი რაღაცეები აღმოვაჩინე. ეროვნულობას სხვანაირად აღვიქვამდი და სულ მიკვირდა, როგორ შეიძლებოდა, ჩემი ანგლოსაქსური წარმოშობის მეგობრებიც ამერიკელები ყოფილიყვნენ და აფრიკელებიც. ახლა კი თან მრცხვენია და თან მეცინება, რომ ასეთი მიამიტური წარმოდგენა მქონდა. ამერიკა ისტორიაში ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც იდეაზე დაფუძნებით შეიქმნა და არა — სისხლსა და ეთნოსზე. შავკანიანსაც, თეთრკანიანსაც, ქართველსაც და პოლონელსაც შეუძლია ამერიკელი იყოს. იქ ნებისმიერს შეუძლია, დიდი მიზანი და ამ მიზნის მიღწევის შესაძლებლობა ჰქონდეს. წარმატების მიღწევა ინდივიდუალურ ღირსებას ეფუძნება და არა — ოჯახსა და წარმოშობას.

— რიცა ლონდონში გადახვედით საცხოვრებლად, იქ რა სამყარი დაგხვდათ, ალბათ ამერიკელისგან ძალიან განსხვავებული.

— ამერიკაში თავს ისე ვგრძნობდი, როგორც თევზი წყალში და მეგონა, ლონდონშიც ასე იქნებოდა. კულტურული შოკიდან თავის დასაღწევად დაახლოებით 2 წელი დამჭირდა. ლონდონში უფრო ნაციონალისტური და ჩაკეტილი საზოგადოებაა. ამერიკა კი ულტრაღიაა. ევროპაში ყოველთვის აუტსაიდერი იქნები.

— რა ადგილებში დადიხართ, სეირნობთ ლონდონში ცოლ-შვილთან ერთად?

— არსებობს ქალაქი სენტ ალბანი. წმინდა ალბანი ქრისტიანი გახლავთ, რომელიც რომაელებმა აწამეს სარწმუნოებისთვის და მარტვილობაში მოკვდა. ამ წმინდანის სახელზე უზარმაზარი ტაძარი და ქალაქი აიგო, რომელიც

„პატარა დისციპლინა და შრომის ეთიკა უნდა გამოვიმუშაოთ, რაც არ გაგვაჩნია. სიზარმაცე და შეჩიანობაც პატარა ეროსთვისაა დამახასიათებელი და არც ეს გვჭირდება".

ბრიტანეთის რომაული დედაქალაქი იყო. ბრიტანელებს ტყე-პარკების და სიმწვანის ტრადიცია აქვთ. მდელოზე დიდი ტბაა, პარკი თითქოს ველურია, მაგრამ ძალიან მოწესრიგებული. ოჯახთან ერთად სწორედ იქ დავსეირნობ ხოლმე. ჩემს შვილებს იქ სიარული განსაკუთრებულად უყვართ. ბრიტანეთი ერთ-ერთი ულამაზესი მხარეა!

— ევროპის ქვეყნებიდან თქვენთვის ყველაზე საინტერესო რომელია?

— ჰოლანდია. ძალიან საინტერესოა, როგორ სტაცებენ მიწას ჩრდილოეთის ზღვას და ეს პატარა ერი როგორ ახდენს ორგანიზებას იმისათვის, რომ ფიზიკურად გადარჩეს. ისინი მატერიალური და სულიერი ღირებულების არამხოლოდ მომხმარებელნი არიან, არამედ აქტიური გამცემნიც. ჰოლანდია ქართველებისთვის კარგი მაგალითია. უაღრესად მიმტევებელი და სხვა კულტურების ადვილად მიმღები ერია. თუ ეს თვისება ასეთი მაღალი დოზით გაქვს, მაშინ შენსავე რეალო- →44

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
(შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ჰიუსტონში შვილებთან ერთად

„მინდა, ჩემს შვილებსაც ზღაპრული ნახმოდგენა ჰქონდეთ საქართველოზე და ეს გრძნობა დიდხანს გაჰყვეთ".

ბაში იოლად ახდენ სხვადასხვა კულტურებიდან საუკეთესოს აკუმულირებასა და გადამუშავებას, რაც შენი საზოგადოებისთვის დამატებითი უპირატესობის მომცემია. თანამედროვე კაპიტალიზმი ჰოლანდიიდან იწყება.

გერმანელებისა და ფრანგების მაგალითიც საინტერესოა. გერმანელები ჰოლანდიელებივით დისციპლინირებულნი არიან, მაგრამ იქ უფრო მეტი სიმკაცრე და სიხისტეა. ფრანგები კი უფრო გამომგონებლობის, ბოჰემური ცხოვრებისა და არაორგანიზებულობის მომხრენი არიან. თანამედროვე ცივილიზაციის შექმნაში მათაც დიდი წვლილი მიუძღვით. არსებობს შენი ისტორიული გარემოებიდან გამომდინარე ერის ხასიათი, რომელსაც ცხოვრების წესი ისე ეფექტურად უნდა მოარგო, რომ შენს საზოგადოებას თავისი პოტენციის გამოხატვა მეტად შეეძლოს. დიდი ერებისგან სწორედ ეს უნდა ვისწავლოთ. ჩვენ სტუმარმასპინძლობის ჩაკვლა კი არ გვჭირდება, არამედ ამ ტრადიციის წინ წამონწევა. იმ უპირატესობით, რაც ჩვენ გვაქვს — შინაგანი სითბო, კრეატიულობა, ცნობისმოყვარეობა — ეკონომიკაში, განათლებასა და ხელოვნებაში ბევრს უნდა მივაღწიოთ. პატარა დისციპლინა და შრომის კულტურა უნდა გამოვიმუშაოთ, რაც არ გაგვაჩნია. სიზარმაცე და შურიანობაც პატარა ერისთვისაა დამახასიათებელი და არც ეს გვჭირდება.

— საზღვარგარეთ მრავალ მეზეკმს გაეცნობოდით. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება რომელმა მოახდინა?

— ამისთვის ყველაზე კარგი ადგილი ბრიტანეთი და საფრანგეთია. ლონდონში არსებობს ნაციონალური გალერეა, რომელიც ქანდაკებებით, ფერწერით, არქეოლოგიური აღმოჩენებით ძალიან მდიდარია, კაცობრიობის განვითარების ყველა ხანაა წარმოდგენილი. ნაჩვენებია ამა თუ იმ საზოგადოების ნაციონალური სხვაობა. როცა ამ სხვაობას ამჩნევ, მერე საკუთარ ერზე ფიქრობ და უფრო მომთხოვნი ხდები. ჩემი აზრით, ლონდონი მუზეუმებით ყველაზე მდიდარია.

საფრანგეთშიც ბევრია სანახავი. აღმოსავლეთი უფრო ჯგუფური აზროვნების ნაწილს მიეკუთვნება, დასავლეთი კი ინდივიდუალიზმით გამოირჩევა. რენესანსი ხომ ადამიანის ჰუმანიზმის გამობრწყინებაა, რომელიც ჩვენ ვერ გამოვიარეთ. საფრანგეთი იმითაა შთამბეჭდავი, რომ თავად ფრანგული სკოლაა ძალიან დიდი. რენესანსის ეპოქის ყველა მთავარი ნაწარმოები ლუვრში ინახება. ქართველი კაცის გულთან უფრო ფრანგული ბოჰემიზმი და არარაციონალიზმია ახლოს.

— უცხო ქვეყნების კულინარიულ ტრადიციებსა და კულტურაზეც მდიდარი შთაბეჭდილებები გექნებათ.

— სხვა ქვეყნის სამზარეულო ყოველთვის მაინტერესებდა. ყველაზე მეტად ფრანგულმა და იტალიურმა სამზარეულომ მომხიბლა. ისინი განსაკუთრებული ყველითა და პურით გამოირჩევიან, ამასთანავე, სამზარეულოში უამრავი არომატი აქვთ. ინგლისური სამზარეულო ყველაზე უგემოვნოდაა მიჩნეული, მაგრამ ლონდონი იმდენად კოსმოპოლიტური ქალაქია, რომ ყველაზე კარგი საჭმლის მიგნება თუ გინდათ, ამ ქალაქში უნდა წახვიდეთ. რა ქვეყნის სამზარეულოს არ ნახავთ ლონდონში! ყველაზე მეტი ინდური რესტორანი იქ შეგხვდებათ.

— რიცა ოჯახიდან შორს ხართ, უცხოეთიდან მათთვის საჩუქრებისა და სუვენირების ჩამოტანაზე ზრუნავთ, ბაღაზიებში დადიხართ?

— ეს საქმე საშინლად არ მიყვარს. ოჯახში ყველამ იცის, რომ არაფერი უნდა მიყიდონ, რადგან ძალიან წუნია ვარ. ჩემი ტანსაცმელი თვითონ უნდა შევარჩიო, რაც ძალიან დიდ დროს მოითხოვს და ამასთანავე დამღლელი პროცესია. საქართველოში სად რა იყიდება, მართლა არ ვიცი, ლონდონში კი ზუსტად ვიცი, სად რა უნდა შევიძინო. ცოლისთვისაც ვყიდულობ ხოლმე საჩუქრებს, მათ შორის — პარფიუმერიას.

— თვითმფრინავით მგზავრობას ალბათ ისე ხართ შეჩვეული, დისკომფორტზე ლაპარაკიც ზედმეტია.

— თვითმფრინავი მოგზაურობის ყველაზე ცუდი შემადგენელი კომპონენტია. ეს ჩემთვის

ჰოლანდიაში

„საზღვარგარეთ დიდი ხნით ვეღარ ვიცხოვრებ, ის კი არა, თბილისში გაჩერებაც მიჭირს. სოფელი, ბალახისა და ტყის სუნი მინდა".

ყველაზე ცუდი განცდაა! ფრენა ადვილი იყო, სანამ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი მოხდებოდა. ნახევარ საათში რეგისტრაციას გადიოდი, ყველაფერი იოლად ხდებოდა. ტერაქტის შემდეგ აეროპორტებში სიტუაცია ძალიან შეიცვალა. მომსახურე პერსონალიც აღარ გამოირჩევა ისეთი თავაზიანობით, როგორიც 2001 წლამდე მახსოვს. ჩემთვის თვითმფრინავით მგზავრობა არასასიამოვნო პროცესია, თუმცა ჩემს აიპოდში უამრავი ელექტრონული წიგნია და არც დროის გაყვანა მიჭირს.

— რომელ ქვეყანას შეადარებდით საქართველოს?

— საქართველო უნიკალურია, მაგრამ გარკვეულ მომენტებში ესპანეთს შევადარებდი, განსაკუთრებით კი ანდალუზიის მხარეს, სადაც ხმელთაშუა ზღვის კულტურა ჭარბობს. სითბო, ადამიანებს შორის ურთიერთობა, ცხოვრების დაბალი ტემპი, დროის არარაციონალურად გამოყენება, გვიანობამდე ძილი და ქეიფი მათაც ახასიათებთ.

— საქართველოში თუ გაყვანდათ ცოლი ჩამოყვანილი?

— როგორ არა, რამდენჯერმე იყო ჩამოსული. სანამ აქ ჩამოვიდოდა, ქართველებსა და საქართველოზე უკვე ჰქონდა წარმოდგენა. კალიფორნიელია და ინდივიდუალიზმი და ბოჰემიზმი მასთან ახლოსაა, თუმცა ანგლოსაქსური, ინგლისურ-გერმანული ფესვები აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ის ჩრდილოელია,

„საქართველო უნიკალურია, მაგრამ გარკვეულ მომენტებში ესპანეთს შევადარებდი, განსაკუთრებით კი ანდალუზიის მხარეს, სადაც ხმელთაშუა ზღვის კულტურა ჭარბობს. სითბო, ადამიანებს შორის ურთიერთობა, ცხოვრების დაბალი ტემპი, დროის არარაციონალურად გამოყენება, გვიანობამდე ძილი და ქეიფი მათაც ახასიათებთ".

სამხრეთული მასაც აქვს, ოღონდ არ ვიცი, საიდან. ჩემი ცოლი აქ ძალიან სტრესულ გარემოში ჩამოვიდა. საპრეზიდენტო არჩევნები ტარდებოდა და ქვეყნის დასათვალიერებლად ბევრი დრო არ გვქონდა, თუმცა მცხეთაში და კახეთში წასვლა მაინც მოვახერხეთ. კახეთი განსაკუთრებულად მოეწონა, ნეკრესში მყავდა.

— შვილები რითი მოიხიბლნენ საქართველოში?

— ჩემს შვილებს საქართველოში ბევრი არაფერი უნახავთ, მაგრამ მინდა, რომ მათთვის თავიანთი ქვეყანა ამ ეტაპზე ზღაპრულად დარჩეს. პატარა რომ ვიყავი, პაპაჩემი, რომლის სახელიც მქვია, ყოველ საღამოს ზღაპარს მიყვებოდა. მისი ზღაპარი ყოველთვის დიდი ლხინით სრულდებოდა. ახლაც რომ მიხვიდე, ის ლხინი ისევ გრძელდებაო, მიყვებოდა ხოლმე და სულ მაინტერესებდა, იქ რა ხდებოდა. მინდა, ჩემს შვილებსაც ზღაპრული წარმოდგენა ჰქონდეთ და ეს გრძნობა დიდხანს გაჰყვეთ. ქართული სახელები ჰქვიათ. ცოლს უნდოდა, ისეთი სახელები შეგვერჩია, იქაც ყველასთვის იოლად გასაგები ყოფილიყო. ერთადერთი შალვა აღმოჩნდა ინგლისში რთულად წარმოსათქმელი, ამის გამო მეუღლესთან კომპრომისზე წავედი და იქ უილიამს ეძახიან.

— ბატონი ვაა, ყველაზე კარგად სად ისვენებთ?

— მოგზაურობა უკვე ნაკლებ სიამოვნებას მანიჭებს. საქართველოში ყოფნა ყველაფერს მირჩევნია. საზღვარგარეთ დიდი ხნით ვეღარ ვიცხოვრებ, ის კი არა, თბილისში გაჩერებაც მიჭირს. სოფელი, ბალახისა და ტყის სუნი მინდა. ყოველთვის, როცა სამსახურიდან სტრესულ მდგომარეობაში მივდივარ, რელაქსაციის საუკეთესო საშუალება ვარჯიში ან თბილისიდან გასვლაა. როცა ყველაფერს დავალაგებ, საქართველოში ვიცხოვრებ სადმე სოფლად.

— ცოლ-შვილი თანახმაა, საცხოვრებლად საქართველოში ვადმოვიდნენ?

— ეს ცოტა რთული სათქმელია. ჩემს შვილებს დიდი მიზნები და ოცნებები აქვთ. სოფოს სურს, მამიკოს გზას გაჰყვეს და ჰარვარდის უნივერსიტეტში ისწავლოს. ბავშვებმა ლაპარაკი ქართულად დაიწყეს, მაშინ იქ ბებია-ბაბუა ჰყავდათ. ახლა კი უჭირთ მშობლიურ ენაზე საუბარი, რადგან ინგლისური გარემოში იზრდებიან. იმედი მაქვს, მათი ჩამოყვანის საშუალება ყოველ ზამთარს მექნება და ქართულად ლაპარაკსაც ხელახლა დაიწყებენ. როგორც ფსიქოლოგები და ლინგვისტები ამბობენ, ადამიანი საუბარს რა ენაზეც დაიწყებს, იმ ენის აღდგენა ადვილად შეიძლება და ამის მჯერა, რადგან მათში დიდ სურვილს ვხედავ. სულ პირში მიყურებენ, აინტერესებთ, რას ვამბობ. დარწმუნებული ვარ, ისინი თავიანთ ქვეყანას რაღაცაში მაინც მოემსახურებიან.

✓ სოფიო ბოჭორიძე

Cyan Magenta Yellow Black

ტირანა – მუსლიმების ცისფერი სამოთხე

ტირანა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მდებარე ალბანეთის რესპუბლიკის დედაქალაქი და ამ ქვეყნის მთავარი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრია. ტირანას ღირსშესანიშნაობები, რომლებიც ტურისტებს იზიდავს, ბერძნული, რომაული და ოსმალური პერიოდის არქეოლოგიური მემკვიდრეობაა. ცალკე აღნიშვნის ღირსია თვალწარმტაცი პლაჟები, მთები, საუცხოო ალბანური სამზარეულო უნიკალური ტრადიციებითა და სტუმარ-თმოყვარე ხალხი.

მცირე ისტორიიდან

როგორც არქეოლოგები ამტკიცებენ, თანამედროვე ტირანას ტერიტორია ჯერ კიდევ 10 000 წლის წინ იყო დასახლებული, მაგრამ მხოლოდ 1614 წელს ჩამოყალიბდა ქალაქად და ეს ფაქტი ოსმალეთის იმპერიის გენერალ სულეიმან ბარჯინის (სულეიმან ფაშას) სახელს უკავშირდება. ტირანა დედაქალაქის სტატუსს 1920 წლის 8 თებერვლიდან ატარებს.

კლიმატი

ტირანასათვის სუბტროპიკული კლიმატია დამახასიათებელი. მასზე ადრიატიკის ზღვის ჰავა ვრცელდება. დედაქალაქში ზაფხული ცხელი და მშრალია, ზამთარი კი არცთუ ცივი, მაგრამ ნალექიანი იცის.

ტემპერატურის მატება მაისიდან იწყება, ხოლო აგვისტოში პიკს აღწევს. ხავერდოვან სეზონად სქტემბერი ითვლება.

ხელიგია

ალბანეთი მუსლიმური ქვეყანაა, ტირანას მოსახლეობის 52,9% ისლამის მიმდევარია. დანარჩენი, ათეისტი და ქრისტიანული უმცირესობები ერთად, 47,1%-ს შეადგენს.

ენა

ტირანას, ისევე როგორც მთელი ქვეყნის, ოფიციალური ენა ალბანურია და საგანმანათლებლო სისტემაც მასზეა დაფუძნებული. შემდეგ ყველაზე დიდი პოპულარობით ბერძნული სარგებლობს. ინგლისურ ენაზე მოსაუბრესაც ბევრს შეხვდებით. ადგილობრივების ნახევარი საკმაოდ კარგად ფლობს იტალიურსაც.

ფული

ქვეყნის ოფიციალური ვალუტა ლეკი გახლავთ. მეზობელ ქვეყნებთან (საბერძნეთი, მონტენეგრო, მაკედონია, სერბეთი) და ქალაქებთან შედარებით ტირანაში თუნდაც მცირე ხნით ცხოვრება საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. აქ თავის გატანა დღეში 30-40 დოლარი დაგიჯდებათ. მას კი, ვისაც კომფორტი და ფუფუნება უყვარს, დღეში მინიმუმი 100 დოლარის დახარჯვა მოუწევს.

გაითვალისწინეთ, რომ ევროსა და დოლარის გარდა, სხვა უცხოურ ვალუტას ვერ გამოიყენებთ. 1 ევრო — 140 ლეკის, ხოლო 1 დოლარი 120 ლეკის ტოლფასია. ტირანაში, ქვეყნის სხვა ქალაქებისაგან განსხვავებით, საკრედიტო ბარათის გამოყენება ნამდვილად არ გაგიჭირდებათ. რესტორანსა და სასტუმროში მომსახურების 10 პროცენტის, ანუ ხელის ქირის დატოვება სავალდებულოა.

გადაადგილება

მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან თუ ქალაქიდან ტირანაში მოხვედრა თვითმფრინავითაა შესაძლებელი (გარდა მეზობელი ქვეყნებისა, საიდანაც ავტობუსები ყოველ საათში ერთხელ გადიან). საერთაშორისო აეროპორტი დედაქალაქიდან 17 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. ქალაქის ცენტრამდე უამრავი კერძო ტაქსი დადის, რომელთა ღირებულება 25 ევროდან იწყება. თუ ავტობუსს დაელოდებით, რომელიც გრაფიკით ნამდვილად არ დადის, 200 ლეკად იმგზავრებთ. საბერძნეთიდან კი ტირანაში ჩასვლას 30 დოლარად შეძლებთ.

ტირანას საკუთარი პორტი არ აქვს, ამიტომ თუ სხვა ქალაქებიდან დედაქალაქში ჩასვლა მაინცდამაინც საზღვაო გზით გსურთ, ამისათვის ნავის ან ბორნის დაქირავება მოგიწევთ, რაც საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა.

შიდა გადაადგილებისათვის ყველაზე პოპულარულ ტრანსპორტს მინი ავტობუსები წარმოადგენენ, რომლებიც არცთუ სწრაფია, მაგრამ ყველა მიმართულებით მიდიან და საკმაოდ იაფიცაა — ერთჯერადი მგზავრობის ფასი 30 ლეკს შეადგენს.

მანქანის დაქირავება, რა თქმა უნდა, ადვილი შესაძლებელია, მაგრამ გირჩევთ, მოერიდოთ, რადგან გზები საშინელ მდგომარეობაშია. აჯობებს, ტაქსი დაიქირაოთ, რომელსაც ადგილობრივი გამოცდილი მძღოლი კარგად მართავს, ოღონდ ფასზე წინასწარ მოელაპარაკეთ, რომ გაუგებრობა და უსიამოვნება თავიდან აიცილოთ.

სამზარეული

ალბანეთის ნაციონალური სამზარეულო ძირითადად ხორცსა და ბოსტნეულზეა დაფუძნებული. დედაქალაქში მრავლადაა ბერძნული და თურქული რესტორნები, ადგილობრივი საუცხოო კერძების დაგემოვნება კი შესაძლებელია ტრადიციულ ალბანურ რესტორნებში, რომლებიც მთელი ქალაქის მასშტაბითაა განთავსებული პოპულარული ტურისტული ღირსშესანიშნაობების გვერდით.

ალბანური ტრადიციული კერძი დოლმა, რომელიც ხორცისა და უამრავი სახეობის ბოსტნეულით მზადდება, დაუვიწყარ გემოს დაგიტოვებთ. სწრაფი კვების ობიექტები ყოველ ნაბიჯზეა, სადაც გემრიელ შაურმას მიირთმევთ. თუ ფულის დაზოგვა გსურთ, იაფად წახემსებაც შეგიძლიათ, მაგრამ ძალიან დაბალი ხარისხის საკვებს მიიღებთ.

ზღვის სანაპიროზე მდებარე კაფე-ბარებში მხოლოდ ზღვის პროდუქტების კერძებს შემოგთავაზებენ. ასეთ ადგილებში ზეითუნის ზეთით მომზადებული თევზი პირველობას არ თმობს.

ტირანაში მრავლადაა თურქული ყავახანები, სადაც უგემრიელესი ყავის ნაირსახეობებთან ერთად ხილის იოგურტებსაც შემოგთავაზებენ. არც ვეგეტარიანელები დარჩებიან უკმაყოფილონი, რადგან რესტორნებში ბოსტნეულით მომზადებული კერძები უხვადაა.

მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმური ქვეყანაა, ტირანაში ალკოჰოლს ჩვეულებრივად მიირთმევენ. პირველ ადგილზეა ეროვნული სასმელი რაკი, შემდეგ კი ყველაზე დიდი პოპულარობით (უმეტესად ტურისტებში) წითელი ღვინო სარგებლობს.

ღირსშესანიშნაობები

ტირანამ საუკუნეების განმავლობაში საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანი კულტურის დაგროვება შეძლო, მაგრამ ტურისტების ძირითადი ნაწილი ადრიატიკის ზღვის სანაპიროს მხოლოდ გასარუჯად სტუმრობს. მისი წყალობით, ტირანა საოცრად მიმზიდველ ქალაქადაც კი იქცა. ადრიატიკის სანაპიროს მუსლიმები ცისფერ სამოთხეს ეძახიან.

ტურისტების ძირითად ნაწილს თავად ალბანელები შეადგენენ, რომლებიც ტირანაში მაკედონიიდან, მონტენეგროდან, საბერძნეთიდან და იტალიიდან ჩადიან. ასევე შეხვდებით შვეიცარიელებს, გერმანელებს, ბელგიელებსა და ბრიტანელებსაც.

ტურისტები ძირითადად ტირანაში ჩერდებიან და ორგანიზებულ ჯგუფებთან ერთად სტუმრობენ მრავალრიცხოვან არქეოლოგიურ ძეგლებსა და ქვეყნის სხვა ქალაქებს. უფრო კი მათ სამიზნეს დედაქალაქის მახლობლად მდებარე იუნესკო-ს მემკვიდრეობის სიაში შეტანილი სამი ქალაქი წარმოადგენს — ბუტრინტი, გიროკასტრა და ბერატი.

ბუტრინტი ძველბერძნული და ძველრომაული ქალაქია, რომელიც არქეოლოგიურ ნაკრძალს წარმოადგენს. გიროკასტრა კარგად შემონახული შუა საუკუნეების ოსმალური ქალაქია, ხოლო მთაზე გაშენებულ ბერატს „ათას ერთი ფანჯრის ქალაქს“ ეძახიან.

ტირანაში მნიშვნელოვნად იმატა ველოსიპედით ხეტიალისა და მთებზე ცოცვის ტენდენციამ, პოპულარული გახდა სამედიცინო ტურიზმი, რადგან ადგილობრივი ექიმები დასავლური სტანდარტების შესაბამის მომსახურებას ბევრად დაბალ ფასად სთავაზობენ ტურისტებს.

ტირანაშია განთავსებული ალბანეთის ეროვნული თეატრი, ოპერისა და ბალეტის ეროვნული ცენტრი, ეროვნული სამხატვრო გალერეა. ყოველწლიურად ქალაქში იმართება ტირანას ჯაზ ფესტივალი, რომელიც ადრიატიკისა და ბალკანეთის ქვეყნებიდან მოწვეულ ჯაზის შემსრულებლებს მასპინძლობს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტირანა ოსმალეთის იმპერიის გენერალ სულეიმან ბარჯინის სახელს უკავშირდება. დღეს მისი ძეგლი ქალაქის მთავარ მოედანზე დგას, მის სახელს ატარებს ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩაც.

დედაქალაქის სიმბოლოა კურანტი, რომელიც 1822 წლით თარიღდება. საათის კოშკის სიმაღლე 35 მეტრია და მასზე ასასვლელად 90 საფეხურის ავლა მოგიწევთ. იქიდან კი მთელი ქალაქის ხედი ხელისგულივით იშლება.

უსაფრთხოების ნესები

ბოლო დროს ტირანა, მთელი ქვეყნის მსგავსად, კრიმინალურად საშიშ ქალაქად იქცა. თითქმის ყოველდღე ხდება ტერორისტული აქტები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტურისტები იქ ჩასვლას მაინც არ ერიდებიან.

ტირანაში ონკანის წყლის დალევა რეკომენდებული არაა. ქალაქის გარეუბნებში სანაპიროები საშინლად დაბინძურებულია, ამიტომ ფეხშიშველ სიარულს ერიდეთ. გაითვალისწინეთ, ტირანაში სამთავრობო შენობა-ნაგებობების გადაღება სასტიკად აკრძალულია, ამაზე სერიოზული ჯარიმაა დაწესებული.

უბის ნიგნაკი

ქვეყანა — ალბანეთის რესპუბლიკა;
დედაქალაქი — ტირანა;
მოსახლეობა — 602.041;
ფართობი — 41 კვ.კმ;
ვალუტა — ლეკი;
ოფიციალური ენა — ალბანური.

✓ მოამზადა თათია ბოჭორიძემ

Cyan Magenta Yellow Black

სექსუალური ტერორი შეფისგან — თავსატეხი ქმარგაყრილი ქალისათვის

„სოლიდური კაცის ნიღბის მიღმა თურმე ქალებს დახარბებული ღორი იმალებოდა“

„სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში ასეა: ქალი რომ ქმარს გაშორდება, სხვა თვალით უყურებენ, განსაკუთრებით კაცები. ჰგონიათ, რომ მისი ანკესზე წამოგება უფრო იოლია და მასთან ყველაფერი გაუვათ, რასაც მოისურვებენ, მაგრამ იმან, რაც ჩემს ყოფილ სამსახურში ხდებოდა, ფანტაზიას გადააჭარბა“, — გულისტკივილით გვითხრა ჩვენმა რესპონდენტმა, ახალგაზრდა ქალმა ლენამ. თანამდებობის პირი, სოლიდური ცოლშვილიანი მამაკაცი, რომელიც უფროსის ნდობით სარგებლობდა, ყველა ახალი თანამშრომელი ქალის ფარულად დასაკუთრებას ცდილობდა. ამისთვის სხვადასხვა ხრიკებს მიმართავდა. ყველაზე გასაკვირი კი ის არის, რომ მისი მსხვერპლნი სამსახურის დაკარგვის შიშით ამ შეურაცხყოფას ყლაპავდნენ. რითი დამთავრდა სექსუალური დევნა ლენას მიმართ, ამის შესახებ თავად ახალგაზრდა ქალისგან შეიტყობთ.

ლენა:

— ჩემს ქმართან ვერაფრით დავალაგე ურთიერთობა. რადიკალურად განსხვავებულები ვიყავით. ოჯახის დანგრევა არც ერთს გვინდოდა, მაგრამ თითქოს უკან დასახევი გზაც აღარ მოვიტოვეთ. იმდენი ვიჩხუბეთ და ვიკამათეთ, აღარაფერი დაგვრჩა სათქმელი. ბოლოს ერთმანეთს თითქმის აღარ ველაპარაკებოდით, უცხოებივით გავხდით. ერთ მშვენიერ დღესაც გაყრა გადავწყვიტეთ, იქნებ ასე მაინც შეგვენარჩუნებინა ერთმანეთთან ადამიანური ურთიერთობა. რაც უნდა ყოფილიყო, საერთო შვილი გვყავდა.

სკანდალს მაინც ვერ ავცდით. ჩემი ქმრის მშობლებმა გაყრის გამო ერთი ამბავი დამაწიეს, ყველაფერი დამაყვედრეს, რაც კი ჩემთვის და ბავშვისთვის გაუკეთებიათ, უმადური და უსინდისო გამომიყვანეს. ამიტომ ცხელ გულზე უარი ვთქვი მათ მიერ მოცემულ ყველა ნივთზე, ის სამსახურიც კი დავტოვე, რაც თავის დროზე მამამთილმა მიშოვა. ჩემები მირჩევდნენ, ჯერ ახალი სამსახური მომეძებნა და ძველი მერე მიმეტოვებინა, მაგრამ იმ მძიმე ემოციურ ფონზე დაცდა არ შემეძლო.

„მსხვერპლი ქალები სამსახურის დაკარგვის შიშით ამ შეურაცხყოფას ყლაპავდნენ და ერთმანეთის მიმართულ უნდობლობით იყვნენ განწყობილი“.

— იშოვეთ ახალი სამუშაო?

— კასტინგი გავიარე და ერთ ოფისში დავიწყე მუშაობა. ჩემი ცოდნითა და გამოცდილებით უკეთესიც შემეძლო მეშოვა, მაგრამ ამ ჯერზე დავკმაყოფილდი. სამსახური ჩემთვის აუცილებელი იყო, ბევრ პრობლემას მომიხსნიდა, მათ შორის — გაყრის შემდგომ სტრესს.

— ახალმა გარემომ და თქვენ კარგად მიიღეთ ერთმანეთი, სტრესი შეგიმსუბუქდათ?

— ურთიერთობები არ მიჭირს, მაგრამ იმ სტრესულ ფონზე ადაპტაცია ცოტა გამიძნელდა. თანაც შეკრული კოლექტივი არ იყო, თანამშრომელ ქალებს ერთმანეთის მიმართ გაუცხოების განცდა ჰქონდათ, თითქოს ერთმანეთს არ ენდობოდნენ. ღვთის მადლით, კაბინეტში, სადაც უნდა მემუშავა, ერთი არაჩვეულებრივი გოგო დამხვდა, ქეთა, გარეგნობით და შინაგანად ძალიან ლამაზი. უშუალოდ, შინაურულად და თბილად მიმიღო. პასუხისმგებლობით სავსე პიროვნება გახლდათ, საქმეს გულმოდგინედ ეკიდებოდა. ცდილობდა, ყოველთვის ყველაფერი წესრიგში ჰქონოდა. სამსახურში დროზე ადრე მოდიოდა და მუშაობას იწყებდა. არადა ქმარ-შვილის პატრონი იყო და ოჯახის მოვლასაც ასწრებდა.

„ჩვენი შეფი ყველა ახალ თანამშრომელ ქალთან კბილის მოსინჯვის სხვადასხვა მეთოდს მიმართავს — მისი ფანტაზია განუზომელია“.

ერთ დილით მეც ადრე მომიწია მისვლა. ქეთა არ დამხვდა, ავად გამხდარიყო. კომპიუტერს მივუჯექი. დექსტოპზე უცხო ფაილები დამხვდა, ჩემი სახელით დასათაურებული: „ლენა1“, „ლენა2“, „ლენა3“ და ასე შემდეგ. დავინტერესდი და გამიკვირდა, ვინაიდან ეს ჩემი სამუშაო კომპიუტერი იყო და სხვა არავინ იყენებდა. პირველივე ფაილის გახსნამ შოკში ჩამაგდო — ეს პორნოგრაფიული ვიდეოჩანაწერი გახლდათ. სხვა ფაილებშიც ანალოგიური სურათი დამხვდა: საშინელი კადრები იყო, მათ შორის ჰომოსექსუალურიც. აღელვებულმა ფაილები მექანიკურად წავშალე.

— თქვენს სამუშაო კომპიუტერს პაროლი არ ჰქონდა?

— ჩვენი განყოფილების გამგემ, ბატონმა გელამ დაადო, ვინაიდან დე დისკზე საიდუმლო ინფორმაციაც ინახებოდა. კომპიუტერის პაროლი მხოლოდ ჩვენ ორმა ვიცოდით: ბატონმა გელამ და მე.

— ქეთას არ გაუმხილეთ, ასეთი სურათი რომ დაგხვდათ?

— ავად რომ იყო, აღარ გავანერვიულე. იმ დღეს საერთოდ წავიშალე, ვიფიქრე, ვიღაცა პროვოკაციას მიწყობს-მეთქი. მთელი დღე გული გასკდომაზე მქონდა, დღის ბოლოს ვეღარ მოვითმინე და ბატონ გელასთან შევედი.

— როგორ, რა ფორმით უთხარით?

— ვუთხარი, რომ ვიღაცას ან ჩემი განადგურება უნდოდა, ან მისი დისკრედიტაცია, ვინაიდან ისეთ სოლიდურ დაწესებულებაში, სადაც ვმუშაობდით, ასეთი რამ არ უნდა მომხდარიყო.

— რა რეაქცია ჰქონდა?

— სახე შეეცვალა, მაგრამ ცდილობდა, არ შეემჩნია. საერთოდ ემოციებს ნაკლებად გამოხატავს ხოლმე.

— არაფერი გითხრათ?

— მითხრა, ერთ კვირადღეს შენი კომპიუტერი მისი ვაჟის (16 წლის შვილი ჰყავდა) ახლობლებს დავუთმე ფილმების საყურებლად და ეტყობა, მათ იმაიმუნესო. დამპირდა, რომ ამ ამბავს სერიოზულად მიხედავდა. შემომთავაზა, პაროლი შემეცვალა. თუ გინდა, მარტო შენ იცოდე, მეც ნუ მეტყვიო. ამ სიტყვებმა უხერხულ მდგომარეობაში ჩამაგდო, ისე გამოვიდა, თითქოს უფროსს არ ვენდობოდი.

— პაროლი შეცვალეთ?

— რა თქმა უნდა, მაგრამ ბატონ გელასაც ვუთხარი.

— შემდგომ როგორ გაგრძელდა თქვენი მუშაობა, მსგავსი რამ აღარ განმეორებულა?

— არა, ჩემს კომპიუტერს აღარავინ მიჰკარებია, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ მობილურზე მომივიდა საზიზღარი შინაარსის მესიჯი, დაახლოებით ასეთი — ერთი სული მაქვს, როდის დაგეუფლებიო... საშინელებები ეწერა. ვიღაცის ფოსტიდან იყო გამოგზავნილი. გავარკვიე იმ ფოსტის პატრონის ტელეფონი. დავრეკე და ყურმილი მამაკაცმა აიღო. თავაზიანი ჩანდა. ვუთხარი, რომ მისი ფოსტიდან ბინძური მესიჯი მომივიდა. გაიოცა, არ არსებობსო. თითქოს დამაჯერებლად ლაპარაკობდა, მაგრამ თავის შეკავება მაინც ვერ შევძელი და ის კაცი კარგა გვარიანად გამოვლანძღე, თქვენი ფოსტა როგორ ვერ უნდა აკონტროლოთ-მეთქი.

— ალბათ მსგავსი მესიჯი აღარ მიგიღიათ.

— მერე იყო ზარები მობილურზე დაფარული ნომრიდან. ყურმილს რომ ვიღებდი, არავინ მპასუხობდა. ბოლოს ასეთ ზარებს ვთიშავდი. აშკარად ვიღაც მყავდა ცუდად გადაკიდებული, მაგრამ ვერ ვხვდებოდი, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ჩემი სანაცნობოდან ვერავის დავუშვებდი.

— ბოლოს რაიმე გაარკვიეთ?

— ერთ დღეს ქეთას გავუმხილე ყველაფერი. ჩაფიქრებული მდუმარედ მისმენდა, მხოლოდ ეს მითხრა, ერთი და იგივე ხელწერააო. მირჩია, ყურადღება არ მიმექცია.

ერთ დღეს შესვენებაზე მე და ქეთა სამსახურთან ახლოს კაფეში დავსხედით. ქეთამ ასეთი რამ მიამბო: ჩემი ადგილი ადრე თურმე ერთ ახალგაზრდა კაცს ეკავა, მალხაზი ერქვა. ქეთას ახალი დაწყებული ჰქონდა იმ ოფისში მუშაობა. იმ ბიჭმა მასთან ფლირტი წამოიწყო, დღე და ღამე მოსვენებას არ აძლევდა, სოციალური ქსელითაც ეკონტაქტებოდა. ერთი სიტყვით, „შებმას“ ცდილობდა. ქეთას ქმარი ოჯახური გაუგებ-

Cyan Magenta Yellow Black

რობის გამო შინიდან იყო წასული. ერთი წელი ქეთა შვილებთან ერთად მარტო ცხოვრობდა, მაგრამ ამ აბეზარ თაყვანისმცემელს ყურადღების ღირსადაც არ თვლიდა. ერთ საღამოს ქეთას ქმარი ოჯახში დაბრუნდა და ცოლს შეურიგდა. შემთხვევით წაიკითხა ცოლის გვერდზე მალხაზის მონაწერი და გაგიჟდა. მეორე დილითვე ქეთას სამსახურში მივარდა და მალხაზი წიხლქვეშ გაიგდო. თანამშრომლებმა ძლივს გამოგლიჯეს ხელიდან.

განყოფილების გამგემ, ბატონმა გელამ, ქეთა და მალხაზი თავისთან დაიბარა. მომხდარის გამო ქეთას არ უსაყვედურა, მალხაზი კი მაგრად გამოლანძღა და უბრძანა, განცხადება დაეწერა სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე.

— სამსახურიდან დაითხოვა?

— მალხაზმა არც გააპროტესტა, მშვიდად დაწერა განცხადება და წავიდა. იმედი ჰქონდა, რომ ბატონი გელა რაღაც დროის შემდეგ უკან დააბრუნებდა, ვინაიდან სტაჟიანი თანამშრომელი და უფროსის ნდობით აღჭურვილი პირი გახლდათ.

— მაგრამ მის ადგილზე თქვენ დაგნიშნეს...

— დიახ, ასე მოხდა. იმედი რომ გაუცრუვდა, მალხაზი სამსახურიდან შინ მიმავალ ქეთას დახვდა, ბოდიში მოუხადა და უთხრა, რომ იცოდე, ეს ყველაფერი გელას აგორებულიაო.

— რას გულისხმობდა?

— მალხაზის თქმით, ის ბატონი გელას დავალებას ასრულებდა, როდესაც ქეთასთვის კბილის მოსინჯვას ცდილობდა. გელა ცოლშვილიანია, სოლიდური კაცის იმიჯი აქვს, მაგრამ გამოუსწორებელი მექალთანეა, ყველა ახალ თანამშომელ ქმარგაცილებულ ქალს, ვინც თვალში მოუვა, ფარულად მახეს უგებს და ვინც გაებმება, ხელიდან ვერ წაუვაო.

— თუ გელა ზოგადად ასე იქცეოდა, ეს ფაქტი თანამშრომელ ქალებში ადრე თუ გვიან მაინც გამჟღავნდებოდა.

— გამჟღავნდა კიდეც. ერთმა თანამშრომელმა ქალმა, რომელიც გელას ოინებს მიუხვდა, შეფთან დაასმინა, მაგრამ უფროსმა გელას უდანაშაულობაში ეჭვი არ შეიტანა და ის ქალი მოხსნა სამსახურიდან ბინძური ცილისწამებისთვის. შეფი გელას ახლობელია, ნათელმირონობა აკავშირებთ და, როგორც ჩანს, ძალიან ენდობა, მის წესიერებაში ეჭვი არ ეპარება. უფრო მეტიც, მის თვალში გელა ავტორიტეტად ითვლება.

— გამოდის, რომ ის პორნოგრაფიული ვიდეოები, უწმაწური შინაარსის მესიჯი და დაფარული ნომრიდან ზარები თქვენი მისამართით, ყველაფერი თქვენი განყოფილების გამგის ხრიკები იყო?

— რა თქმა უნდა. ბატონი გელა სოლიდური კაცის ნიღბის მიღმა ნამდვილი ღორი აღმოჩნდა, ქალებს დახარბებული ღორი.

— ბოლოს და ბოლოს რა მოჰყვა ამ ყველაფერს, თავი დაგანებათ?

— ჩემთან რომ არაფერი გამოუვიდა, შემეშვა. კადრებში ერთი ახალი თანამშრომელი, მარტოხელა ქალი მიიღეს და ალბათ მასზე გადაერთო. როგორც ჩანს, ყველა ქალთან კბილის მოსინჯვის სხვადასხვა მეთოდს მიმართავს — მისი ფანტაზია განუზომელია. ვინ იცის, რამდენი წამოაგო ანკესს. იმ ოფისში ყველა ქალი ერთმანეთს ეჭვის თვალით უყურებს. არავინ იცის, ვინ არის ბატონი გელას ნამდვილი მსხვერპლი.

— არ გიფიქრიათ, ქალური სოლიდარობის ნაშნად გელას წინააღმდეგ ერთხმად პირი შეგეკრათ და მისი უმსგავსო საქციელი საჯაროზე გამოგეტანათ?

— ოფისის თანამშრომელი ქალებიდან დალხინებული ცხოვრება არავის აქვს, პრობლემებით არიან დატვირთული, სამსახურის დაკარგვას ყველა ერიდება, ამიტომ თავშეკავებას და მოთმინებას ამჯობინებენ. ღვთის მადლით, მე და ქეთა ახალ სამსახურში გადავედით და დაძაბულობისგანაც გავთავისუფლდით.

✓ ნანა კობახიძე

იცით, რა აკლია თქვენს ორგანიზმს?



ნამდვილად არაა სწორი აზრი, რომ მხოლოდ ექიმს შეუძლია, გამოიცნოს, რა მდგომარეობაშია თქვენი ორგანიზმი და რა სჭირდება მას ნორმალური ფუნქციონირებისათვის. უბრალოდ, საჭიროა, ყურადღება მიაქციოთ, რას გთხოვთ ის და ამის მიხედვით მიაწოდოთ ესა თუ ის მინერალი და ვიტამინი, რომელიც აკლია.

ხშირად გიჩნდებათ შოკოლადის ჭამის სურვილი? რადგან შოკოლადის მოყვარული ხართ, თქვენს ორგანიზმს მაგნიუმი აკლია, რისი შევსებაც მოუხალავი მზესუმზირით, თხილითა და პარკოსანი მცენარეებითაც შეგიძლიათ.

პურს უზომოდ ჭამთ? ორგანიზმს აზოტი აკლია, რასაც შეიცავს ცილის მაღალი შემცველობის პროდუქტები, მაგალითად, პარკოსნები (რომლებიც ამ ნივთიერების შეუცვლელი მარაგია), თევზი, ხორცი, კაკალი.

თუ ყინულის ჭამა გიყვართ, ეს რკინის ნაკლებობის ნიშანია და საჭიროა, რაციონს დაუმატოთ ხორცი, თევზი, ზღვის კომბოსტო, ჭარხალი, ბალი, ალუბალი და ფრინველის ხორცი. სუფთა ჰაერზე სეირნობაც არ გაწყენდათ.

ზედმეტად შებრაწული საკვებისკენ გაგირბით თვალი? ნახშირბადის მარაგის შევსება გჭირდებათ ახალი ხილით.

ბევრ ჩაის და ყავას სვამთ? თქვენს ორგანიზმს გოგირდის მარაგის შევსება არ აწყენდა. შეგიძლიათ რაციონში დაამატოთ შტოში, კომბოსტოს ყველა სახეობა, კვერცხი, ხახვი, ყველი.

თუ ხშირად გიჩნდებათ მოწევისა და დალევის სურვილი, ორგანიზმს ცილების ნაკლებობა აწუხებს. ცილებს დიდი რაოდენობით შეიცავს პარკოსნები, რძის პროდუქტები, საქონლისა და ფრინველის ახალი ხორცი, კაკალი, ზღვის პროდუქტები.

გაზიანი სასმელების მოთხოვნილება კალციუმის ნაკლებობის ნიშანია. მიირთვით ყველი, რძის პროდუქტები, პარკოსნები, ბროკოლი.

მარილიანი საკვების მოთხოვნილება ქლორის ნაკლებობაზე მიგვანიშნებს. დანაკლისს შეივსებთ აუდუღარი თხის რძით, არარაფინირებული ზღვის მარილით, თევზით.

ცხიმიანი ან წვნიანი საკვები გინდათ? ორგანიზმს წყალი აკლია. ცხიმიანი საკვების შემთხვევაში საქმე არც ისე ცუდადაა, მთავარია, ყურადღება მიაქციოთ, რომ დღეში 8-10 ჭიქა წყალი დალიოთ, შეიძლება დაამატოთ ლიმონის წვენიც. წვნიანი საკვების შემთხვევაში გაუწყლოებას აქვს ადგილი და ამის უყურადღებოდ დატოვება არ ღირს.

ცივი სასმელების გადაჭარბებული მოთხოვნილება მარგანეცის ნაკლებობის ნიშანია. მიირთვით ნიგოზი და თხილი.

ჭამის დაუოკებელი სურვილი გკლავთ? ეს ან დეპრესიის შემოტევის ნიშანია, ან ორგანიზმში ტრიფტოფანისა და თირეოზინის (ამინომჟავების) დამატება გჭირდებათ. ტრიფტოფანს შეიცავს ყველი, ქიშმიში, ტკბილი კარტოფილი (ბატატი), ისპანახი, ხოლო თირეოზინს მწვანე, წითელი და სატაფილოსფერი ხილი.

უმადობას უჩივით? 1 და 2 ჯგუფის ვიტამინები უნდა დაამატოთ რაციონში. 1-ს შეიცავს თხილი, კაკალი, მზესუმზირა, ღვიძლი, 2 კი შედის ფრინველის ხორცში, თევზში, მზესუმზირასა და პარკოსნებში.

ბევრს ეწევით? სილიციუმი და თირეოზინი გესაჭიროებათ. სილიციუმს შეიცავს კაკალი, მზესუმზირა. ნუ მიირთმევთ რაფინირებულ, სახამებლის შემცველ პროდუქტებს.

ეს იცოდით?

❖ მსოფლიოში განათლებაზე წლიურად 80 მლრდ დოლარი იხარჯება.

❖ კრედიტის აღება 3000 წლის წინ დაიწყეს ჩვენმა წინაპრებმა ასირიაში, ბაბილონსა და ეგვიპტეში.

❖ სიტყვა „კრედიტი“ ლათინურიდან მოდის და ნდობას ნიშნავს.

❖ ამერიკული დოლარის ნიშნის დიზაინი ოლივერ პოლოკს ეკუთვნის.

❖ ლუი მეთოთხმეტეს 413 საწოლი ჰქონდა.

❖ პეტრე დიდი რუსეთში დაბეჭდილი პირველი გაზეთის, „ვედომოსტის“ მთავარი რედაქტორი იყო.

❖ ერთი ლიტრი ვარდის ზეთის მისაღებად 9 მილიონი ვარდის ფოთოლია საჭირო.

❖ პლანეტა ნეპტუნზე 1 წელი დედამიწაზე 165 წლის ეკვივალენტია.

Cyan Magenta Yellow Black

მკურნალი ხეები ქალის ჯანმრთელობისთვის

დენდროთერაპია (ხეების სამკურნალო თვისებების გამოყენება) სასარგებლოა ბევრი დარღვევის დროს. როგორ ისარგებლოთ ამით სილამაზის, ახალგაზრდობისა და ქალური ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად?

მიჩნეულია, რომ ქალებისთვის ყველაზე სასარგებლოა ცაცხვისა და არყის ხეები. ისინი არამხოლოდ სასიცოცხლო ენერგიის მომცემი დონორი ხეებია, მათი ბუნებრივი ძალა გინეკოლოგიური დაავადებების დაძლევას, ჰორმონული ფონის ნორმალიზაციასა და ახალგაზრდობის შენარჩუნებას ეხმარება.

გადით ბუნებაში, გაისეირნეთ ტყე-პარკში და თქვენი მკურნალი ხე იპოვეთ. ხესთან 40-60 სმ-ის მოშორებით, ზურგით დადექით და გულში დახმარება სთხოვეთ. შემდეგ მოდუნდით და წარმოიდგინეთ, თბილი ტალღა მთელ სხეულს ზევიდან ქვევით ლივლივით როგორ ევლება. ამავდროულად თანაბრად და რიტმულად ისუნთქეთ, ფოთლების ჰარმონიულ შრიალს მოუსმინეთ, ბუნების არომატი შეისუნთქეთ. სხვათა შორის, ცაცხვის ყვავილის სურნელი ქალებისთვის მეტად სასარგებლოა. ის სასქესო ჰორმონების გამომუშავებას აძლიერებს.

აგვისტოში ცაცხვის ყვავილები შეაგროვეთ და ბნელ ადგილას გააშრეთ. მათი ნაყენი და ჩაი ნებისმიერი ასაკის ქალის ორგანიზმზე სასიკეთოდ მოქმედებს. ის თანაბრად სასარგებლოა მათთვის, ვინც ჯანმრთელობას არ უჩივის და ასევე მათთვისაც, ვისაც მტკივნეული ციკლი და მისი დარღვევა, უშვილობა და კლიმაქსის უსიამოვნო სიმპტომები აწუხებს.

2 ჩაის კოვზ ცაცხვის ყვავილებს 400 მლ მდუღარე დაასხით, 30 წუთი დადგით, გაწურეთ და 100-200 მგ 2-3-ჯერ დღეში, ჭამამდე დალიეთ. ცაცხვის პრეპარატები კურსობით, 2-3 კვირის ხანგრძლივობით მიიღეთ, შემდეგ შეისვენეთ.

ჩრევა და გაფითხიღება

ფეხმძიმობის პერიოდში, სიმსივნის არსებობისას, ინფექციური დაავადებების გამწვავების დროს ცაცხვის პრეპარატები არ მიიღოთ.

ხეების ენერგიით დაძინებამდე 2-3 საათით ადრე დაიმუხტეთ, სხვაგვარად უძილობა გელით. დენდროთერაპიის შესრულება ყველაზე კარგია გარიჟრაჟზე ან 16-დან 18 საათამდე.

ხესთან 3 წუთზე მეტ ხანს არ დადგეთ, რათა არტერიული წნევის ხტუნვა და ემოციური გაღიზიანება არ გამოიწვიოს.

სამკურნალო მცენარეული ნედლეულის შესაგროვებლად შეარჩიეთ ხეები, რომლებიც ქალაქგარეთ, სამრეწველო საწარმოებისა და საავტომობილო გზიდან მოშო- რებით ხარობს.

ყავის მარცვლების საიდუმლო

ატომ მოქმედებს ყავის სუნი უფრო დამათრობლად, ვიდრე მისი გემო? როგორც გაირკვა, ყავის მარცვლებში ასზე მეტი სურნელოვანი ნივთიერებაა. ყველაზე საოცარი ის არის, რომ მარცვლის არომატი დაღლას ხსნის, დადებით ემოციებს აღვიძებს, ურთიერთობის უნარს ამაღლებს.

კარგი იქნება, თან ატაროთ დაფქული ყავის ფლაკონი. რთულ სტრესულ სიტუაციებში, ან როდესაც ძალა ილევა, საოცარი არომატი შეისუნთქეთ და სიცოცხლის სიხარულს კვლავ შეიგრძნობთ.

ოხრახუში – სხეულის მოქანდაკე

3-4 კგ-ის დაკლება გსურთ? ამაში ოხრახუშის ორდღიანი დიეტა დაგეხმარებათ. არავითარი გარჯა, ტანჯვა და განსაკუთრებული რეჟიმი. ორი დღის შემდეგ შეგიძლიათ, ჩვეულებრივად იკვებოთ, მაგრამ ოხრახუშის ორდღიანი დიეტის შემდეგ პირველი 5 დღის განმავლობაში ოხრახუშის ნახარში უნდა მიიღოთ.

მოქმედების პრინციპი

ოხრახუში მინიმალურ კალორიებს შეიცავს და ადამიანის ორგანიზმის ქსოვილებში ცხიმების ცვლას ასტიმულირებს. ამ თვისების გამო, ის არამხოლოდ გემრიელი სანელებელია, ასევე გასახდომი პრეპარატია. ოხრახუშის შემადგენლობაში არსებული ინულინი ნატურალური პოლისაქარიდია, რომელიც შიმშილის გრძნობას აყუჩებს, საჭმლის მონელებას აუმჯობესებს, თირკმლებსა და ღვიძლს ასუფთავებს, ენდოკრინული სისტემის მუშაობას არეგულირებს. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ოხრახუში ძლიერი შარდმდენი საშუალებაა. ქსოვილებში დაგროვილი ზედმეტი სითხისგან გათავისუფლების შემდეგ წონა მნიშვნელოვნად ქვეითდება.

პირველი დღე

პირველი საუზმე: ჩაი, მარცვლეულის ხრამუნა პური.

მეორე საუზმე: 1 სუფრის კოვზი გახეხილი ოხრახუშის ძირები და 1 მოხარშული კვერცხი.

სადილი: 100 გრამი მოხარშული ხორცი, 1 სუფრის კოვზი ოხრახუშის გახეხილი ძირები, ხილის წვენი.

სამხარი: 100 გრამი ყველი, 1 ფინჯანი ყავა.

ვახშამი: 1 ჭიქა კეფირი, მარცვლეულის ხრამუნა პური.

მეოხე დღე

პირველი საუზმე: ყავა, მარცვლეულის ხრამუნა პური.

მეორე საუზმე: 1 პომიდვრის, 2 კიტრისა და 100 გრამი ოხრახუშის სალათა, ხრამუნა პური.

სადილი: მოხარშული ხორცი, 1 სუფრის კოვზი ოხრახუშის გახეხილი ძირები, ხილის წვენი.

სამხარი: 100 გრამი ყველი, ხრამუნა პური, ყავა.

ვახშამი:50 გრამი ბრინზა ყველისა და 50 გრამი ოხრახუშის სალათა, ხილის წვენი დღის განმავლობაში.

ამ ორი დღის შემდეგ შეგიძლიათ თქვენი ჩვეულებრივი რეჟიმით იკვებოთ, მაგრამ დღეში 4-5-ჯერ 1/4 ჭიქა ოხრახუშის ნახარში უნდა მიიღოთ. ამავდროულად გახდომის პროცესი უფრო სწრაფი ტემპით რომ წარიმართოს, ამ დროის განმავლობაში გამორიცხეთ ფუნთუშა, ვაფლი, ძეხვი და სოსისი.

რადგან ოხრახუში ძლიერი შარდმდენია, 5 დღის განმავლობაში აუცილებლად უნდა მიიღოთ კალიუმის პრეპარატები ან გარგარის ჩირი (200 გრამი დღეში). სპეციალური ვიტამინური პრეპარატები არ დაგჭირდებათ, ვინაიდან „ერთი მუჭა ოხრახუში ერთი მუჭა ოქროს ტოლფასია“, — ასე ამბობდნენ ჩვენი წინაპრები და სამართლიანად.

ოხრახუშის ქორფა ფოთლები დიდი რაოდენობით ძვირფას კომპონენტებს შეიცავს. დღეში 50 გრამი ოხრახუში სრულად უზრუნველყოფს ორგანიზმის დღიურ მოთხოვნას C, PP და K ვიტამინებზე, ფოლიუმის მჟავასა და მიკროელემენტებზე.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

მუსიკა, რომელიც კურნავს

ყველაზე სასარგებლო მოცარტი ყოფილა!

მუსიკას უნიკალური თვისება აქვს — ამშვიდებს, აყუჩებს ტკივილს, აწყნარებს ნერვულ სისტემას, დაბლა სწევს არტერიულ წნევას. ალბათ დაინტერესდით, რაში მდგომარეობს მუსიკის საიდუმლო.

წამლების ნაცვლად

დღეს მუსიკის დამატებით თერაპიას განსაკუთრებული წარმატებით იყენებენ ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა ნევროზი, დეპრესია, უძილობა. მკურნალობის სხვა მეთოდების პარალელურად მუსიკა ეფექტურად გამოიყენება ჰიპერტონიის, გასტრიტის, გულის დაავადებების, ქრონიკული ბრონქიტების, ასთმისა და შარდ-სასქესო დაავადებების დროსაც. ალერგიის მკურნალობის პროცესში კი მუსიკოთერაპიას მიმართავენ, როგორც ეფექტურ ტკივილგამაყუჩებელ საშუალებას.

შენ, ჩემო მელოდიავ!

სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტების ჟღერადობას განსხვავებული თერაპიული შესაძლებლობები აქვთ. მაგალითად, კლარნეტი ეფექტურია თირკმლებისთვის, სიმებიანი საკრავები — გულისთვის.

კლასიკური მუსიკა საოცრად ამშვიდებს ნერვულ სისტემას, აუმჯობესებს კონცენტრაციის უნარს, მეხსიერებას, მეძუძურ დედიკოებს კი რძის მომატებაში ეხმარება.

თანამედროვე მუსიკას თავისი სპეციფიკა და პლუსები აქვს, მაგალითად, მეტად აღაგზნებს, ამხნევებს ადამიანს, ხშირად ზომაზე მეტ აღგზნებადობასაც იწვევს. ჯაზი სერიოზულ გავლენას ახდენს ტვინზე, ეხმარება მეხსიერებიდან არასასიამოვნო ეპიზოდების წაშლას, კრეატიული აზროვნების განვითარებასა და გადაწყვეტილებების მიღებას. ზედმეტი დოზით ჯაზის და როკის მოსმენა კი შეიძლება უკუშედეგის მომტანი აღმოჩნდეს, მაგალითად, არტერიული წნევა მოუმატოს, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების არსებობის დროს კი მდგომარეობა გააუარესოს.

განსაკუთრებით სასარგებლო შედეგის მომტანია მუსიკოთერაპია ზრდა-განვითარებაში ჩამორჩენილი ბავშვებისათვის. ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ რამდენიმე კურსი მუსიკალური თერაპიის შემდეგ ასეთი პატარების მდგომარეობა ბევრად გაუმჯობესდა, ისინი გაცილებით კომუნიკაბელურები გახდნენ.

დაბოლოს, დადასტურებულია, რომ მოცარტის მუსიკას ბევრად უფრო დიდი და მკვეთრად გამოხატული ეფექტი აქვს სხვა კომპოზიტორების ნაწარმოებებთან შედარებით. ეს ფენომენი იმით აიხსნება, რომ მოცარტის ნაწარმოებებში ბევრად მეტი მაღალი სიხშირის ხმოვანებაა, რომელიც აღწევს ტვინში და ინტელექტსა და მეხსიერებას აუმჯობესებს.

პიტნის თერაპია

პიტნის ბევრი სახეობა არსებობს და სწორედ ეს მრავალფეროვნება ხდის მას პოპულარულს. ქორფა პიტნისგან ამზადებენ ჩაის, მორსს, ხოლო გამომშრალი პიტნის ფოთლებს სხვადასხვა სახის ბოსტნეულის სალათებს ურევენ.

პიტნა ერთ-ერთი პოპულარული სამკურნალო საშუალებაა, რომელსაც აქტიურად იყენებენ ხალხურ მედიცინაში. მაგალითად, პიტნის ჩაის დალევა რეკომენდებულია კუჭის მომატებული მჟავიანობის დასარეგულირებლად, ხოლო მენთოლის არომატის შესუნთქვა სასარგებლოა ტაქიკარდიის დროს.

რუსეთში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ამ მცენარის აბანოში გამოყენება — პიტნის ორთქლი კლავს კანზე არსებულ ბაქტერიებს, კარგია ზედა სასუნთქი გზების სამკურნალოდ. ეს ყველაფერი ჩვენმა წინაპრებმა ჯერ კიდევ ძალიან დიდი ხნის წინ იცოდნენ.

პიტნა აქტიურად გამოიყენება კოსმეტოლოგიაშიც. ზაფხულის სიცხეებში კარგია პიტნის ექსტრაქტით გაჟღენთილი კოსმეტიკური ხელსახოცების ხმარება. გარდა იმისა, რომ ისინი სახის გასაწმენდად ეფექტურია, საუკეთესო გამაგრილებელი საშუალებაც გახლავთ.

თუ თავის ტკივილმა შეგაწუხათ, წამლის დალევას ნუ იჩქარებთ, პიტნის ჩაი მიირთვით, რადგან მას ტკივილგამაყუჩებელი თვისება აქვს.

სასარგებლოა, თუ ხშირად გამოვიყენებთ პიტნის ფოთლებს სხვადასხვა სახის კერძების, სალათების მოსამზადებლად. გარდა იმისა, რომ არომატულ, განსაკუთრებულ გემოს შესძენს საჭმელს, ორგანიზმს მოდუნებასა და განტვირთვაშიც დაეხმარება.

ის, რაც ყველა მშობელმა უნდა იცოდეს

თავაზობთ პედიატრების მიერ მოწოდებულ აუცილებელ რეკომენდაციებს, რომელთა ცოდნაც საჭიროა ყველა მშობლისათვის, განსაკუთრებით კი — ახალბედებისთვის.

1. ჰამდენად უსაფრთხოა ბავშვისთვის ძროხის რძის მიცემა

ამაზე ცალსახა პასუხის გაცემა რთულია. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი ჩვილობის პერიოდში რეგულარულად იღებდა ძროხის ნატურალურ რძეს, მისი დალევა 2-3 წლის ასაკშიც არ იქნება პრობლემა, მაგრამ თუ ჩვილობაში ნატურალურ რძესთან არ ჰქონია შეხება და ახლა პირველად უნდა გასინჯოს, არსებობს ალერგიული რეაქციების პროვოცირების საფრთხე.

თუ ზაფხულში ბავშვთან ერთად ქალაქგარეთ აპირებთ გასვლას, აუცილებლად გაიარეთ კონსულტაცია პედიატრთან და მისი რჩევები გაითვალისწინეთ. გახსოვდეთ, სანამ პატარას ძროხის ნატურალურ რძეს მისცემთ, ასი პროცენტით დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ საქონელს ჩატარებული აქვს სავალდებულო აცრები და რომ ის ჯანმრთელია. სხვაგვარად კატეგორიულად დაუშვებელია ბავშვისათვის ნატურალური რძის მიცემა!

2. გავაუთოოთ თუ ახა ბავშვის ტანსაცმელი ორივე მხრიდან

პედიატრების უმრავლესობის აზრით, სანამ ჩვილს ჭიპი კარგად არ მოუშუშდება, მისი ტანსაცმლის დაუთოება ორივე მხრიდანაა საჭირო. თუ ბავშვი ძუძუთი იკვებება, ამ შემთხვევაში დედის ჰიგიენა უნდა იყოს მაქსიმალურად დაცული — გამოიყენოს და დღეში რამდენჯერმე გამოიცვალოს მკერდის სპეციალური საფენები.

3. ჰა სიხშირით უნდა დავაცაგოთ პატარას ოთახი და ჰოგორ

ბავშვის სიცოცხლის პირველ წელიწადს განსაკუთრებულად აუცილებელია ოთახის ყოველდღიურად სველი წესით დალაგება. ნუ გამოიყენებთ ქიმიურ საშუალებებს, განსაკუთრებით — ქლორის შემცველს, რადგან არსებობს ალერგიული რეაქციის საშიშროება, რაც პატარას იმუნურ სისტემას დაასუსტებს.

4. სპეციალური ხელსახოცები თუ წყალი?

არავისთვის წარმოადგენს სიახლეს, რომ ჭუჭყიანი ხელებით უამრავი ინფექცია გადაიცემა. თავდაცვისთვის ყველაზე საიმედო საშუალება საპნით ხელების ხშირი დაბანაა. პრაქტიკულად ანალოგიური შედეგის მომცემია სველი ხელსახოცებიც.

რადიკალურად განსხვავებული მოსაზრება აქვთ ამ საკითხთან მიმართებაში სპეციალისტებს. ისინი გვირჩევენ, მაქსიმალურად ხშირად დავბანოთ ბავშვებს ხელები საპნით! სველი ხელსახოცების გამოყენება კი მიზანშეწონილია მხოლოდ გამოუვალ მდგომარეობაში.

5. შინაური ცხოველების გვერდით

თუ სახლში ძაღლი ან კატა გყავთ და ახლა უკვე პატარაც შეგეძინათ, მათი მშვიდობიანი და უსაფრთხო თანაცხოვრების უზრუნველყოფა, როგორც სპეციალისტები ამბობენ, რთულია. თავის მხრივ, შინაური ცხოველების ყოლა ოჯახში ბავშვს ჰარმონიულად გაზრდის პროცესში დაეხმარება, უფრო მოსიყვარულე, კეთილი, მზრუნველი იქნება.

თუ არ გყავთ შინაური ცხოველი, ოჯახში კი ბავშვი დაიბადა, უკეთესია, მათი ყოლისგან თავი შეიკავოთ, სანამ პატარა 3 წლის არ გახდება.

✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა

Cyan Magenta Yellow Black

როგორ რეაგირებთ წყენაზე?

1. მეგობარი იმის გამო წაგეჩხუბათ, რაშიც ბრალი არ მიგიძღვით და დამნაშავედ გთვლით, არც ახსნის საშუალებას გაძლევთ, რას მოიმოქმედებთ?

ა) ყვირით და ცდილობთ, გააჩუმოთ — 3

ბ) ცდილობთ, დაამშვიდოთ და აუხსნათ სიტუაცია — 1

გ) ტირილს იწყებთ, რათა გაჩუმდეს და დაწყნარდეს — 2

2. საყვარელი კაცი შეგპირდათ, რომ საღამოს 7 საათისთვის გნახავდათ. უკვე 9 საათია, ის კი არ ჩანს. დაურეკეთ და გითხრათ, რომ სამსახურში შეყოვნდა და ვერ მოვა. რას იზამთ?

ა) არ დაუჯერებთ და სამსახურში მიაკითხავთ — 2

ბ) გეწყინებათ, მაგრამ არ შეიმჩნევთ — 1

გ) ეჩხუბებით მოტყუების გამო — 3

3. ადამიანმა, რომელიც ყველაზე მეტად გიშლით ნერვებს, ამაზრზენი სიტყვები უმიზეზოდ გითხრათ, როგორ მოიქცევით?

ა) უარესი სიტყვებით შეამკობთ — 3

ბ) ეტყვით, აგიხსნათ, რატომ გაგლანძღათ — 2

გ) იგნორირებას გაუკეთებთ — 1

4. ახლობლები გირჩევენ, სამსახური შეიცვალოთ, რადგან იქ ცოტა მეგობარი გყავთ. ამის გამო თქვენ...

ა) ინერვიულებთ — 2

ბ) წყნარად აუხსნით, რომ ცდებიან, სამსახურში კარგი მეგობრები გყავთ და იქ გირჩევნიათ — 1

გ) მათ აზრს შეეწინააღმდეგებით — 3

5. აღმოაჩინეთ, რომ ნათესავს თქვენი შეყვარებული მოსწონს და არც ეს უკანასკნელია მის მიმართ გულგრილი, რას იზამთ?

ა) ნათესავს თავის ადგილზე მოსვამთ — 3

ბ) ნათესავს შეეხვეწებით, თქვენს საყვარელ კაცს თავი გაანებოს — 1

გ) ორივესთან გაწყვეტთ ურთიერთობას — 2

შედეგები:

1-5 ქულა —ერთობ მომთმენი ხართ. ყველას უყვარხართ. ადვილად აგვარებთ პრობლემებს და არ გიყვართ საკუთარ თავში ჩაკეტვა.

6-10 ქულა —არ ხართ ცუდი ადამიანი. ცოტა ნერვების მოთოკვა გჭირდებათ, დამშვიდება და უფრო მეტი მეგობარი გეყოლებათ.

11-15 ქულა — სამწუხაროდ, კარგს ვერაფერს გეტყვით. არ უნდა იყოთ ბოღმიანი. უნდა დაიმორჩილოთ ნერვები. ამას თუ გაითვალისწინებთ, უფრო ბევრი მეგობარი გეყოლებათ, ნათესავები და ოჯახის წევრებიც უფრო გაგიგებენ. შეეცადეთ, რაც გწყინთ, მშვიდი ტონით თქვათ და კარგად აუხსნათ გარშემომყოფებს.

მასაჟი კაკლით

ფეხისა და ხელის კაპილარები სისხლძარღვოვანი სისტემის ყველაზე სუსტი ნაწილია. ვინაიდან ძალიან წვრილია და ამავდროულად ხელისგულები და ტერფები გულიდან შორს არიან, აქ სისხლის მიმოქცევა შენელებულია.

გულ-სისხლძარღვთა სისტემაში ნებისმიერი მცირე უთანხმოება მაშინვე ხელებსა და ფეხებში უსიამოვნო სიმპტომებით ვლინდება. თითები იყინება, ჩხვლეტა და დაბუჟება ჩნდება, მგრძნობელობა ირღვევა, ნაკაწრები ცუდად ხორცდება. კაპილარებს რომ დაეხმაროთ, ხელებისა და ფეხებისთვის საჭიროა ცხელი აბაზანები და ასევე ყოველდღიურად უმარტივესი მასაჟი 2 ცალი კაკლით.

კაკლები ხელისგულებს შორის მოათავსეთ და რაც შეიძლება მაგრად მოუჭირეთ. შემდეგ ბრუნვითი მოძრაობები შეასრულეთ. მერე ორივე კაკალი ერთ ხელში დაიჭირეთ და აგორავეთ, თან თითოეული თითი ამუშავეთ. იგივე გაიმეორეთ მეორე ხელშიც. ამის მერე ორივე ტერფის ქვეშ თითო კაკალი დაიდეთ და იატაკზე აგორავეთ. ამ საქმიანობაში ფეხის თითებიც ჩართეთ.

7 ვიტამინი სილამაზისა და ახალგაზრდობისთვის

გსურთ, ლამაზად და მიმზიდველად გამოიყურებოდეთ? რაციონში ხშირად ჩართეთ „სილამაზის ვიტამინები“.

1. ვიტამინი A (რეტინოლი) და მისი პროვიტამინი (კაროტინი) პასუხისმგებლები არიან კანის უჯრედების აღდგენაზე. ეს ორი ნივთიერება კანს გამოშრობის, აქერცლისა და ნაოჭების გაჩენისგან იცავს.

საბადო: ღვიძლი, რძის პროდუქტები, კვერცხის გული, სტაფილო, გოგრა, წითელი წიწაკა, პომიდორი, მანდარინი, ფორთოხალი, ოხრახუში, კამა.

2. ვიტამინი B_2 (რიბოფლავინი). კანის საფარველის სიფერმკრთალე, ტუჩების კუთხეში მტკივნეული ბზარები, ტუჩიდან სისხლდენა, მთელი ტანის აქერცვლა B_2 ვიტამინის დეფიციტზე მეტყველებს.

საბადო: რძე და რძის პროდუქტები (განსაკუთრებით კეფირი, მაწონი, ყველი, არაჟანი), უცხიმო ხორცი, ღვიძლი, კვერცხის გული, სოკო.

3. ვიტამინი C ბუნებრივი ანტიმჟანგავია, დაბერების პროცესს ანელებს. ასკორბინის მჟავა განსაკუთრებულ ცილას — კოლაგენს ასტიმულირებს, რომელზეც დამოკიდებულია კანის სიმკვრივე და ელასტიკურობა. ვიტამინი C კანის საფარველის სისხლით მომმარაგებელ კაპილარებს ამაგრებს.

საბადო: ასკილის ნაყოფი, შავი მოცხარი, ლიმონი, ფორთოხალი, მანდარინი, ნიგოზი, ქაცვი, კომბოსტოს მწნილი, ოხრახუში.

4. ვიტამინი E (ტოკოფეროლი) ანტიმჟანგავია, რომელიც კანის უჯრედებს საკვებსა და ჟანგბადს აწვდის.

საბადო: მცენარეული ზეთი (მზესუმზირის, სიმინდის, ზეითუნის, სელის), ასკილის ნაყოფი, კვერცხის გული, ბარდა, ლობიო, ცერცვი, ხორბლის გაღვივებული მარცვალი.

5. კალციუმი ალერგიულ რეაქციას ამცირებს, უჯრედების აღდგენას ხელს უწყობს.

საბადო: რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი, ყვავილოვანი კომბოსტო, სალათა, ხახვი, ოხრახუში, ვაშლი.

6. სელენი ახალგაზრდობის ნამდვილი ელექსირია: უჯრედების ზრდას ასტიმულირებს, E ვიტამინის შეთვისებას უზრუნველყოფს, იმუნიტეტსა და ნერვულ სისტემას აძლიერებს.

საბადო: თევზი, ხორცი (განსაკუთრებით ქათმის), ყველი, კვერცხი, ხახვი, არაქისი, ნიგოზი.

7. იოდი. ბოლო მეცნიერული გამოკვლევის თანახმად, კანქვეშა ცხიმის უჯრედებში ნივთიერებათა ცვლის დარღვევა ორგანიზმში იოდის ნაკლებობის შედეგია.

საბადო: თევზი, ზღვის კომბოსტო და ზღვის პროდუქტები.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

ხარკოვის «მეტალისტი» დასაჯეს

უკრაინული საფეხბურთო კლუბი, ხარკოვის „მეტალისტი“, ჩემპიონთა ლიგის გათამაშებიდან მოხსნეს. ეს ინფორმაცია უეფა-ს ოფიციალურმა ვებგვერდმა გაავრცელა.

კლუბი უკრაინის ჩემპიონატის 2007-08 წლების სეზონზე ჩაწყობილ მატჩში მონაწილეობისთვის დაისაჯა. 2008 წლის 19 აპრილს „მეტალისტმა“ ლვოვის „კარპატი“ 4:0 დაამარცხა. ამ მატჩმა ქვეყნის საფეხბურთო წრეებში ეჭვი გააჩინა, რის გამოც უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ გამოძიება ჩაატარა. 2010 წელს უფფ-მ მატჩი ჩაწყობილად მიიჩნია და ორივე გუნდს 9-9 ქულა მოუხსნა, „მეტალისტს“ ეროვნული ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები ჩამოართვა და ასევე ორივე კლუბი 25 ათასი დოლარით დააჯარიმა.

„მეტალისტმა“ აპელაცია შეიტანა სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში, რომელიც ლოზანაში მდებარეობს. სასამართლომ ვერდიქტი წელს, 2 აგვისტოს გამოიტანა — ჩაწყობილად ცნო აღნიშნული მატჩი, ძალაში დატოვა „მეტალისტისთვის“ ბრინჯაოს მედლების ჩამორთმევა და ორივე კლუბისთვის ჯარიმის დაკისრება. მხოლოდ მათთვის ქულების ჩამორთმევა გააუქმა.

3 დღის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ უეფა-მ სასამართლოს ვერდიქტის შემდეგ დისციპლინარული გამოძიება დაიწყო უკრაინული კლუბის მიმართ. 12 აგვისტოს უეფა-ს შტაბ-ბინაში „მეტალისტის“ საქმის განხილვა გაიმართა.

მომდინარე სეზონში „მეტალისტმა“, რომელიც პირველად მოხვდა ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში, ტურნირის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ორი მატჩის ჯამში ბერძნული კლუბი „პაოკი“ დაამარცხა, რის შემდეგაც ისინი საკვალიფიკაციო ეტაპის ფინალში გერმანულ კლუბს „შალკეს“ უნდა დაპირისპირებოდნენ. გათამაშებიდან „მეტალისტის“ მოხსნის შემდეგ ჯერჯერობით უცნობი რჩება, ვინ დაიკავებს უკრაინული კლუბის ადგილს.

ლუის სუარესი „ლივერპულს“ არ დატოვებს

ცნობილი ინგლისური კლუბის „ლივერპულის“ თავდამსხმელმა, ურუგვაელმა ლუის სუარესმა განაცხადა, რომ გუნდში რჩება. ამ ინფორმაციას ურუგვაული გამოცემის „ელ ობესრვადორის“ ვებგვერდი ავრცელებს.

ფეხბურთელის თქმით, მას კლუბიდან წასვლა „ლივერპულის“ გულშემატკივრების კარგმა დამოკიდებულებამ გადააფიქრებინა. მომდინარე წლის ივლისში ცნობილი გახდა, რომ ურუგვაელი ფორვარდით ლონდონური კლუბი „არსენალი“ დაინტერესდა და მზად იყო, სუარესში 40 მილიონი ფუნტი გადაეხადა. აგვისტოს დასაწყისში ფეხბურთელმა „არსენალში“ გაშვება ითხოვა. ეს გადაწყვეტილება ურუგვაელმა იმით ახსნა, რომ მას სხვა კლუბში დაუბრკოლებლად გადასვლის პირობა ჰქონდა მიცემული იმ შემთხვევაში, თუ „ლივერპული“ სეზონის შედეგების მიხედვით ვერ მოახერხებდა ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლების მოპოვებას, რაც საბოლოოდ მოხდა კიდეც. საპასუხოდ კლუბის ხელმძღვანელობამ ლუის სუარესს გუნდის მიმართ უპატივცემულობა დასდო ბრალად და ვარჯიშებიდან გათავისუფლა.

■ ლუის სუარესი

მომდინარე წლის ივნისში პრესა ასევე იუწყებოდა, რომ სუარესი მადრიდის „რეალში“ გადადიოდა, მაგრამ კლუბებს შორის ამ საკითხზე ოფიციალური მოლაპარაკებები არ გამართულა.

ლუის სუარესი „ლივერპულში“ 2011 წლიდან გამოდის, მანამდე ის ჰოლანდიურ კლუბებში „აიაქსსა“ და „გრონინგემში“, ასევე ურუგვაულ კლუბ „ნასიონალში“ თამაშობდა. ურუგვაის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში სუარესმა მონაწილეობა მიიღო 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, ხოლო 2011 წელს ეროვნულ ნაკრებთან ერთად ამერიკის თასს დაეუფლა.

✓ მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ისინბაევა ბავშვის გასაჩენად ტაიმ აუტს ილებს


■ ელენა ისინბაევა

სახელგანთქმულმა რუსმა ჭოკით მხტომელმა ელენა ისინბაევამ მოსკოვში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მძლეოსნობაში ოქროს მედალი მოიგო თავის დისციპლინაში.

მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც შესაძლოა ბოლო აღმოჩნდეს ცნობილი სპორტსმენის სპორტულ კარიერაში, მან პირველივე ცდაზე 4,89 მეტრი შედეგი დააფიქსირა.

ვერცხლის მედალი ამერიკელ ჯენიფერ სურს ერგო, ხოლო ბრინჯაოს მედლის მფლობელი კუბელი იარისლეი სილივე გახდა. ორივემ ერთნაირი სიმაღლე (4,82 მეტრი) დაძლია, მაგრამ ამერიკელს ამ შედეგის დაფიქსირებისთვის ნაკლები ცდის გამოყენება დასჭირდა, ამიტომ ვერცხლის მედალი სწორედ მას გადაეცა.

31 წლის ელენა ისინბაევა აქამდე ორჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონი — 2005 და 2007 წლებში. 2004 და 2008 წლებში მან ოლიმპიური თამაშები მოიგო, ხოლო 2012 წლის ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა. გარდა ამისა, ისინბაევა მოქმედი მსოფლიო რეკორდსმენია ქალთა შორის სიმაღლეზე ჭოკით ხტომაში. მისი შედეგი 5,06 მეტრია.

ივლისის დასაწყისში ისინბაევამ განაცხადა, სპორტულ კარიერას თავს ვანებებო, მოგვიანებით კი დასძინა, რომ პროფესიული საქმიანობის დასრულებაზე ჯერჯერობით ლაპარაკი ნაადრევია. მისი თქმით, ის სპორტში მცირე შესვენების აღებას აპირებს ბავშვის გასაჩენად. ამის შემდეგ კი გამოჩნდება, მოახერხებს თუ არა დიდ სპორტში დაბრუნებას.

კანადაში 16 წლის ჰოკეისტი დაიღუპა

■ ჯორდან ბოიდი

კანადური ჭაბუკთა ჰოკეის კლუბის, „აკადი-ბატერსტ ტიტანის“ 16 წლის მოთამაშე ჯორდან ბოიდმა ვარჯიშის დროს თავი ცუდად იგრძნო და მალე გარდაიცვალა.

მოთელვითი ვარჯიშის დროს ბოიდი ყინულზე დაეცა. მას პირველადი სამედიცინო დახმარება ადგილზევე აღმოუჩინეს, შემდეგ კი სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა ჭაბუკი სპორტსმენის გადარჩენა ვერ შეძლეს. ბოიდის გარდაცვალების მიზეზი გაკვეთის შემდეგ გახდება ცნობილი, რომელიც უახლოეს დღეებში ჩაუტარდება.

კვებეკის ჭაბუკთა ჰოკეის ლიგის წარმომადგენელმა ფოტი სოტიროპულოსმა განაცხადა, რომ ბოიდმა არც ისე დიდი ხნის წინ გაიარა სამედიცინო გამოკვლევა და მაშინ ექიმებს კითხვები მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით არ გასჩენიათ.

სოტიროპულოსმა იქვე დაამატა, რომ ბოიდი მეორე ჰოკეისტია ლიგის 30 წლიანი არსებობის ისტორიაში, რომელიც უშუალოდ თამაშის ან ვარჯიშის დროს დაილუპა.

ქალაქ გალიფაქსის კლუბ „ბრედფორდ ბლიუზის“ ყოფილმა პრეზიდენტმა პოტ მეკლაასმა ბოიდს თავისი თაობის ერთ-ერთი უნიჭიერესი მოთამაშე უწოდა.

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

როგორ წარმოვაჩინოთ ნაკლოვანებები ღირსებად

საკუთარი ნაკლოვანებების აღიარება, ერთი შეხედვით, ძნელი და უსიამოვნო საქმეა, მაგრამ, როდესაც პრობლემას ასჯერ შეეჯახებით, ამის გულღიად თქმა არც ისე საშინელებად მოგეჩვენებათ.

გაბედულები მოგებულები ჩრებიან

თითქმის ყოველი ჩვენგანი მტკიცედ დარწმუნებულია, რომ ანგელოზია და მხოლოდ უმნიშვნელო და მომხიბლავი ნაკლოვანებები გააჩნია. გულწრფელად აღიარება იმისა, რომ ზარმაცები, ავები, ძუნწები, ეგოისტები (სიის უსასრულობამდე გაგრძელება შეიძლება) ვართ, საშინლად ძნელია. ის, ვინც ამის გასაცნობიერებლად თავში ძალასა და გაბედულებას პოულობს, მოგებული რჩება. რატომ?

პირველი: საკუთარი მანკიერი მხარეების აღიარებით თავს მათი გამოსწორების შანსს აძლევთ.

მეორე: ადამიანები, რომლებიც თავიანთი ხასიათის უარყოფით მხარეს არ მალავენ და მათზე ღიად საუბრობენ, გარშემომყოფებში პატივისცემას იწვევენ.

მესამე: ნაკლოვანებების შენიღბვა ჩვენგან უზარმაზარ ძალას ითხოვს, რაც საკუთარი სიტყვების, ჟესტების, ქცევების გაკონტროლებაზე იხარჯება. და საერთოდ, საკუთარი ნაკლის დიდხანს დამალვა მაინც არ გამოდის. მათ შესახებ გარშემომყოფები მალე იგებენ და შესაძლებელია, თქვენზე გული გაუტყდეთ.

არის ასეთი გამონათქვამი: „ჩვენი ნაკლოვანებები ჩვენი ღირსებების გაგრძელებაა“. ეცადეთ, თქვენი ნატურის ბნელი მხარეებიდან სარგებლობა იპოვოთ.

ძუნწი ხართ

მერედა ვინ თქვა, რომ ეს ცუდია? არ იხდით ნივთისთვის იმის გამო, რომ ის ამად არ ღირს. ეს უფრო იმაზე მეტყველებს, რომ მომჭირნე და ყაირათიანი ხართ. ყოველთვის გაქვთ დანაზოგი ნებისმიერი სტიქიური უბედურების გადასატანად.

აგრესიული და გულფიცხი ხართ

მაშასადამე, შეგიძლიათ თავი დაიცვათ. ის, ვინც თქვენს ტერიტორიაზე ფეხს დაადგამს, საკადრის პასუხს მიიღებს. ვერავინ შეძლებს, ტყუილუბრალოდ დახარჯოს თქვენი დრო იმიტომ, რომ ვინც არ გაინტერესებთ, თავაზიანობის გამო ვერ მოუსმენთ.

ზარმაცი ხართ

რა თქმა უნდა, გარჯა კარგია, მაგრამ სურვილის მიხედვით, ყოველთვის შეგიძლიათ თქვენთვის სასარგებლო საქმე იპოვოთ. მაგალითად, წიგნით ხელში დივანზე წამოწვეთ, საინტერესო ფილმი ნახოთ, მეგობრებს დაურეკოთ, გაისეირნოთ. სხვაგვარად, მტვერსასრუტთან, გაზქურასთან, კომპიუტერთან, დაზგასთან... მთელი ცხოვრება გაივლის. არავითარი სიხარული, არც სასიამოვნო მოგონებები, მხოლოდ გაუთავებელი შრომა. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, სწორედ სიზარმაცე არის პროგრესის ის ძალა, რომელიც ადამიანს უბიძგებს, მოხერხებული და კომფორტული ცხოვრებისთვის სხვადასხვა საშუალება გამოიგონოს.

საკუთარი ნაკლოვანებების მბრძანებელი გახდით

როგორ ვაქციოთ ნაკლოვანებები ღირსებად? დასაწყისში ყველა მოქმედება გაანალიზეთ, რომლის შესრულებასაც აპირებთ. ჩვენი ყოველი მოქმედება საკუთარი არჩევანია და მხოლოდ ჩვენ ვართ მათზე პასუხისმგებელი. არ არის საჭირო მსხვერპლის პოზიციაში ყოფნა, საკუთარი ნაკლოვანებებისა და ნეგატიური ემოციების მონად გახდომა. სამუშაოზე ხელმძღვანელმა გაგაბრაზათ და ახლა ბრაზის ამოფრქვევა გსურთ? შეჩერდით, დაფიქრდით. თქვენი თავშეუკავებლობით რა ხეირს ნახავთ? ჩვეულებრივ, ასეთ სიტუაციაში, პირველ შემხვედრზე იყრით ჯავრს. უმჯობესია დამშვიდდეთ, გააკეთოთ ის, რაც სიამოვნებას განიჭებთ და სულიერ წონასწორობას აღგიდგენთ. მაგალითად, დალიეთ ყავა, ახლობელს დაურეკეთ, ანეკდოტების კრებული წაიკითხეთ.

სიყვარული ყველაფერს ძლევს

ნაკლისა და შეცდომების აღიარების, ასევე მათზე პასუხისმგებლობის აღების უნარი ძლიერი ხასიათის მაჩვენებელია. ეს იმ ადამიანებს ახასიათებთ, რომლებიც საკუთარ შეცდომებზე სწავლობენ, მუდამ განვითარებასა და წინსვლას ესწრაფიან.

ნაკლის აღიარება მხოლოდ პირველი ნაბიჯია. ახლა რეალური შესაძლებლობა გეძლევათ, შეიცვალოთ და პირადი ცხოვრება გაიუმჯობესოთ. მაგალითად, მეუღლემ რაღაც საქმეში დახმარება გთხოვათ. დრო გაქვთ, მაგრამ ამ კონკრეტული საქმისთვის მისი დახარჯვა არ გსურთ. არადა მეუღლე გიყვართ და იცით, როგორ ესიამოვნება, როდესაც საოჯახო საქმეში მიეშველებით. დაფიქრდით, შეიძლება ღირს, დროებით დაივიწყოთ სიზარმაცე და ახლობელი ადამიანი გაახაროთ?

სისხლის ჯგუფი დაავადებისადმი მიდრეკილებას გვამცნობს

მკვლევრები თვლიან, რომ სისხლის ჯგუფის მიხედვით ადამიანის ხასიათისა და ამა თუ იმ დაავადების მიმართ მისი წინასწარგანწყობის გამოვლენა შეიძლება.

პირველი ჯგუფი

ბუნებით ლიდერები არიან. რისკიანები, თავდაჯერებულები, მაღალი მიზანსწრაფულობით გამოირჩევიან, ზოგჯერ კი ზედმეტად ქედმაღლებიც არიან. მათი სუსტი ადგილია კუჭი, ამიტომ ყურადღება უნდა მიაქციონ, რას ჭამენ.

მეორე ჯგუფი

ამ ჯგუფის წარმომადგენლები ანალიტიკური აზროვნების უნარს ფლობენ. ყველაფერში წესრიგი და ჰარმონია უყვართ. შრომისმოყვარენი და თავაზიანები არიან, ზოგჯერ მეტისმეტად ჯიუტებიც. მათი სუსტი ადგილია გული და სისხლძარღვები. კარგი იქნება, კარდიოლოგს ეწვიონ, დაისვენონ და მოდუნდნენ.

მესამე ჯგუფი

ამ ჯგუფის სისხლის მქონე ადამიანები, როგორც წესი, შემოქმედი ნატურები, თავისუფლებისმოყვარენი, მდიდარი წარმოსახვის უნარის მქონენი არიან. ზოგჯერ გაუწონასწორებულებს, განწყობის მკვეთრი ცვლილებისკენ მიდრეკილება ახასიათებთ. მათ შორის ხშირად გვხვდებიან დღეგრძელები. მათი მთავარი საზრუნავია, ნერვებს გაუფრთხილდნენ.

მეოთხე ჯგუფი

ყველაზე იშვიათი სისხლის ჯგუფის წარმომადგენლები შესანიშნავი ორგანიზატორები, პატიოსნები, უანგაროები არიან. გარშემომყოფებში სიმპათიას იწვევენ, მაგრამ ამავე დროს ძალიან გულჩვილები არიან, ყველაფერი გულთან ახლოს მიაქვთ. დაქვეითებული იმუნიტეტის გამო, გაციებითი დაავადებებისკენ არიან მიდრეკილი.

სიხარულის ანბანი

თუ გსურთ, ბედნიერი იყოთ, რამდენიმე რჩევა გაითვალისწინეთ.

თავი შეაქეთ. ეს მეტად მნიშვნელოვანია. თავით მუდამ უკმაყოფილო ადამიანი არ შეიძლება, ბედნიერი იყოს. თუ კარიერაში წინ ვერ წაიწიეთ, პირადი ცხოვრება სურვილისამებრ ვერ ააწყვეთ და მოდელის ფიგურა არ გაქვთ, სამაგიეროდ, სხვა ღირსებები გაგაჩნიათ, რომელთა გამო თავს პატივი უნდა სცეთ. თავი შეიყვარეთ და კომპლიმენტები ხშირად უთხარით.

სიამოვნება პატარა სიხარულისგან მიიღეთ. მაგალითად, გიყვართ თბილ, ეთერზეთოვან აბაზანაში მოდუნება? თავს ასეთი სიამოვნება ხშირად მიანიჭეთ.

გაარღვიეთ წრე სახლი-სამსახური-სახლი. თქვენი ნიჭის თავისუფლად რეალიზაციისთვის დრო აუცილებლად გამონახეთ.

რეალური ცხოვრებით იცხოვრეთ. ფიქრებით მომავალში ნუ გაიქცევით. ყოველდღიური რეალური სიხარული დაინახეთ და დატკბით.

უარი თქვით სტერეოტიპებზე. ყოველი ადამიანი განუმეორებელია და თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, დინების წინააღმდეგ გაცუროთ. თავს მოუსმინეთ და თქვენი ჰარმონია იპოვეთ. ჰარმონიიდან ბედნიერებამდე კი სულ ერთი ნაბიჯია.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

ბევრი სარგებლობა და ცოტა ყალთაღი

თქვენი მენიუ ვიტამინებით რომ გაამდიდროთ, გემრიელი და სასარგებლო კერძები მოამზადეთ.

მუქი მწვანე ფოთლებიანი ყველა საჭმელად ვარგისი მცენარე მდიდარია რკინითა და მაგნიუმით, რომლებიც სისხლის ნორმალურ წარმოქმნასა და ქსოვილების ჟანგბადით გამდიდრებას უზრუნველყოფს. ორგანიზმში ნატრიუმის, კალციუმისა და კალიუმის ბალანსს არეგულირებენ, რაც ჯანმრთელობისა და ფიგურის შესანარჩუნებლად ასე მნიშვნელოვანია.

ქორფა ჭინჭარი ბორშჩში, სოუსებში, ღვეზელის შიგთავსში დაუმატეთ. 30 გრამი ჭინჭრის ფოთლები კაროტინისა და ასკორბინის მჟავის დღიურ ნორმას შეიცავს.

მჟაუნა კალციუმის, კალიუმის, მაგნუმისა და ფოლის მჟავის წყაროა. 10 გრამ მჟაუნის ფოთლებში C ვიტამინის დღიური ნორმაა.

ბაბუაწვერას ფოთლები მდიდარია C ვიტამინით, ბორით და მანგანუმით. ახალგაზრდა ფოთლები მწარე არ არის და კარგია სალათებში, ბორშჩში. კარგად ეხამება კარტოფილს, ხორცს.

ბოლოკის ფოთლებში (ისევე როგორც ძირებში) უხვადაა უჯრედისი, კალციუმი, ფოსფორი. სალათებში გამოიყენეთ ფოთლებიც და ძირებიც.

მწვანე დიეტა

საუზმე: ხორბლის ფაფა კამით, ოხრახუშითა და ნიახურით. პიტნის ჩაი თაფლით.

სადილი: ჭინჭრისა და მჟაუნას შჩი. ინდაურის ან ქათმის ხორცი ისპანახის პიურეთი (მოხარშული ისპანახი ბლენდერში დააქუცმაცეთ), ხილის კოქტეილი.

სამხარი: სტაფილოს ოლადები, მწვანე ჩაი.

ვახშამი: სალათა (ინგრედიენტები: ბოლოკის ფოთლები და ძირები, ბაბუაწვერა), რუხი პურის ნაჭერი, მელისას ნახარში.

საუკეთესო ანტისეპტიკი ფანჯრის რაფიდან

გარეგანი გამოყენებისთვის ერთ-ერთი საუკეთესო ანტიმიკრობული და ამავდროულად მთელი წელი ხელმისაწვდომი საშუალებაა ოთახის ნემსიწვერა ანუ პელარგონია. მცენარის ფოთლები შეიცავს განსაკუთრებულ ნივთიერება გერანიოლს, რომელიც თავისი ანტიბაქტერიული თვისებებით ნივრისა და ხახვის ფიტონციდებს არაფრით ჩამორჩება. ამავდროულად, უფრო სასიამოვნო სუნი აქვს. ნემსიწვერას ფოთლებიდან გარეგანი გამოყენებისთვის ასევე შეიძლება დამზადდეს ბევრი სხვადასხვა საშუალება.

სახსრების ანთების, ჭრილობის დროს შეიძლება ფაფა დაიდოთ, რომელიც ასე მზადდება: რამდენიმე ფოთოლი ფაიფურის ან ხის როდინში დასრისეთ. ამ მიზნისთვის ლითონის ჭურჭელი არ გამოდგება. ხოლო თუ ფაფიდან წვენს გამოწურავთ და წყლით გააზავებთ 1:1, ოტიტის სამკურნალო კარგი წვეთები გამოვა. სუფთა სახით წვენის ყურში ჩაწვეთება დაუშვებელია, შეიძლება დამწვრობა გამოიწვიოს.

ნემსიწვერას ფოთლებიდან ასევე მზადდება ანტისეპტიკური გამოსავლები ანგინისა და სტომატიტის დროს. 3 საშუალო ზომის ფოთოლს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით და თერმოსში ერთი საათი გააჩერეთ. გაწურეთ და პირში და ყელში დღეში რამდენჯერმე გამოივლეთ. სითხე არ ჩაყლაპოთ, კუჭისთვის მავნეა.

დაბოლოს, თუ ნემსიწვერას ახალგამოწურულ წვენს ჩვეულებრივ ლანოლინის კრემში შეურევთ (3 წილი კრემი და 1 წილი წვენი), ძალიან კარგ მალამოს მიიღებთ, რომელიც ართრიტის, დაჭიმვისა და ტროფიკული წყლულის დროს ეხმარება. ასეთი მალამო მაცივარში არაუმეტეს ერთი კვირისა შეინახეთ.

ჯადოსნური გამლღვალი წყალი

გამლღვალი წყალი თავისი ენერგეტიკით ახლოსაა სითხესთან, რომელიც ჩვენი სხეულის ყველა უჯრედში არსებობს, ამიტომ ორგანიზმი მას მომენტალურად სასიცოცხლო ძალად გარდაქმნის. ასეთი წყალი შეგიძლიათ დალიოთ, პირი და თმა დაიბანოთ. გამლღვალი წყლით მასაჟი კანის ტონუსს ამაღლებს და მას გამონაყარის გაჩენისგან იცავს.

რა თქმა უნდა, გამლღვალი წყალი ექიმის დახმარებას ვერ შეცვლის, მაგრამ შეიძლება გამოიყენოთ, როგორც პროფილაქტიკური და ზოგადგამაძლიერებელი საშუალება ორგანიზმის საერთო სისუსტის, ნებისმიერი ქრონიკული, ასევე კანის დაავადებების დროს, ყელში გამოსავლებად.

ბუნებრივი ყინული არ გამოდგება

ცნება „გამლღვალი წყალი“ გაზაფხულს უკავშირდება — როდესაც თოვლი დნება, ნაკადულები მოედინება. შეიძლება თუ არა, ბუნებრივი გამლღვალი წყლის სამკურნალო მიზნით გამოყენება? არა, ამის გაკეთება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. თოვლი და ყინული, განსაკუთრებით ქალაქებში, ძალიან ბევრ მავნე ნაერთებს შეიცავენ — მძიმე ლითონების მარილებს, მჟავებს, ტუტეებს, ბაქტერიებს, მიკრობებს.

გამლღვალი წყლის მოსამზადებლად შეგიძლიათ ფილტრში გატარებული, ჩვეულებრივი წყალგაყვანილობის წყალი გაყინოთ. ამ მიზნით ბევრად უკეთესია წყაროს ან ბოთლის მინერალური წყალი, მაგრამ დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ის ნამდვილად მინერალური წყალია და არა — ყალბი. გადადუღებული წყლის გამოყენება არ შეიძლება.

შინაური ლაბორატორია

მომზადების წესი: სითხე მინის ან მინანქრის ჭურჭელში ჩაასხით. როდესაც გაყინვას დაიწყებს, ყინულის პირველი, ახლადწარმოქმნილი თხელი ფენა გადააგდეთ. მასში ადამიანის ორგანიზმისთვის მავნე ელემენტებია. არ გამოგეპაროთ მომენტი, როდესაც წყლის მესამედი გაიყინება. სწორედ ყინულის ეს ნატეხია სასარგებლო. ხოლო დანარჩენი წყალი გადაღვარეთ. მასში სხვადასხვა მინარევია.

უაზროა გამლღვალი წყლით სადილის, ჩაის ან დასაბანი ნახარშების მომზადება. 37 გრადუსზე ზემოთ გაცხელებისას წყალი ყველა თავის სამკურნალო თვისებას კარგავს.

რჩევა: კანის ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად გამლღვალ წყალში ქორფა კიტრის ან ვაშლის წვენი (თანაფარდობით 1:1) დაუმატეთ და დილა-საღამოს ხელ-პირი დაიბანეთ. კანი გადატკეცილი და მკვრივი გახდება.

სისხლძარღვების გასამაგრებლად ყოველდღიურად 2-3 ჭიქა ცივი გამლღვალი წყალი დალიეთ. პირველი ჭიქა დილით, უზმოზე, ხოლო დანარჩენი — დღის განმავლობაში ასევე ჭამის წინ ერთი საათით ადრე მიიღეთ.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

რესტორანი მაიმუნი ოფიციანტებით

ტოკიოში გაიხსნა რესტორანი, რომელიც მომხმარებელს არამარტო გემრიელი საჭმლით, არამედ უჩვეულო მომსახურე პერსონალითაც იზიდავს. აქ სხვა ოფიციანტებთან ერთად ფორმებში გამოწყობილი ორი მაიმუნიც მოგემსახურებათ — 16 წლის იატ-ჩანი და შედარებით ახალგაზრდა ფუკუ-ჩანი.

რესტორნის მეპატრონეს ასეთი უჩვეულო იდეა მას შემდეგ გაუჩნდა, რაც შენიშნა, რომ იატ-ჩანი რესტორანში მის ყველა მოქმედებას იმეორებდა. მიუხედავად იმისა, რომ მაიმუნებს ადამიანების ნათქვამი კარგად ესმით, ცხოველთა უფლებების დამცავი კანონების მიხედვით, მათი მუშაობა მხოლოდ 2 საათით შეიძლება. უახლოეს მომავალში რესტორნის მეპატრონე აპირებს, კიდევ რამდენიმე ოფიციანტი-მაიმუნი აიყვანოს.

23 კვირის ნაყოფი გადარჩა

ლივერპულის ცენტრალურ საავადმყოფოში საკეისრო კვეთით 23 კვირის ჩვილი დაიბადა. 31 წლის ტრეის ჯორჯიუს პლაცენტის მოწყვეტის გამო ორსულობის 23-ე კვირაზე სასწრაფო ოპერაციას ჩაუტარდა. ახალშობილი ლუკასი მხოლოდ 900 გრამს იწონიდა, ექიმებმა მას გადარჩენის 20%-იანი შანსი მისცეს.

საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა და ლუკასი საავადმყოფოდან უკვე გაწერეს. იგი ახლა 2,3 კილოგრამს იწონის.

127 კილოგრამიანი ძაღლი რეკორდსმენი გახდა

ინგლისური ჯიშის ძაღლი, სახელად ჰერკულესი, თავისი ზომების გამო გინესის რეკორდების წიგნშია შესული. ძაღლი 127 კილოგრამს იწონის, მისი კისრის გარშემოწერილობა კი 96,5 სანტიმეტრია. 3 წლის ჰერკულესი გაცილებით უფრო დიდი და ღონიერია, ვიდრე მისივე ჯიშის სხვა წარმომადგენლები.

ძაღლის პატრონის, ჯონ ფლინის განცხადებით, ეს ჰერკულესის ბუნებრივი წონაა და არა — საკვებში რაიმე დანამატების ჩართვით გამოწვეული. აღსანიშნავია, რომ ძაღლის პატრონიც საკმაოდ დიდია. ის 146 კილოგრამს იწონის.

კანაფის სახლი

ამერიკელმა დიზაინერმა ენტონი ბრენერმა ჩრდილოეთ კაროლინაში, კერძოდ კი ქალაქ ეშვილში, სახლი ააშენა, რომლის სამშენებლო მასალაც კანაფი გახლავთ.

თავდაპირველად დიზაინერმა 316 კვ.მ. ფართობის მქონე უცნაური სახლის რბილი კარკასი ააგო, დამხმარე მასალად კი კანაფ-ბეტონი გამოიყენა, რომელიც კანაფის, ცაცხვის ხის ბურბუშელისა და წყლის ნარევს წარმოადგენს.

აკრობატმა საჰაერო ბუშტებს შორის გაბმული თოკზე გაიარა

ჩინელმა აკრობატმა ნაიგუის ტყის თავზე საჰაერო ბუშტებს შორის გაბმულ თოკზე გაიარა და ამით ახალი რეკორდი დაამყარა. აკრობატმა საჰაერო ბუშტებს შორის გაბმული 5 სანტიმეტრი სიგანისა და 18 მეტრი სიგრძის ბაგირი ზუსტად 38,35 წამში გაიარა.

მინიატურული „ვიქტორია“

ინგლისელი მოქანდაკე იან ბრენანი ბოლო 17 წლის განმავლობაში ხომალდ „ვიქტორიას“ ასლის გამოთლით იყო დაკავებული. მინიატურული გემის დეტალები ორიგინალის ზუსტი ასლებია. როგორც ცნობილია, „ვიქტორია“ 1765 წელს აშენდა და ადმირალ ნელსონის ფლაგმან ხომალდად ითვლებოდა ტრაფალგარის ბრძოლაში. „ვიქტორიამ“ თავდაპირველი სახით დღემდე მოაღწია.

Cyan Magenta Yellow Black

აგარაკი მრავალსართულიანი სახლის სახურავზე

პეკინში მცხოვრებმა პროფესორმა ჟანგ ლიმ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავზე ნანატრი აგარაკი მოაწყო, მაგრამ იქ დასვენება ალბათ არ დასცალდება. ბოლო 6 წლის განმავლობაში ლი კორპუსის სახურავზე ქვიშასა და ქვებს ეზიდებოდა, რასაც სახლის მცხოვრებლები აპროტესტებდნენ, რადგან სახურავზე ამხელა ზეწოლამ შენობის კედლების დაბზარვა გამოიწვია.

სამართალდამცავების განცხადებით, პროფესორს არ ჰქონდა ასეთი მშენებლობის წარმოების უფლება და მალე აგარაკ-კომპლექსის დემონტაჟს მოახდენენ.

მუყაოს საკათედრო ტაძარი

2011 წელს ახალ ზელანდიაში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის შედეგად მიწასთან გასწორდა უამრავი ისტორიული ძეგლი, მათ შორის, 132 წლის გოთიკური საკათედრო ტაძარი.

იაპონელმა არქიტექტორმა შიგერუ ბანმ დააპროექტა მუყაოს ტაძარი, რომელიც 50 წელზეა გათვლილი და დაახლოებით 700 ადამიანს იტევს. ადგილობრივები ვარაუდობენ, რომ აღნიშნული გოთიკური ტაძარი მსოფლიო მასშტაბით ათასობით ტურისტის ყურადღებას მიიზიდავს.

კამეჩი 41.000 დოლარად გაიყიდა

ინდოეთში, ჰარიანას შტატში მცხოვრებმა ფერმერმა კაპურ სინგხმა თავისი კამეჩი რეკორდულ ფასად, 41.000 დოლარად გაყიდა. ფერმერის განცხადებით, იედური ჯიშის კამეჩი ყველზე მოთხოვნადია, რადგან ბევრ რძეს იწველის. მისი კამეჩი დღეში 28 ლიტრ რძეს იძლეოდა და რამდენიმე პრიზის მფლობელიც გახლდათ.

მსოფლიოში ყველაზე დიდი შენობა ჩინეთში გაიხსნება

ჩინეთის ქალაქ ჩენდუში 18 სართულიანი შენობა გაიხსნა, რომელიც 329 ფეხბურთის მოედანს იტევს. შენობა, სახელად „ახალი საუკუნის გლობალური ცენტრი“, შესაძლოა ძალიან მაღალი არ არის, მაგრამ მისი ფართობი 1,2 მილიონი კვადრატული ფუტია.

ნაგებობა იმდენად დიდია, რომ მას შეუძლია დაიტიოს პენტაგონის სამი შენობა, ოთხი ვატიკანი ან სიდნეის 20 ოპერა. აღნიშნული შენობის ძირითად ნაწილში განთავსებულია სავაჭრო ცენტრი, რომლის ოფიციალური გახსნა 22 აგვისტოს იგეგმება.

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

გართობა ზედმეტი ხომ არ მოგდით?

1. გიყვართ სეირნობა?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

2. გიყვართ სტუმრების გამასპინძლება?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

3. გიჭირთ მეგობრების ხათრით წვრილმანებზე უარის თქმა?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

4. სახლში ყოველთვის მოგეპოვებათ რამე საკვები მოულოდნელი სტუმრების გასამასპინძლებლად?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

5. სასურველ ადამიანთა კომპანიაში შეგიძლიათ დალიოთ უფრო მეტი, ვიდრე ჩვეულებრივ სვამთ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

6. გიყვართ გემრიელი კერძები?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

7. ხშირად მართავთ წვეულებებს?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

8. გყავთ მეგობრები, რომლებსაც რეგულარულად ხვდებით?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

9. გიყვართ მეგობრების წრეში სიმღერა?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

10. გსიამოვნებთ კარგ კომპანიაში ყოფნა?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

11. ადვილად დგებით კარგ განწყობაზე?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

12. ადვილად ურიგდებით ადამიანს, რომელთანაც უთანხმოება მოგივიდათ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

13. როდესაც წარსულზე ლაპარაკობთ, უმეტესად სასიამოვნო ამბებს იხსენებთ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

14. როგორ ფიქრობთ, კარგი ფერის კანი გაქვთ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

15. როდესაც თავს შეუძლოდ გრძნობთ, შეგიძლიათ, ეს არ შეიმჩნიოთ და თავი ისე დაიჭიროთ, თითქოს ყველაფერი რიგზეა?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

16. სათანადო ყურადღებას უთმობთ საკუთარ თავს?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

17. ხშირად იღვიძებთ თავის ტკივილით, გამოუძინებელი?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

18. ხშირია შემთხვევა, როცა დილით სამსახურში წასვლის ძალა არ გაქვთ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

19. თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ექიმი მოწევას და დალევას აგიკრძალავთ, შეძლებთ, უარი თქვათ ამ მავნე ჩვევებზე?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

20. ერთხელ მაინც მიგიციათ თავისთვის პირობა, რომ არასოდეს დაიცავდით დიეტას?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

21. ჭარბი წონა ხომ არ გაქვთ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

22. ხშირად მიდიხართ გასართობად პარტნიორის გარეშე?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

23. გიყვართ კომედიები?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

24. ღამით გვიან დაწოლა გჩვევიათ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

25. დილით გაღვიძება გიჭირთ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

26. ხშირად იგვიანებთ შეხვედრებზე?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

27. სამსახურში ხშირად ხუმრობთ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

28. ყოველთვის ხართ მზად, საქმე მეორე დღისთვის გადადოთ და გასართობად გაეშუროთ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

შედეგები:

18-28 ქულა — გართობის დიდი მოყვარული ბრძანდებით, იმდენად დიდი, რომ მზად ხართ, მას ჯანმრთელობა და სამსახურიც კი შესწიროთ. ხომ არ გეჩვენებათ, რომ მეტისმეტად ლაღ ცხოვრებას ეწევით?

13-17 ქულა — გონიერი ბრძანდებით, ზომიერება არც გართობის დროს გღალატობთ, თუმცა შეიძლება ისეც მოხდეს, რომ თავი დაკარგოთ. ეს კატასტროფა არ არის, თუ ჯანმრთელობა არ გღალატობთ.

8-12 ქულა —შეგიძლიათ დატკბეთ სიცოცხლით, მაგრამ ზომიერად, სამსახური და ოჯახი თქვენთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე გართობა. შეგიძლიათ კარგად დაისვენოთ, თუ, რა თქმა უნდა, ეს ზიანს არ მიაყენებს თქვენს მოვალეობას.

3-7 ქულა —იშვიათად ერთობით, ალბათ ამიტომაც გიჭირთ იმ სიამოვნებათა დაფასება, ცხოვრება რომ გთავაზობთ. მეტისმეტად გონიერი ხართ და მშვიდ, გაწონასწორებულ, კარგად ორგანიზებულ ყოფას ამჯობინებთ, თითქოს გეშინიათ კიდეც გადაჭარბების.

1-2 ქულა — ისეთი ცხოვრებისთვის ხართ შექმნილი, რომელიც გართობის მოყვარული ადამიანისთვის აუტანელი იქნებოდა. თქვენ ამ უკანასკნელის საპირისპირო კატეგორიას მიეკუთვნებით. ასეთმა ხასიათმა შესაძლოა ბევრი დააფრთხოს.

სუდოკუ

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 78

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპირდებათ.

№ 1

7						2		
		5		7			8	1
	9		3		6			4
		4			8	3		9
1							6	
	2		5				7	
		2		3				5
8					4	1		
	6	3	1		9			

№ 2

6		3			5	9		
	4						7	
		1						8
4			5					
				4	2		6	
7		9	1	3		8		
		5		7		1		
	1					4	9	
	8		6					3

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.

Cyan Magenta Yellow Black

იდეალური ცოლი თუ ჯაცებზე მონადირე ქალი?

1. თუ ქუჩაში კაცი თქვენს გაცნობას ცდილობს:
ა) უხერხულად გრძნობთ თავს.
ბ) ტკბებით თქვენი მომხიბვლელობით.
გ) ხალისით განაგრძობთ ურთიერთობას.
2. კოლეგის ჯიქურ მზერას ამჩნევთ...
ა) ეკითხებით, რაშია საქმე.
ბ) კიდევ უფრო ლამაზად წარმოაჩენთ დეკოლტეს არეს.
გ) სამსახურის შემდეგ თქვენთან ყავაზე ეპატიჟებით.
3) კითხულობთ წიგნებს სექსზე?
ა) არა.
ბ) დიახ, საკმაოდ ხშირად.
გ) თავად შეგიძლიათ ამ თემაზე წიგნის დაწერა.
4. რჩეულის ერთგულებაში დაეჭვდით, რას მოიმოქმედებთ?
ა) სკანდალს ატეხავთ.
ბ) სრულ თავისუფლებას მისცემთ.
გ) სექს-მარათონს მოუწყობთ.
5. რაში არ გენანებათ ფული არასოდეს?
ა) სახლში სიმყუდროვის შესაქმნელად აუცილებელ ნივთებზე.
ბ) სუნამოზე.
გ) სექსუალურ თეთრეულზე.
6. როგორი გინდათ, ჩანდეთ მამაკაცის თვალში?
ა) ქალური.
ბ) იდუმალი.
გ) ვნებიანი.
7. მამაკაცის გაცნობისას, პირველ რიგში, ყურადღებას აქცევთ...
ა) მის პროფესიას და სამსახურს.
ბ) თქვენით დაინტერესების ხარისხსა და დონეს.
გ) სპორტულ აღნაგობას.
დაითვალეთ, პასუხებში რომელი ვარიანტი ჭარბობს.
შედეგები:

„ა“ ვარიანტი — ტიპური ცოლი ბრძანდებით. კაცის თვალში თქვენ კერის დამცველი, შვილების დედა და ის ადამიანი ხართ, რომელთანაც სისუსტის წამებში შეიძლება გულის გადაშლა და ცრემლის დაღვრაც კი. თავაზიანი და გულგახსნილი ბრძანდებით. მამაკაცი თქვენთან ურთიერთობისას თავს მყუდროდ გრძნობს, მაგრამ ხშირად ბეზრდება ოჯახური ცხოვრების ერთფეროვნება და ახალი თავგადასავლები ენატრება.

„ბ“ ვარიანტი — მამაკაცისთვის მუზა ხართ. იცით, როგორ იყოთ მომხიბვლელი და მაცდური, ძლიერ სქესთან კატა-თაგვობანას თამაშს ამჯობინებთ. უეჭველია, რომ ბევრი ფარული თაყვანისმცემელი გყავთ, მაგრამ უნდა გადაწყვიტოთ, ბოლოს და ბოლოს, საკუთარი თავი უფრო გიყვართ თუ მამაკაცი.

„გ“ ვარიანტი —ნამდვილი საყვარელი ხართ. ამჯობინებთ, თავად ინადირთ კაცებზე. ყველა მათგანს როდი შეუძლია, თქვენს სექსუალურ მადას გაუძლოს. თქვენთან ცხოვრება გამოცდაა გამძლეობაზე.

რა ლონემდე ხართ დაბნეული?

დაითვალეთ, ტესტის კითხვებზე რამდენი დადებითი პასუხი გაეცით და შეაჯამეთ.
1. დღეში ერთხელ მაინც აუცილებლად წამოჰკრავთ ფეხს რამეს?
2. ზოგჯერ შეცდომით ტელეფონზე საკუთარ ნომერს კრიფავთ?
3. ამ წუთას სხვადასხვა წინდები გაცვიათ?
4. კედელზე ქალთა რომელიმე პოპჯგუფის სურათი გაქვთ გაკრული?
5. ვერაფრით ისწავლეთ საკუთარი მობილურის დაპროგრამება, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია გაქვთ?
6. კარადაში გაქვთ უამრავი სამოსი, რომელიც ან დიდია, ან პატარა?
7. ყველაზე მეტად ანეკდოტების კითხვა გიყვართ?
8. არ გახსოვთ, რა ახატია 20 ლარიან კუპიურას?
10. არ იცით, რომელი სიტყვა წერია ამ წინადადებაში შეცდომით?
11. ვერც კი შეამჩნიეთ, რომ ამ ტესტს მე-9 შეკითხვა აკლია?
12. კბილებს თითით იხეხავთ, რადგან ჯაგრისის ყიდვა გავიწყდებათ?
13. თქვენი კომპიუტერის კლავიატურაზე არასოდეს შეგიმჩნევიათ ღილაკი წარწერით: „Alt“?
14. ზოგჯერ რჩევისთვის თქვენს კატას ან ძაღლს მიმართავთ?
15. სულის სიღრმეში ამ ტესტის პასუხის წაკითხვის გეშინიათ?
შედეგები:
0-4 ქულა — ნუ ღელავთ, თქვენ დაბნეულის არაფერი გცხიათ.
5-9 ქულა — არც ისე ცუდი შედეგია, გამოსწორება შეიძლება.
10-14 ქულა — არა უშავს, ვითომ ეს ტესტი საერთოდ არ გაგივლიათ.
15 ქულა — აუჰ! სულ 14 შეკითხვაა და 15 ქულა როგორ მოაგროვეთ, მე-9 კითხვა გამოტოვებულია!

როგორ ხასიათზე ხართ?

1. რამდენი ახლო მეგობარი გყავთ?
ა) 1-2.
ბ) 5-6.
გ) 3-4.
2. 20 წამში რამდენ დადებით ემოციას გაიხსენებთ?
ა) 3-ზე ნაკლებს.
ბ) 4-6.
გ) 8-ზე მეტს.
3. შეგიძლიათ დაასახელოთ 5 მიზეზი, რომლებმაც დღეს დილიდან ღიმილი მოგგვარეს?
ა) არა.
ბ) შემიძლია, ოღონდ 5-ზე ნაკლებია.
გ) უპრობლემოდ.
4. თქვენი დროის რა ნაწილს შეადგენს საქმიანობა, რომელიც სიამოვნებას განიჭებთ?
ა) 25%-ს.
ბ) 50%-ს.
დაითვალეთ, ტესტის პასუხებში რომელი ვარიანტი ჭარბობს და შედეგები წაიკითხეთ.
შედეგები:

„ა“ ვარიანტი — ცოტა პრობლემებში ხართ ჩაფლული და ეს ხასიათს გიფუჭებთ. ეცადეთ, თქვენი ემოციების ფერადოვნება შეცვალოთ, მიაქციეთ ყურადღება ლექსიკას, რომელსაც იყენებთ. მოერიდეთ გამოთქმებს: „ეჭვი მეპარება“, „არ შემიძლია“.

„ბ“ ვარიანტი — ყველაფერი წესრიგში გაქვთ, თუმცა მეგობრები, სამსახური და საზოგადოებრივი სამუშაო თქვენგან დიდ ენერგიას ითხოვს. ამის გამო პერიოდულად ხასიათი გიფუჭდებათ. ეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ საკუთარ თავს. ნაცვლად ფრაზისა, „ვალდებული ვარ“, თქვით: „დღეს რისი გაკეთება იქნება ყველაზე კარგი?“.

„გ“ ვარიანტი —არ გამოვრიცხავთ, რომ ვიღაცას შურდეს კიდეც თქვენი ამაღლებული განწყობა და კარგი ხასიათი. იმისათვის, რომ ყოველთვის კარგ გუნებაზე და ბედნიერი იყოთ, ნუ მიაქცევთ ყურადღებას მოშურნე ადამიანებს. მართალია, ამის თქმა გაცილებით ადვილია, ვიდრე გაკეთება, მაგრამ ეცადეთ, მათ იგნორირება გაუკეთოთ.

Cyan Magenta Yellow Black

შეიძლება თუ არა ჰიპერტონიის თავიდან აცილება

ნიგით ადამიანს რომ ჰკითხოთ, ეშინია თუ არა ჰიპერტონიული დაავადების, გაიცინებს და გიპასუხებთ: „რა თქმა უნდა, არა!“. ზოგიერთი კი მას საერთოდ დაავადებად არ მიიჩნევს. არადა, ეს თითქოს ბანალური „სატკივარი“ საკმაოდ სერიოზული, თუმცა შეფარული საფრთხეა და მას მუდმივი კონტროლი სჭირდება.

მისი სიცბიერე იმაში მდგომარეობს, რომ ხშირად პაციენტისთვის შეუმჩნევლად მიმდინარეობს. ჩვეულებრივი „დამწყები“ ჰიპერტონიკი დაავადების პირველ სიმპტომებს დაღლას მიაწერს. ხანმოკლე დასვენების შემდეგ მდგომარეობა მართლაც უმჯობესდება, მაგრამ არა — ხანგრძლივი დროით. დროთა განმავლობაში ჰიპერტონია პროგრესირებს და ნათელი შუალედები სულ უფრო ხანმოკლე ხდება. ჰორიზონტზე უკვე ჩნდება ინსულტის საშიშროება, ავადმყოფი კი ექიმთან მისვლას მომავლისთვის დებს.

ყველაზე საწყენი ის არის, რომ ჰიპერტონიის დიაგნოსტიკა საკმაოდ ადვილია. საკმარისია, სახლში გქონდეთ ჩვეულებრივი ტონომეტრი და წნევა რეგულარულად აკონტროლოთ. განსაკუთრებით ეს უნდა გააკეთონ მათ, ვინც ამ დაავადების რისკის ჯგუფში შედიან:

მამაკაცები 35-50 წლის, ქალები — მენოპაუზის შემდეგ.

ვინც ალკოჰოლს (განსაკუთრებით ძლიერს) ყოველდღიურად მოიხმარს.

ქრონიკული სტრესის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანები (მაგალითად, მეგაპოლისის მცხოვრებლები) და ისინი, ვინც მწვავე და ხანგრძლივ ემოციურ გადაძაბვას განიცდიან.

მწეველები.

მარილიანი საჭმელების მოყვარულები.

ადამიანები, რომლებიც ნაკლებმოძრავი ცხოვრების წესს იცავენ, განსაკუთრებით ჭარბწონიანები და მსუქნები.

ჰიპერტონიით დაავადებულთა ახლობლები: თუ დედა, მამა, ბებია მაღალი წნევის მატარებლები იყვნენ, დიდი ალბათობაა, თქვენც ჰიპერტონიკი გახდეთ.

სამიზნე ორგანოები

არსებობს ასეთი ცნება — არტერიული ჰიპერტენზიის სამიზნე ორგანოები. ეს არის გული, თირკმლები, ტვინი და სისხლძარღვები. სწორედ ისინი იღებენ დაავადების პირველ დარტყმას.

რაც უფრო მაღალია წნევა, მით უფრო დიდი დატვირთვით მუშაობს გული, მაგრამ ეს არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. გული თანდათან ცვდება, რაც გულის უკმარისობით იმუქრება. ზიანდება სისხლძარღვებიც, ვინაიდან სისხლის სულ უფრო ძლიერ ნაკადს წინ უნდა აღუდგნენ. დროთა განმავლობაში ელასტიკურობას კარგავენ და მყიფე ხდებიან. ამავდროულად, ჰიპერტონიის გამო სისხლძარღვები სპაზმურ მდგომარეობაში იმყოფებიან, ხოლო მყარი სპაზმი მაღალი წნევის შენარჩუნებას ხელს უწყობს.

სამკურნალო საშუალებები

ამჟამად ექიმთა არსენალში ჰიპერტონიის სამკურნალო ბევრი პრეპარატია. როგორც წესი, მძიმე არტერიული ჰიპერტონიის დროს ერთდროულად რამდენიმე წამლით მკურნალობენ, თუმცა, ჩვეულებრივ, რომელიმე ერთი პრეპარატის მცირე ან ზომიერი დოზით იწყებენ, რათა წნევის მკვეთრი მერყეობა და შესაძლებელი გვერდითი რეაქციები თავიდან აიცილონ. ზოგჯერ წამლების გვერდით ბალახების ნაყენები, ვიტამინები, სამკურნალო ფიზკულტურა ინიშნება.

პროფილაქტიკა

და მაინც, უმჯობესია, ჰიპერტონიის განვითარება არ დაუშვათ და პროფილაქტიკური ზომები დროულად მიიღოთ.

ფიზიკური დატვირთვა — სიარული, ცურვა, სირბილი, ტრენაჟორი თქვენი გემოვნებით შეარჩიეთ. ყველაფერი ეს სასარგებლოა. გახსოვდეთ, სპორტული მეცადინეობა უნდა იყოს რეგულარული (უმჯობესია, ყოველდღიურად 15-30 წუთი ივარჯიშოთ, ვიდრე კვირაში 2-ჯერ რამდენიმე საათით). დატვირთვა თანდათან გაზარდეთ.

დიეტა — მარილისა და ცხოველური ცხიმებს შეზღუდვა. დღიური ნორმა ჩაის კოვზი მარილია. არ დაგავიწყდეთ მზა პროდუქტებში მისი შემცველობაც. გამორიცხეთ ან არსებითად შეზღუდეთ ფასტ ფუდები, შებოლილები, კონსერვები, მაიონეზი, მარინადები. შეწვის ნაცვლად პროდუქტი მოხარშეთ, ორთქლზე მოამზადეთ, ხოლო ნაღების კარაქი მცენარეული ზეთით შეცვალეთ. შეარჩიეთ უცხიმო თევზი და ხორცი, უცხიმო რძის პროდუქტები.

ემოციები მართეთ. სტრესი ჰიპერტონიის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია. თუ ცხოვრებიდან მისი გამომწვევი ფაქტორების გამორიცხვა არ გამოდის, ეცადეთ, მიმდინარე მოვლენების მიმართ თქვენი დამოკიდებულება შეცვალოთ. ბუზს სპილოდ ნუ აქცევთ! ზუსტად განსაზღვრეთ, რაზე ღირს წუხილი და რაზე — არა. კარგია შეითვისოთ ფსიქოლოგიური განტვირთვის მეთოდები — მედიტაცია, აუტოტრენინგი.

ჰოგოჩი ნნევა ითვლება ნორმად

ასაკი	სისტოლური (ზედა) წნევა	დიასტოლური (ქვედა) წნევა
1 წლამდე	85-100	35-45
1-2 წელი	85-105	40-50
3-7 წელი	86-110	55-63
8-16 წელი	93-117	59-75
17-20 წელი	100-120	70-80
21-60 წელი	არაუმეტეს 140-ისა	არაუმეტეს 90-ისა

ვენებით ავადმყოფ ვენებს

ვენების ვარიკოზული გაგანიერების დროს საჭიროა არამხოლოდ სამკურნალო მალამოები, კომპრესული მაღალყელიანი წინდები და ექიმის მიერ გამოწერილი წამლები, ვენებზე ყოველდღიურად უნდა იზრუნოთ. დაგუბებული სისხლისგან გათავისუფლებასა და მისი კედლების ტონუსის გამაგრებაში დაეხმაროთ.

ზურგზე დაწექით, ფეხები მაღლა ასწიეთ (საწოლის საზურგეზე ან მაღალ ბალიშზე დადეთ). ასეთ მდგომარეობაში ნახევარი საათი იწექით.

სისხლძარღვებს კარგად ეხმარება სპეციფიკური მასაჟი. წვივებს მსუბუქად შემოაჭდეთ ხელისგულები და სრიალით კოჭწვივიდან მუხლებისკენ იმოძრავეთ. შემდეგ მაღლა აყევით საზარდულამდე. 4-5-ჯერ გაიმეორეთ.

საღამოს სველი გადახვევა გაიკეთეთ. ამისთვის გრილ წყალში 2 პირსახოცი დაასველეთ თითოეულ ფეხზე შემოიხვიეთ. დაწექით და ფეხებზე შალის საბანი დაიფარეთ. 1-1,5 საათი იწექით. ყოველდღიურად ფეხებისთვის კარგია კონტრასტული შხაპი: ჯერ გრილი წყალი გადაივლეთ, შემდეგ თბილი. გახსოვდეთ: ცხელი შხაპი და აბაზანა ავადმყოფი ვენებისთვის უკუნაჩვენებია.

ჩინური მედიცინის საიდუმლო

ვუჭის, ნაწლავებისა და ღვიძლის დაავადებების დროს რეკომენდებულია ასეთი სავარჯიშო: საკვების ყოველი მიღების წინ, კბილების წინა და უკანა ზედაპირზე, ენით წრიული მოძრაობები შეასრულეთ. 18-20 წრე საათის ისრის მიმართულებით და ამდენივე საწინააღმდეგოდ. შემდეგ კბილები ერთმანეთს 30-40-ჯერ ნელა დააჭირეთ. შენიშნავთ, რომ დიდი რაოდენობით ნერწყვი გამომუშავდება. მასში კი, როგორც ცნობილია, არის ნივთიერება, რომელიც საჭმლის გადამუშავებას აჩქარებს და მავნე მიკრობებს ანადგურებს. აი, რატომ არის აღნიშნული სავარჯიშო სასარგებლო საჭმლის მომნელებელი სისტემისთვის.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black



გვპასუხობს ექიმი

— ჩემს შვილს აღმოაჩნდა კანის სოკოვანი დაავადება, ყველანაირ წესებს ვიცავთ, რომ არ გადმოგვედოს. როგორ უნდა მოხდეს აბაზანის სრული დეზინფექცია, რომ ბოლომდე დავიზღვიოთ თავი?

— კანის სოკოვანი დაავადება გადამდებია, ამიტომ დიდი სიფრთხილე გმართებთ. აბაზანის სადეზინფექციოდ ყველაზე ეფექტურია ერთ-ერთი მარტივი მეთოდი: აბაზანას ყველა ადგილას მოაყარეთ ნებისმიერი სარეცხი საშუალება, შემდეგ ზემოდან ქლორი მოასხით, დატოვეთ ნახევარი საათი, შემდეგ კი უხეში ჯაგრისით მოხეხეთ და დიდხანს გამდინარე წყალი გადაავლეთ.

— ბავშვობიდან მაწუხებს ჯიბლიბო. ზოგჯერ ორიოვე თვალზე გამომდის. რა ვქნა?

— ჯიბლიბო ყველა ასაკში შეიძლება გაჩნდეს. ქუთუთოს გარკვეულ არეში იჩენს თავს სიწითლე, შემდეგ ვითარდება ჩირქგროვა. ავადმყოფს აწუხებს ქუთუთოს ტკივილი. შეიძლება სხეულის ტემპერატურამ მოიმატოს. არასწორი მკურნალობის შედეგად შეიძლება ინფექცია შორს წავიდეს და საკმაოდ გართულდეს. ჯიბლიბოს უყვარს მშრალი სითბო, ამიტომ წინათ მტკივან ქუთუთოზე მოხარშულ, ნაჭუჭიან კვერცხს იდებდნენ. საჭიროა სპეციალური მალამოების ხმარება.

— როგორ მოვუვარო მშრალ თმას?

— მშრალი თმა ზოგჯერ ქერტლის გაჩენის მიზეზი ხდება. ზოგი დერმატოლოგი მიიჩნევს, რომ მშრალი თმა კვირაში ერთხელ უნდა დაიბანო, რაც ზოგჯერ ძალიან შემაწუხებელი ხდება. უმჯობესია, იხმაროთ მშრალი თმისთვის განკუთვნილი სპეციალური შამპუნები და ბალზამები. ორ კვირაში ერთხელ თმაში შეიზილეთ აბუსალათინის ზეთი. ნახევარი საათის შემდეგ ჩვეულებრივი წესით დაიბანეთ.

— რამდენიმე კვირაა შარდვა გაძნელებული მაქვს, რას მირჩევთ?

— გაძნელებული შარდვა თირკმლის ან შარდსასქესო გზის დაავადებათა გამოვლენის ნიშანია. უროლოგის კონსულტაცია აუცილებლად დაგჭირდებათ, მანამდე კი დღეში 5-ჯერ ნახევარი ჭიქა ჭარხლის ან სტაფილოს წვენი მიიღეთ რძესთან ერთად. ნახევარი კილოგრამი ოხრახუში კარგად გარეცხეთ, შემდეგ მდუღარე წყალი გადაავლეთ. ჩააწყვეთ მომინანქრებულ ჭურჭელში და იმდენი რძე დაასხით, რომ ოხრახუში დაიფაროს, წამოადუღეთ რძის გასქელებამდე. დღეში რამდენჯერმე მიიღეთ სუფრის კოვზით.

— ხშირად მაქვს ცხვირიდან სისხლდენა, რისი ბრალია და რას მირჩევთ?

— ცხვირიდან სისხლდენა უმეტესად ადგილობრივ მიზეზებთან არის დაკავშირებული. ადგილობრივ მიზეზებს შორის შეიძლება იყოს ლორწოვანი გარსის ტრავმა, წყლული, ატროფიული პროცესი, სიმსივნე. ცხვირიდან სისხლდენას ზოგჯერ მომატებული არტერიული წნევაც იწვევს. ასევე ხშირია სისხლძარღვების კედლების, თირკმლისა და ღვიძლის დაავადებების დროს. ცხვირიდან სისხლდენა შეიძლება ინფექციამ და მაღალმა ტემპერატურამაც გამოიწვიოს. თუ სისხლდენა შემოგეჩვიათ, იკვებეთ ტკბილეულით. ახალი კვერცხი კარგად მოხარშეთ, შემდეგ მისი ნაჭუჭი დაფქვით და ეცადეთ, მცირე რაოდენობით შეისუნთქოთ ან ცხვირის შიგნით ლორწოვანაზე წაისვათ.

— ხშირად მაწუხებს მუცლის ქვედა ნაწილი. ვგრძნობ სიმაგრეს, ოდნავ თუ შემცივდება. რას მირჩევთ?

— შეიძლება თქვენ ცისტიტის ნარჩენი მოვლენები გაქვთ, რომლის დროსაც ხშირია მუცლის შებერილობა და ერთგვარი სიმაგრე. ზოგჯერ აღინიშნება სიმძიმის შეგრძნებაც. უმჯობესია, გაიკეთოთ შარდის ანალიზი, სადაც გამოჩნდება, თუ გაქვთ შარდში მარილები. გაზიანი სასმელების, ალკოჰოლის მიღების დროს ავადმყოფს ცისტიტის მსგავსი ჩივილები აქვს. ეცადეთ, არ შეგცივდეთ, ყოველ დილით მიიღეთ თითო ჭიქა ანადუღარი ცხელი წყალი 10 დღის განმავლობაში. ეს მარტივი პროცედურა ორგანიზმის გაწმენდაში დაგეხმარებათ.

— თმის ცვენისთვის მირჩიეს გვირილის ნახარშის გადაყლაპვა. მიშველის?

— გვირილა არის ანთების საწინააღმდეგო საშუალება. უმჯობესია, თმებზე მკვებავი ნიღაბი გაიკეთოთ. ორი კოვზი აბუსალათინის ზეთი, ერთი კვერცხის გული და შავი პურის გული გათქვიფეთ და თმაში შეიზილეთ. 30 წუთის შემდეგ თავი ჩვეულებრივ შამპუნით ჩამოიბანეთ.

საუკეთესო საშუალებები ათეროსკლეროზის წინააღმდეგ

ათეროსკლეროზის (გულისა და სისხლძარღვების სისტემის დაავადება) ძირითადი მიზეზი სისხლში ცუდი ქოლესტერინის სიჭარბეა. მომატებული ქოლესტერინის დროს მხოლოდ დიეტა არასაკმარისია. პრობლემისგან გათავისუფლებას ეხმარება სამკურნალო მცენარეები.

გაგაცნობთ ქოლესტერინის საწინააღმდეგო ყველაზე ხელმისაწვდომ და ეფექტურ საშუალებებს.

წვენების ნარევი

ქოლესტერინისგან სისხლს კარგად ასუფთავებს ბოსტნეულის წვენების ასეთი ნარევი: სტაფილო (2 წილი), ჭარხალი (1 წილი), ნიახური (1 წილი). ათეროსკლეროზის დროს ასევე სასარგებლოა ყურძნის, გრეიპფრუტისა და ფორთოხლის წვენები.

შვრიის მარცვლები

1 ჭიქა შვრიის მარცვლები (შეგიძლიათ შვრიის ფანტელიც გამოიყენოთ) თერმოსში ჩაუშვით, 1 ლიტრი მდუღარე დაასხით. თითო ჭიქა ყოველი ჭამის წინ, 10 დღის განმავლობაში დალიეთ.

ბაბუაწვერას ძირები

ბაბუაწვერას გამხმარი ფესვები ყავის საფქვავში დაფქვით. ჭამის წინ თითო ჩაის კოვზი ჭამეთ და წყალი დააყოლეთ. მისი ფოთლები სალათებში დაუმატეთ.

ხელის თესლები

თესლები სალათებში დაუმატეთ. 0,5 ჭიქა ნაყენი (2 სუფრის კოვზ თესლებს ერთი ჭიქა მდუღარე დაასხით, დადგით). ყოველდღიურად, ერთი კვირის განმავლობაში დალიეთ.

თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო S და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black



1. პატარა დროშა; 2. ნაზბეწვიანი ცხვრის ჯიში; 3. ... გარდნერი; 4. ხორციანი კორკოტი; 5. მეექვსე ნოტი; 6. ... ფრანსი; 7. თეატრალური ხელოვნების სახეობა; 8. მეტყველების ორგანო; 9. პიკი ესპანეთში; 10. აფრიკული შხამიანი ბუზი; 11. სატელეფონო სიტყვა; 12. მემამულე თურქეთში; 13. „აქებდეთ ღმერთსა“; 14. ... კოსტავა; 15. პისტოლეტის სახეობა; 16. მოძღვრება მშვენიერების ფორმათა შესახებ; 17. ქართველი დირიჟორი; 18. თონის თხელი, მოგრძო პური; 19. იტალიური ცეკვა; 20. პატარა მარხილი ბავშვების სასრიალოდ; 21. ჯიხური; 22. პატარა მღრღნელი ცხოველი; 23. „... კისერზე“; 24. დანანების, წუხილის გამომხატველი შორისდებული; 25. ჯუნგლებში გაზრდილი ბიჭი; 26. უშფოთველი ცხოვრება (ზოგჯერ ირონიულად ნათქვამი); 27. ფართობის ერთეული ჩინეთში (დაახლ. 6 კვ.მ); 28. „მეოთხე დაცვა“ ფარიკაობაში; 29. მდინარე ციმბირში; 30. მღვდელმთავართა ზოგადი სახელი; 31. ჯარის რჩეული ნაწილი; 32. ავტოსადგომი; 33. შაქრის სუროგატი; 34. ოლქი იტალიაში; 35. ფრანგი მსახიობი; 36. იგივეა, რაც ფიქრი; 37. მიწების ხელოვნური მორწყვის სისტემა; 38. ოსკაროსანი მომღერალი ქალი; 39. წილი საერთო ბიზნესში; 40. იუპიტერის თანამგზავრი; 41. ნაკურთხი წყალი; 42. თოფის ნაწილი, რომელსაც სროლის დროს მხარზე იბჯენენ; 43. მაუგლის მეგობარი ავაზა; 44, საერთაშორისო გამოფენა ან ფესტივალი, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება; 45. რახმანინოვის ოპერა; 46. ... ფილიპი; 47. გუფთა; 48. ... ბოლდუინი; 449. ხავიერ ...; 50. საფეიქრო ბანანი; 51, თაღი; 52. სპორტის სახეობა; 53. „ყვარყვარე თუთაბერის“ პერსონაჟი; 54. მდინარე აღმ. საქართველოში; 55. ბზრიალა; 56. ჩანთოსანი დათვი; 57. საყანწე მასალა; 58. რისამე (მაგ. მკურნალობის) ჩატარება დროის გარკვეულ მონაკვეთში; 59. სვე რთველში; 60. ქალის ფართო პალტო, მეტწილად ბეწვის; 61. მიჯნა, საზღვარი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კოდიანი სკანვორდის პასუხები

1. ნატრი; 2. ატკინსონი; 3. ტრამპლინი; 4. ტომ; 5. ძუა; 6. კინო; 7. კაპასი; 8. სანტი; 9. ბანი; 10. აგა; 11. ადიაბატა; 12. ფაუნა; 13. ინტიმა; 14. ამონი; 15. კარაველა; 16. მაუდი; 17. მიკადო; 18. კრიზისი; 19. ერიკ; 20. აფრიკა; 21. რაე; 22. ანგარი; 23. არფა; 24. აბა; 25. კალნაბი; 26. ჯაფა; 27. ფარგა; 28. ქვიშა; 29. ბარსა; 30. სანი; 31. კალმარი; 32. ოკეანე; 33. ხვაშიადი; 34. მიტუა; 35. სამხილი; 36. როგო; 37. ეგო; 38. ორკაპა; 39. სან; 40. სატანა; 41. როგორ; 42. მილიონი; 43. ანწლი; 44. ლალიონი; 45. კრიტიკა; 46. კრიალოსანი; 47. იყო; 48. ყანწი; 49. ალეკ; 50. ქიში; 51. ჩენჩო; 52. ჩინი; 53. არაქსი; 54. სინაი; 55. ენიო; 56. ვარნა; 57. მყვარი; 58. ალოე; 59. ბარაქა; 60. ასი; 61. ისანი. **სურათებზე:** ლადო გრიგოლია; გურამ ასათიანი; გია ყანჩელი; ზურაბ ყიფშიძე.

ჯოდი: ქაჩნბი

Cyan Magenta Yellow Black

მწვანე სკანვორდი

1. დესპოტიზმი
2. ყვავილი
3. სანელებელი
4. დიდი ქვეწარმავალი
5. ჭეშმარიტად
6. ორთაბრძოლის სახეობა
7. ... ზღვა, ოკეანე
8. კედლის მაღალი სარკე
9. გომბეშო
10. პირის ნაცვალსახელი
11. შესანახი დგამი
12. „ბრტყელი დედამიწა“
13. ...-ვერე
14. ... ნოლტი
15. ბუნებრივი საღებავი
16. ცირკის მსახიობი
17. ახალი (ბერძნულად)
18. ... პაჩინო
19. შეძახილი ცეკვისას
20. დახურული ეტლი
21. აურზაური
22. იგივეა, რაც ამონი
23. მცენარეული შხამი
24. ჭადრაკის ფიგურა

წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

1. ნო; 2. არენა; 3. სერპანტინი; 4. სენიორ; 5. ევა; 6. ადა; 7. სი; 8. ბარამბო; 9. რაბლე; 10. მტვრიანა; 11. ელი; 12. ფრე; 13. ონტოფო; 14. არაბია; 15. ნაირა; 16. პანთერა; 17. უფა; 18. კოლიბრი; 19. ანაპა; 20. აღა; 21. ია; 22. რუ; 23. მარტინი.**სურათებზე:**პალიტრა; ნოუთბუქი; როიალი; ნიღაბი.

Cyan Magenta Yellow Black

რომელი ფეხსაცმელია სასარგებლო

თავის ტკივილი, ცნობილი ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონია, ნივთიერებათა ცვლის მოშლა ხშირად ტანდეგობის დარღვევის შედეგია. ტანდეგობაზე კი თავის მხრივ გავლენას ახდენს მრავალი ყოველდღიური წვრილმანი. ერთ-ერთი მათგანია ფეხსაცმელი.

მოდაშია კომფორტულობა

პლატფორმა, მაღალი ქუსლი ან მისი სრული არარსებობა? ექიმები ირწმუნებიან, ფეხსაცმელი მაღალ ქუსლზე ხერხემალს ყველაზე მეტ პრობლემას უქმნის.

ცდება ის, ვინც გადაწყვიტა, რომ ფეხსაცმელს ქუსლი საერთოდ არ ესაჭიროება. პირიქით, პატარა 2-3 სმ ქუსლი ტერფს ტონუსში იჭერს. ყველაფერი მასზე მაღალი უმოკლესი გზაა ართრიტისა და ართროზისკენ.

სისხლის მიმოქცევასთან პრობლემების რისკი იმ პირებშიც იზრდება, ვინც ცხვირწაწვეტებულ ფეხსაცმელს ატარებს. ფეხის თითები მუდამ საშიშ სიახლოვეში იმყოფებიან, ხოლო ტერფის ფორმა იცვლება. ჩაბრუნებული ფრჩხილი წვეტიანი ფეხსაცმლის მავნებლობის ყველაზე ნათელი მაგალითია.

შორს სინთეტიკა!

უკეთესია ტყავი, თანაც რბილი. სინთეტიკა არა მხოლოდ ფეხის კანზე, სისხლის მიმოქცევაზეც უარყოფითად მოქმედებს. ეს ნიშნავს, რომ მთლიანად საყრდენ-მამოძრავებელი აპარატი შეუმჩნევლად იტანჯება.

რაც შეეხება მაგარ ფეხსაცმელს, ერთი მხრივ, უფრო ხანგრძლივად მოგემსახურებათ, მეორე მხრივ, ნაკლებად მოსახერხებელი და საფრთხის შემცველია. მასში ფეხის თითები ერთმანეთს ხშირად ეხახუნება და მიკროტრავმებს იღებს. ზაფხულში მაგარი ფეხსაცმელი საერთოდ ამოიღეთ ხმარებიდან.

ფლოსტები (შლოპანცები)

ბევრი ქალაქელი სიცხეში ფლოსტებით დადის. მათში ტერფი ფორმას ვერ იჭერს და „ცურავს“. ასეთ ფეხსაცმელში დიდხანს სიარული საშიშია. მისი დანიშნულება „საკურორტოა“ — შეზლონგიდან ზღვამდე მისვლა. მუდამ ფლოსტებში სიარული ბრტყელტერფიანობას იწვევს.

ფეხსაცმელი ქუსლებზე საქუსარის გარეშე

კონსტრუქციის მთავარი მინუსი საქუსარის არარსებობაა, რაც საკმაოდ სახიფათოა. ნებისმიერ მომენტში თავისუფლად მყოფი ფეხი შეიძლება გადაბრუნდეს. შედეგი — იოგის დაჭიმვა ან ფეხის მოტეხა.

„ბალეტკა“

ამ ბრტყელი და რბილლანჩიანი ფეხსაცმლის მიმართ ექიმები, ჩვეულებრივ, პრეტენზიას არ გამოთქვამენ, თუ მას პატარა ქუსლი აქვს, მაგრამ ქუსლის საერთოდ არარსებობისას ის ერთადერთ ფეხსაცმლად არ უნდა იქცეს. უქუსლო ფეხსაცმელი ბრტყელტერფიანობის რისკს ზრდის.

კედი და ბოტასი

ყოველდღიურად არც მათი ჩაცმა შეიძლება. ხელოვნური ლანჩის გამო, სითბური გაცვლა გაძნელებულია. კედებსა და ბოტასებში სქელი, ხაოიანი წინდები ჩაიცვით. თუ ფეხი გაოფლიანდება, თქვენ კი სინთეტიკური წინდა გაცვიათ, ფეხის ოფლიანობა დაგტანჯავთ.

ოთახის ფაჩუჩები

იდეალში ეს არის რბილი ტყავის ფეხსაცმელი პატარა ქუსლით. ჩვენ დიდ სიყვარულს ვიჩენთ ქეჩისა და რეზინის ნაწარმის მიმართ. ასეთ ჩუსტებში კი თვალისთვის უხილავი მდიდარი მიკროსამყარო ბინადრობს.

ჯადოსნური ნიღბები სახის კანისათვის

ჯოკო შანელი ამბობდა: „20 წლის ასაკში გაქვს კანი, რომლითაც ბუნებამ დაგაჯილდოვა, 50 წლისას კი — კანი, რომელსაც იმსახურებ“.

ყველამ კარგად ვიცით, რომ სახის ნიღბები კანისთვის ძალიან სასარგებლოა, მაგრამ ზოგჯერ გვავიწყდება, ზოგჯერ კი გვახსენდება, ოღონდ გვეზარება ნიღბების მომზადება. მიუხედავად ამისა, შემოგთავაზებთ ნიღბის სამ რეცეპტს, რომლებიც უმარტივესი დასამზადებელია.

თაფლისა და ზეითუნის ზეთის ნიღაბი

დაგჭირდებათ: თაფლი — 2 ს.კ და ზეითუნის ზეთი — 1 ს.კ.

მომზადება: თაფლი და ზეითუნის ზეთი კარგად აურიეთ და ჰაერღუმელში შეათბეთ 20 წამის განმავლობაში. მიღებული მასა გააგრილეთ და სახეზე თანაბრად გადაინაწილეთ. გაიჩერეთ 5 წუთი და ჩამოიბანეთ.

ამ ნიღაბს დამატენიანებელი ეფექტი აქვს და ყველა ტიპის სახის კანს უხდება. გამოიყენეთ კვირაში 2-ჯერ.

თაფლისა და დარიჩინის ნიღაბი

დაგჭირდებათ: თაფლი — 3 ს.კ. და დარიჩინი — 1 ს.კ.

მომზადება: აურიეთ ეს ორი ინგრედიენტი ერთმანეთში და 30 წამით ღუმელში შედგით (მასა გამდნარ შოკოლადს უნდა დაემსგავსოს). წაისვით ნიღაბი სახეზე და 10 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ.

ნიღაბი არაჩვეულებრივია, თუ სტრესისა და გადაღლილობისგან სახეზე გამონაყარი გაგიჩნდათ. თაფლს დამატენიანებელთან ერთად ანტიბაქტერიული მოქმედებაც აქვს, რაც აკნეს განკურნებაში დაგეხმარებათ, დარიჩინი კი ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით გამოირჩევა.

თუ ქავილის ან წვის შეგრძნება დაგეწყოთ, ე.ი. დარიჩინზე ალერგია გაქვთ და ნიღაბი სასწრაფოდ ჩამოიბანეთ.

იოგურტისა და წითელი ღვინის ნიღაბი

დაგჭირდებათ: იოგურტი — 2 ს.კ. და წითელი ღვინო — 2 ს.კ.

მომზადება: იოგურტი და ღვინო აურიეთ და მიღებული მასა ფუნჯით სახეზე გადაინაწილეთ. 10 წუთი გაიჩერეთ, შემდეგ ჩამოიბანეთ.

ღვინო დაბერების საწინააღმდეგო თვისებით გამოირჩევა, იოგურტი — სიცივისგან გამომშრალ კანს ატენიანებს. ნიღაბი კვირაში 2-ჯერ გამოიყენეთ.

ეს იცოდით?

- თავის მოკვეთის შემდეგ ადამიანის ტვინი კიდევ 15-20 წამის განმავლობაში მუშაობს.
- ადამიანის არსებობა შესაძლებელია მხოლოდ სხეულის ტემპერატურის 32-43 გრადუსი ცელსიუსის ზღვარზე.
- ადამიანის ყურის ტემპერატურა 1,5-2 გრადუსით დაბალია სხეულის ტემპერატურაზე.
- გემოს, სმენისა და შეხების შეგრძნება საღამოს 17-19 საათებში მძაფრდება.
- მე-16 საუკუნემდე კბილების საწმენდად შარდი გამოიყენებოდა.
- ჩეხეთის ქალაქ სედლეცში არის სამლოცველო, რომელიც მთლიანად ადამიანის თავის ქალებითა და ძვლებითაა მოპირკეთებული.

- არქეოლოგიურმა გათხრებმა აჩვენა, რომ ჩვ.წ.აღ-მდე 5000 წლის წინ ეგვიპტელი ბავშვების მთავარი სათამაშო მკვდარი ზღარბები იყო.
- ბანქოთი თამაში სპარსეთსა და ინდოეთში დაიწყეს. იმ დროს დასტა 48 ქაღალდისგან შედგებოდა.
- აფრიკის მოსახლეობის 70%-ზე მეტი დღიურად 2 დოლარზე ნაკლებს იღებს გასამრჯელოდ.

Cyan Magenta Yellow Black

ქართული ანეკდოტები

ორი ღოთი ეთამაშებოდა:
— შენ უთხარი ყველას, რომ მე ღოთი ვარ, არა?
— ჯი, მე ვუთხარი.
— რატომ, რატომ?
— ყველამ არ იცოდა და...

ქუთაისლები ბიკენტიას ესტუმრნენ ხაშზე. გახეულ პახმელიაზე არიან.

— რაია, ბუჯო, ეგი, — ეუბნება ბიკენტიას ერთი, — ბეწვიან ხაშს გვაჭმევ აქანე?

— ამოაყოფინე თავი ჯემალიას თეფშიდან და ძაან კაი ხაშია მაგი!

❖ ❖ ❖

— მასესხე 20 ლარი.

— არა, არ ხარ შენ მომტანი.

— ბოზის შვილი ვიყო, მევიტან.

— ხომ გითხარი, არ მეიტან-თქვა!

❖ ❖ ❖

— რა განსხვავებაა რუსებსა და კანიბალებს შორის?

— რუსები სამნი სვამენ და თევზს აყოლებენ. კანიბალები ორნი სვამენ და მესამეს აყოლებენ.

❖ ❖ ❖

გამოფენაზე დამთვალიერებელი ავტორს ეკითხება:

— რა ჰქვია თქვენს ნახატს?

— შტერები.

— მზიანი დღე ხატია, ლამაზი ბუნება. შტერები რატომ ჰქვია ან სად არიან?

— სახლში სხედან. აბა, ნორმალურები ასეთ ამინდში სახლში უნდა ისხდნენ?!

— შენი სიღედრი რა განხრით მოღვანეობს?
— მედიცინის.
— ექიმია?
— არა, გვეღის შხამი!

❖ ❖ ❖

გურული უკაცრიელ კუნძულზე მოხვდა. ორი კვირის შემდეგ შიმშილისგან დაოსებულმა ნაპირთან ხალხით სავსე გემი დაინახა და შესძახა:

— აუ, რა ხორცი მევიდა?! თელი ზამთარი მეყოფა!

❖ ❖ ❖

— ჩემს ქმარს ჯიბეში კონიაკის ბოთლი ვუპოვე და არ ვიცი, რა ვუყო.

— ქმარს თუ კონიაკს?

— ოგორ ნარმოგიდგენია სიჯვალი? — ეკითხება ბუზი თაგვს.
— ვხედავ ყველს ან ძეხვს და... ტაკ! შენა?
— მე? აი, ზის თავმოტვლეპილი ესაქმეი და ხელში დაგრაგნილი გაზეთი უჭირავს...

❖ ❖ ❖

— ამდენი ტყუილი როგორ შეიძლება?!

— თქვენც ამდენ კითხვას ნუ დამისვამთ, ბატონო მოსამართლევ!

❖ ❖ ❖

— მითხარი სამი საოცნებო და ჯადოსნური სიტყვა და შენი ცოლი გავხდები.

— შენ მთლად გარეკე?!

❖ ❖ ❖

— ოფიციანტ, ჩემს წვნიანში ბუზია!

✓ შეკრიბა
მურმან მერკვილიშვილმა,
ქუთი ხარატიშვილის ნახატები

— დიდი და მწვანე?

— კი.

— არა უშავს, მაგან ცურვა იცის.

❖ ❖ ❖

— მიხოვ, მანქანაში უკან რატომ გიკიდია სიდედრის სურათი, წინ გაიკარი.

— შენ მე ჭკუას ნუ მასწავლი, ასეა საჭირო.

— მაინც რატომ?

— რატომ და სარკიდან უკან რომ გავიხედავ და სიდედრს დავინახავ, სიჩქარეს ვუმატებ, არ დამეწიოს-მეთქი და სამსახურში დროზე მივდივარ.

— ოფიციანტ, ამ ნამცხვარს ჭაჭის სუნი რატომ აქვს?
— რა ვიცი.
— აბა, ცოტა იქით გაინიე... ოო, ახლა აღარ აქვს.

❖ ❖ ❖

— დღეს ადრე ვერ გამათავისუფლებთ სამსახურიდან?

— რაშია საქმე?

— სახლში სადილი უნდა მოვამზადო.

— როგორ, შენი ცოლი სახლში არაა?

— სახლშია და ახლა დამირეკა, მშიაო.

❖ ❖ ❖

ოსი რკინიგზის სადგურის სალაროში მივიდა:

— ელთი ბილეთი, თუ სეიძლება.

ქუთაისელი ქოხნიღში ჩუმად ეკითხება სიძეს:
— ანგელოზივით ბიჭი ხარ და ეს მახინჯი ქალი რამ გათხოვია?
— სიღედრის ხათრით ვითხოვე, ბიძია.
— ვაა, ასე ღამაზი ქალია?
— არა, მჯღარია.

— სად მიდიხართ?

— ლა სენი საქმეა?!

❖ ❖ ❖

ზოოპარკში:

— შვილო, ლომების გალიაში ხელი არ შეყო.

— რატომ, მამი?

— რა ვიცი, იქნებ რწყილები ჰყავთ.

❖ ❖ ❖

— არა, ძმაო, ადამი ბედნიერი კაცი ყოფილა!

— რატომა, კაცო?

— იმიტომა, რომ იმას ნეკნების მეტი რა ჰქონდა, მაგრამ ევამ ერთი ნეკნი ამოაძრო. ჩემი ცოლი კიდენა, ერთი სული მაქვს და იმასაცა მაძრობს, რა!

❖ ❖ ❖

ლოთი სახლში შუაღამეზე შევიდა. ხედავს, ცოლს სძინავს. დაავლო იატაკის ჯოხს ხელი და თავში სთხლიშა.

— რას შვრები? — წამოხტა ცოლი.

— დაგასწარიიი!

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

კლოდ იზნერი

დასაწყისი №24-33

მკვლელობა ეიფელის კოშკზე

ვიქტორმა ნაბიჯს აუჩქარა. მსუქანი მამაკაცი, ქუჩის მხრის ერთ-ერთ სადარბაზოსთან რომ შენიშნა, დანილო დუკოვიჩს მიამგვანა და იფიქრა, მე ხომ არ მითვალთვალებსო. მერე, მობის კვარტალს რომ მიაღწია, ეს კაცი ისევ შენიშნა, ტრაქტირში როგორ შევიდა. ვიქტორი ფრთხილად მივიდა და შიგ შეიხედა. „არა, დანილო არ არის, — შვებით გაიფიქრა, — დევნის მანია დამემართა. ამ დღეებში ამდენი არ უნდა მეჭამა“.

გზა განაგრძო და მალე იმ ეზოს მიადგა, სადაც კაპიური ცხოვრობდა და, როგორც ჩანს, მოუთმენლად ელოდა.

ეზოში არავინ ჩანდა. ვიქტორი ნაცნობ კარს მიადგა და დააკაკუნა.

არავითარი პასუხი.

ისევ დააკაკუნა და რაკი ისევ არავინ გამოეპასუხა, კარს მიაწვა. ის ადვილად გაიღო. ვიქტორი შევიდა:

— მუსიმე კაპიუს, აქ ხართ? მე ვარ, ლეგრი!

ოთახში სამარისებური სიჩუმე იდგა.

— მუსიე კაპიუს, ვიქტორ ლეგრი ვარ „პასპარტუდან“... არის აქ ვინმე?

უეცრად გველნაკრავივით შედგა: საწოლზე ყელგამოჭრილი კაპიუსი ეგდო და სისხლში ცურავდა!..

— მაკ-მაგონ! მაკ-მაგონ! — მოისმა სადღაც შორიდან ქალის ნაცნობი ხმა.

ვიქტორს მასთან შეხვედრა ნამდვილად არ უნდოდა, ამიტომ ოთახიდან სწრაფად გამოვარდა, ეზო გადაირბინა და ქუჩაში გავარდა...

მაღაზიაში რომ შევიდა, ჟოზეფი დახვდა წიგნის კითხვითა და ვაშლის ჭამით დაკავებული.

— მუსიე ლეგრი, რა დაგემართათ? ისეთი ფერი გადევთ, თითქოს ომნიბუსის ქვეშ მოჰყევით.

— არაფერია, უბრალოდ, გადავიღალე.

— ყველაფერს მე ვაკეთებ და თქვენ რამ გადაგღალათ? კარგით, ახლა დასვენება გჭირდებათ, უფრო სწორად, ლოგინში ჩაწოლა და ცხელი ჩაი.

ვიქტორს არაფერი უთქვამს. ჟოჟომ ის მაღლა ააცილა, საწოლში ჩააწვინა, ჩაიც მიუტანა, მერე კი შეეკითხა:

— დოქტორი რეინო ხომ არ გამოვიძახო?

— არა, არაა საჭირო, ყველაფრისთვის გმადლობთ, ახლა კი წადით და მაღაზიას მიხედეთ.

— ჰო, მართლა, ახალი ამბავი გაიგეთ?

— რა ამბავი?

— მომდევნო გვამი გამოფენაზე. ყველაფერი მეორდება და გაზეთში...

— ვიცი, ჟოზეფ, ვიცი, თქვენ ხომ უკვე მიამბეთ?

— მართლა? კარგით. მაშინ წავალ. აბა, დაისვენეთ და თუ დაიძინებთ კიდეც, უკეთესი იქნება.

ღამე სიზმარი ნახა: ღრუბლებში ცურავდა, მერე ძირს დაეშვა და ბიჭების გარემოცვაში აღმოჩნდა, რომლებიც მღეროდნენ:

„ფიგარო! აქ ვარ...
ფიგარო! იქ ვარ...
ფიგარო იქ, ფიქარო აქ“.

უეცრად შეჰყვირა: ბიჭებს ყელები გამოჭრილი ჰქონდათ და ისე მღეროდნენ!

მერე ვაგონი გამოჩნდა, იქიდან კი ჭრელი კატა რაღაც სიას აფრიალებდა და თავისთვის მეფე ბორისის შესახებ რაღაცას კრუტუნებდა.

უეცრად მიწა შეინძრა. ვიქტორი ადგილს მოსწყდა და გაიქცა, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ ვეღარ გადარჩებოდა...

როგორც ჩანს, ძილში მკვეთრად შეტრიალდა და ლოგინიდან გადმოვარდა...

„ოთახი კი ჩემია, მაგრამ... იატაკზე რატომ ვარ?“ — გაიფიქრა დილით. წამოდგა, ჩაიცვა. იხსენებდა, წუხელ რა მოხდა.

ჰო, კატა, ბორისს რომ ახსენებდა! ბორის გოდუნოვი! დანილო დუკოვიჩი! „ფიგარო კოშკზე“! საინტერესოა, იყო თუ არა მასში დანილოს ხელმოწერა?

ვიქტორი კენძის საძინებელში შევარდა, „ფიგარო კოშკზე“ მოძებნა და სია ხელახლა შეამოწმა: პირველ სვეტში, სხვათა შორის, კენძი მორის, მადამ დე ნანტეის და ჯონ კავენდიშის გვარები ამოიკითხა, მეორეში კი — კონსტანტინ ოსტროვსკის და... ბ. გოდუნოვის!.. „ისაა! — გაიფიქრა, — დანილო დუკოვიჩი! ის ამედევნა დილით“.

ვიქტორი სწრაფად გამოვიდა საძინებლიდან, შიგა კიბეზე დაეშვა და ქუჩაში გავარდა.

ენძიმ რესტორან „ფუაიოს“ ჩაუარა და თავისი მეგობრის, ანტიკვარ მაქსანს დე კერმარეკის მაღაზიაში შევიდა, სადაც ძველებური სიმებიანი ინსტრუმენტები იყიდებოდა.

მოზაიკიან ხის მაგიდებზე კლასიკური გიტარები, ვიოლინოები, ხემები და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბალალაიკები და მანდოლინებიც კი ეწყო. ჭურჭლის კარადა ბარბითზე და ვიოლაზე დამკვრელი მუსიკოსების გამოსახულებიანი ფაიფურის ფინჯნებითა და ლამბაქებით იყო სავსე, მის გვერდით კი, თითქოს აქაურობას დარაჯობსო, არფა იდგა ასევე ინკრუსტრირებული ჩარჩოთი.

მაღალი, გამხდარი, რაღაცით მეფისტოფელისმაგვარი პატრონი ბოლთას სცემდა და თან სენდვიჩის ბოლო ლუკმას ღეჭავდა.

— მადლობა უფალს! — შესძახა მან კენძის დანახვაზე და ლუკმა გადაყლაპა, — გავარვარებულ, უკაცრიელ უდაბნოში ბოლოს და ბოლოს ვიხილე მგზავრი, თანაც როგორი? ჩემთვის ფრიად სასიამოვნო! — დაამატა ჩვეული თეატრალურობით და სტუმარი თითქმის ძალით ჩასვა დიდ სავარძელში, — აბა, ჩაი თუ ყავა?

— გმადლობთ, ჩაი.

როგორც კი მასპინძელი გაიგულა, კენძიმ „პასპარტუ“ გაასწორა და პატარა მაგიდაზე დადო.

— ჩაის ჩაი არ გეგონოთ, — მეფისტოფელი ვერცხლის სინით შემოვიდა, — ნამდვილი ჟასმინია, სანაცვლოდ კი თქვენგან ახალ ამბებს მოველი.

— ეს ნახეთ? — კენძიმ გაზეთზე მიანიშნა.

ანტიკვარმა სათაურის მსხვილ ასოებს დახედა და წვეტიანი წვერი მოისრისა:

— ნახვით კი ვნახე, მაგრამ... თუ ყველაფერი ეს მართალია, ფუტკარი ადამიანის მტერი გამოდის და არა მოყვარე, ისევე, როგორც, ვთქვათ, ცხვარი.

— ცხვარი რა შუაშია?

— ერთი ჩემი შორეული ნათესავის შორეულ ნაცნობს თურმე სადღაც ცხვარი უნახავს, რომელიც მაგრად გაუბრაზებია, ის კი ამდგარა და ამ ტიპისთვის ისე უკბენია, ხორცი ამოუგლეჯია! წარმოგიდგენიათ?

— განსხვავება მაინც არის, — შენიშნა კენძიმ, — ფუტკარმა ეს ხალხი დახოცა, ცხვარმა კი იმ ვიღაცას მხოლოდ უკბინა ანუ არ მოუკლავს.

— პრინციპი ერთია, — თქვა მაქსანსმა, — ისე, ეს კოლექციონერები მუსიკაში საერთოდ ვერ ერკვევიან.

— ანუ ინსტრუმენტების კოლექციონერებს გულისხმობთ.

— რა თქმა უნდა.

— მაშინ მე სურათების ისეთ კოლექციონერებს დაგისახელებთ, რომლებსაც ფერწერის არაფერი გაეგებათ და მხოლოდ ფეხის ხმას არიან აყოლილნი.

— ისმის კითხვა: კოლექციონერობა ჯობია თუ, ვთქვათ, მუსიკოსობა?

— ადამიანს გააჩნია. პირველი თუ მოხუცდა და გაღარიბდა, კოლექციის გაყიდვით სულს მაინც მოითქვამს, მუსიკოსი კი, თუნდაც სახელგანთქმული, შეიძლება სიღატაკეში მოკვდეს.

— მუსიე მორი, გულახდილად მითხარით, მკვლელი ფუტკრების ზღაპრების მართლა გჯერათ?

— ერთი რამ უეჭველია: ქვეყნად უეჭველი არაფერი არსებობს.

— ეს უკვე აღმოსავლური სიბრძნეა, დასავლეთისთვისაც მისაღები. მუსიე მორი, ჩემს ახალ წიგნებს ხომ არ ნახავდით?

— სხვა დროს იყოს, კარგით? — კენძი სავარძლიდან წამოდგა, — ჟასმინის ჩაი მომეწონა. გმადლობთ. ახლა კი წავალ, შეხვედრა მაქვს.

ვიქტორმა კორიდორი ფეხაკრეფით გაიარა და ნახევრად ღია კართან შეჩერდა.

საბეჭდ მანქანასთან ედოქსი იჯდა და რაღაცას გამალებით ბეჭდავდა. ვიქტორმა ცოტა შეიცადა, მერე კი დააკაკუნა.

— აა, თქვენ ხართ? — გაუღიმა შემოსულს ედოქსიმ,— კართან

Cyan Magenta Yellow Black

დიდი ხანია დგახართ?

— არც ისე, თქვენ ისეთი სისწრაფით ბეჭდავთ, ვირტუოზ პიანისტს შეშურდებოდა.

— მართლა? გინდათ, თქვენც სცადოთ? გრძელი თითები გაქვთ, მგრძნობიარე... არ გაგიჭირდებათ, — შენიშნა ქალმა და თმა შეისწორა.

ვიქტორმა ჩაახველა, საშინლად მოუნდა გაბოლება.

— დანარჩენები სად არიან?

— კარგ დროს მოხვედით: გუვიე პრეფექტურაში ზის, მარიუსი ექიმთან წავიდა, ანტონენი ექვსისთვის დაბრუნდება, ტაშა კი გამოფენაზეა, თუმცა მაგ გოგოს გარეშეც არ მოვიწყენთ. ასე არაა? — ედოქსი წამოდგა და ვიქტორთან ახლოს მივიდა.

ამ უკანასკნელმა ჯიბიდან კონვერტი ამოიღო:

— რაღაცა უნდა გავარკვიო, იქნებ თქვენ შეძლოთ ჩემი დახმარება.

— შევეცდები, — ქალმა ხელი ჩაავლო მის მაჯას, — იმედია, ცუდი არაფერია.

ვიქტორს ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს გველი ეხვევაო. მან ფრთხილად გაითავისუფლა მაჯა:

— არა, უბრალოდ, რომელიღაცა მკითხველი ჩემი ქრონიკის გამო მლანძღავს. თქვენ ხომ არ გამომიგზავნეთ?

— მუსიე ლეგრი, თქვენისთანა სიმპათიური მამაკაცის შეურაცხყოფას როგორ ვიკადრებდი? — ეწყინა ედოქსს.

— თქვენ კი არ დაგიწერიათ, იქნებ თქვენს ხელში გაიარა-მეთქი. ეს ვიგულისხმე.

— მე რომ შემხვედროდა, თავად მოგიტანდით. დაჯექით, რატომ დგახართ?

ვიქტორი სავარძელში ჩაეშვა, ედოქსი კი მის სახელურზე ჩამოჯდა, თან ისე, რომ კაცს თეძოთი ეხებოდა.

— როგორ ცხელა... წყალს ხომ არ დამალევინებდით? — სთხოვა ვიქტორმა და, როგორც კი ედოქსი ოთახიდან გავიდა, სწრაფად წამოხტა სავარძლიდან და სირბილით დატოვა იქაურობა.

ხუთი ქალი საბრალო ჟოზეფს მოჟივჟივე თუთიყუშების გუნდივით შემოხვეოდა თავს. ჟოჟომ ალყა გაარღვია, დახლს მიღმა საფარში გაიჭრა და უკანასკნელ საშუალებას მიმართა:

— რიგრიგობით ილაპარაკეთ, თორემ პოლიციას გამოვიძახებ!

გაკვირვებული სიჩუმე ჩამოწვა. თავის დაქალებთან ხანმოკლე მოლაპარაკების შემდეგ გრაფინია დე სალინიაკმა თეთრი დროშა აღმართა და თხოვნა გაიმეორა:

— რომანს „ის, რომელიც“ ჰქვია.

— ავტორი? — მოკლედ იკითხა ჟოზეფმა.

— ჟორჟ დე პეირებრიუნი.

— გამომცემელი?

დახლთან ჩამწკრივებულმა ხუთმა დამამ უიმედოდ გადახედეს ერთმანეთს.

— კარგი, გავიარეთ. რაზეა რომანი?

— სამი საბრალო პატიოსანი ქალიშვილის ისტორიაა, რომელთაგან ერთ-ერთი სერიოზული გადაცდომის გამო, თავადაც ხვდებით, რომლის, დედა ხდება! — შესძახა გრაფინია დე სალინიაკმა და ისეთი გამგმირავი მზერა მიაპყრო ჟოზეფს, თითქოს მოვლენათა ეგზომ დრამატული შებრუნება მისი ბრალი იყო.

— უნდა ვაღიარო, რომ ამგვარ წიგნს არ ვიცნობ, — თქვა გაწამებულმა ჟოზეფმა, — ძვირფასო ქალბატონებო, ახლა კი გთხოვთ, მაღაზია დატოვოთ! ვიკეტებით!

— უკვე? ჯერ ხომ მხოლოდ 5 საათია!

— აღწერაა!

ამ გაწამაწიაში იყვნენ, როცა ვიქტორი მაღაზიაში შეიპარა, ჟოჟოს დასანახად თითი ტუჩზე მიიდო და კიბე აირბინა.

მიუხედავად რიცხობრივი უპირატესობისა, ქალებმა მაღაზია დატოვეს, ჟოზეფმა კარი გასაღებით ჩაკეტა, შუბლი მოიწმინდა და მაღლა ავიდა. ვიქტორი სამზარეულოში ელოდა.

— მუსიკე ლეგრი, მეტი აღარ შემიძლია! ამ მოლაყბე უსაქმურებმა კინაღამ მომკლეს!

— დაწყნარდით, ჟოზეფ, ასე თუ ინერვიულებთ, მალე დაბერდებით, — დაარიგა ვიქტორმა, — ახლა ის გაიხსენეთ, კურიერმა წერილი როდის მოგიტანათ.

— რომელი წერილი? აა, წერილი, 8 იქნებოდა.

— დარწმუნებული ხართ?

— სკლეროზი ჯერ არ დამწყებია.

— ეს კურიერი... როგორ გამოიყურებოდა?

— როგორც ჩვეულებრივი მეეტლე.

— მეეტლე?

— ჰო, მეეტლე. მისი ფიაკრი გარეთ იდგა.

— მგზავრი თუ ჰყავდა?

— კედლები რომ გამჭვირვალე ყოფილიყო, ალბათ მეცოდინებოდა. ისე კი, უნდა გითხრათ, რომ...

ვიქტორი მას აღარ უსმენდა, ისე შევარდა კაბინეტში. გაწბილებული ჟოჟო კი მაღაზიაში დაბრუნდა.

ეიფელის კოშკის ძირში, სანაპიროსა და რკინიგზას შორის, გიგანტური სოფელი იყო გამოფენილი — ადამიანების საცხოვრებლების ნიმუშები ისტორიამდელი ეპოქიდან აღორძინების ხანამდე.

სწორედ ამ სოფელში მიაბიჯებდა უცნაური წყვილი — წვერებიან გოლიათს, დათვის ტყავში გახვეულს, მოხუცი აფრიკელისთვის მკლავში გაეყარა ხელი და შეძლებისდაგვარად უხსნიდა, რომელი ექსპონატი რომელ ეპოქას და ხალხს ეკუთვნოდა.

ერთ-ერთი ქოხიდან ფაშფაშა მატრონა გამოვიდა და ჭიქა სიდრი გაუწოდა დანილოს.

— გმადლობთ, ფრიდა, გადამეხადოს, — უთხრა ქალს, მერე კი აფრიკელს ჩასჩურჩულა, — სამბა, ავსტრიელია, ესეც მღერის, ოღონდ ჩემი წარმატების შესახებ არაფერს ვეტყვი, თორემ შურით გასკდება. გინდა, გასინჯო?

მან სამბას ჭიქა გაუწოდა. იმან ტუჩები გაისველა, დაიჭყანა და ჭიქა დანილოს დაუბრუნა.

— ბარიტონი დანილო დუკოვიჩი! ასე გამომაცხადებენ ხოლმე. მაგარია, არა? მადლობა ყველას, ვინც მე ოპერაში მიმიღო, პირველ რიგში კი შარლ გარნიეს, ასეთი დიდებული შენობა რომ ააგო!

ისინი იმ ადგილს მიადგნენ, საიდანაც ისტორიამდელი საცხოვრისები იწყებოდა. მერე ერთ-ერთი გამოქვაბულის მახლობლად გაჩერდა:

— აი, ჩემი სახლი.

ამ დროს შიგ ვიღაცა დამთვალიერებელი შევიდა, დანილო კი ჩაიკუზა, მისი დაგდებული სიგარის ნარჩენი აიღო და სამბას გაუწოდა:

— თილისმაა. „ბორის გოდუნოვის“ პრემიერაზე შევამოწმებ. აფიშა უკვე მოვიფიქრე: დადგმა დანილო დუკოვიჩისა, სერბი ბარიტონის, რომელსაც ოქროს ხმა აქვს.

— ჰო, ხმა მართლა ოქროსი გაქვს, — დაეთანხმა სამბა, თან სიგარის ნაშთს არ აშორებდა თვალს, — შეიძლება, ეს ავიღო? შენ ისედაც კარგად იმღერებ, მე კი, რა იცი, რაში გამომადგება.

— შენი იყოს, — გაუღიმა დანილომ, — მე წავალ, ტანსაცმელს ჩავიცვამ, შენ კი აქ დამელოდე.

დანილო ცეკვა-ცეკვით შევიდა თავის გამოქვაბულში, თან რაღაცას მღეროდა...

უეცრად შედგა, სიმღერა შეკივლებამ შეცვალა, სახე შეეშალა, ხელი კი კეფისკენ წაიღო. აშკარად რაღაცამ უჩხვლიტა! ნუთუ ისევ ფუტკარმა? თვალთ დაუბნელდა, გონება აემღვრა, შეტორტმანდა, ფარდასავით რაღაცას გამოედო და რბილად დაეცა მიწაზე...

სამბას კი თურქულად მოერთხა ფეხები და მეგობრის დაბრუნებას ელოდებოდა.

გამოქვაბულიდან ვიღაცა გამოვიდა, მაგრამ ეს დანილო არ იყო. საკმაო დრო გავიდა.

სამბას მოთმინების ფიალა აევსო, წამოდგა, მორიდებულობა უკუაგდო და გამოქვაბულს მიაშურა.

— მუსიე დუკოვიჩ! სად ხართ? ეს მე ვარ, სამბა!

რაკი პასუხი ვერ მიიღო, სენეგალელმა ხელების ფათურით გზა განაგრძო.

ანაზდად რაღაცას წამოედო და წონასწორობა დაკარგა.

— მუსიე დუკოვიჩ!

მიწაზე ადამიანი იწვა. სამბამ ძალა მოიკრიბა, დაიხარა და... მკვდარი მეგობარი ამოიცნო!

„ვერა, ვეღარასოდეს იმღერებს, ვეღარასოდეს!“ — გაიფიქრა თავზარდაცემულმა და სწრაფად გამოვარდა გამოქვაბულიდან.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

✓ **თარგმნა გურამ ჩხეტიანმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატი**

Cyan Magenta Yellow Black

თინათინ ბონი

ოცნების ძიებაში

დასაწყისი №31-33

www.facebook.com/Tinatinbonney

თავი 4

ვიღვიძებ სასტიკი თავის ტკივილით. კეფიდან დაწყებული საფეთქლებამდე აღუწერელი მძიმე შეგრძნება მაქვს. იმდენად მტკივა ყველაფერი, რომ ტირილიც კი არ მინდა. უნდა ვაღიარო, რომ მაჯობა. პრინციპში გამანადგურა. თანაც დაელოდა, საქართველოში რომ გამოვფრენილიყავი და აქ დამტოვა. კარგია, რომ სახლის გაყიდვის შემდეგ რაღაც მაინც მხვდება. თუმცა ძალიან ცდები, ჩემო გივი, თუ გგონია, რომ ეს შეგრჩება! მოვა დრო და ძალიან განანებ ყველაფერს, რაც გამიკეთე. ხელს ვაფათურებ ჩანთაში და ძლივს ვპოულობ გამაყუჩებელს. „ბორჯომი“ საწოლთან დევს, მადლობა დედას. ვსვამ და თვალებზე ვიფარებ ხელს. ამ მდგომარეობას რაიმე დეპრესიული მუსიკაც უნდა, რომ უფრო გავიმწარო თავი. მხოლოდ ასეთი გამწარებული ვხდები შეუდარებელი მებრძოლი. და მე წინ დიდი ომი მელის. უჯრაში MP3-ის დამკვრელს ვპოულობ და „Dead Man,s Bones“ აღბომს ვრთავ. აი, ახლა შეშიძლია, საკუთარ ბრაზში ჩავიხრჩო.

ჩამძინებია. თავი გაყუჩდა. ყურსასმენებში მუსიკა ისევ უკრავს. საინტერესოა, რომ არავინ შემომხედა. უნდა ავდგე და ადვოკატს ელექტრონული დასტური გავუგზავნო, რომ სახლი გამიყიდოს. ჩემი საყვარელი სახლი. პრინციპში, იმ თანხით ამერიკაშიც გავაკეთებ რაღაცას, მაგრამ არ მინდა გივისთან ერთი ცისქვეშ ცხოვრება. მიშოს ქორწილის ფული უნდა მივცე და თაფლობისთვის. თანაც, სახლი მაქვს საყიდელი და რაიმე საქმე წამოსაწყები. მთავარია, არავინ გაიგოს, რა მდგომარეობაშიც ვარ. ვერავისგან ავიტან შეცოდების მზერას! ვერავისგან! ვდგები საწოლიდან და ვიზმორები. გივი, შენ შენსას მიიღებ, უბრალოდ, ჯერ ადრეა. მე კი გადასარევად ვიქნები.

სააბაზანოში შევდივარ.

სამზარეულოში გაშლილია. დროა, გადავიდე ცალკე, თორემ დედაჩემი სულ გამასიებს. ვისხამ ყავას და ყველის ბლითებს შორის ყველაზე ბუთხუზას ვეძებ.

— თვალებს არ ვუჯერებ! — მესმის მამაკაცის ხმა.

ვტრიალდები და ჩემ წინ დგას საოცრად ნაცნობი, სასიამოვნო გარეგნობის, შავგვრემანი ბიჭი. მსუბუქი წვერი აქვს და პრაქტიკულად გადაპარსული თავი. გაოცებული ვუყურებ.

— მიყურე ახლა ბოჩოლას თვალებით, — წინ მიჯდება და ბლითს იღებს.

მე ისევ ვუყურებ. ასე გამოვთაყვანდი, რომ ვერ ვცნობ ახლობელ ადამიანებს?

— ვაიიმეეეე! შაკო ვარ, შენი კარის მეზობელი, — მეუბნება და ბლითს შთანთქავს.

— შაააკო! — ვეხვევი და ლოყაზე ვკოცნი.

— რა უნამუსო ხარ, როგორ ვერ მიცანი, — შაკო მეორე ბლითს ეტანება.

— ბოლოს როცა გნახე, იყავი ძალიან გამხდარი, გქონდა აუტანლად გაგლესილი გრძელი თმა. წვერზე მარტო ოცნება თუ შეგეძლო.

— დავკაცდი, გენაცვალე.

— ცოლი მოიყვანე, ხომ შენ?

— არა, ჩემმა ძმამ მოიყვანა, — შაკო წარბს მიწევს.

— ბოდიში, ბოდიში. ისეთ ამბებში ვიყავი, ბევრი მეგობარი დავკარგე, — თვალებს ვხრი.

— არავინ დაგიკარგავს, დააპაუზე, — შაკო დგება, მაცივარს აღებს და წვენს იღებს.

— გეტყობა, ხშირი სტუმარი ხარ.

— მე? მიშოს ვეძმაკაცები. კაი ბიჭია. სიონში მოდიხარ?

— შენც მოდიხარ?

— იასნა. მეჯვარე ვარ მე.

— მოიცა, მე რატომ არ ვიცოდი?

— არ გინდა, ახლა. რა იცოდი, ნეტა? — უბრუნდება თავის ადგილს.

— ძაან ჩამოვრჩი მოვლენებს.

— მიდი, გადმოალაგე. რას აკეთებდი ეს წლები?

— ცოტა რთული მოსაყოლია ამდენი წლის შემდეგ.

— მე დრო მაქვს. შენ?

— არა, დრო მაქვს, უბრალოდ...

— გახსოვს, პატარა კნუტი რომ გადავარჩინეთ?

— კი, — მეღიმება.

— ბებიაჩემმა ის კნუტი ისე გაასუქა, ბოლოს საჭმელადაც ეზარებოდა ადგომა.

— რამდენი წელი გავიდა, — დამიბრუნდა ის გრძნობა, რომ ახლო მეგობრები ვართ.

— ბევრი. შენ არ შეცვლილხარ, — ამბობს და ჩემი უკმაყოფილო გამომეტყველების შედეგად ამატებს, — ასაკის ამბავში, თორემ ისე ძაან ვიდზე ხარ.

— მადლობა, — კმაყოფილი ვარ.

— როდემდე რჩები?

— არ ვიცი ჯერ, — ძაანაც ვიცი!

— იმედია, მალე არ წახვალ, — შაკო დგება.

— მიდიხარ?

— კი. არ დაიკარგო, — შაკო შუბლზე მკოცნის.

ჩემთვის ამდენი საყვარელი ადამიანი და ყველა აქვეა, ამ ქალაქში. რა დამრჩენია ოკეანის იქით? ბოროტი ყოფილი ქმარი და ყალბი მეგობრები? ვალაგებ მაგიდას, ვრეცხავ ჭურჭელს და ჩემს ოთახში ვბრუნდები. ვრთავ ლეპტოპს და ვწერ წერილს ჩემს საამაყო ადვოკატს. ჩემი ცხოვრება თავდაყირა დადგა და ამ მდგომარეობაში არსებობას უნდა შევეჩვიო. ვხურავ ლეპტოპს. ჩემი სულიერი მდგომარეობა იმდენად მძიმეა ახლა, რომ ჩემს თავთან ურთიერთობას არავის ვუსურვებდი.

ვდგები, რათა ოთახიდან გავიდე და ვკრთები. შაკოც კრთება. ნეტა რამდენი ხანია, რაც კარში დგას?

— რას აკეთებ? — ვეკითხები გაოცებული.

— იცი, იმდენად ჩემიანი ხარ, რომ არ დამაკმაყოფილა ჩვენმა შეხვედრამ.

შაკო მიახლოვდება და მიხუტებს. ნაცნობი სურნელი. ჩემი შაკუნა.

— გოგო, როგორ მენატრებოდი და როგორ მაკლდი.

— მეც, გეფიცები, მეც, უბრალოდ ხო იცი, გივი...

— მაგას ნუ გამახსენებ, სადმე თუ გადამეყარა, ცუდად დაამთავრებს.

ამერიკაში რომ წავედით, გივიმ იმდენი ქნა, რომ ყველას დამაშორა. განსაკუთრებით — მამაკაც მეგობრებს. მე კიდევ ბატივით, მეგონა, რომ იმდენად ვუყვარდი, ყურადღება არ ჰყოფნიდა. ამ დროს პათოლოგი ეგოისტი იყო.

— ჩემი სანდრა, — ამბობს შაკო და ხელს მიშვებს.

— მაგ სახელს ნუ მახსენებ! — ვამბობ სიცილით.

თვალები ოდნავ აცრემლებული მაქვს.

— სანდრა იყავი და დარჩები. მიდი, „მარია მაგდალენა“ მიმღერე, — შაკო კურტუმოს აქიცინებს.

— კიდევ კარგი, სიონში შენც მოდიხარ.

— შენ სოფიკოს სანათესაო ჯერ არ იცი. რომ იცოდე, მიხვდებოდი, რომ მეც ვერ გიშველი.

— ნუ მაშინებ!

— ცუდები არ არიან, ჭედილები არიან და ძალიან ბევრს სვამენ.

— რა გამახარე!

— კაი, ახლა მართლა უნდა წავიდე. გნახავ შაბათს.

შაკო მიდის და სიმშვიდეს მიტოვებს. მე არასდროს ვყოფილვარ მარტო. ამ მდგომარეობაში ჩემი საქციელით ჩავიგდე თავი. კიდევ კარგი, მე და გივი დავშორდით, თორემ ველარასდროს დავიბრუნებდი ამ ადამიანებს.

ვზივარ აივანზე. სახლში ისევ არავინაა. მეზობლის ძაღლი მიყეფს. სოსისი ვაჭამე და ეტყობა, კიდევ უნდა. ფეხები მოაჯირზე მაქვს შემოლაგებული და მზის სხივებით ვტკბები. ვის შეიძლება ახსოვდეს ზურა? ვიხსენებ ყველას, ვინც იმ ბანაკში იყო. აზრი არ აქვს. ბედი რომ ყოფილიყო, მიპოვიდა ან გადავეყრებოდით.

— გძინავს? — მესმის ნინიას ხმა.

— არა, — ვახელ თვალებს.

ნინია ჩემ გვერდით, სკამზე ჯდება.

— რა ხდება? — ვეკითხები მთქნარებით.

— ფული მჭირდება, — მეუბნება ისე, რომ თვალს არ მისწორებს.

— რამდენი? — წელში ვიმართები.

— ხო იცი, არ გთხოვდი...

— რამდენი? — ვაწყვეტინებ.

— 25.000 ევრო, — მეუბნება ხმის კანკალით.

ნერწყვი მცდება და ხველას ვიწყებ. ნინია ზურგზე მირტყამს და ვახერხებ, ჰაერი ჩავისუნთქო. აქამდე რომ ეთხოვა, სანამ გივისთან ვიყავი, ხომ უპრობლემოდ მივცემდი. თუმცა, ახლაც მივცემ. არა უშავს, მოვიკლებ ბინაზე. უარს ვერ ვეტყვი და, მით უმეტეს, ვერ ვეტყვი, რომ ფინანსებში დამერხა.

— მოგცემ, არ იდარდო.

— მადლობა, დიდი მადლობა! როგორც კი მოვახერხებ, დაგიბრუნებ, — ნინიას ცრემლები მოსდის.

— რას დამიბრუნებ! — ვეხუტები და ვკოცნი.

— ბიძაჩემი თუ არ გადავაფრინეთ, მოკვდება. ვერ გავწირავ, ხომ იცი, ვერ გავწირავ. გამიგე, გეხვეწები! — მოთქვამს ნინია.

— ნუ მებოდიშები, არ არის პრობლემა, — ვეუბნები და მეც მეტირება.

— შენ ჩემი და ხარ! — ნინია ხელზე მკოცნის.

Cyan Magenta Yellow Black

— არ გინდა ეს დრამა, რა უბედურებაა, — ხელს ვართმევ და ისევ ვეხუტები.

— ბიძაჩემს ფეხზე ავაყენებ და მერე ჩემს თავსაც მივხედავ.

— გოგო, კაცების ფლანგზე რა სიახლეებია? — თვალს ვუკრავ. მინდა, მხიარულ ნოტაზე გადავიყვანო.

— არის ერთი, მაგრამ შორიდან მეტრფის და მეც ვერაფერს ვბედავ.

— და რატომ?

— არ ვარ დარწმუნებული, რომ სერიოზული ურთიერთობა უნდა.

— ნინია, ბავშვები აღარ ვართ...

— ვიცი, მაგრამ მე სხვანაირად არ შემიძლია. უფლის ნებით, შემხვდება ვინმე. თუ არა და, ეგეც უფლის ნებაა.

აღარაფერს ვეუბნები. არც ვიცი, რა ვუთხრა. ძალიან მინდა, რომ ბედნიერი იყოს.

— შენ როგორ ხარ? — მეკითხება დამშვიდებული.

— მე რა მიჭირს? გადასარევად. იცი, რა ვიფიქრე? აქ მინდა რაიმე ბიზნესი გავაკეთო. პატარა. იქნებ შენ დამეხმარო?

— მართლა? — სახე უბრწყინდება.

— მართლა. ჩვენი საერთო საქმე იქნება.

— კარგი, — მორცხვად მიღიმის.

— სვეტასკენ რა ხდება?

— რაზე მეკითხები?

— ქმართან ყველაფერი რიგზე აქვს? სულ „მოაშორეს“ გაიძახის.

— ნუ...

— რა?

— თავისებური ურთიერთობა აქვთ.

— ეგ როგორია?

— არ კონტაქტობენ. იმას თავისი ცხოვრება აქვს, ამას — თავისი. არც კი ჩხუბობენ.

— გასაგებია. იცი... — მანქანის სიგნალის ხმა ჩემს ყურადღებას იქცევს და საუბარს ვწყვეტ.

სახლთან სპორტული BMW ჩერდება. იღება კარი და გადმოდის ირაკლი. და მე კიდევ პრაქტიკულად პიჟამაში ვარ. არა მაკიაჟი, აბურდული თმა. გასაგებია. გათვლაც ამაზე ჰქონდა.

— უკაცრავად, აქ ლობიანებს სად აცხობენ? — გვეკითხება თავისი შეუდარებელი ღიმილით.

ნინია წარბს სწევს და ფეხზე ვდგები.

— თქვენ ნიცას მეგობრები არ ბრძანდებით? — კითხულობს ძალით გაოცებული.

— Cut the crap! — ვეუბნები, რომ სისულელეებს მოეშვას.

ცბება, მაგრამ ცდილობს, არ შეიმჩნიოს.

— შეიძლება, დაგელაპარაკო? — მეკითხება უკვე ღიმილის გარეშე.

— შემოდი, — ვანიშნებ კარზე.

— კაი, მე წავალ და მერე დაგირეკავ, — კისკისით ამბობს ნინია.

— იყავი.

— არა, მერე ვილაპარაკოთ.

— ფულს გადმოვარიცხვინებ მალევე.

— კაი, საყვარელო, — ნინია მკოცნის.

გასვლისას ირაკლის ესალმება, ისიც თავს უკრავს და ნინია გვტოვებს.

— აქ დავსხდეთ თუ შიგნით შევიდეთ?

— სადაც უფრო მოხერხებულია.

— აქ რომ დავსხდეთ, არ გეშინია, რომ ნიცა დაგვინახავს? — ვეუბნები ცალყბად.

— არა, — სკამზე ჯდება.

— აბა, რამ შეგაწუხათ, ბატონო ირაკლი? — მეც ვჯდები.

— მე და ნიცა ერთად არ ვართ.

— აჰა. ჯერ ერთი, რა ჩემი საქმეა და მეორეც, დაგერეკა და ისე გეთქვა, — ვიცი, რომ ზედმეტები მომდის, მაგრამ ამ ბიჭთან სხვანაირად არ შემიძლია.

— ასეთ საკითხებზე პირისპირ საუბარი სჯობს. თანაც არ მინდოდა, გეფიქრა, რომ მე ქალის ზურგს უკან ვინმესთან მექნებოდა...

— რაზე ლაპარაკობ საერთოდ?

— მოკლედ, არ მინდოდა, გეფიქრა, რომ შენი ქმრისნაირი სირი ვარ, — ამბობს და შვებით ისუნთქავს.

— მადლობა, რომ შემატყობინე.

— რატომ ხარ ასეთი ქვა და რკინა?

— ძაანაც ჩვეულებრივი ვარ.

— მე უბრალოდ მინდა, რომ ვიმეგობროთ, — ამბობს ღიმილით.

ეს ღიმილია, რომ გაშტერებს. თვალებიც უციმციმებს. მზის სხივების ქვეშ მისი თმა პრაქტიკულად ოქროსფერია.

— ირაკლი, ცუდად არ გამიგო, მაგრამ რას მოგვცემს ეს მეგობრობა? შენ გგონია, სექსის მერე შეიძლება მეძმაკაცო?

— რატომ ართულებ ყველაფერს? — ირაკლი ფეხზე დგება.

— შენ ნუ ართულებ. რაღაც იყო და იქვე დამთავრდა, — მეც ვდგები.

— გასაგებია. მეტი აღარ შეგაწუხებ.

ირაკლი გადის. სიმწრის მუშტებს ვკრავ. მე ახლა ურთიერთობა არ მინდა. ძალიან მომწონს, მაგრამ ახლა მაგის დრო არაა, მით უმეტეს, ნიცა სამუდამოდ უნდა გადავიკიდო და მე ახალი მტერი არაფერში მჭირდება. აივნიდან ვუყურებ ირაკლის. მანქანასთან მიდის, ჯიბიდან იღებს გასაღებს და ჩერდება. წადი! წადიი! ისედაც ძლივს ვიკავებ თავს. უეცრად ბრუნდება და სახლისკენ მოემართება. რატომ ბრუნდება? შიგნით შევდივარ და ჰოლში ვხვდებით ერთმანეთს.

— არ ვიცი, რა კატეგორიის კაცებს ხარ შეჩვეული, მაგრამ ჩემთან ეს არ გაგივა, — მეუბნება სერიოზულად.

— უკაცრავად? — გაოცებული ვარ.

— მე შენ მომწონხარ და მინდა, რომ ჩემი იყო.

— მე სათამაშო არ ვარ, რომ ვინმესი ვიყო.

— ნუთუ? — ცინიკურად ეცინება.

— რატომ გადაწყვიტე, რომ შენ ჩემთვის საკმარისი ხარ? მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელ ნასვამზე თავი არ შევიკავე? — მიზნობრივად ვეიაზვები.

— თავი არ შეიკავე? შენ მოხვედი იმიტომ, რომ გინდოდა და მეორე დღეს გაიქეცი იმიტომ, რომ შეგეშინდა.

— ირაკლი!

— შემოვბრუნდი იმისათვის, რომ მეთქვა, მე ახლა წავალ, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია.

ირაკლი გადის, კარს ვკეტავ და ვეყუდები. გული ამოვარდნაზე მაქვს. არ ველოდი ასეთ ემოციებს და ძალიან გამისწორდა, მაგრამ არაფერი აქედან არ გამოვა!

საღამო. ადვოკატისგან არასახარბიელო ინფორმაცია მოვიდა. სახლიდან მრჩება 185 000 დოლარი. ნინიას თუ მივეცი სადღაც 30-35, მიშოს ქორწილისთვის და მოგზაურობისთვის ჯამში 15 მაინც უნდა მივცე. მოკლედ, დამრჩება სადღაც... 135 000 დოლარი. ამითი საქმეც და ბინაც? რანაირად? იქნებ მიშო და სოფიკო გავუშვა ცალკე, ერთოთახიანში? ამ ფიქრებზე გული მერევა! ეს როგორ დამემართა? მე ხომ ყველაფერი მქონდა! ირაკლისნაირი მეგობარი მამაკაცი არ მაწყენდა, რაღაც ხარჯებს აიღებდა თავის თავზე, მაგრამ მე არასდროს დავაწვები კაცს ტვირთად. მე ჩემი თავის ქალი ვარ! დამოუკიდებელი! მე თვითონ დავდგები ფეხზე. არ დავიკარგები. მთავარია, არავინ გაიგოს გივის ამბავი. რეკავს მობილური. უცხო ნომერია, თანაც ამერიკა. ადვოკატია ალბათ. ვპასუხობ.

— როგორა ხარ, ცქნაფო? — მესმის მამაკაცის ხმა, რომლის გაგონებაზეც უარყოფითად მაურიალებს.

— როგორ ბედავ ჩემთან დარეკვას? — ვამბობ ხრიალით.

— დამშვიდდი, რატომ ღელავ? — იცინის.

ხმას არ ვიღებ. ხმას ვერ ვიღებ.

— ახლა გაქვს 185 000 დოლარი და ახალი მანქანა. შენც იცი, რომ დიდი ხანი არ გეყოფა.

— რა გინდა, გივი?

— გახსოვს, რომ გითხარი, ჩემგან თუ წახვალ, განანებ-მეთქი. ხოდა, ეს მხოლოდ დასაწყისია!

ყველა რატომღაც მემუქრება! როგორი ყველაფრის დასაწყისია მოკლედ!

— მაგარი მკიდია.

— დარწმუნებული ხარ? შენი ავტომობილისთვის განკუთვნილი თანხა არ გადაირიცხა. ხოდა, რომ იცოდე, მალე მოგაკითხავენ და მოგთხოვენ ან მანქანას წაიყვანენ.

თავბრუ მეხვევა. მანადგურებს. გეგონება, საკმარისი არ გამიკეთა.

— გივი, რა გინდა ჩემგან?

— მე არ მიყვარს, როცა რამეს მართმევენ.

— ნუთუ ფულის გამოა ეს ყველაფერი?

— არა, შენ გამო. შენ იყავი და ხარ ჩემი და მანამდე იქნები, სანამ მე მენდომება.

— გივი, ჩვენ ოფიციალურად განვქორწინდით!

— ეს არაფერს ცვლის.

სიჩუმეა. გული ყელში მაქვს.

— კარგი, აღარ გაგაცდენ, — ახველებს, — მთავარი კინაღამ დამავიწყდა, არანაირი ცემის ფაქტები და ფოტოები არ არსებობს. შენი ადვოკატიც ძალიან იაფი დამიჯდა. მოკლედ, მადლობა, რომ ყველა ქალივით უტვინო ხარ, — გულიანად იცინის.

ტელეფონი ითიშება. ვახეთქებ მობილურს ძირს და სულ პატარა ნაწილაკებად იმსხვრევა. გამაცურეს!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

Cyan Magenta Yellow Black

ეზოში ისეთი უწყვეტი სიგნალის ხმა ისმოდა, თითქოს ათი მანქანა ერთდროულად ასიგნალებდა. მთელი კორპუსი სარეცხივით გადაეკიდა ფანჯრებსა და აივნებს. სიგნალებს მარიკას წივილ-ყვირილიც ერთვოდა.

— ინებეთ, დილის კომფორტისა და სიმშვიდის სრული პაკეტი, — გაეცინა ეკას, ფანჯარა გამოაღო და გადაეყუდა.

— ეკაა! ნახე, რა მაგარი ვაარ! ჩამოდი დროზეე! — მანქანასთან ცქმუტავდა მარიკა.

— ბებიკო, ასე ნუ იწევი, არ გადავარდე, გენაცვალე, — მაშინვე მოქაჩა კაბაზე ბებიამ.

— კარგი რა, ბე, კარგი რა, მთელი ცხოვრება ამას ნერვიულობ და ხომ ხედავ, არ ვვარდები, არა? — ხელი აუქნია ეკამ, — თანაც, ვთქვათ და ვვარდებოდე, შენ დამიჭერ?

— რას ამბობ, — შეიცხადა ბებიამ, მერე თავისთვის ჩაილაპარაკა, — იმიტომაც არ ვარდები, მე რომ გაფრთხილებ. იცი, რატომ მეშინია, ბებო, იცი, რატომ? ადრე ძველ ეზოში რომ ვცხოვრობდი, ჯვარი აქაურობას და, იქ გადმოვარდა ბავშვი მეოთხე სართულიდან. ღვთის წყალობით, კი გადარჩა, მაგრამ იმას ღმერთმა გადმოხედა... რამ გამახსენა, ჯვარი გწერია.

ეკამ ბებიას მოხედა:

— აი, სულ მიკვირს, ჩემს ყოველ მოძრაობაზე, წასვლა-წამოსვლაზე და ა.შ. მუდმივად რაღაც საშინელი ისტორიები რატომ გახსენდება. კარგი არაფერი გინახავს ცხოვრებაში?

— კარგის მეტი რა მინახავს, — იწყინა ბებიამ, — მაგრამ ცუდიც — არანაკლები. ერთხელ... — ბებია ამბის მოსაყოლად მოემზადა.

— ბე, არ გინდა, რა, გეხვეწები, ხომ შეიძლება ერთი დღე მორატორიუმი გამოვაცხადოთ და შენი მოყოლილი კოშმარებისგან დავისვენოთ? ნახე, მშვენიერი დღეა, მზე ანათებს, ჩიტებიც ჭიკჭიკებენ, ეზოში კი მარიკა დგას ახალი მანქანით.

— მარიკას მანქანა ჰყავს? — გაიკვირვა ბებიამ, თავადაც გადაიხედა.

— ერთი კვირაა, რაც იყიდა, ნახე, რა მაგარია, — ეზოსკენ თითი გაიშვირა ეკამ.

— მანქანებიც თუ ჰგავდნენ პატრონებს ცხოველებივით, არ ვიცოდი, — ჩაილაპარაკა ბებიამ, — მარიკასავით ერთი ბეწოა, ძლივს ჩანს მიწაზე.

— ეკაა! ჩამოდიი! — მხიარულად ასძახა მარიკამ და ისევ დაასიგნალა.

— ახლავე! — ეკა სახლში შეტრიალდა, — ჩემი უშიშარი მეგობარიიი, — სიმღერით შევარდა აბაზანაში, — ჩემი უშიშარი გოგოოო, — სიმღერითვე გამოვარდა, — და მეც რა უშიშარი ვარ, მაგას რომ უნდა ჩავუჯდეეე, — გააგრძელა.

მერე სწრაფად გამოიცვალა მაისური, სამზარეულოში ჩაიქროლა, მაგიდიდან ბუტერბროდი აიტაცა და პირში გაიქანა.

— ქორმა წიწილა წაიღოოო... — პირგამოტენილმაც წაიმღერა, ახლა ბებიას ჩაუქროლა, ლოყაზე აკოცა. ჩანთას დაავლო ხელი.

— სად მიდიხარ? — გაეკიდა ბებია, — არ გამაგიჟო ახლა და მაგ გადარეულ გოგოს არ ჩაუჯდე მანქანაში! — ხმას აუწია, — ჭკუა აქვთ მაგის მშობლებს თავში?! ჭკუა აქვთ-მეთქი?! როგორ შეიძლებოდა მაგ ახტაჯანასთვის მანქანის ყიდვა?! ღმერთო, შენ დამიფარე! თანაც შენც რომ გეძახის, არ გაგიშვებ, იცოდე! ან მე, ან მაგ მანქანაში ჩაჯდომა!

— ვაიმე, რა დავაშავე, — ჭერს ახედა ეკამ, — ბე, გამატარე.

— არავითარ შემთხვევაში! — ბებია ისევ კატეგორიული იყო.

— და რატომ ნერვიულობ, ვერ ვხვდები, — სარკეში ჩაიხედა ეკამ, თმა გაისწორა, ტუჩები გამობერა, — ნუ, ზღაპარი გოგო ვარ, — კარი გააღო და სანამ ბებია კარს კედელივით აეფარებოდა, როგორც იცოდა-ხოლმე, კიბეზე დაეშვა.

— მართვის მოწმობა მაინც თუ აქვს? — მოესმა უკვე ეზოში გასულს.

— აქვს, ნუ ნერვიულობ და საერთოდ ნუ მთარსავ ამ მშვენიერ დღეს, გეხვეწები! — ასძახა ეკამ და ეზოში გავიდა.

სინამდვილეში მარიკას არც მართვის მოწმობა ჰქონდა და დღეს, მგონი, საერთოდაც პირველად დაჯდა საჭესთან.

— არა, რა პირველად, ქალაქში არ მივლია თორემ, — მარიკამ მანქანას ხელი გადაუსვა, — ნახე, რა მინი ბიჭი მყავს.

— ბიჭი კი არა, მაისის ხოჭოა, პაწაწუნა, კუსკუსა და საყვარელი. იცი, რა თქვა ბებიაჩემმა? მარიკას ჰგავს, ერთი ბეწოაო. მართლა გგავს, ხომ იცი, — ეკამ მანქანას შემოუარა.

— აბა, რა, თუმცა კიდევ კარგი, ის არ იცის, სისწრაფეშიც რომ მგავს, რას დაჰქრის და დაფარფატებს, უნდა ნახო, ბურრრრ, — მარიკა საჭეს მიუჯდა.

— აუ, ძაან მაგარია! სად მივდივართ? — კარი მიხურა ეკამ.

— თამუნასთან, აგარაკზე, — მანქანა დაძრა მარიკამ.

— კარგი რა, ტარება მაინც იცოდე წესიერად, — ცოტა არ იყოს, შეწუხდა ეკა.

— ნუ გეშინია, ნელა ვატარებ, — დაამშვიდა მარიკამ, — გადამეკიდა, ამოდითო.

— რა ხდება? — ეკა დაძაბული იყურებოდა წინ.

— რა უნდა ხდებოდეს. საღამოს დათო უნდა ავიდეს თურმე მეგობრებთან ერთად. ეს ჭკუაზე არაა, მომეხმარეთო. მაგას რომ ჰკითხო, ყველა მამაკაცის გზა კუჭზე გადის. არადა მე ხომ ვიცი, სადაც გადის... — მრავალმნიშვნელოვნად გადახედა ეკას მარიკამ, — აღარ მორჩა ამ სუფრების გაშლას. თან რომ არ გამოსდის და არც ეშვება, მაგაზე ვგიჟდები. რა ქნა ერთხელ, გახსოვს?

— მარტო ერთხელ? — სიცილი აუტყდა ეკას.

— შენ ეგ თქვი, — გაეცინა მარიკასაც.

გაიხსენეს, ერთხელ, მაგალითად, როგორ დაპატიჟა გოგოები თამუნას ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა სახლში. მგონი, გია ერქვა, არა, მგონი, ავთო, არა, მგონი, კოტიკო, ნუ, რა მნიშვნელობა აქვს. მთავარი ისაა, რომ თამუნამ თავი მაშინვე სამზარეულოში დურთა გამოცდილი დიასახლისივით. დატრიალდა, დაბზრიალდა, სუფრის გაწყობა გადაწყვიტა.

— შენ ხომ არ აფრენ?! — გაუბრაზდა მარიკა, — დაჯექი, დაეტიე, სუფრაც თავად გაგვიშალოს და ყავაც მოგვიდუღოს, მოკლედ, როგორც დაგპატიჟა, ისე გაგვიმასპინძლდეს.

— ვაიმე, მეცოდება. ხომ ხედავ, მშობლები აქ არ ჰყავს და მარტომ რა უნდა გააკეთოს, — შეეცოდა გია, თუ ავთო, თუ კოტიკო თამუნას.

სინამდვილეში თავის მოწონება უნდოდა, რა გოგო, რა მარჯვე, რა ცეცხლი და ქარბორბალა...

ჯერ კარტოფილი დათალეს, თამუნამ — ენთუზიაზმით, ეკამ და მარიკამ — ბუზღუნით. მერე თამუნამ კარადიდან მინის ბოთლი გამოიღო, სინათლეზე გახედა, ზეთიაო, დაასკვნა, ტაფაზე მოასხა ყვითელი, ბლანტი სითხე და კარტოფილი ჩააპირქვავა. ეს მერე გაიგეს, რომ კარტოფილი ზეთის ნაცვლად კომშის სიროფში შეწვეს, თუ ამას შეწვა ერქვა საერთოდ...

— იმ ტიპის სახე გახსოვს? — ეკას თვალწინ დაუდგა ძალად გაღიმებული სახე.

— და რა კარგი ყოფილა სიროფში შემწვარი კარტოფილიო, თან რომ იძახდა? — ესეც გაიხსენა მარიკამ.

— აბაა და მერე როგორ გაქრა ჰორიზონტიდან?

— გემივით ჩაიძირა და დარჩა ჩვენი თამუნა მიტოვებულ თოლიასავით, — ლამის ლექსი დაწერა მარიკამ.

— მართლა რა იცის ისე, ეს ბზრიალ-ტრიალი, ახლაც რამე საშინელება არ გააკეთოს და ეს ბიჭიც არ დააფრთხოს, — დაეჭვდა ეკა.

— არა, დათო არ დაფრთხება. ეს უკუღმა დიასახლისი რამ შეაყვარა, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ უყვარს, — დაამშვიდა მარიკამ.

სწორედ ამ დროს დარეკა თამუნამ.

— დროზე ამოდით, რა, გელოდებით და ნამცხვრის ფირფიტებიც წამოიღეთ, — დავალება მისცა მეგობრებს.

— და პირდაპირ ნამცხვარი რომ ამოვიტანოთ, არა? — შეაპარა ეკამ. მერე ცოტა ხანს კიდევ უსმინა თამუნას, თავი უქნია და, კარგი, კარგიო, ეძახა.

— გეუბნები, რა, გამაგიჟებს ეს გოგო, — გათიშა მობილური, — ძალიან კარგი კრემის რეცეპტი ჩამაწერინეს და ის კრემი უნდა გავაკეთოო.

— მანია სჭირს-მეთქი, იმ გადაკარგულში რა კრემი აუტყდა, ან სად ვნახო ახლა ნამცხვრის ფირფიტები, — აბუზღუნდა მარიკა, მერე გზისპირს გახედა, სუპერმარკეტი დაინახა, უცებ საჭე ვეღარ დაიმორჩილა და ლამის გაჩერებულ ჯიპს შეასკდა.

ეკამ დაიკივლა და თვალებზე ხელი აიფარა. მარიკა მაშინვე გადახტა და მანქანის თვალიერება დაიწყო. სუპერმარკეტიდან ჯიპის მძღოლი გამოვიდა, სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა.

— რა შვრებით, ეე, — იმან თავისი მანქანა შეათვალიერა.

— რას ვშვრებით? — დაუყვირა მარიკამ, — ცხვირწინ რომ მიყენებ, ცოტა მოშორებით ვერ გააჩერე?

— რა ცხვირწინ გიყენებ, შარზე ხომ არ ხარ? — გაოცდა მძღოლი, — მადლობა თქვი, რომ არ დაარტყი.

— და რომ დამერტყა, რას მიზამდი? — გამომწვევად ჰკითხა მარიკამ.

„ვაიმე, ენას აღარ გააჩერებს“, — გაიფიქრა ეკამ და მანქანიდან გადმოვიდა სასწრაფოდ.

— გამოდის, ჩემი ბრალი ყოფილა, — კიდევ უფრო გაოცდა მძღოლი.

— აბა, რა, — უკან არ დაიხია მარიკამ.

— კიდევ კარგი, კარგ ხასიათზე ვარ, — გაეცინა მძღოლს.

— კარგ ხასიათზე მე ვარ, თორემ... — ისევ არ დათმო მარიკამ.

— თორემ, რა?

მძღოლი მაღალი იყო, მხარბეჭიანი, რაღაცნაირად ისიც თავის ჯიპს ჰგავდა, მარიკას მიუახლოვდა. ჩამოხედა, შეათვალიერა.

„არ დაარტყას, — დაფრთხა ეკა, — ამის ერთი წკიპურტი და მარიკასგან აღარაფერი დარჩება“.

— არ დაარტყათ, რა, — უცებ წამოიყვირა, მძღოლს ხელში ეცა, — ხომ მშვიდობით დამთავრდა ყველაფერი.

— არა, რა დავარტყა, არც მიფიქრია, — გაეცინა მძღოლს, — კარგი,

Cyan Magenta Yellow Black

თქვენ თქვენს გზაზე, მე ჩემს გზაზე. აბა, მშვიდობით მგზავრობას გისურვებთ და ეცადეთ, კიდევ არ შემხვდეთ, ყოველთვის კი არ ვიქნები კარგ ხასიათზე.

მარიკამ შეპასუხება დააპირა, მაგრამ ეკამ აღარ დაიცადა, ხელისკვრით ჩასვა მანქანაში.

— გეყოფა, რა, ხომ იცი, რომ აშკარად შენი ბრალი იყო? — უთხრა ჩუმად.

— მაგას რა ცოდნა უნდა, — არხეინად უპასუხა მარიკამ და მანქანა დაძრა.

— და მერე? ენას ვერ გააჩერებ? მაინცდამაინც შარს ეძებ? მართვის მოწმობა არ გაქვს, ტარება წესიერად არ იცი და რა გინდა, მითხარი, აი, რა გინდა?

— რა უნდა მინდოდეს, კარგი ტიპი იყო, — გადმოხედა მარიკამ, — ეგ არის და ეგ.

— ვაიმე, გავგიჟდები ახლა, — ამოიოხრა ეკამ, — და ამის გამო ატეხე ერთი ამბავი?

— ჰო, აბა, რა, — მუსიკა ჩართო მარიკამ, — შევატყვე, რომ არაფერს მეტყოდა, თორემ გიჟი კი არ ვიყავი. რამხელა იყო მაინც, არა?

— ჰოო. შენ ხომ შენს მანქანას ჰგავხარ, ის თავის მანქანას ჰგავდა. არა, არა, უფრო სწორად, ის სენბერნარი და შენ ჩიხუახუა. აი, ზუსტად, ზუსტად... როგორ ელაპარაკებოდი, ვაიმე, არ შემიძლია!.. — ეკას სიცილი აუტყდა.

— ჰო, რა, მაგრამ მერჩივნა, პიტბული ყოფილიყო, — გაეცინა მარიკასაც, — ეგეთ ტიპს თავსაც კი შევაჭ-მევინებდი სიამოვნებით, ღრრრ-ბრრრ... რას იტყვი? ჯერ რა მხარბეჭი ჰქონდა... ეჰ, არ უნდა გამეშვა ხელიდან, რა. ერთი სახეშიც უნდა მეტკიცა, მაშინ კი ჩამავლებდა კბილებს.

— ვერ წყნარდები, მოკლედ, — გაეცინა ეკას.

— ან მანქანის მინა მაინც ჩამემტვრია, არ ჩამიმტვრევია თუ რა? — გააგრძელა მარიკამ.

— მაშინ რომ გადარჩი, იმიტომ ხარ დიდგულზე, — უთხრა ეკამ.

— გადავრჩებოდი, აბა, რა. ვინ იყო ხმის ამომღები? მანქანის მინა რომ ჩავამტვრიე, ყველა გარეთ გამოეფინა იმ ეზოში, ჩემი აწ უკვე ყოფილი მოქალაქე ქმარი კი ჩუმად იყურებოდა თავისი საყვარლის ფანჯრიდან და გარეთ ვერც გამოვიდა. როგორც ჩანს, იმ ალქაჯ ქალს არ უნდოდა, მეზობლებს გაეგოთ, რომ სახლში ჩემს ქმართან გორაობდა და საერთოდ რომ გორაობდა. საგულდაგულოდ მალავდა და ჩემი ქმარიც სკანდალს მოერიდა. სირაქლემები, მშიშრები!

— არანორმალური დაქალები მყავხართ, რა, — ჩაილაპარაკა ეკამ, — ერთი მე ვარ თქვენ შორის სტაბილურად ნორმალური.

— კიდევ კარგი, ჩვენ მაინც ვართ არანორმალურები, — გადახედა მარიკამ, — თორემ ცხოვრება რა მოსაწყენი იქნებოდა, ხომ წარმოგიდგენია?

როგორც იქნა, გზაც გაილია და თამუნას აგარაკს მიადგნენ.

— არ იცით, არ იცით, რა დამემართა, — გამოვარდა სახლიდან თამუნა.

— რა იყო, გადაწვი სამზარეულო? — ჰკითხა მარიკამ, მერე უცებ გაახსენდა, რომ ფირფიტები არ უყიდიათ და ეკას მიუტრიალდა, — ვაიმე, ფირფიტები?

— რაღად მინდა ფირფიტები, — თამუნას შეწუხებული სახე ჰქონდა, — კრემს ხელის მიქსერით ვთქვეფდი და მიქსერი კონტეინერში ჩაიჭედა. ვეღარ ვხსნი, მაგრამ მარტო ეს რომ იყოს... ქათამს ვწვავდი და დამინახშირდა, კარტოფილი და ბადრიჯანი არ დამინახშირებია, მაგრამ იმდენი მარილი მოვაყარე, პირს ვერ დააკარებ, სალათას ვაკეთებდი და ლამის თითი მივაყოლე, სისხლდენა ძლივს შევიჩერე, — შეხვეული თითი ცხვირწინ დაუტრიალა მეგობრებს, — არადა, სადაცაა დათო მოვა და რა? ვერაფერს დავახვედრებ, სულ ვერაფერს! რა მეშველება?

— პური თუ გაქვს, პური? — ჩაეკითხა მარიკა.

— პური? — ახლა გაახსენდა თამუნას, — ვაიმე, პურის დაბარება რომ დამავიწყდა? აქ, ახლოს მაღაზია არაა. მოიცა, დათოს დავურეკავ.

თამუნა სახლში შევიდა, მობილური გამოიტანა და ის იყო, დათოსთან უნდა დაერეკა, რომ ჭიშკართან დაასიგნალეს.

— აჰა, ბედი არ მაქვს, მოვიდნენ. თან როგორ გადავეკიდე, არაფერი წამოიღოთ, ყველაფერი მაქვს-მეთქი. რა ვქნა ახლა, რა გავაკეთო? — წამოიძახა უფრო შეწუხებულმა.

— გოგოებო, როგორ ხართ? — შორიდანვე მიესალმა დათო მარიკას და ეკას.

— იცი, რა ცუდად ვართ? იცი, რა ცუდად ვართ? — წივილ-კივილით გაიქცა თამუნა და დათოს კისერზე ჩამოეკიდა, — ყველაფერი ან დამეწვა, ან დავამლაშე, პურიც კი არაა, თანაც, აი, თითიც გავიჭერი, იცი, როგორ მტკივა? — ახლა შეხვეული თითი დაუტრიალა ცხვირწინ.

— ჩემი ყველაზე ყოჩაღი დიასახლისი, — გაუცინა დათომ და შეხვეულ თითზე აკოცა.

თამუნამ ამაყად გააპარა გოგონებისკენ თვალი, თუ მიყურებენო, ისინი კი ვერც თამუნას ხედავდნენ და ვერც დათოს, ეზოში შემოსულ დათოს მეგობარს მიშტერებოდნენ, რომელსაც უზარმაზარი საზამთრო ორივე ხელით მოჰქონდა.

— ვაიმე, ეს ის ტიპი არაა? ჯიპის პატრონი? — მხარი გაჰკრა მარიკამ ეკას.

— გოგო, მართლა ისაა, სენბერნარი, — ტუჩებზე ხელი აიფარა ეკამ, — დათოს მეგობარი ყოფილა.

— გაიცანით, ეს ჩემი მეგობარია, ზაზა, — დაუძახა გოგოებს დათომ, — თქვენ არ იდარდოთ, რაღაცეები წამოვიღე თავის დაზღვევის მიზნით, ვიცოდი ამ შტერუკას ამბავი. ცოტა ხანში კიდევ ერთი მეგობარი ამოვა და სამწვადესაც ამოიტანს. მერე თამუნას მიუტრიალდა, — წამო, გადმომატანინე.

— არა, ამ ტიპს ხედავ? „ჩემი ოქრო ჩემთან“ თავისი ფეხით მოვიდა. ახლა კი ნამდვილად აღარ გავუშვებ ხელიდან, — თვალი ჩაუკრა მარიკამ ეკას.

მერე სკამიდან სწრაფად წამოხტა, სწრაფადვე მიუახლოვდა ზაზას და საზამთროს წაავლო ხელები:

— მომეცი, მე წამოვიღებ, არ გაგივარდეს.

ზაზამ შეხედა და სიცილი აუტყდა:

— აუ, ნაღდად ვერ ვიფიქრებდი, დღეს თუ ისევ შევხვდებოდით.

— მერე, შენ გგონია, ეს ცუდია? — ჰკითხა მარიკამ და თვალი თვალში გაუყარა.

— არა, რა ცუდი, უბრალოდ გამიკვირდა. საზამთროს კი ხელი გაუშვი. არ გინდა, დამიჯერე, — ურჩია მარიკას.

— მინდა, — უპასუხა მარიკამ.

— კარგი, — და ზაზამ საზამთროს სწრაფად გაუშვა ხელი.

მარიკამ მოულოდნელობისგან საზამთროს სიმძიმეს ვერ გაუძლო და ხელიდან გაუვარდა. საზამთრო მიწაზე დავარდა და ყუმბარასავით გასკდა.

— ვაიმე! — წამოიძახა ეკამ და სიცილი აუტყდა.

— აღარც საზამთრო გვაქვს, — ნაღვლიანად შეხედა თამუნამ დათოს და მასაც სიცილი აუტყდა.

— ვაჰ, რა ყოჩაღი გოგოები ხართ! — დათოსაც სიცილი აუტყდა.

— დღეს მაგარი ხიფათიანი დღეა, რა, — საზამთროსგან მოსვრილ ტანსაცმელზე დაიხედა ზაზამ და მასაც გაეცინა.

— ასეთ დღეებს ხალხი ნატრობს, — უთხრა მარიკამ, ისევ თვალებში შეხედა.

— შეიძლება, რატომაც არა, — ზაზამ უპასუხა.

„რა ჰქვია ახლა ამას, მეორე ნახვით შეყვარება? როგორ უყურებენ ერთმანეთს მონუსხულებივით, არავინ და აღარაფერი ახსოვთ, — გაეღიმა ეკას, — არა, ცოტა მეც უნდა გავაქტიურდე. ან ვინმეს უნდა ვეჩხუბო მარიკასავით, ან ყველაფერი უკუღმა გავაკეთო თამუნასავით. როდემდე უნდა ვიყო ნორმალური? მოკლედ, ველოდები დათოს მეორე მეგობარს, თორემ ამათ ჩემთვის აშკარად აღარ სცალიათ!“.

მობილურმა დარეკა, ბებია იყო.

— ჰო, ბე, თამუნასთან ვართ აგარაკზე... კი, ძალიან კარგად ვიმგზავრეთ... კი, კარგად ატარებს... არ ცივა, ბე... კი, ვეტყვი, რომ უკანა გზაზეც ფრთხილად იაროს... კი, ბე, ჭკვიანად მოვიქცევი... კი, ბე, ძალიან კარგად, ძალიან კარგად ვართ, ხომ გითხარი, მშვენიერი დღეა-მეთქი, — მოთმინებით უპასუხა ეკამ ყველა კითხვას, მერე ყურებზე ხელები აიფარა და თვალები მოჭუტა.

ყველაფერი კინოპროექტორით გაშვებულ უხმო ფილმს დაემსგავსა: ფუტკრები დამსკდარ საზამთროს დასტრიალებდნენ, ფოთლები ირხეოდნენ, თამუნა ეზოს მაგიდაზე თეფშებს ალაგებდა, დათო ეხმარებოდა, ზაზა და მარიკა კი ფირიდან ამოჭრილი უმოძრაო კადრივით იდგნენ და ერთმანეთს უყურებდნენ...

ეკამ ხელები ჩამოუშვა. მანქანის ხმა მოესმა. „როგორც ჩანს, ზაზას მეორე მეგობარი მოვიდა. რაღაც უნდა მოვიფიქრო, რომ მისი ყურადღება მივიქციო, თორემ რა ვაკეთო აქ მარტომ? ხეზე ხომ არ ავიდე? ან მეც მანქანა ხომ არ დავულეწო მარიკასავით? თუ წივილ-კივილით შევხვდე თამუნასავით? — გაიფიქრა და თავის ფიქრზე გაეცინა, — ეჰ, წავალ, შევეგებები მაინც“, — წამოდგა, გაიქცა, სიჩქარისგან ფეხი რაღაცას წამოსდო, წაიფორხილა და პირდაპირ მანქანის წინ გაიშოტა.

— რამე ხომ არ იტკინეთ? — გადმოხტა მანქანიდან დათოს მეგობარი, ეკას წამოყენება სცადა.

— ვაიმე, ფეხი! — აკივლდა ეკა, — ვაიმე, ვერ ვდგები!

— ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნება, ხელები შემომხვიეთ, — უთხრა იმან, ეკა ხელში ფრთხილად აიყვანა. ეკამ ხელები კისერზე შემოხვია, თავი მკერდზე მიადო.

„მმმ... რა სურნელი აქვს, რა მხრებიი... და თან რა თავისთავად გამოვიდა ყველაფერი, ასეთ ფინალს ვერც ვინატრებდი, მშვენიერი დღის მშვენიერ ფინალს. რა კარგია!...“

— რა მოგივიდა, რა გეტკინა? — მიცვივდნენ გოგოები.

— მგონი, ფეხი მოვიტეხე, ძალიან მტკივა, ვაიმე, როგორ მტკივა!.. — ამოიკვნესა ეკამ, მერე მეგობრებს ჩუმად ჩაუკრა თვალი და მამაკაცს უფრო მეტად მიეხუტა.

Cyan Magenta Yellow Black

გავიცნობ, ვეძებ

sms-ები გამოაგზავნეთ ოქშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადაა შაბათი, 24 აგვისტო 17 საათი.

გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის

1. ვარ 31 წლის სიმპათიური, განათლებული, მწვანეთვალება, ყოფილი სპორტსმენი, დასაქმებული მამაკაცი. გავიცნობ 45 წლამდე ლამაზ და ინტელექტუალურ ქალს. 555619588

2. გავიცნობ 25 წლის ზვითი ქალს, თუნდაც გათხოვილს, ცოტა შეძლებულს. 558192409

3. გავიცნობ გოგოს შეხვედრებისთვის, ვარ 30 წლის, თბილისიდან. 557679749

4. ვარ სიმპათიური, 29 წლის, ბათუმელი მამაკაცი, გავიცნობ აჭარაში მცხოვრებ 30-დან 45 წლამდე ქალს. 555152546

5. ვარ 29 წლის, სიმპათიური ბიჭი, შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისში მცხოვრებ 37 წლამდე მშვიდ და თბილ ქალს. 557632073

6. ვარ 35 წლის მამაკაცი, მაღალი, კარგი გარეგნობის, გავიცნობ სიმპათიურ, კარგი გარეგნობის ქალს. 514197722. კაკი

7. გავიცნობ თბილისელ ქალს სამეგობროდ. 557703081. ჯაბა

8. ვარ 27 წლის სიმპათიური ბიჭი, შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისელ, სასიამოვნო გარეგნობის 25-დან 35 წლამდე ქალს. 558585271. ნიკა

9. შეხვედრებისთვის გავიცნობ 30-40 წლამდე ქალს. 558191596

10. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისში მცხოვრებ, არამსუქან 40 წლამდე ქალს, მაქვს სამსახური. 557630647

11. გავიცნობ 35 წლამდე გოგოს, გათხოვილს ან განათხოვარს, ფარული შეხვედრებისთვის. ვარ 24 წლის. 557680923. ბუკა

12. ვარ საინტერესო მომხიბვლელი სპორტული აღნაგობის, ვიმეგობრებ 22-დან 30 წლამდე ქალთან. 593210738. დიტო

13. ვარ სიმპათიური, თბილისელი, მყავს მანქანა, შეხვედრებისთვის გავიცნობ სიმპათიურ გოგოს. 593135572. დათო

14. ვარ 35 წლის, უკომპლექსო მამაკაცი, გავიცნობ უკომპლექსო ქალს 20-35 წლამდე. 555723643

15. გავიცნობ ყველაფრით უზრუნველყოფილ ქალს. ვარ 38 წლის. 555532394

16. ნებისმიერ თემაზე სასაუბროდ და შეხვედრებისთვის გავიცნობ 28 წლამდე გოგოს. ვარ თბილისელი, 28 წლის ბიჭი. 598430663. ირაკლი

17. გავიცნობ იმერელ, მხოლოდ ქვრივ, სერიოზულ 36 წლამდე ქალს. ვარ 39 წლის, სიმპათიური მამაკაცი. დაამესიჯეთ საღამოს 5 საათამდე. 557994113. ჯონი

18. სამეგობროდ გავიცნობ 30 წლამდე ქალს. ვარ 26 წლის, თბილისელი, ვცხოვრობ მარტო, ვმუშაობ საკმაოდ კარგ ადგილას, ვარ გამხდარი, შავგვრემანი 176 სმ სიმაღლის. 557303041

19. გავიცნობ სულიერად ლამაზ, მშვიდ და თბილ ქალს. 555675264. ნიკა

20. ხანგრძლივი მეგობრობისთვის გავიცნობ 40-50 წლამდე ქალს. ვარ 57 წლის მამაკაცი. 557189058

21. გავიცნობ 35 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 25 წლის. 577311831

22. ვარ 31 წლის, შეხვედრებისთვის გავიცნობ 45 წლამდე ლამაზ ქალს. 551537929

23. სმეგობროდ გავიცნობ 40-დან 60 წლამდე ერთგულ ქალს, სასურველია მარტო ცხოვრობდეს. 557680548. ლუკა

24. ვარ 30 წლის, შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისელ, გათხოვილ 35 წლამდე ქალს, მაქვს ბინა. 593050806

25. ვარ მანქანიანი და ფინანსურად უზრუნველყოფილი, სიმპათიური 35 წლის მამაკაცი, გავიცნობ თბილისში მყოფ ლამაზ გოგონას. 557412499. ლაშა

26. ვარ 35/180/83, ევროპული სტილის, დასაქმებული, თბილისელი მამაკაცი. შეხვედრებისთვის გავიცნობ შესაფერის, თბილისელ, არაშავგვრემან ქალს. 557317378

27. ვარ 30 წლის, თბილისელი, სიმპათიური ბიჭი, შეხვედრებისთვის გავიცნობ აჭარელ ან აჭარაში მყოფ 35 წლამდე ლამაზ, ჯანმრთელ გოგოს. 593973884

28. გავიცნობ თბილისელ, გამხდარ ქალს, თბილი და სასიყვარულო ურთიერთობისთვის. ვარ 48 წლის მამაკაცი. 555854433

29. ვარ 39 წლის თბილისელი, სიმპათიური, თბილი ბუნების მამაკაცი, სამეგობროდ გავიცნობ ეკონომიურად უზრუნველყოფილ, შეხვედრის ადგილის მქონე ქალს. 557681502. გოგა

30. ვარ 29 წლის ბიჭი, გავიცნობ 40 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის. 555388051

2017

გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. ვარ 30 წლის, მაღალი, სპორტული აღნაგობის, დასაქმებული მანქანიანი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ გოგოს. 558659202

2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილი ბუნების, მარტოხელა 60 წლამდე ქალს. ვარ 50 წლის, უბინაო და უცოლშვილო მამაკაცი. 555354757

3. ვარ 31 წლის, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სიმპათიურ და თბილი ხასიათის გოგოს, სასურველია იყოს თბილისელი. 555390649

4. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ, თბილისში ბინით უზრუნველყოფილ, 42 წლამდე ქალს, თუნდაც განათხოვარს, ოღონდ შვილების გარეშე. 557409121

5. ვარ თბილისელი, სერიოზული, 40 წელს გადაცილებული ქალი, მაქვს საკუთარი ბიზნესი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 32 წლის ქალიშვილ, განათლებულ, სიმპათიურ და სერიოზულ პიროვნებას, შუამავლების გარეშე, არ ვარ პრეტენზიული. 558215498

6. ვარ 29 წლის, ცოლს გაშორებული ბიჭი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, სიმპათიურ, დასაქმებულ და ერთგულ, მოსიყვარულე გოგოს. 555020903

7. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, 28 წლამდე ქალს, ვარ თბილისელი, სიმპათიური მამაკაცი. 555552239

8. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ ან ბათუმელ ქალს, თუნდაც განათხოვარს, 30-დან 40 წლამდე, ბინით უზრუნველყოფილს. ვარ 41 წლის, დასაქმებული მამაკაცი ოზურგეთიდან. 558728712

9. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სუფთა წარსულის მქონე, სპორტული აღნაგობის, 30-დან 40 წლამდე სიმპათიურ ქალს, ქართლიდან ან თბილისიდან, ბავშვის გარეშე, თუნდაც ქვრივს. 555126468

10. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სუფთა წარსულის მქონე, 35-40 წლამდე ქალს, სასურველია ბინიანი, თუნდაც განათხოვარი. ვარ 50 წლის მამაკაცი, აჭარიდან. 555690065

11. ახალგაზრდა, სიმპათიური, თბილისელი, მარტოხელა მამაკაცი ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისში მცხოვრებ 25-დან 35 წლამდე ქალს. 558270100

12. ვარ 33 წლის, თელავიდან, ცოლს გაცილებული, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-დან 35 წლამდე ქალს, თუნდაც განათხოვარს, სუფთა წარსულის მქონეს. 551383893. ბექა

გავიცნობ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად

1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ევროპული მენტალობის მქონე მამაკაცს. ვარ 34 წლის, მყავს შვილი. 558575382

2. ვარ 43 წლის, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 55 წლამდე ინვალიდ მამაკაცს. 595540198

3. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 60-დან 62 წლამდე მამაკაცს, მატერიალურად უზრუნველყოფილს. 593908992

4. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ მხოლოდ რუსთაველ, ბინიან, მანქანიან, დასაქმებულ 40-50 წლამდე მაღალ, საიმედო მამაკაცს. 555342025

5. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 50 წლამდე მამაკაცს. 555354360

6. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ, დასაქმებულ, არამატყუარა 40-45 წლამდე მამაკაცს. ვარ 38 წლის დასაქმებული, სიმპათიური ქალი. 557686057

გავიცნობ მამაკაცს შეხვედრებისთვის

1. სამეგობროდ გავიცნობ მამაკაცს, ვინც გვერდში დამიდგება, ვარ მარტოხელა ქალი. 555613568

2. სამეგობროდ გავიცნობ წესიერ მამაკაცს. 514499559

მიყვარხარ, მენატრები

პაჩანიკა, როცა ეხლა ამას კითხულობ შენ ვერც წარმოიდგენ თითოეულ სიტყვას როგორი სიყვარული, მონატრება და ტკივილი ახლავს. კიდევ კარგი, იმედი არსებობს, თორემ ამდენს ვეღარ გადავიტანდი, თუმცა გადატანაც აღარ ქვია ამას, როცა მხოლოდ ვარსებობ. სხვა ყველაფერი ძველებურადაა, ნუ მიშლი ნერვებს და ნუ სარგებლობ ჩემი სიყვარულით, დამშვიდდი და თავს გაუფრთხილდი და ცოტა ჩემს ნერვებსაც, სხვა რამე თუ არ გაქვს გულში... მიყვარხარ და გელოდები, თუნდაც მთელი ცხოვრება. მიყვარხარ. წრიპა

თუ გსურთ, ახლობელს მიულოცოთ ხაიმე ან გაუმხიღოთ თქვენი გრძნობები ჟურნალ „სარჯის" მეშვეობით, აკრიფეთ ასო „M", შემდეგ — ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და 93887 მაგთის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარჯის" უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 24 აგვისტოს 17 საათამდე.
ერთი sms-ის ღირებულებაა 1 ლარი. წერილი, რომელიც 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული, არ დაიბეჭდება!
ერთი აბრესატისადმი მინერილი ორ ბარათზე მეტი არ დაიბეჭდება

Cyan Magenta Yellow Black

მშობიარობა 15 წუთში კოლმეურნეობის მოედანზე

„ოჯახის წევრებმა ჯერ არ იციან, რომ ბავშვი გავაჩინე“

15 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, თბილისის ცენტრში, კოლმეურნეობის მოედანზე, ქუჩაში, ქალმა იმშობიარა. 27 წლის ცისანა წიკლაურს სამშობიარო ტკივილი, როგორც ხდება ხოლმე, მოულოდნელად დაეწყო. გამვლელებმა სასწრაფო დახმარება გამოიძახეს, მაგრამ ქალმა საავადმყოფოში მისვლა ვერ მოასწრო და სასწრაფო დახმარების მანქანაშივე გააჩინა ბავშვი. მოგვიანებით ახალშობილი დედასთან ერთად წმინდა იოკიმესა და ანას სახელობის ჯანმრთელობის სამედიცინო ცენტრში გადაიყვანეს. მიუხედავად ასეთი ექსტრემალური თავგადასავლისა, დედა-შვილი თავს ნორმალურად გრძნობენ. კოლმეურნეობის მოედანზე დაბადებული გოგონა 2 კილოს და 700 გრამს იწონიდა. დედამ მას ნატალი დაარქვა.

წმინდა იოკიმესა და ანას სახელობის ცენტრში ასეთი შემთხვევა პირველი არ არის. ცენტრის გენერალურმა დირექტორმა, ვახტანგ სურგულაძემ, ჩვენთან საუბარში გაიხსენა, რომ რამდენიმე თვის წინაც ქალმა სამშობიაროში მისვლამდე, პირდაპირ მანქანაში იმშობიარა. რეგიონებში კი ასეთი შემთხვევები უფრო ხშირი ყოფილა.

ვახტანგ სურგულაძე:

— წელს, მარტის თვეში, ქალმა ჩვენი სამშობიაროს ამოსახვევში იმშობიარა მანქანაში. მეტწილად კი ასეთი განსაკუთრებული შემთხვევები რეგიონებში ხდება, რადგან იქ მცხოვრები ორსულები ვერ ასწრებენ სოფლიდან რაიონულ ცენტრში ჩასვლას. სამწუხაროდ, პროცენტულად დღეს მანქანაში მშობიარობა ხშირი მოვლენაა. ეს გაუნათლებლობის, მოუმზადებლობის ბრალია. ცუდი მაჩვენებელია, როცა მშობიარობა მანქანაში ხდება.

— როცა მანქანაში, ქუჩაში და სხვა ასეთ პირობებში ნამშობიარევ ქალს საავადმყოფო იღებს, ეს რა რისკებთან არის დაკავშირებული?

— სულ სხვაა, როდესაც მეან-გინეკოლოგი იღებს მშობიარეს და სხვაა, როცა

> **„ამ ყველაფერს პატარა გოგონა უყურებდა და კითხვებს სვამდა. აინტერესებდა, ძმა ეყოლებოდა თუ და“.**

სასწრაფოს ექიმს უწევს ქალის მშობიარობა. ამ შემთხვევაში რისკი იზრდება, შესაძლოა ახალშობილს რაიმე სახის ზიანი მიაყენონ, რადგან სასწრაფო დახმარების ექიმებს არ აქვთ შესაბამისი გამოცდილება. ამ მშობიარე ქალის შემთხვევაში, ღვთის წყალობით, ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

■

კოლმეურნეობის მოედანზე გაჩენილი ნატალის დედა, ცისანა წიკლაური, იმ დროს, როცა ტკივილები დაეწყო, სამარშრუტო ტაქსში იჯდა, თან უფროსი შვილი ახლდა, 5 წლის გოგონა. ცისანა სასწრაფოდ ჩამოვიდა ტრანსპორტიდან, გამვლელებს სასწრაფოში დარეკვა სთხოვა, ამასობაში კი წყლები დაღვარა...

ცისანა წიკლაური:

— დედასთან სტუმრად ვიყავი. შინ რომ ვბრუნდებოდი, სამარშრუტო ტაქსში დამეწყო ტკივილები. თან ჩემი უფროსი შვილი მახლდა. მობილური ტელეფონით ვერ დავრეკე, დამჯდარი იყო. მაშინვე გავაჩერე ტრანსპორტი, ჩამოვედი და გამვლელებს დახმარება ვთხოვე, მათ დარეკეს სასწრაფოში. სანამ სასწრაფო მოვიდა, კოლმეურნეობის მოედანზე სკამზე ჩამოვჯექი და იქ დავღვარე წყლები. ვიდრე სამშობიაროში მიმიყვანდნენ, სასწრაფოს მანქანაში ვიმშობიარე. მესამე შვილი გამიჩნდა. უფროსი ქალიშვილი 5 წლისაა, ბიჭი კი 2 წლის მყავს. მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

გამომდინარე იქიდან, რომ ყველაზე ახლოს ეს სამშობიარო იყო, სასწრაფო დახმარებამ აქ მომიყვანა, მადლობა პერსონალს, რომელმაც ასე კარგად მიპატრონა.

— ორსულობის ბოლო დღეებში რატომ გარისკეთ და ქუჩაში მარტო რატომ გამოსულიხარ?

— ცოტნე დადიანის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე დავდიოდი ქალთა კონსულტაციაში. იქ მითხრეს, რომ დაახლოებით 20 აგვისტოს მერე გავაჩენდი შვილს,

> **„ახალშობილს მაშინვე გაეხსნა ფილტვები, მაშინვე იტირა... ქვეყანას ძალიან ჯანმი, ჯანმრთელი ბავშვი მოევლინა“.**

ნატალი კი 15 აგვისტოს დაიბადა. მისი წონაა 2 კილო და 700 გრამი. სასწრაფოს მანქანაში ასვლის შემდეგ ნატალი ზუსტად 15 წუთში დაიბადა.

— ოჯახის წევრებმა არ გისაყვედურეს, შინდან მარტო რომ წახვედით?

— ჯერ არავინ იცის, რომ ვიმშობიარე.

— არც მეუღლემ?

— ქმარს ერთი თვის წინ გავშორდი. დედას მობილურზე ვურეკავ, მაგრამ გამორთული აქვს. სამშობიაროდან რომ გავალ, მერე გავაგებინებ ჩემი მშობიარობის ამბავს („სარკემ“ ცისანა წიკლაური 19 აგვისტოს ჩაწერა).

— გილოცავთ, ბედნიერ დედობას გისურვებთ.

■

იმ დროს, როცა ცენტრში სასწრაფო დახმარების მანქანაში ნამშობიარევი ქალი მიიყვანეს, ექიმი ლუიზა აფციაური მორიგეობდა. როგორც ექიმმა „სარკესთან“ აღნიშნა, ახალმოლოგინებულ ქალს ყველა საჭირო გამოკვლევა ჩაუტარეს და მისი მდგომარეობა სრულიად დამაკმაყოფილებელი იყო:

— ჩემი მორიგეობის საათებში სასწრაფო დახმარების მანქანამ მოიყვანა ცისანა წიკლაური, რომელმაც მანქანაში იმშობიარა. მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო. ბავშვი სასწრაფო დახმარების ექიმს ეკავა. ახალნამშობიარევი ქალი ჩავიბარეთ, ბლოკში ამოვიყვანეთ და ყველა საჭირო გამოკვლევა ჩაუტარდა. მისი მდგომარეობა შეფასდა, როგორც დამაკმაყოფილებელი. იგივე შემიძლია ვთქვა ახალშობილზე. ლოგინობის ხანა გართულების გარეშე წარიმართა. ხედავთ, რომ დედაც და ახალშობილიც თავს კარგად გრძნობენ. ეს ცისანა წიკლაურისთვის მესამე მშობიარობა იყო და ფიზიოლოგიური პროცესი სწრაფად განვითარდა.

■ ცისანა წიკლაური ნატალისთან ერთად

■

„სარკემ“ სასწრაფო დახმარების ის გუნდი მოიძია (ბრიგადა 10-12), რომელმაც ქუჩაში მშობიარე ქალს მიუსწრო. იმ დღეს ექიმები **მაია ყურაშვილი** და **დიანა ხურცილავა** მორიგეობდნენ.

— ქალბატონო მაია, გამოძახებაზე მისულებს რა სურათი დაგხვედათ?

— ახალგაზრდა ქალი კოლმეურნეობის მოედანზე სკამზე იჯდა, თან 4-5 წლის გოგონა ახლდა. მშობიარობა უკვე დაწყებული იყო გაუსაძლისი ტკივილებით, სანაყოფო წყლები დაღვრილი ჰქონდა. სასწრაფოს მანქანაში შევიყვანეთ და სტაციონარი შევათანხმეთ. ტრანსპორტირების დროს ტკივილებს შორის ინტერვალმა იკლო. მანქანა გავაჩერეთ და ვამშობიარეთ. პირადად ჩემთვის ეს მეორე შემთხვევაა, როცა ქალი სასწრაფოს მანქანაში ვამშობიარე. ორივე შემთხვევაში ყველაფერი კარგად დასრულდა. ბავშვი დაახლოებით 7 საათზე დაიბადა.

— სასწრაფო დახმარების მანქანა მშობიარობისთვის თითქმის საუკეთესო პირობებსა. არ გაგიჭირდათ სათანადო დახმარების აღმოჩენა?

— ამ მხრივ არ გაგვჭირვებია, ფიზიოლოგიურმა პროცესმა ძალიან კარგად ჩაიარა. ამ ყველაფერს პატარა გოგონა უყურებდა და კითხვებს სვამდა. აინტერესებდა, ძმა ეყოლებოდა თუ და. დიდ

> **„ჰოსპიტალურად დღეს მანქანაში მშობიარობა ხშირი მოვლენაა. ეს გაუნათლებლობის, მოუმზადებლობის ბრალია. ცუდი მაჩვენებელია, როცა მშობიარობა მანქანაში ხდება“.**

ემოციებში იყო. რასაკვირველია, სასურველია, ქალმა სტაციონარში იმშობიაროს, მაგრამ ამ შემთხვევაში ხელი არაფერს შეუშლია. მსგავს პირობებში მშობიარობის მიღება ორმაგი პასუხისმგებლობაა.

— ჭიპლარის გადაჭრა, ბავშვის გადასვლა — ეს თქვენ გააკეთეთ თუ უკვე სტაციონარში მისულეს ამ ყველაფერს?

— რასაკვირველია, ეს ყველაფერი სასწრაფო დახმარების მანქანაში გავაკეთეთ. ახალშობილს მაშინვე გაეხსნა ფილტვები, მაშინვე იტირა... ძალიან ბედნიერები ვართ, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა. ის ემოცია დღემდე მოგვყვება, ქვეყანას ძალიან კარგი, ჯანმრთელი ახალშობილი მოევლინა.

✓ ლანა კიკნაძე

Cyan Magenta Yellow Black

უბრალოება და თავმდაბლობა არასოდეს რჩება შეუმჩნეველი, უფალი მას ყოველთვის ამჩნევს

ხსენება წმინდისა ლეონტი იერუსალიმელისა (იერუსალიმის პატრიარქის)

დასაწყისი №33-ში

ჟაშინ ისევ ჰკითხა მამა ანტონმა: „რას ნიშნავს ეს ყოველივე, ღირსო მამაო?“ რაზეც წმინდა მამამ უპასუხა: „ზეციურმა მამამ ღირსმყო და დამადგინა პატრიარქად“. რაზეც ისევ იკითხა მამა ანტონმა: „რომელი ტახტისთვის გამოგარჩია ყოვლადმოწყალე ღმერთმა, ღირსო მამაო?“, „იმას ვხედავ, რომ პატრიარქის ტახტის მემკვიდრედ შევიქენი, ხოლო უფლისგან დანამდვილებით ჯერ არაფერი ვიცი, გამოცხადებით თუ რომელ საპატრიარქოში დამადგენს“.

ამ საუბრიდან მალე იმპერატორის გადაწყვეტილებით ღირსი ლეონტი გამორჩეულ იქნა იერუსალიმის პატრიარქის ტახტის მემკვიდრედ. როცა წმინდანმა დატოვა კონსტანტინეპოლი და გაემგზავრა იერუსალიმში, გზად შეჩერდა პატმოსზე თავის მონასტერში, რათა დაობლებული მონასტრისთვის იღუმენი დაედგინა საწინამძღვროდ. გამოარჩია მამა ანტონი, რომელიც წარუდგინა საძმოს და დაადგინა მონასტრის ახალ წინამძღვრად. ორი დღე თვითონაც დარჩა მონასტერში, რის შემდგომაც გამოემშვიდობა ყველას და თვალცრემლიანი დაადგა იერუსალიმის გზას.

მაშინ გაახსენდა ყველას წმინდა მამის ნათქვამი, როცა აიძულებდნენ, წასულიყო იმპერატორთან და მოეხსენებინა მისი უდიდებულესობისთვის მონასტრის აუცილებლობების შესახებ, რაზეც წმინდა მამამ უპასუხა, ნუ მაიძულებთ კონსტანტინეპოლში წასვლას, რადგან მონასტერში მხოლოდ გავლილს, გზად მიმავალს მნახავთ რამდენიმე დღითო.

გზად მიმავალ წმინდანს კუნძულ როდოსზე გაჩერება მოუხდა, საიდანაც შეუძლებელი გახდა გზის გაგრძელება — ზამთარმა მოუსწრო და სათანადოდ მზად არ აღმოჩნდა. შეუთვალა მამა ანტონს, იქნებ როდოსზე ჩამოსულიყო და მისთვის აუცილებელი ჩასაცმელი და საკვები ჩამოეტანა. მამა ანტონმაც, როგორც კი შეიტყო, რომ მოძღვარს დახმარება ესაჭიროებოდა, მაშინვე შეიძინა წმინდა მამისთვის აუცილებელი ნივთები და დაადგა გემით როდოსისკენ გზას.

გზაში ამოვარდნილმა ძლიერმა ქარმა იმის ნაცვლად, რომ როდოსზე მიეყვანა, სხვა მიმართულებით აიძულა გემს მოძრაობა. მამა ანტონს და თანმხლებ პირებს ისღა დარჩენოდათ, შემწეობა ეთხოვათ ღვთისთვის წმინდა ლეონტის მეოხებით, რომელიც მოუთმენლად ელოდებოდა როდოსზე. სასწაულმაც არ დააყოვნა, ლოცვის დამთავრებისთანავე შეწყდა ქარი და მშვიდი სვლით მიადგა როდოსს მათი გემი. წმინდა მამამ მაშინვე გაგზავნა თავისი თანმხლები პირები ნავსადგურში და უთხრა მათ, იქ გელოდებიან ჩემთვის საჭირო ნივთებით და ახლავე აქ მოიყვანეთო.

მიადგა ნავსადგურს გემი და ის-ის იყო, ღუზა ჩაუშვეს და გადმოსვლას აპირებდნენ, რომ მივიდნენ წმინდანის მიერ გაგზავნილები და მოახსენეს წმინდა ლეონტის წინასწარ ჭვრეტის ამბავი, რომელმაც იგრძნო წმინდა სულის ძალისხმევით მათი მისვლა ნავსადგურში.

გაზაფხულის დადგომისთანავე წმინდანი კვიპროსს ეწვია და იქ იერუსალიმის საპატრიარქო წარმომადგენლობაში შეჩერდა რამდენიმე ხნით, რადგან იყო ტრადიცია, რომ ყველა საპატრიარქო კანდიდატი ცოტა ხნით უნდა შეჩერებულიყო და ამ მონასტერში ეცხოვრა, რომელიც იერუსალიმის საპატრიარქოს იურისდიქციაში იმყოფებოდა.

ამ მონასტერში ირიცხებოდა ორი ბერი, რომლებიც სიძვის ცოდვით იყვნენ შეპყრობილები და მონასტერში ცხოვრების ნაცვლად ქალებთან ათენებდნენ ღამეებს. წმინდანმა ისინი მკაცრად გააფრთხილა, შეინანეთ თქვენი შეცოდება, რომ სასჯელი არ მიიღოთო. ბერებმა არ შეინანეს, რაზეც წმინდა მამამ უთხრა, ყურადღებით იყავით, მოუნანიებლად არ გახვიდეთ წუთისოფლიდანო. მართლაც, რამდენიმე დღეში ორივე ბერი მოულოდნელად, თანაც ერთდროულად გარდაიცვალა ყოველგვარი ავადმყოფობისა და წინაპირობების გარეშე.

იყო კიდევ ერთი შემთხვევა, როცა კვიპროსში ჩასულ წმინდა მამას დაუმეგობრდა ერთი ადგილობრივი ბერი, სახელად იოანე, რომელიც შეპყრობილი იყო სიძვის ცოდვით და მიუხედავად წმინდა მამასთან მეგობრობისა, მაინც არ უმხელდა და არც ცოდვას ანებებდა თავს. წმინდა ლეონტის არ გამოპარვია იოანეს ეს საქციელი და მოუწოდა, გამოსწორებულიყო, მაგრამ ამაოდ. მაშინ წმინდანმა უწინასწარმეტყველა საშინელი სამსჯავრო იმ უზნეობისთვის, რასაც ჩადიოდა. პირველად დაბრმავდა სრულიად მოულოდნელად, ექვსი დღის შემდეგ კი მოუნანიებელი გარდაიცვალა.

ერთი შემთხვევა, რომელსაც მემატიანე აღწერს, იყო შემდეგი: ეგრეთ წოდებული შემოსავლების სამსახურის უფროსმა, სახელად კირიაკოსმა, მიითვისა კუნძულ კვიპროსისთვის გამოყოფილი იერუსალიმის საპატრიარქოს კუთვნილი შემოწირულობა. წმინდა მამა ცდილობდა, სულგრძელი და მიმტევებელი ყოფილიყო მომხდარის გამო და შეძლებისდაგვარად ახერხებდა კიდეც ამას, მაგრამ უხსენებელ ბოროტს არ ახარებდა წმინდა მამის სულგრძელობა და განიზრახა, მისთვის განსაცდელი მოეწყო.

წმინდანთან კირიაკოსის ქვეშევრდომი, სახელად ტრიანდაფილოსი მივიდა და მოსთხოვა, საპატრიარქოში არსებული უძრავი ქონების გადასახადი სრულად დაეფარა, სხვაგვარად მძიმე შედეგებით დასრულდებოდა მათი ურთიერთობა, როგორც პირადად მისთვის, ასევე იმ ადამიანებისთვისაც, ვისაც კი რამე ვალდებულება ეკისრათ მთლიანად საპატრიარქოში.

მართლაც, დაგეგმა ტრიანდაფილოსმა სხვადასხვა მზაკვრული მოქმედებები წმინდა მამის და ზოგადად საპატრიარქოს წინააღმდეგ და სასწაულმაც არ დააყოვნა, ორივე თვალით დაბრმავდა. მოგვიანებით მიხვდა მიზეზს და გადაწყვიტა, მონანული მუხლებში ჩავარდნოდა წმინდანს და პატიება ეთხოვა მისთვის მომხდარის გამო. ილოცა წმინდანმა და მისი ლოცვით უფალმა კვლავ დაუბრუნა თვალისჩინი ტრიანდაფილოსს.

ეს და კიდევ უამრავი ამის მსგავსი სასწაული ჩვეულებრივი მოვლენა იყო წმინდა მამის ცხოვრებაში. ვიდრე გარდაიცვლებოდა, წმინდანი კვიპროსში მიიწვიეს წირვის აღსასრულებლად. იქ ჩასულს იმდენი ხალხი დახვდა, რომ მოძრაობა შეუძლებელი იყო მთლიანად კუნძულზე. ყველას უნდოდა, ახლოს ენახა, გასაუბრებოდა წმინდანს, მაგრამ არსებობდნენ ისეთებიც, ვისაც მისი ასეთი პოპულარობა აღიზიანებდა და არ სიამოვნებდა, რადგან ხშირად მღვდელთმთავრებს თავიანთი უღირსი საქციელის გამო წინასწარ-ჭვრეტის უნარით რჩევა-დარიგებებსაც კი აძლევდა, ხანაც უწყრებოდა კიდეც და შენიშვნას მისცემდა ხოლმე.

ერთმა ასეთმა შეურაცხყოფილმა და განაწყენებულმა მღვდელმთავარმა ხალხი მოისყიდა წმინდა ლეონტის მოსაკლავად. როცა ღამით მივიდნენ წმინდა მამის საცხოვრებელში, შესასვლელი ვერსად იპოვეს. თვით უფალმა მოაწყო ისე, რომ ყველა მათგანს გონების თვალი დახშული ჰქონდა, არ მიეცათ ძალა ბოროტების აღსასრულებლად და ისე დაბრუნდნენ შემკვეთთან, რომ ვერაფერი გააწყვეს წმინდა მამის წინააღმდეგ.

ეს ამბავი მივიდა თვით იმპერატორის ყურამდე, რომელმაც დაიბარა წმინდანი და სთხოვა, რაც სურდა, შეუსრულებდა სამეფოსა და მისი ოჯახის კომნინოსების საგვარეულოს საკეთილდღეოდ. წმინდა ლეონტიმ, როგორც წესი, არაფერი ისურვა იმპერატორისაგან, რამაც კიდევ უფრო აღამაღლა მისი ავტორიტეტი სამეფო კარზე.

ემანუელ კომნინოსის შემდგომ იმპერიას ახალი მმართველი გამოუჩნდა, ეს იყო ემანუელის ბიძაშვილი ანდრონიკე კომნინოსი, რომელსაც საერთოდ არ იცნობდა წმინდანი. როცა მამა ანტონმა სთხოვა წმინდანს, პატმოსის მონასტრის საკეთილდღეოდ ეშუამდგომლა იმპერატორთან, წმინდა მამისგან შემდეგი პასუხი მიიღო: „რას ამბობ, ანტონი, ის, რასაც ვაშენებ ბავშვობიდან, გინდა, ამ სიბერეში ერთი ხელის მოსმით დავანგრიო და გავანადგურო და შეურაცხვყო ღმერთიც და მისი რჯულიც შენი მონასტრისთვის? ახლავე გამშორდი, რადგან არასდროს არც ჩემთვის და არც სხვისთვის მეფეს არ შევაწუხებ ხორციელი და მიწიერი, მშვენიერი ამაოებისთვის, არამედ მეფე ყოველთვის იყო, არის და იქნება მშვენიერზე, ხორციელზე აღმატებული. ის არის უკვდავი ღმერთის სახე მშვენიერ, მიწიერ წუთისოფელში“.

ამის გამგონე მამა ანტონი, რომელიც არ ელოდა ამგვარ პასუხს, შეწუხდა უზომოდ, რაზეც მიუგო ისევ თვითონ წმინდანმა: „რატომ დაღონდი, ანტონი, არ ელოდი ჩემგან ასეთ პასუხს? ჩემი და მეფის ამქვეყნიდან წასვლის შემდგომ მოგვარდება ეგ სათხოვარი, რომელსაც ახლა ითხოვ, — და ისევ თვითონვე უპასუხა, — ჩემი არ გჯერა,

Cyan Magenta Yellow Black

ანტონი? წმინდა სულის ძალით და მადლით გაუწყებ, რომ ყოველივე მოგვარდება, ოღონდ შენი სარწმუნოების შესაბამისად, როცა შენ თვითონ იქნები მზად ამისთვის“.

ამ პასუხით წმინდანმა განკურნა და უფრო მეტად დააფიქრა თავისი სულიერი შვილი ანტონი, რომელიც მხოლოდ ხორციელი საზრუნავით იყო დაკავებული, ამქვეყნიური საქმეებით იმდენად იყო აფორიაქებული, რომ სულიერად აღარც კი შეეძლო არც ლაპარაკი, არც ტრაპეზზე ჯდომა და წმინდა მამათა ცხოვრების მოსმენა. წმინდა ლეონტის პირით კი ეუწყა ის უმთავრესი, რაც დაკარგული ჰქონდა და აუცილებლად სჭირდებოდა.

მიწიერმა საზრუნავმა შეიწირა მამა ანტონის ჯანმრთელობაც, რომელიც დღითიდღე სავალალო და საგანგაშო ხდებოდა. დაიბარა წმინდა პატრიარქმა მამა ანტონი და უთხრა, ვუგალობოთ ჩვენ უფალს და თვითონ იზრუნებს შენს როგორც სულიერ, ასევე ხორციელ ჯანმრთელობაზეო. ასე განიკურნა სრულიად მამა ანტონი წმინდა ლეონტის ლოცვით. უამბო უამრავი რამ თავისი განვლილი ცხოვრებიდან მამა ანტონს, რომლისგანაც შემოგვრჩა კიდევ ბევრი რამ წმინდა მამის ცხოვრების შესახებ.

ერთხელ ანტიოქიის პატრიარქი კირილე თავის ბოლო დღეებს ითვლიდა და უამრავი ხალხი მიდიოდა მასთან გამოსამშვიდობებლად. მათ შორის მივიდნენ კონსტანტინეპოლის პატრიარქი თეოდოსი და იერუსალიმის წმინდა პატრიარქი ლეონტი, რომელთაც გულისხმა ჰყვეს, თუ რა მოემოქმედათ პატრიარქ კირილეს სულის და ხორცის მშვიდობიანი გაყრისთვის.

წმინდა ლეონტიმ მიუგო პატრიარქ თეოდოსის, შენ, ძმაო, უპირატესი ტახტის მემკვიდრე ხარ და შენვე გეკუთვნის უმთავრესი სიტყვა ღვთის წინაშეო. თეოდოსიმ იცოდა წმინდა ლეონტის კეთილშობილების და სიწმინდის ამბავი და მასვე მისცა პირველი სიტყვა ღვთის წინაშე. მართლაც, ილოცა წმინდანმა ღვთის სულის წინაშე, გადასახა ჯვარი კირილეს სხეულს და დაემორჩილა ღვთის სული, რომელიც მშვიდობით გასცილდა კირილეს ცხედარს. ეს სასწაული იხილა უამრავმა ადამიანმა, რომლებიც აქებდნენ და ადიდებდნენ უფალს.

ერთხელ თვით წმინდანი შეიქნა შეუძლოდ, იმდენად, რომ მხოლოდ ხმის ამოღებაღა შეეძლო. მიუგო თავის მორჩილს, სახელად ევლოგიოსს: „რას იტყვი, ევლოგი, ველარ შევძლებთ კვიპროსზე გამგზავრებას, რათა მოვინახულოთ მაცხოვრის საფლავის მეტოქეონი, რომელიც გაგვაჩნია კუნძულზე?“. ევლოგიმ არაფერი უპასუხა, გულში კი გაიფიქრა, ნუთუ ვერ ხედავს ეს კაცი, რომ აღარ არის, რაღა კვიპროსზე წასვლა და მაცხოვრის საფლავის მეტოქეონის მონახულების დრო არისო.

ამ დროს ისევ წმინდა მამამ უთხრა: „შენ გგონია, ევლოგი, არ ვიცი, რასაც ფიქრობ ჩემზე, რომ ვარ მოხუცი, ავადმყოფი, ცალი ფეხი საფლავში მაქვს, ნეტა, როგორ შევძლებ კვიპროსზე გამგზავრებას, არა, ევლოგი? ნურასოდეს დაიჯერებ, რომ ვერ შევნიშნავ, რასაც ფიქრობ გულში“. ეს იყო პასუხი ევლოგიოსის ნაფიქრალზე. ამის გამგონე ევლოგიოსი გაოცებული აკვირდებოდა მოხუცს და ადიდებდა უფალს მომხდარის გამო.

ამგვარი ფაქტები უთვალავია წმინდანის ცხოვრებაში და ყველაფერი კიდევ არც არის ცნობილი, ხოლო რაც ცნობილია, იმ ყველაფრის მოყოლა შეუძლებელია. უმჯობესია, დასასრულისკენ წავიდეთ, რათა მოსაწყენი არ გახდეს მავანთათვის წმინდა მამის ცხოვრების ამსახველი ფაქტები.

როცა შესრულდა პატრიარქობის ცამეტი წელი და ექვსი თვე, წინასწარმეტყველების შესაბამისად, ცუდად შეიქნა წმინდა მამა და დაიწყო გამომშვიდობება ყველასთან, რათა მშვიდობით მიახლებოდა უფალს, რომელთან შეხვედრასაც მიესწრაფვოდა მთელი ცხოვრება. ადამიანები მოთქვამდნენ წმინდა მამასთან განშორებას და იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ნუგეშს ვერ პოულობდნენ. წმინდა მამის წმინდა ნაწილები ხისგან დამზადებულ ლუსკუმაში ჩაასვენეს და იმპერატორის ბრძანებით პატივისცემის ნიშნად კონსტანტინეპოლში გადაასვენეს მთავარანგელოზ მიქაელის ტაძარში. მთლიანად კონსტანტინეპოლის სამღვდელოებამ ხალხთან ერთად გალობით შემოატარა ქალაქს.

ევლოგიოსი და მასთან ერთად კიდევ ბერები, რომლებიც წმინდა ლეონტის მოწაფეები იყვნენ, ცდილობდნენ, მხატვრებთან ერთად ისტორიისთვის შემოენახათ წმინდა მამის ნამდვილი სურათი, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ამით კიდევ ერთხელ გარდაცვალების შემდგომაც გვიჩვენა თავმდაბლობის და უბრალოების მაგალითი. მეფე ანდრონიკემ შეიტყო რა წმინდა მამის მოღვაწეობის ამბავი, მაშინვე ბრძანა, ხის ლუსკუმა მეტალით და ძვირფასი თვლებით გაემდიდრებინათ, რასაც იმსახურებდა ღირსი ლეონტი.

ეს იყო მოკლედ, რაც შეიძლებოდა გვეთქვა ისეთი მამის შესახებ, როგორიც არის წმინდა ლეონტი იერუსალიმის პატრიარქი, მფარველი და მეოხი სულთა ჩვენთა. სახელითა მამისათა, და ძისათა, და წმინდისა სულისათა, ამინ!

✓ **ქრისტესმიერი სიყვარულით, პროტოდიაკონი მირიანი. ამინ!**

„ვინც მოთმინებას გაურბის, ის ცხოვნებასაც გაურბის“

ბოროტება ადამიანის პიროვნული არჩევანია. მისი მიღება მხოლოდ საკუთარი ნებით ხდება. ღვთისგან დაუშვებელია ბოროტების ზემოქმედება ადამიანის სურვილის გარეშე. სამყარო კი ბოროტებითაა აღსავსე. ყოველდღიურად ვხვდებით მის გამოვლინებას სხვადასხვა სახით. ხშირად ვსვამთ კითხვებს — რატომ ხდება დანაშაული? სად არის ღმერთი ამ დროს?.. ადამიანებს გვაქვს ყველაზე დიდი ჯილდო, რაც დედამიწაზე სხვა ცოცხალ არსებებს არ გააჩნიათ, ეს არის გონი და თავისუფალი ნება და მათი საშუალებით ვირჩევთ ან სიკეთეს, ან ბოროტებას; ან ღმერთს, ან უღმერთობას. და როგორ შეიძლება ბოროტების წინააღმდეგ ვიბრძოლოთ? მხოლოდ და მხოლოდ მოთმინებით. ამ საკითხზე ვრცლად იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი, **მამა გიორგი** (სხირტლაძე) გვესაუბრება.

— მამაო, რა არის ბოროტება?

— ბოროტება სიკეთის ნაკლებობაა. სხვადასხვა რელიგიური წარმოდგენებით, სამყაროს დუალური საწყისი აქვს — სიკეთისა და ბოროტების, სინათლისა და სიბნელის. ასეთი წარმოდგენები სულიერი ბრძოლის ნიადაგზე წარმოიშვა, თუმცა მეტად არასწორი და არამართებულია. საინტერესოა, რომ თვით მატერიალურ სამყაროში ბოროტი-ბნელი ნაწილაკები არ არსებობს. არის ცოცხალი და მკვდარი ელემენტები. ფიზიკაში ნეგატიური ენერგია არ არსებობს. სამყაროს ერთი საწყისი აქვს — სიკეთე.

ბოროტების წარმოშობა ბიბლიურ თხრობაშია მოცემული. იგი ანგელოზის დაცემასთანაა დაკავშირებული. ფუჭმეტყველების თავიდან ასაცილებლად წმინდა იოანე დამასკელის სწავლებას მოვიტან, რაც თქვენს კითხვაზე ყველაზე ნათლად გასცემს პასუხს: „იყო რა კეთილი, შექმნილი სიკეთისთვის და შემოქმედისგან უკეთურების არანაირი ნაკვალევის არმქონე თავის თავში, ვერ გახდა დამტევი იმ ნათელმოსილებისა და პატივისა, რაც მიენიჭა შემოქმედისგან, არამედ თვითუფლებრივი არჩევანით მიიქცა იგი ბუნებისეულისგან არაბუნებისეულისკენ, თავი აიმაღლა მისი შემქმნელი ღვთის წინააღმდეგ, განიზრახა რა მისდამი დაპირისპირება, და იგი, პირველი განდგომილი სიკეთისგან, ბოროტებაში ჩავარდა, რადგან ბოროტება სხვა არაფერია, თუ არა სიკეთის ნაკლებობა, ისევე, როგორც სიბნელე ნაკლებობაა სინათლისა. სიკეთე გონისეული სინათლეა. მსგავსადვე, ბოროტება გონისეული სიბნელეა. ღვთისგან სწორედ სინათლე შეიქმნა და შეიქმნა, როგორც კეთილი, რადგან „ნახა ღმერთმა ყოველივე, რაც ქმნა, და აჰა — კარგი ძალიან“.

თვითუფლებრივი ნებით სიბნელე გახდა იგი, რომელთან ერთად გამოცალკევდა აგრეთვე (რადგან თან გაჰყვა მას) და მასთან თანადაეცა ანგელოზთა უსასრულო სიმრავლე. ამრიგად, იყვნენ რა იმავე ანგელოზთა ბუნებისა, ბოროტნი გახდნენ ისინი, რადგან არჩევანი კეთილისგან ბოროტისაკენ მიდრიკეს ნებსით.

ბოროტების დაშვება მოაზროვნე არსებათა (ანგელოზთა და კაცთა) თავისუფალი ნების არჩევანითაა განპირობებული. მათ პირადი ნებით დაიცარიელეს ღვთისგან თავი, რამაც მათში სიკეთის ნაკლებობა გამოიწვია. ანგელოზებმა შეგნებული ქმედებით აირჩიეს ის და სამუდამოდ მიიდრიკნენ, ადამიანები — მოტყუებისა და ურჩობა-ურწმუნოების შედეგად, ამიტომ მათ კვლავ არჩევანის საშუალება მიეცათ.

ადამიანმა ურჩობა-ცდომით ნაადრევად, მოუმწიფებლად →74

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

■ მამა გიორგი

სცადა ხე ცნობადის ნაყოფის მიღება, როდესაც მან ეჭვი შეიტანა საღვთო სიტყვებში — „ხიდან კეთილისა და ბოროტის შემეცნებისა არ ჭამოთ, რადგან რომელ დღესაც შეჭამთ მისგან, სიკვდილით მოკვდებით“.

იოანე დამასკელი აღნიშნავს: „ბოროტება გონისეული სიბნელეა“. ადამის შემდგომი ნაბიჯები დაბნელებული გონების ნაყოფი იყო. ბოროტება, ანუ ცდომა, გეომეტრიული პროგრესიით იზრდებოდა. ღვთის მცდელობის მიუხედავად, ადამი მას უფრო და უფრო სცილდებოდა. ამან განაპირობა ღვთისა და კაცის დროებით დაშორება, რათა მისი ნაკლებობის განცდით პირადი სურვილის ხარჯზე კვლავ შეძენის სურვილი გასჩენოდა. მან ცნობადი ხის ნაყოფი პირადი თავისუფალი ნებით იგემა. ამის შემდგომ მას ორი მდგომარეობის შედარებით კვლავ არჩევანის საშუალება მიეცა. „აჰა, ადამი გახდა, როგორც ერთი ჩვენგანი, შემცნობელი კეთილისა და ბოროტისა“.

უნდა აღვნიშნოთ, რომ პირადი არჩევანის გარეშე ბოროტება პასიური ხდება, კარგავს თავის არსებობას, პიროვნების სურვილის გარეშე ბოროტი ვერაფერს გახდება. ასევე, შემოქმედს არ სურს თავისი ქმნილების ლიკვიდირება, თუნდაც ბოროტების სახემიღებულისა. ისინი მან უკვდავ სულებად, თავის ხატად შექმნა.

ღვთის შეცნობით საკუთარ თავს შევიცნობთ. შემეცნების გზაზე ადამიანი იწყებს სიბნელიდან სინათლისკენ სვლას. რამდენადაც სიბნელე-ბოროტებაში შესვლა ღვთისადმი უნდობლობამ და ურჩობამ გამოიწვია, ამდენად შემოქმედისადმი რწმენა-ნდობა და მისი ცნებების მორჩილება-გათავისებით საწყის წიაღში ვბრუნდებით.

ღვთის იმედი და სურვილი, ვიყოთ ღვთისმოსავები, გვეხმარება ბოროტთან ბრძოლაში, რომელიც ხშირად რთულია. ბევრ ცხოვრებისეულ სიძნელეს შეიცავს, როგორიცაა დამცირება, მწუხარება თუ შეურაცხყოფა, მაგრამ მათი უდრტვინველად დათმენა ბოროტის ძლევის და ღვთისკენ მიმავალ გზაზე შეუდრეკლად სიარულის საშუალებაა.

— რიგორ აკეტანით წყენა, დამცირება, შეურაცხყოფა? რა სარგებლობას მოგკეტანს სიცოცხლეში დათმენილი მწუხარება?

— წმინდა მარკოზ მონაზონი ამბობს: „კაცთაგან ლანძღვა გულს მწუხარებით აღავსებს, მაგრამ მომთმენთათვის ის სიწმინდის მიზეზია“. წმიდა იოანე ოქროპირის აზრით: „არაფერი ისე არ შეაჩერებს მაწყინარს, როგორც მოკრძალებული მოთმინება იმისგან, ვისაც აწყენინა. უმჯობესია, ბოროტება დაითმინო, ვიდრე ბოროტების მიზეზი იყო; უმჯობესია, იყო მსხვერპლი, ვიდრე ბოროტმოქმედი“.

საინტერესოა, რას ამბობს მოთმინების შესახებ დიდი შოთა რუსთველი: „იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა, ვინცა ეცდების, თმობაცა ჰქონდა მრავალთა წყენათა“. ასე რომ, როგორც წმიდა მამები ამბობენ, თუ მოთმინება არ გვსურს, გვირგვინი არ გვდომებია. ვინც მოთმინებას გაურბის, ის ცხონებას გაურბის.

როცა უსამართლოდ შეურაცხგვყოფენ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავფიქრდეთ, თუ ვინ და რანი ვართ, რისთვის ვართ მოვლენილნი ამ წუთისოფელში. ჩვენ ხომ ის ადამიანები ვართ, ვინც ბოლომდე გამოსცალა ამსოფლიური ცოდვის „ტკბილი“ ფიალა. „ყოველი ცოდვა ვქმენით, ყოველი არაწმინდებაი გამოვისახეთ სულსა შინა თვისთა, ხოლო საქმითაცა ვქმენით სიძვაი, მრუშებაი, ამპარტავნებაი“,

„ჰოგორია ადამიანი, ჰომელსაც მოთმინება აჰ გააჩნია? საწყალობელი. მისი გული იმდენადაა გაუხეშებული, დასნეულებული და ამპჰარტავნებით დაბნელებული, ჰომ მასში აღაჰ აღნევს საღმჰთო ნათელი. ამას ჯი საბოლოოდ სასოწარჰკვეთამდე მიჰყავს იგი. ასეთი ადამიანი ტვიჰთად აწევს ოჯახს, საზოგადოებას. თავადაც დაბჰკოლებულია და სხვებსაც აბჰკოლებს ცათა სასუფევლისაჯენ მიმავალ გზაზე“.

თუმცა უფალმა თავისი უმწვერვალესი სათნოებისა გამო დაიდუმა, არ მოგვაგო ბოროტი ბოროტისა წილ, არ მიგვცა წარწყმედად უსჯულოებათა თანა ჩვენთა, მარადის მომლოდინელმან ჩვენი მოქცევისა. უფრო მეტიც, მან, უცოდველმან, ჩვენთვის, ცოდვილთათვის, ჯვარცმა ინება, მართალი ცრუთათვის ევნო, ჩვენთვის გინება, ყვედრება და შეურაცხყოფა დაითმინა. ჩვენ კი უმცირესი შეურაცხყოფის დათმენაც კი არ გვინდა. უნდა გვახსოვდეს, ვინც ღვთის სასოებითა და მადლობით ითმენს განსაცდელსა თუ ყვედრებას, ის მოწამეობრივ გვირგვინს იდგამს და ცოდვებისაგან იწმინდება.

როგორია ადამიანი, რომელსაც მოთმინება არ გააჩნია? საწყალობელი. მისი გული იმდენადაა გაუხეშებული, დასნეულებული და ამპარტავნებით დაბნელებული, რომ მასში აღარ აღწევს საღმრთო ნათელი. ყოველივე ამას კი საბოლოოდ სასოწარკვეთამდე მიჰყავს იგი. ასეთი ადამიანი ტვირთად აწევს ოჯახს, საზოგადოებას. თავადაც დაბრკოლებულია და სხვებსაც აბრკოლებს ცათა სასუფევლისაკენ მიმავალ გზაზე.

— რიგორ შეკინარჩენით მოთმინება, თუ უფალი წყალობის გარეშე გვტოვებს?

— უფალი ყოველ წუთსა და წამს გვაჯილდოებს უხვი წყალობით. საკითხის ასე დასმა მართებული არ არის. მას შემდეგ, რაც უფალმა არარსებობიდან არსებობაში შემოგვიყვანა, იგი ისე წარმართავს ჩვენი ცხოვრების თითოეულ წამს, რომ რაც შეიძლება უმტკივნეულოდ შეძლოს ადამიანმა წუთისოფლიდან მარადიულ სასუფეველში დავანება. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ ხანდახან ადამიანი ითხოვს რამეს ღვთისაგან და უფალი თითქოს მას „არ უსმენს“, ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენი სათხოვარი ან არ არის სულისთვის სასარგებლო, ან არასწორად ვითხოვთ, ან ჩვენი რწმენა იმდენად სუსტი და არაჯანსაღია, რომ საშუალებას არ გვაძლევს, უფალთან ცოცხალი (ცხოველი) ურთიერთობა ვიქონიოთ. ამიტომ, როცა ქრისტიანული სარწმუნოების შინაარსს ღრმად ჩავწვდებით, ჭეშმარიტ მოთმინებასაც უმალ მოვიპოვებთ.

— რას ნიშნავს ღვთის იმედი და შიში? რიგორ შეიძლება ის გეკეთებოდეს ვინცა გეშინია?

— ღვთის შიში ძალიან დიდი სათნოებაა. მართალია, ზოგადად შიში ნეგატიურ განცდებთან არის დაკავშირებული, მაგრამ მისი საშუალებით დიდი სიკეთის მიღება შეგვიძლია. მაგალითად, კანონისა და მსჯავრის შიშით ბევრი ბოროტება აღიკვეთება. წმიდა წერილი გვასწავლის: „დასაბამი სიბრძნისა შიში უფლისაი“. ე.ი. სულიერი სიბრძნის შეძენას ღვთის შიში განაპირობებს. სიბრძნის გამოხატულების პირველი ნიშანი ცოდვის მანკიერებაზე, მათ გამო ღვთის წინაშე პასუხისგებასა და მარადიულ სატანჯველზე დაფიქრებაა.

სატანჯველის შიში ბოროტებას განგვარიდებს და ეკლესიურ ცხოვრებას გვავალდებულებს. ღვთის შიში ღვთისკენ სავალი გზის საწყისია, რაც ღმერთისთვის მოსაწონი მდგომარეობაა, მაგრამ არა — დამაკმაყოფილებელი. წმიდა მამები ღვთისმოშიშ ადამიანებს მონებს ადარებენ დაამბობენ: „მონას ბატონის შიში აქვს, რადგან იცის, რომ ურჩობის შემთხვევაში მას ბატონი დასჯის. შესაბამისად, რასაც ბატონი უბრძანებს, ცდილობს, ყველაფერი განუსჯელად აღასრულოს. ასევე, მოშიში მორწმუნეც ნაკლებად ფიქრობს სიკეთის ქმნაზე და უმეტესად ცოდვით გამოვლინებებს ემიჯნება, რათა სასჯელის ღირსი არ გახდეს. თავისთავად, ესეც მსახურებაა, მაგრამ მონური“.

ღვთის იმედი სიკეთის აღსრულების შედეგად სამაგიეროს მიღების მოლოდინია. თუკი ღვთის შიში ბოროტებას გვარიდებს, იმედი მასზე აღმატებული მდგომარეობაა, რადგან ჯილდოს, ანუ სამაგიეროს მიღების მოლოდინს აჩენს და თან, ამავე დროს, არ აქარწყლებს შიშის შეგრძნებას. პირიქით, შიშის უფრო მეტად მისაღები ფორმა ყალიბდება, ვინაიდან მარტოოდენ მარადიული ტანჯვისგან თავის არიდების გამო კი არ ვართ ღვთისმსახურებაში, არამედ სამომავლო სიკეთის და ნეტარების მოლოდინიც გვაჩნდება. ასეთ ადამიანებს წმიდა მამები ადარებენ არა მონას, არამედ დაქირავებულ მუშაკს, რომელიც გარკვეული გასამრჯელოს საზღაურად ბატონის წინაშე სამუშაოს აღასრულებს. მას მხოლოდ იმის შიში აქვს, თუ სიკეთეს არ გააკეთებს, ბატონი ამაგს არ დაუფასებს.

„მოიძულე უსჯულოება და ქმენ კეთილი“, — მოგვიწოდებს წმიდა დავით მეფსალმუნე. როგორც ვხედავთ, მარტოოდენ ბოროტებისგან გამიჯვნა საკმარისი არ არის, სიკეთის ქმნაც აუცილებელია. თუმცა სამოთხის მოლოდინითა და უფლისგან ჯილდოს მიღების იმედით აღსრულებული ღვთისმსახურება ანგარებით დამოკიდებულებას მოგვაგონებს: „გავაკეთებ სიკეთეს და ღმერთი მომავალ საუკუნო ცხოვრებაში აუცილებლად წყალობით დამიფასებს“. ამიტომ არც აღნიშნული მდგომარეობა უნდა აკმაყოფილებდეს ჭეშმარიტ ქრისტიანს, რადგან სრულყოფილებისკენ მოწოდებულნი ვართ: „იყვენით სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეცათაი არს“. ვინაიდან ღმერთი სიყვარული არს, ამიტომ სრულყოფილება და მისადმი მსგავსება სიყვარულითვე უნდა გამოიხატოს.

უნდა აღინიშნოს, რომ სულიერების ამ ეტაპსაც თან სდევს გარკვეული შიში, რომელსაც წმიდა მამები ფრიად სასარგებლოდ და მაცხოვნებლად მიიჩნევენ. მისი გამოხატულება კი უკვე შორს არის სატანჯველის წარმოდგენისა და ანგარებითი დამოკიდებულებისგან. აქ ყველაფერი მამისადმი წრფელი სიყვარულითაა გაჟღენთილი, ყოველგვარი ვალდებულებების გარეშე აღესრულება და მხოლოდ მამისადმი გულის ტკენის შიშითაა მოცული.

✓ მანანა ნოდია

Cyan Magenta Yellow Black

← 9 ლა კი „იმედში“ ისევ ერთად გადავიდნენ.

— თეა, „მაესტროდან“ „იმედზე“ გადასვლა როდის და რა მოტივით გადაწყვიტეთ?

— დაახლოებით ერთი თვის წინ არხის ერთ-ერთ დამფუძნებელთან მივედი და ვუთხარი, რომ მე მქონდა ერთდროულად სამი შემოთავაზება. არ მქონდა გადაწყვეტილება მიღებული, მაგრამ როცა ადამიანს საინტერესო შემოთავაზებები გაქვს, ბუნებრივია, ამაზე ფიქრობ. ვთქვი, რომ ამ შემოთავაზებებზე ვფიქრობდი. ერთი თვე ვიფიქრე და საბოლოოდ მივიღე გადაწყვეტილება, იმ ტელეკომპანიაში დავბრუნებულიყავი, რომელიც ჩემთვის მშობლიურია. არავისთვის არის უცხო, რა მაკავშირებს მე „იმედთან“, რა განცდები მაქვს და როგორ წამოვედი იქიდან. „იმედიდან“ წამოსვლის დღიდან ყოველთვის ვამბობდი, რომ ამ ტელეკომპანიაში ოდესმე მაინც დავბრუნდებოდი.

ახლა ის ეტაპია, როცა მედიაბაზარზე სივრცეც თავისუფალია და არც სიტყვის თავისუფლების თვალსაზრისით არის პრობლემები. „მაესტროც“ ფეხზე დგას და მას არ უჭირს განვითარება, ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება, იმ არხზე დავბრუნდე, რომელზეც, როგორც ჟურნალისტმა, ფეხი ავიდგი. პირველი ნაბიჯები იქ გადავდგი.

— მამუკა ღლონტი ამბობს, რომ „იმედზე“ გაცილებით უკეთესი პირობები შემოგთავაზეს და იმიტომ წახვედით.

— ამოიღეთ თეა სიჭინავას სახელფასო ამონაწერები „მაესტროდან“ და „იმედიდან“. განსხვავებას ვერ ნახავთ. ზუსტად იმ ხელფასზე მივდივარ, რამდენიც „მაესტროში“ მქონდა. არ ვიცი, უკეთეს პირობებში მამუკა რას გულისხმობს. თუ იმას

თეა სიჭინავა: „ჩვენთვისაც გადამჩენელი იყო „მაესტრო“ და მე და ჩემი კოლეგებიც ვიყავით „მაესტროს“ გადამჩენლები“.

გულისხმობს, რომ „იმედის“ გავრცელების მასშტაბი უფრო დიდია, კი, ბატონო, ასეა. ყოველთვის საინტერესოა მუშაობა ჟურნალისტისთვის, როცა არეალი უფრო ფართო გაქვს, როცა ახალ ასპარეზზე გადადიხარ. თქვენც ასე იქნებოდით. გავრცელების არეალი ან ახალი პროექტის დაწყება უფრო საინტერესო მოგეჩვენებოდათ. მით უმეტეს, თუ იმ გამომცემლობასთან თქვენ რაღაც ემოციური განცდაც გექნებოდათ, ვერ დამარწმუნებთ, რომ მის შემოთავაზებაზე არ დაფიქრდებოდით და არ მიიღებდით გადაწყვეტილებას.

მიხარია, რომ იმ ტელეკომპანიაში ვბრუნდები, რომელზეც თავად მამუკა ღლონტიც ხშირად გვეხუმრებოდა. ცნობილ ქართულ ფილმში „სიყვარული ყველას უნდა“ რომ არის ერთი ქვრივი, რომელიც თავის პირველ ქმარს მისტირის და ვერაფრით გამოიგლოვა, ვერაფრით დაივიწყა, კარგი, ქალო, დაასვენე ის კაცი საფლავშიო, რომ ეუბნებიან, დაახლოებით ასე დაგვიცინოდა მამუკა, კარგი, დაანებეთ თავი ამ „იმედსო“. მამუკამ და სხვებმაც კარგად იცოდნენ „იმედისადმი“ ჩვენი დამოკიდებულება. მოხარული ვიქნები, თუ „მაესტროც“ იმავე გავრცელების არეალს მოიპოვებს, რაც „იმედს“ აქვს. ყველაფერს კარგს ვუსურვებ და ყოველთვის ვიქნები მათი გულშემატკივარი.

— მამუკა ღლონტს აშკარად ძალიან ეწყინა თქვენი წასვლა. მით უმეტეს, მაშინ, როცა თავისუფალი სიტყვის თქმა ყველგან ჭირდა, „მაესტრომ“ ღირსება შეგინარჩუნათ, როგორც ჟურნალისტი, გადაგარჩინათ.

— კი, ბატონო, ჩვენთვისაც გადამრჩენელი იყო „მაესტრო“ და მე და ჩემი კოლეგებიც ვიყავით „მაესტროს“ გადამრჩენლები. ალბათ გახსოვთ, რამდენი განცხადება გამიკეთებია ქუჩაში, რამდენჯერ ვმდგარვარ საპროტესტო აქციაზე „მაესტროს“ დასაცავად. მგონი, ყველა ოფიციალური განცხადება „მაესტროს“ თანამშრომლების სახელით ჩემი გაკეთებულია. არასოდეს დამეზარება, თუ რაიმე პრობლემა შეექმნებათ, ამ არხისთვის ისევ გამოვიდე ქუჩაში, ისევ დავუდგე ჩემს მეგობრებს გვერდით, ვიბრძოლო მათი სიტყვის თავისუფლებისთვის. „მაესტრო“ ჩემთვის ისეთივე ძვირფასია, როგორიც „იმედი“, მაგრამ ამ ეტაპზე ასეთი გადაწყვეტილება მივიღე და, მგონი, მაქვს არჩევანის უფლება.

ვერ ვხვდები, რატომ გამოიწვია ასეთი აურზაური ჩემმა „იმედზე“ გადასვლამ. თითქოს რაღაც ვალდებულება მქონდა.

— აურზაური იმან გამოიწვია, რომ „მაესტროდან“ „იმედზე“ ბევრი თანამშრომელი ერთდროულად გადავიდა.

— მხოლოდ ოთხნი წავედით და თან ყველა „იმედელები“ ვართ. ერთად წამოვედით და ერთად დავბრუნდით. მაია თაბაგარი, რომელიც „იმედის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსი გახლდათ მთელი 5 წლის განმავლობაში, „მაესტროში“ ტოქ შოუების მთავარი პროდიუსერი იყო. თენგიზ მეზურნიშვილი „ქრონიკის“ რეჟისორი იყო და ახლაც რეჟისორი იქნება. ნატალია ვარძელაშვილი „იმედში“ კორესპონდენტი იყო და „მაესტროში“ ჩემი გადაცემის პროდიუსერად მუშაობდა. ამ ოთხ ადამიანზეა მხოლოდ საუბარი. 2009 წლის 8 აპრილს ექვსმა დავტოვეთ „იმედი“ პროტესტის ნიშნად, რადგან მათ საინფორმაციო პოლიტიკას არ ვემხრობოდით. ამ ექვსიდან ორი უკვე „იმედში“ მუშაობს და ჩვენც შევემატეთ. ისინიც „მაესტროზე“ მუშაობდნენ და ამ ზამთარს გადავიდნენ, მაგრამ მაშინ ასეთი აჟიოტაჟი არ მოჰყოლია ამ ამბავს.

— რა გითხრათ მამუკა ღლონტმა, როცა გაიგო, რომ მიდიოდით?

— როცა მამუკას ვუთხარი ჩემი გადაწყვეტილების შესახებ, წარმატება მისურვა და მეც წარმატება ვუსურვე.

— „იმედშიც“ ტოქ შოუს წაიყვანთ?

— დიახ, ჩემი გადაცემა მექნება. ის ფორმატი, რომელიც „მაესტროზე“ მქონდა, ცოტა შეიცვლება და ბევრი რამ დაიხვეწება. აუდიტორიის სიმრავლით ისეთივე არ იქნება, რადგან ასეთი ტოქ შოუ „იმედზე“ უკვე გადის. გარკვეულ დეტალებს, რომლებიც „მაესტროზე“ ჩემს გადაცემაში იყო, იქაც გამოვიყენებ. ჯერ მუშაობის პროცესში ვართ და ბევრს ვერაფერს ვიტყვი.

თეა სიჭინავა: „მივიღე გადაწყვეტილება, იმ არხზე დავბრუნდე, რომელზეც, როგორც ჟურნალისტმა, ფეხი ავიდგი. პირველი ნაბიჯები იქ გადავდგი“.

— „ფეისბუქზე“ განცხადება რომ გაავრცელეთ, ბევრმა დაწერა, ჯერ გავიგეთ, რა კავშირია აფხაზეთში დაბრუნება „იმედთან“.

— ჩემი გვერდი მხოლოდ მეგობრებისთვისაა ღია. შესაბამისად, ესეც მხოლოდ მეგობრებისთვის დავწერე და მათ კარგად გაიგეს, რა რატომ და რისთვის ვთქვი. ეს არ იყო ფართო საზოგადოებისთვის დაწერილი. იმის დასაზუსტებლად დავწერე, რისი ტოლფასი იყო ჩემთვის „იმედში“ დაბრუნება. რომ მინდა, აფხაზეთში დავბრუნდე, იმიტომაც დავწერე ეს. როგორც არ დამიკარგავს იმედი, რომ „იმედში“ დავბრუნდებოდი, ასევე არ ვკარგავ იმედს, რომ სახლშიც დავბრუნდები. გაცილებით უფრო რთულია, მაგრამ...

— თქვენ „მაესტროში“ 3 პროცენტიანი წილის მფლობელიც იყავით. ეს წილი შეგინარჩუნდებათ?

— „მაესტროს“ ხელმძღვანელობამ რამდენიმე თვის წინ განგვიცხადა, რომ თავიანთი სურვილით გადაწყვიტეს, 3 პროცენტიანი წილი გადმოეცათ ჩემთვის, ნინო ჟიჟილაშვილისთვის და ხატია ქვათაძისთვის. როგორც მათ აღნიშნეს, ეს იყო საპარტნიორო და ამის შესახებ არსად, არც ერთ ოფიციალურ დოკუმენტში დაფიქსირებული არ არის. არც სადმეა დარეგისტრირებული. ეს იყო მხოლოდ სიტყვიერი განაცხადი. არც მენეჯმენტში ვერეოდით და არც რაიმე გადაწყვეტილების მიღებაში. მით უმეტეს, ფინანსური შემოსავალი არ გვქონია. ასე რომ, იქიდან არაფერი წამომიღია. მე იქიდან წილი მივიღე და ამ წილიანად წავედი სადმე, ასე არ არის.

■

„სარკე“ მამუკა ღლონტის ბრალდებებზე მეორე მხარის პოზიციის გასაგებად ტელეკომპანია „იმედს“ დაუკავშირდა. გენერალური დირექტორის მისაღებში გვთხოვეს, მათთვის კითხვები გაგვეგზავნა, რის შემდეგაც პასუხის გაცემას დაგვპირდნენ. თხოვნა შევუსრულეთ, მაგრამ ამის შემდეგ ჩვენი სატელეფონო ზარებისთვის აღარ უპასუხიათ.

✓ **რუსუდან ადვაძე**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ლაბირინთი

იპოვეთ ექვსი განსხვავება

გაიფერადეთ

Cyan Magenta Yellow Black

თართის სტეიკი

მასალა:
თართის გაყინული სტეიკი — 3 ცალი
ლიმონი — 2 ცალი
სოიას სოუსი — 2 ს.კ.
ზეითუნის ზეთი — 2 ს.კ.
მარილი, თეთრი პილპილი — გემოვნებით

მომზადება: სტეიკი გაადნეთ, გარეცხეთ და ქაღალდის ხელსახოცით შეაშრეთ. ლიმონი ჯამში გამოწურეთ, ჩაუმატეთ სოიას სოუსი და ზეითუნის ზეთი. მოურიეთ, შეაზავეთ მარილითა და თეთრი პილპილით. ამ მასაში სტეიკები ამოავლეთ ყველა მხრიდან და ოთახის ტემპერატურაზე 2 საათი დატოვეთ, რათა სოუსი გაუჯდეს. ტაფა გაახურეთ, ჩააწყვეთ სტეიკები და 3-4 წუთი ორივე მხრიდან შეწყვით. სუფრასთან შეგიძლიათ ბოსტნეულის გარნირთან ერთად მიიტანოთ.

ბოსტნეულის სალათა ყველის კალათში

მასალა:
ყველი — 300 გ
კიტრი — 1 ცალი
პომიდორი — 1 ცალი
ოხრახუში, კამა — თითო კონა
ზეთი — 1 ს.კ.
მწვანე ხახვი — 2 ძირი
სალათის ფოთლები — 1 კონა
მარილი — გემოვნებით

მომზადება: ყველი სახეხზე გახეხეთ და გახურებულ ტაფაში გადაიტანეთ. როცა დნობას დაიწყებს, ხის კოვზით ბლითივით გააბრტყელეთ, ტაფიდან ამოიღეთ, დადეთ ღრმა თეფშზე (ისე, რომ შუაში ჩაღრმავებული დარჩეს) და გააცივეთ.

ბოსტნეული და მწვანილი დაჭერით, შეაზავეთ მარილით, ზეთით, მოურიეთ და ეს მასა ყველის ცენტრში დადეთ. ზემოდან მწვანე ხახვით მორთეთ.

მწვანე ლობიოს სალათა

მასალა:
მწვანე ლობიო — 400 გ
ხახვი — 1 თავი
ძმარი — 2 ს.კ.
მდოგვი — 2 ს.კ.
ზეითუნის ზეთი — 3 ს.კ.
მარილი, პილპილი — გემოვნებით

მომზადება: ლობიო გარეცხეთ და დატეხეთ. ქვაბში 2 ლ წყალი ჩაასხით, ჩაუმატეთ მარილი და აადუღეთ. ჩაყარეთ ლობიო და მოხარშეთ.

ჯამში ძმარი ჩაასხით, დაუმატეთ მდოგვი, მარილი და პილპილი. მოურიეთ ჩანგლით, რომ ერთგვაროვანი მასა მიიღოთ. ჩაუმატეთ ზეითუნის ზეთი და წვრილად აკეპილი ხახვი, მოურიეთ.

ქვაბიდან მოხარშული ლობიო ამოიღეთ, საწურზე დაწრიტეთ და თბილივე გადაიტანეთ სოუსში, მოურიეთ და მაშინვე სუფრასთან მიიტანეთ.

ძველი რუსული ვინეგრეტი

მასალა:
ჭარხალი — 2 საშუალო თავი
სტაფილო — 3 ცალი
კარტოფილი — 5 ცალი
მჟავე კიტრი — 4 ცალი
მჟავე კომბოსტო — 200 გ
დაკონსერვებული მწვანე ბარდა — 1 ქილა
მწვანე ხახვი — 1 კონა
მარილი — გემოვნებით
ზეთი — 7 ს.კ.
ვაშლის ძმარი — 2 ს.კ.
მოხარშული კვერცხის გული — 2 ცალი
მდოგვი — 2 ს.კ.
პილპილი — 1 ჩ.კ.
შაქარი — 1 ჩ.კ.

მომზადება: ბოსტნეული მოთუთქეთ მარილიან წყალში. გააცივეთ. ჭარხალს კანი მოაშორეთ და სტაფილოსთან ერთად კუბიკებად დაჭერით. კარტოფილს კანი გააცალეთ და მსხვილ კუბიკებად დაჭერით. ყველაფერი სასალათეში მოათავსეთ, დაუმატეთ კუბიკებად დაჭრილი მჟავე კიტრი და კომბოსტო. მწვანე ხახვი აკეპეთ და სალათას ჩაუმატეთ. მოურიეთ.

ცალკე ჯამში ჩაასხით ზეთი და ძმარი, დაუმატეთ შაქარი, მდოგვი და პილპილი, კარგად მოურიეთ, შემდეგ ჩაუმატეთ კვერცხის გული და იქამდე ურიეთ, სანამ ერთგვაროვან მასას არ მიიღებთ. ეს მასა სალათას მოასხით, მოურიეთ და სუფრასთან მიიტანეთ.

კაკლები შესქელებული რძით

მასალა ცომისათვის:
კვერცხი — 2 ცალი
კარაქი ან მარგარინი — 200 გ
ფქვილი — 2 ჭიქა
შაქარი — 1/3 ჭიქა
სახამებელი — 1/3 ჭიქა
სოდა — 0,5 ჩ.კ.

გულსართისათვის:
მოხარშული შესქელებული რძე — 1 ქილა

მომზადება: კვერცხები ჯამში ათქვიფეთ შაქართან ერთად, დაუმატეთ დარბილებული კარაქი (ან მარგარინი) და კარგად მოურიეთ.

ცალკე აურიეთ ფქვილი და სახამებელი და კვერცხიან მასას შეაზილეთ ისე, რომ ერთგვაროვანი მასა მიიღოთ. 1 საათით მაცივარში შედგით.

როცა ცომს მაცივრიდან გადმოიღებთ, მოაციცქნეთ პატარა გუნდები, ხელით დაამრგვალეთ (დაახლოებით 1,5 სმ დიამეტრი) და ეს მასა სპეციალურ კაკლის ფორმებში გადაანაწილეთ და ხელით კარგად მიაწებეთ კიდეებს. ფორმები გამოსაცხობ ფირფიტაზე დაალაგეთ და გამოაცხვეთ.

გამომცხვარი კაკლები ლანგარზე გადაიტანეთ, გააცივეთ და ფრთხილად ამოიღეთ ფორმებიდან. თითოეული მოხარშული შესქელებული რძით ამოავსეთ, შეაწებეთ ორი ცალი ერთმანეთს (შეგიძლიათ გულში მეოთხედი ნიგვზებიც ჩაუდოთ) და კაკლებიც მზადაა.

Cyan Magenta Yellow Black

ხელსაქმე

ტყავის სამაჯური

ასეთი სამაჯურების გაკეთება ბევრ დროს არ წაგართმევთ, სამაგიეროდ, როცა გააკეთებთ, შედეგით ნამდვილად კმაყოფილი დარჩებით.

დაგჭირდებათ: პლასტმასის ბოთლი, წებო, წვრილი მავთული, სამაჯურის შესაკრავი, ტყავის ნაკუწი, ბრტყელტუჩა, ნემსი და ძაფი.

პლასტმასის ბოთლისგან ამოვჭრათ სამაჯურის მსგავსი რკალი, სისქე თქვენს სურვილზეა დამოკიდებული. ტყავი დავჭრათ სამ სხვადასხვა ზომის თასმად, აქედან ერთი მაჯას უნდა სწვდებოდეს და პლასტმასის რკალზე განიერი უნდა იყოს. დანარჩენი ორი ბაფთისთვისაა საჭირო და მხოლოდ სიგრძით უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან.

პლასტმასის რკალზე შემოვაწებოთ პირველი თასმა ისე, როგორც მე-2 ფოტოზეა ნაჩვენები. დარჩენილი ორი თასმა ბოლოებით დავაწებოთ ერთმანეთს და შუაში დავაფიქსიროთ ძაფით. შემდეგ დავაწებოთ უკვე მზა სამაჯურზე და ბრტყელტუჩას დახმარებით მავთული შემოვახვიოთ. სამაჯურს ბოლოებში შესაკრავები დავუმაგროთ.

სულ ესაა.

გისურვებთ წარმატებას!

✓ ლელა ცუცქირიძე

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

№ 1

5	8	9	6	3	4	7	1	2
3	7	4	1	2	9	6	5	8
1	2	6	7	8	5	4	3	9
8	5	2	4	1	3	9	7	6
9	4	3	8	6	7	1	2	5
6	1	7	5	9	2	8	4	3
4	3	1	9	4	6	5	8	7
4	6	5	3	7	8	2	9	1
7	9	8	2	5	1	3	6	4

№ 2

3	1	9	4	2	6	5	8	7
5	6	7	1	3	8	9	4	2
8	2	4	7	5	9	1	3	6
1	8	2	9	6	5	4	7	3
4	9	6	3	1	7	2	5	8
7	5	3	2	8	4	6	1	9
2	3	8	5	9	1	7	6	4
9	4	1	6	7	3	8	2	5
6	7	5	8	4	2	3	9	1

ეს იცოდით?

❖ მწერალი ოსკარ უაილდი არასოდეს უყურებდა სერიოზულად ჩარლზ დიკენსის შემოქმედებას. უფრო მეტიც, ის ხელიდან არ უშვებდა შანსს, რომ დიკენსისთვის დაეცინა.

❖ ნობელის პრემიის ლაურეატ მწერალ ერნესტ ჰემინგუეის, საჯარო გამოსვლების შიში ჰქონდა. გარდა ამისა, არ სჯეროდა არავისი, ვინც მას აქებდა, თუნდაც ის ადამიანი მისი ყველაზე ახლობელი ყოფილიყო.

❖ როდესაც 34 წლის ლევ ტოლსტოიმ 18 წლის სოფი ბერსზე იქორწინა, პირველ ღამეს აიძულა, დღიური წაეკითხა, რომელშიც უამრავ ქალთან გატარებული დღეები ჰქონდა აღწერილი. მწერალს არ სურდა, ცოლთან საიდუმლოებები ჰქონოდა.

❖ 1931 წელს ბოლონიაში ბრბომ სასტიკად სცემა დირიჟორი არტურო ტოსკანინი და მისი ცოლი. ამის მიზეზი ის იყო, რომ მუსიკოსმა უარი თქვა, ედირიჟორა ორკესტრისათვის, რომელსაც ფაშისტური ჰიმნი უნდა შეესრულებინა.

❖ ამერიკელი მსახიობი ტეილორ ლოტნერი (ვამპირულ საგა „ბინდში“ ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი) 12 წლის ასაკში მსოფლიო ჩემპიონი გახდა კარატეში.

❖ მსახიობ უმა თურმანის მამა წარსულში ბუდისტი ბერი იყო. უმას სახელი ბუდისტური ღმერთის პატივსაცემად დაარქვეს.

❖ მომღერალი მერაია ქერი კონცერტზე ეფექტურად რომ გამოიყურებოდეს, გამოსვლის წინა დღეს აუცილებლად 15 საათი უნდა ეძინოს ოთახში, სადაც ჰაერის ფილტრია დამონტაჟებული.

❖ როცა ჰოლივუდის ვარსკვლავი ჯულია რობერტსი ნერვიულობს, მარცხენა თვალიდან ცრემლი სდის.

❖ მსახიობ შარლიზ ტერონის კარიერა ბანკში დაიწყო. ის უბრალო მოლარე იყო.

❖ მსახიობი მარკ უოლბერგი თინეიჯერულ ასაკში ბანდიტური დაჯგუფების წევრი იყო და კოკაინს ეტანებოდა.

❖ ბეისბოლის ლეგენდა ბეიბი რუთი ყოველი თამაშის წინ თავისი კეპის ქვეშ კომბოსტოს ფოთოლს დებდა, ყოველი მეორე ჩაწოდების შემდეგ კი მას ცვლიდა.

❖ მსახიობ კრისტიან ბეილის დედა დიდი ხნის განმავლობაში ცირკში მუშაობდა. მსახიობმა სწორედ ცირკის აკრობატ გოგონას აკოცა პირველად.

❖ პირველად საპონი ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-3 საუკუნეშია მოხსენიებული. იგი წებოვანი აბების სახით გამოიყენებოდა.

Cyan Magenta Yellow Black

ვარსკვლავები ასაკის შესახებ

30 წელი

ბიონსე: „30 წელი მნიშვნელოვანი მომენტი იყო ჩემს ცხოვრებაში. სწორედ მაშინ ვიგრძენი, რას ნიშნავს, იყო ნამდვილი ქალი და ეს ყველანაირად გამოხატო“.

ოლივია უაილდი: „როცა 30 წლის ხარ, უკვე შეგიძლია, თქვა, რომ ცხოვრების შესახებ რაღაც იცი. 20 წლის ასაკში ყველაფერს საკუთარ შეცდომებზე სწავლობ. მაგალითად, ახლა, ამ ასაკში, აღარასოდეს ვიტყვი, რომ ძილი ზარმაცების ჩვევაა და ღამეებს წვეულებებზე ვათენებ. ახლა ვისწავლე ძილის ფასი“.

რიზ უიზერსპუნი: „30 წელი ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. ვისწავლე საკუთარი თავის მართვა. თეატრში, კინოში და მეუზეუმში სიარული მარტომ დავიწყე, დღეში 15-30 წუთს მხოლოდ საკუთარ თავს ვუთმობ“.

40 წელი

ჰოლი ბერი: „40 წლის დაბადების დღეზე, როცა სადღეგასასწაულო ტორტი შემოიტანეს, რაღაც ჯადოსნური მოხდა, თითქოს მაგიური სინათლე დამადგა თავზე. პირველად 40 წლის ასაკში ვიგრძენი, რომ შემიძლია ვიყო ის, ვინც ნამდვილად მინდა, ვიყო. ადრე ამის მეშინოდა“.

სინდი კროუფორდი: „ახლა კმაყოფილი ვარ ჩემი ფიგურით, ამისათვის ხომ ძალიან ბევრი ვიშრომე. შეიძლება ესთეტიკური თვალსაზრისით 23 წლის ასაკში უფრო კარგად გამოვიყურებოდი, მაგრამ ახლა ნამდვილი ქალი ვარ და ეს უფრო საამაყოა“.

კამერონ დიასი: „ახლა საკუთარ თავს უფრო კარგად ვგრძნობ, გაცილებით ამტანი გავხდი. ფიზიკურადაც 40 წლის ასაკში უფრო კარგად ვგრძნობ თავს, ვიდრე 25 წლის ასაკში“.

ჯენიფერ ლოპესი: „როდესაც 40 წლის გავხდი, დავფიქრდი, ნუთუ დამთავრდა ჩემი ცხოვრება, რაღა უნდა გამიხარდეს, ახლა ყოველი დღე პესიმისტური იქნება-მეთქი, მაგრამ ვცდებოდი. ცხოვრებით ხალისი სწორედ ახლა ვისწავლე“.

50 წელი

ჯულიანა მური: „50 წლის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ მიაღწიე წერტილს, როდესაც იცი, რომ ცხოვრების დიდი ნაწილი უკვე გაიარე, შენს ცხოვრებაში ყველაფერი უკვე მოხდა. მე არ მომწონს ეს შეგრძნებები. საკუთარ თავს 50 წლის ასაკში დავუსვი კითხვები — რა ვერ მოვასწარი, რისთვის არ მქონდა დრო და აღმოჩნდა, რომ ამ კითხვებზე პასუხებმა ჩემი ცხოვრება უფრო საინტერესო გახადა“.

ოპრა უინფრი: „სწორედ 50 წლის ასაკში მივხვდი, რომ შეგიძლია იცხოვრო სრული ცხოვრებით. მე ამ ასაკის შემდეგ დავიწყე გემრიელად ჭამა, ათასი სისულელის კეთება. ვიცი, რომ, რაც უნდა გავაკეთო, ჩემი განმკითხავი აღარავინ იქნება“.

შერონ სტოუნი: „არც გავამხელ, რამდენი ექიმი ცდილობდა, კანის გადაჭიმვაზე დავეთანხმებინე. რამდენიმე მათგანმა ლამის დამიყოლია კიდეც, მაგრამ მერე საკუთარ თავს რომ შევხედე სარკეში, ვთქვი, არაფერი მაქვს გადასაჭიმი, ასაკში ჩემი ნაოჭები უფრო სექსუალურია-მეთქი“.

60 წელი

მერილ სტრიპი: „ეშმაკმაც დალახვროს, მადლობელი ვარ იმისთვის, რომ ვცხოვრობ. ბევრი ჩემი მეგობარი ავადაა, ბევრიც მოკვდა, მე კი მშვენივრად გამოვიყურები. რაღაცაზე ხომ უნდა ვინერვიულო, მეტი საწუწუნო არაფერი მაქვს“.

სიუზან სარანდონი: „ვერ ვიტყვი, რომ ასაკმა ჩემზე არ იმოქმედა. როგორც კი ნაოჭები გამიჩნდა, მაშინვე ბრძოლა გამოვუცხადე. ახლა თითოეული დღე ჩემთვის ბრძოლაა ასაკთან, ხან ის მამარცხებს, ხან მე ვამარცხებ“.

დაიან კიტონი: „მთავარი აზრი, რაც 60 წლის განმავლობაში გამოვიტანე, ისაა, რომ უნდა იყო თამამი. საოცრად მშიშარა ვიყავი და თავის დროზე ბევრ რამეს არ მივხედე. ახლა 60-ის კი არა, 80 წლის დედაკაცს ვგავარ“.

ბიონსემ კარე მოსინჯა



ომღერალი ბიონსე ბრიტანეთის სცენაზე ახალი ვარცხნილობით, ასიმეტრული კარეთი გამოჩნდა, რომელიც აქამდე ვიქტორია ბექჰემის სტილად ითვლებოდა. მომღერალს ძალიან უყვარს ექსპერიმენტების ჩატარება საკუთარ გარეგნობაში. სტილისტებმა ბიონსეს არჩევანი მოუწონეს. ეს ვარცხნილობა ერთდროულად ქალურიცაა და ცოტა მკაცრიც. მომღერალმა ახალი ვარცხნილობის პრეზენტაცია თავის ბლოგზეც გააკეთა და განაცხადა:

— სიახლეები მიყვარს, ახლა ყველაზე საინტერესო ვარცხნილობა მაქვს. კარე არასოდეს მქონია, ამიტომ ეს ოცნებაც ავისრულე.

მაიკლ დუგლასის და კეტრინ ზეტა ჯონსის გაყრა 300 მილიონი დოლარი დაჯდება

■ მაიკლ დუგლასი და კეტრინ ზეტა ჯონსი

ჰოლივუდის ვარსკვლავური წყვილის — 68 წლის მაიკლ დუგლასისა და 43 წლის კეტრინ ზეტა ჯონსის გაყრა ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული იქნება ჰოლივუდის ისტორიაში. როგორც გაირკვა, მაიკლი დაიღალა ცოლის ფსიქიკური პრობლემებით და სურს, მისგან შორს იცხოვროს. ცნობილია, რომ კეტრინს ბოლო წლებში ნერვებთან დაკავშირებული პრობლემები აქვს და რამდენჯერმე სერიოზული მკურნალობის კურსიც ჩაიტარა. როგორც ჩანს, მაიკლ დუგლასს დაავიწყდა ის დრო, როდესაც კიბოს დიაგნოზით სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მყოფს კეტრინი გვერდში ედგა.

უკვე ცნობილია, რომ ვარსკვლავური წყვილის გასაყოფი ქონება 300 მილიონ დოლარს აღემატება. ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობა კარგა ხანია იდეალურისგან შორსაა, მაგრამ ცდილობდნენ, შვილების გამო ოჯახი შეენარჩუნებინათ. როგორც მაიკლის მეგობარი აცხადებს, ის დაღალა ცოლის არამდგრადმა ფსიქიკამ:

— არაერთხელ უთქვამს ჩვენთვის, მეგობრებისთვის, რომ ძალიან დაიღალა. ცხოვრება საკმაოდ ხანმოკლეა და არ მინდა, მუდმივად ტანჯვაში ვიყოო. ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი მომბეზრდება და ვეტყვი, ყველაფერი დამთავრდა-მეთქი, — უთქვამს მსახიობს მეგობრისთვის.

გაყრის პროცესი სექტემბრის მეორე ნახევრიდან დაიწყება. შეგახსენებთ, რომ ისინი 2000 წლის 18 ნოემბერს დაქორწინდნენ. ჰყავთ ორი შვილი — 13 წლის დივან მაიკლ დუგლასი და 10 წლის კერის ზეტა დუგლასი.

სილქნეტი
SILKNET
Silk SPORT HD
BARCLAYS
PREMIER LEAGUE
პრემიერ ლიგის თამაშები
ექსკლუზიურად Silk Sport HD-ზე
მხოლოდ სილქტივის აბონენტებისთვის, ინგლისის
პრემიერ ლიგა, 17 აგვისტოდან, ახალ არხზე!
Silk TV
Find us on: facebook
2 100 100
www.silknet.com
ინტერაქტიული ტელევიზია